# ცისკარი

www.opentext.ge/tsiskari

სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალი

5-6 | 2004





მაკა ზედელაშვილი
ბროწეულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი
ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

www.opentext.ge/tsiskari

**5-6** | 2004

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:

**ზაურ კალანდია**

სარედაქციო საბჭო:

**ბალათერ არაბული**

**ლევან მალაზონია**

**ელზა მეტრეველი —**
მთ. რედაქტორის მოადგილე

**მიხო მოსულიშვილი**

მხატვარი:
**გიორგი წერეთელი**

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა №1
ტელ.: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

3. **ემზარ კვიტაიშვილი.** ლექსები
11. **მანანა ამირეჯიბი. „ვაი, რომ მახსოვხარ".** კინონოველა
15. **რენე კალანდია.** ლექსები
22. **ლევან მალაზონია. ახო.** მოთხრობა
33. **დალილა ბედიანიძე.** ლექსები
39. **ირმა მებურიშვილი.** ლექსები
42. **თემო ჯაფარიძე. ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა.** მოთხრობა
55. **ნუნუ ჯანელიძე.** ლექსები
58. **ჭაბუკი ქოიავა.** ნოველები
63. **შალვა საბაშვილი.** ლექსები
66. **მადონა დარცმელია.** ლექსები
69. **ნოდარ ხუნდაძე.** ორი მოთხრობა

### გამოსათხოვარი

77. **მერაბ ჯაფარიძე.** ლექსები. ბოლოსიტყვაობა **დალი სულაშვილისა**

### ძველი ლექსებიდან

79. **არჩილ ფირცხალავა.** ლექსები

### ჩვენი თანამედროვე
#### დიალოგები რეჟისორთან და მწერალთან

84. **ნინო ჩხიკვიშვილი. სადად თხრობა რთულ საკითხებზე.** საუბარი რეჟისორ **თემურ ჩხეიძესთან**
92. **ანდრეი მარტინოვი. დიალოგი პაულო კოელიოსთან.** თარგმნა **ელზა მეტრეველმა**

### ახალი თარგმანები

99. **სერგეი დოვლატოვი. ზონა.** დასასრული. თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

### წერილები

133. **თამთა შავგულიძე. ტიპურისა და ინდივიდუალურის იმპლიკაციები ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებაში**
137. **ლანა კალანდია. რეპორტაჟი ზეთისხილის ბაღიდან**
145. **ნაზი ხელაია. „ტანზე ქრისტესი მაცვია კვართი"**
150. **ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე. სხვა სამშობლოს ვერსად მოვძებნი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაკა ზედელაშვილი
ნატურმორტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ემზარ კვიტაიშვილი

## უნივერსიტეტის წინ

ვიყავი, ვარ და ვიქნები
წუხილის შვილი – თური.
წუხელის შემხვდა ერლომი,
ჩემსავით უბედური.

ვთქვით სამდურავი ათასი
ამ წუთისოფლის ტივილის,
არ დაგველია ერთურთან
საგმობარ-დასაჩივლი.

დანაგვიანდა მამული,
უსასოობას ვტირით,
აგვიკლეს, ბოლო არ უჩანს
უგვანოების ჯირითს,
წამოგვჯდომია ქეჩოზე
სიბერეც – ჭირთა ჭირი.

მიწაში გვიწევს ცოლები,
მისებრ ვჯახირობ, ვმწერლობ...
იცოდე, ძმა ვარ მე შენი,
ახვლედიანო ერლომ!

რკო უნდა ტკვირონ ტახებმა,
ირმებმა ლეჭონ ლიჭი;
ორი ბაქარი გვეზრდება,
ის ჩვენი ორი ბიჭი!

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სარკმელი შემოფეთქა

ყველაფერი აქ უნდა
მოხდეს საოცარი...
უბერავს ქვაბ-ქალაქში
ზღვისპირეთის ქარი.

კვიპაროსებს წელში წყვეტს,
რამ შეშალა ასე...
წვიმებია, ეტყობა,
ჩვენს წართმეულ ზღვაზე.

რა ბიჭები ჩახოცეს,
ქართლი დაიჩაგრა;
თვალში წამით გაკრთება –
სოხუმი და გაგრა.

## მახსოვრობაში გაფერილი მოგონება

ეს ფოთში იყო. შემძრა, მეამა
ზღაპრული შუქის წყალში ტივტივი...
რა დრო გასულა მას მერე, მე ამ
სურათს ვინახავ ძვირფას ნივთივით.

მამიდაჩემი მახლდა, ანეტა,
ვიწექ ნაფერებ – ნანანავები...
იოდის ბინდში წითლად და მწვანედ
ზუოდნენ ტლანქი თვითმფრინავები.

ცა მოციმციმეს მოჰგავდა ეკრანს,
ვჭვრეტდი პროჟექტორს – სვეტებს ჯვარედინს;
მინებს, ფანჯრისას, დოლბანდი ეკრა
და ძილს ახლოსაც არ ვიკარებდი.

თვალებანთებულს თან შიში მკლავდა,
თან იმ ღამეში მსურდა ჩარჩენა...
გადაუღებელს ელოდნენ ავდარს,
მიზოზინობდა, ძლივს, კაპარჭინა.

არ მავიწყდება ის ჩუმი შფოთი,
გამიგებს, გამოუცდია ვისაც,
შრიალებს შორი ზაფხული, ფოთი...
ვიყავი ხუთი თუ ექვსი წლისა.

[library stamp]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაცარიელებული კარ-მიდამო

(სიკვდილისგან მოტაცებულნი)

არ უნდა გულზე ხელის დადება,
უქმი, თაგვისაც, ცოდოა სორო,
მე კი სიზმრადაც მკლავს, მეცხადება
სახლი, რომელშიც არავინ ცხოვრობს.

პარკს არ არჩევენ და არ ბარავენ,
ალალ-მართლები წალალეს სხვაგან;
არ ჰყავთ საყოლი, იქ აღარავინ
არ ამზეურებს ლეიბს და საბანს.

## ხსოვნიდან ამოზიდული

(თოთხმეტი წლის წინანდელი)

შენ არ გიჭირს, ბალახზე
ფიჭვის ცრემლი წაღვარო...
მზის მოკლდება აღვირი,
მოგინატრე, წაღვერო!

ვიტყვი, წარღვნამ იმ ფერთა,
სიკვდილამდე გასტანა,
არც უნახავს იმ ტყეს მერე –
ბიჭი, დათუნასთანა.

თიხის ფლატე... დავძარი –
ფიჭვნარი და ნაძვნარი...
არცროს განმეორდება
ის ზაფხული, დამწვარი.

## მარადისობის მებნას გადაყოლილი

*„სულებს სათვალავი არა აქვთ“*
*ლათინთა გამოთქმა*

ნაღველი მჭამს წარამარა,
ხვედრი დამყვა – მწარე ვარ;
მიყვარს უცხო ქალაქები,
უცხო ხალხში გარევა.

არავისი მოვინატრო
ალერსი და ნუგეში;
რა მოხდება, ეს რომ მოხდეს
ერთხელ, საუკუნეში.

არ იკითხვენ, რა კაცია
ანდა სადაურიო;
ვიტყვი, არსად ვეშურები,
ვერც მომაგნებს შურიო.

ვინ იაზრებს – დრო თავისი
გაცვალა და გაყიდა...
სახელს ვერვინ გაიხსენებს,
ვერ მიცნობენ სახითაც.

რა წამახდენს, იმ ათასი
სანახავით დატენილს,
ჩემთვის ვივლი, სათვალავში
არავის მივემატები.

მზე აიმღერა, მეღირება,
ვაჰთუ, ბოლო მომიღოს...
რა იქნება, ასი წლიდან
ერთი ჩემი რომ იყოს?!

მიწავ, ნულარ დამეყრები...
მოყვრები და მაყრები
არ მჭირდება, მომეგებოს –
მაშრიყი და მაღრიბი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იმასაც იცოტავებ

”ასი წლისთავი” – როცა ვკითხულობ
კაცზე, თავზარი მეცემა;
ას წელს ცოცხალი როგორ მიატან,
არ უნდა თვალის ცეცება.

რა მუხლით გინდა, ბებერს, დასძლიო
აღმართი, თითქმის ციცაბო...
გაწყდება, ძაფზე ჰკიდია გული,
რამდენიც არ გაიწაფო.

თუმცა ბერდები, თმააბურდული,
შენგრეული გაქვს ფერდები,
შენი სიხარბე რომ ვიცი, ალბათ,
ათასსაც არ დაჯერდები.

## ცვლილება

რად გამეღვიძა ადრიან,
სუნთქვა რამ შემიგუბა,
უტყვი წუხილი ეტყობა
ამ ჩვენ არეულ უბანს.

მემაწვნე მოკვდა, მალხაზა,
ეზოდან აღარ ყვირის,
გული გაუსკდა საცოდავს,
მსხვერპლია ამა კვირის.

კაი სახელი დატოვა,
კაცი არც რაა მეტი,
დაიტირებენ, კაცურად
დამარხავს მისი წყნეთი.

## თებრონეს ლექსი

(ძველი სიმღერების მიბაძვა)

ალისებრო, ლალისებრო,
იბრიალე, ქალო თებრო,
შენ რომ კოკით წყალი მოგაქვს,
იმ წყაროზეც ხარ უებრო,
შენი ერთი გავლაც შურდეთ –
ბაღდადს, ნინევიას, ჰებრონს...
კოჭებამდე ჩითის კაბა...
ცას მისწვდება შენი კიბე...
რა მოხდა, რო გლეხის ქალად
იშვი, დაგყვა სიღარიბე?!
ვინც ვერ გხედავს, მებრალება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცინარს შეგადარებ მე ბროლს,
ბაბრის თვალები გაქვს, როგორ
გაგიმეტო, თქვი, საბებროდ?!
ყოვლის მეტად ის გიხდება,
ღამის შავ ხნულს ანათებ რო,
განა ნაკლებ სათქმელია,
ამდენის ბედს განაგებ რო?!
არ გჭირდება ფარეშები,
სამკერვალო და სამღებრო...
ნაწნავები თეძოზე გცემს,
რამ დაგხატა, ქალო თებრო?!
მზისას ედარები ჩანჩქერს –
მოქნეულო, ალვისტანა
ვითარ ვაქო, ვინც აქამდე,
ვერ იქნა, ვერ წაგიტანა,
თუ ყოლაა, სოფელს გოგო
უნდა ჰყავდეს შენისთანა!..

## ცრემლიანი ვედრება

მეუფეო, თუ ქებაა,
ჩემგან უფრო იქები;
ჰქენი მადლი, ჩამინათე
სიკვდილის ბილიკები.

ვინ მოსულა ქვეყნად ორხელ,
ვინ გაწყვეტს, ღვთის ბორკილო,
ნუ შემარხევ, ნამარხულევს,
რომ არ წავიფორხილო.

წითელ კოჭად თავს არა ვთვლი
და არც უცხო ვარ ხილი,
კლდოვანებში, ვიწროებში
შემაშველე მარხილი.

როდის იყო, გაგერჩიოს –
გულსავსენი, ფუყენი...
დაგზნებულო, იმ ბოლოგზას
ვიღა არ გაუყენე.

არცროს ინდობ დაბადებულს –
მეფეა თუ დაბდური...
რა მინდვრები მომატარე,
მე რა მაქვს დასამდური?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მცირე სამადლობელი

შობიდან მე შენი ნათელი მჭრიდა,
ვიცი, სულს, ცეცხლოვანს, ვლევ სად...
გემადლიერები, უფალო, დიდად,
რომ არ გამაჩინე თევზად.

დამსხვრეულს იმდენი კი შემრჩა სხივი,
წყვდიადს, შემოჯარულს, ვბალთავ,
მადლობა -- სისხლი არ ჩამისხი ცივი
და ელვა მარგუნე თვალთა.

გმადლობ, რომ ოქროსი შემაბი შიბი,
ხმალ-შუბს ვიგერიებ მრავალს,
სხეულს არ მიფარავს ქერეჭი ლიპი
და ნაკურთხ მიწაზე დავალ.

## რამდენი ვინმე გამომჟღავნდა

აღარ მწადია დალევა
ცოლიკაურის, ციცქასი...
მიგანე, მე რო მეგონე,
არა ყოფილხარ ის კაცი,
ვარ ჩემთვის, ლექსებს ვაქვეყნებ...
ჩემს "მნათობსა" და "ცისკარში".

## აკვარიუმი ქუჩისპირა კაფეში

მზერა მზისკენ მივუშვი,
წინ ხავსი გამიფინა,
გაკრთა აკვარიუმში
თევზის ზურგი, სლიპინა.

მეტყვიან, რას როშავო,
ვის უნდა ეგ შარადა,
თვლემს სტომაქი მოშავო,
შრიალა ნიჟარათა.

სულის მკურნალს — ოცნებას —
ვკემსავდი და ვკერავდი,
ზღაპრით მავსებს თევზების
კარნავალი, ფერადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი ხე

დავალ, ყველგან მელანდება
ის ხე, შავფოთოლა,
ხნოვანებით, ტანითაც
ზუსტად ჩემი ტოლა.

არ იფიქროთ, დაყაროს
შეშა ანდა წნელი;
გარს ესკვნება, ჩემსავით,
მასაც სამი სკნელი.

მიწაშიაც იმდენია,
რამდენიც ჩანს ზევით;
ახლოვდება წაშლის დღე,
ერთად წავიქცევით.

## ვინატრე

ცაცხვის ფოთლებად გვაქცია
და ცაში გვაფარფატა,
ნიავის ფრთებზე დაგვსვა და
ღრუბლის დაგხურო ფატა.

იქ ავი თვალი ვერ მოგვწვდეს,
ველარც ჭირი და ცოფი,
ერთად ვიქროლებთ, არავინ
იქნება ჩვენი მცნობი.

მთებს გადავივლით, დათოვლილს,
ტბების ვიხილავთ ლაპლაპს;
მიწა კი გაძლებს უჩვენოდ,
ჩვენ არ დავეშვათ დაბლა.

## ნოემბრის დღე

ცივა, ნაწვიმარია,
არც იფიქროთ, მოთბება,
მიგვაქანებს ნოემბერი –
ლეგა, ყვითელფოთლება.

სამოსელი ბუჩქების
გაფერილა ლითონად...
დაგვაძინებს ზამთარი,
მიიძინებს თვითონაც.

ჯერ კი შემოდგომაა,
დღეთა ჩუმი დინება;
ახლა ნახვას ტყე-ჭალის
არც-რა ემჯობინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაფხულიდან განჭვრეტილი შემოდგომა

თვალს ვაამოთ, აქედან
ვიდრე გავიძურწენით;
სამოთხეა თხემლის ხეზე
მიშვებული ყურძენი.

წლების აღმართს, უღმერთოს,
მე რა გულით შევება;
სექტემბერში იციან
მტევნებმა შეშავება.

ვნახოთ, რამდენს გავუძლებ
ქვაზე ტვინდანაგალი...
მაშინაა – წენგოს მწვანე
საკანს რომ ხლეჩს კაკალი.

## შემოდგომის ხმაზე

წვიმდა, გამოიდარა,
ფანჯრებს ქარი აწვება,
ტანი გაიფოფრეს და
ფრთა გაშალეს ნაძვებმა.

თუკი მექნა გუნება,
ამინდია საქროლი,
ყვითელ-ყვითელ კომშებს და
კაკალს ვნახავ დაკროლილს.

მენდე და გამომყევი,
ეს არ არი ცდუნება,
პირგახსნილი ბროწეულიც,
ძმავ, არ დაიწუნება.

ბებრად თუ არ ჩამთვლიან,
გავყვებოდი მე ნახირს...
გაკრეფილი დამხვდება
მოწყენილი ვენახი.

მოვისმინოთ მშობლიური
ჰანგი, ანუ მელოსი;
მოდი, ვნახოთ ერთხელაც
სთველი საქართველოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მანანა ამირეჯიბი

## „ვაი, რომ მახსოვხარ“

**კინონოველა**

ცხენებზე სხედან ხანშიშესული კაცი და თხუთმეტიოდე წლის გოგონა. შემოდგომის მშვიდ სიჭრელეში გვერდიგვერდ მიუყვებიან ტყის ალმართს.

— ავტობუსში ჩავჯექი და პირველად წამოვედი მარტო, პირველად და შენთან. შენ ხარ ბაბუების პრეზიდენტი, ყველაზე სიმპათიური და ყველაზე სახელოვანი. საიდუმლოს გაგიმხელ, შენსავით არავინ მიყვარს, არც დედა, არც მამა. შენც ხომ ყველაზე მეტად გიყვარვარ? არაო, რომ მითხრა, მაინც არ დაგიჯერებ. თვალებში შეგატყვე, როგორ გაგიხარდა ჩემი ჩამოსვლა.

— გაჩუმდი ცოტა ხანს, შე კაჭკაჭო. რა დავალება მოგცეს? რა არის მთავარიო?

— არა, "ყველაზე მთავარი" ან "ვინც გვახსოვს", რომელიც გინდათ, ის დაწერეთო. ყველაზე მთავარი სიყვარულია, არა, ბაბუ?

— ხან ასეა, ხან ისე. ძირითადად მაინც სიყვარულია, მაგრამ არის გიყვარს, თაყვანს არა სცემ. ეს, ვინც გვახსოვს, უფრო მის მიმართაა.

— როგორც შენ ბებო გიყვარს, მაგრამ თაყვანს არა სცემ, ხო?

კაცმა "ვერ გაიგონა".

— აი, იქით, ხედავ? ქსნის ციხეა. ცოტა აქეთ თუნუქის მწვანე სახურავით შიომღვიმის კომპლექსია. გახსოვს ქრისტეს თვალები? შენ რომ თქვი, სადაც წავალ, იქ მიყურებსო. ნახე, ცხენმაც გაიხედა, თითქოს გაიგონა. ფეხი კარგად გაუყარე უზანგში, მალე დავისვენებთ და...

— მწვადს გავაჩაღიჩებთ?..

— ჰო, შევწვავთ, აი, იმ დიდ ხესთან რომ მივალთ.

— ბა, ამ ბოლოს რატომ ხარ უგუნებოდ, მითხარი რა, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ; მე ხომ გითხარი, გოგა რომ მომწონს. სულ რაღაცას ფიქრობ, სოფელში გადმოსახლდი, მარტო ყოფნა გინდა. მომიყევი, რა, პირველად ვინ გიყვარდა ანდა ვინ გახსოვს დღემდე.

გოგონამ ცხენიდან გადაიწია და პაპას მხარზე აკოცა.

— კარგი, რადგან ასე მთხოვ, მოგიყვები რამეს, რაც დიდხანს მახსოვდა... ერთხელ, ზამთრის პირი იყო, დასავლეთ საქართველოდან ვბრუნდებოდი. ექსპედიციის წევრები დილაადრიან გამოვუშვი, მე საქმეების გამო შევყოვნდი და შუადღისას წამოვედი. მომშივდა. რიკოთზე გავაჩერე მანქანა და რესტორანში შევედი. სადილი შევუკვეთე და ცნობილი მხატვრის პანოს სანახავად კედლისკენ წავედი. კედელთან ერთი გოგო შევნიშნე, რაღაცას აკვირდებოდა. თეთრ ქურქზე ქერა თმა ეფინა. მივედი და თვალიერებას შევუდექი. უცბად ჩემკენ მოიხედა და ჩურჩულით მითხრა:

"ეს ქალი ხომ მგავს? დააკვირდით, სხვას ვერ ვეტყვი, იფიქრებენ, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის არისო... ხომ მგავს?"

"განა თქვენ არა ხართ?", ვკითხე ისე, ნახატისკენ თითქმის არც გამიხედავს, თვალი ავკარი მხოლოდ. გოგონას შუბლზე თეთრი პაწია ყვავილების წვრილი გვირგვინი ჰქონდა ჩამოცმული, ეს იყო მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატარძლო მორთულობა. ისეთი კარგი იყო, გული ამიფრიალდა: ქორფა, მშვენიერი, ეშმაკუნა თვალებით...

"ექსქიუზ მი", გავიგონეთ და ერთდროულად მივტრიალდით. უცხოელი იყო, ფოტოაპარატი ჩააჩხაკუნა, "თენქიუც" დაამატა და წავიდა.

პატარძალმა გადაიკისკისა:

"ჩვენ ვეგონეთ ნეფე-დედოფალი".

ამ დროს მასავით ლიფსიტა ბიჭი მოვიდა.

"ზაო, წავედით!" — უბრძანასავით.

"ზაო, ზაო, ზაბალე
შენ ჯობიხარ სხვა ქალებს,
ზაო, ზაო, ზაბალე
დათოს რატომ აწვალებ..."

მღეროდნენ მათი თანატოლი მაყრები.

"არავის უთხრათ", თითი ნახატს მიაშვირა, მერე ტუჩებზე აიფარა და გაიქცა. თეთრი თიკანივით მირბოდა. გარეთ გავიდნენ. პატარძალმა მაინცდამაინც ჩემი მანქანის საქარე მინას დააწერა "ზაო", მერე სახურავიდან თოვლი ახვეტა და თავის ციკან ქმარს სახეში შეაყარა. ჩასხდნენ და წავიდნენ. ნახატს მივუბრუნდი. ნამდვილად ჰგავდა, ჰგავდა კი არა, ის იყო...

— მაშინ რამდენი წლის იყავი, ბა.

— ძალიან დიდი, ოცდათვრამეტის.

— ის, ის რამდენის იქნებოდა?

— ჩვიდმეტ-თვრამეტის.

— უი! პატარები მოგწონდა?

კაცს თვალებში შიში ჩაუდგა.

— არა, ეს არ იყო კაცის ვნებიანი გრძნობა ქალისადმი, მაგრამ ვერც მამაშვილურს დავარქმევდი...

— ესე იგი, თაყვანისცემა იყო, თანაც ისეთი, რომ მისი სახელი დამარქვი? — ჰკითხა გოგონამ და ცხენიდან გადმოხტა. — აღარ გინახავს?

— აღარა. დიდხანს კი მახსოვდა თეთრი, ეშმაკუნა ბეკეკა, უშუალო და საყვარელი.

კაციც გადმოვიდა ცხენიდან.

— როდის ბრუნდები თბილისში, ხვალ? მე წაგიყვან მანქანით, კარგი?

— არც ხვალ მივდივარ, არც ზეგ. სვეტიცხოვლობაა, სწავლა არა გვაქვს. ფეხით წავიდეთ სვეტიცხოვლობაზე, ბა, რა არის, ბოლოსდაბოლოს, ხუთი კილომეტრი, ერთი ხუთიც უკან. ჯერ ხომ არ დაბერებულხარ, სიარული ხომ არ გიჭირს...

— რა თქმა უნდა, არა.

მწვადისთვის შეშას და საშამფურეებს ეძებენ.

— ბაბუ, კიდევ მომიყევი, რა. კიდევ ეგეთი მომიყევი...

— კარგი, სანამ მწვადის შეწვას დავიწყებდეთ, ერთსაც გიამბობ... ავარიას შევესწარი. ქუჩიდან ჩამომავალმა მანქანამ დაარტყა ტრასაზე მიმავალს. ჩემდა გასაკვირად, სწორედ დამნაშავე აყვირდა:

"შენ, ქალო, ბრმა ხარ? რას გაშეშდი, გაგეელო, რა, შენს გზაზე, მაგრამ ჭკუა ვინ მოგცა, თხას რად უნდა ჭკუა. ვინც თქვენ მანქანას გყიდულობთ, მე იმის დედა".

ახალგაზდა ქალი ჯერ გაოცდა, მერე გაბრაზდა და მანქანიდან გადმოხტა:

"შე ტუტუცო, შენი ბრალია და კიდევ მე მიყვირი? ბოდიში გაქვს მოსახდელი და კიდევ მე მლანძღავ? ბავშვი არ მეჯდეს მანქანაში, გაჩვენებდი სეირს, პოლიციაში წაგიყვანდი, შე რეგვენო!"

ჯინსის შარვალში გრძელი ფეხები და ლამაზი ტაკო მოხდენილად ჰქონდა გამონასკვული, ჯემპრზე ბეწვის მოკლე, უსახელო ჟილეტი ეცვა. ბშირი, სწორი თმა მხრებამდე სწვდებოდა, ბერეტი ეხურა. ძალიან ლამაზი იყო და ლამაზადაც ჩხუბობდა. განსაკუთრებით თმა ლივლივებდა უსაშველოდ.

"დედიშენისამ, მეც მაშინვე გამოგყვებოდი. პოლიციაში წასაყვანი შენა ხარ, შე უზრდელო და უნამუსო!"

აქ ველარ მოვითმინე, ფანჯარაში ხელი შევყავი, საყელოში ჩავაფრინდი და ვუღრიალე:

"ახლავე გაჩუმდი, შე ახვარო, თორემ ტვინს მიგასხმევინებ..."

გაგიჟდა, მაგრამ რა გაგიჟდა. მანქანიდან გადმოხტა და დამეძგერა. ყოფილმა მოკრივეობამ მიშველა, მაგრად ამოვდე ნიკაპქვეშ. არ წაიქცა, ისეთი კუნძი იყო, ჩემზე ბევრად ახალგაზრდა, თანაც ეკოლოგიურად სუფთა ჰაერზე გაზრდილი.

გოგონა იცინის.

კაცი შამფურს თლის.

"მე თუ არ წავედი, თქვენ ერთმანეთს დახოცავთ." ჩემს გასაგონად თქვა ქალმა და მანქანაში ჩახტა. "პოლიციის მოსაყვანად მივდივარ!" ხმამაღლა დაიძახა და წავიდა. წავიდა და წავიდა...

— წავიდა? გამოექომაგე, ის კი წავიდა? — გოგონა კუნძიდან წამოხტა.

— გონიერი ქალი იყო, მე კი არ გამაკავა, როგორც უმრავლესობამ იცის, დაეხვევიან თავისიანს, ვითომ ეხმარებიან, ის სხვა კი უბრაგუნებს და უბრაგუნებს. წავიდა თუ არა, მძღოლი პასიური გახდა:

"შენ რაღა გინდოდა, სხვის საქმეში რომ ეჩრებოდი," ისტიბარს არ იტეხდა კუნძი.

"მართალი არ იყავი, ტყუილად ეჩხუბე, თანაც რა ქალს; დამნაშავე რომ ყოფილიყო, მადლობა უნდა გეთქვა."

"ერთი იმისიც. წავედი, მართლა პოლიცია არ მოიყვანოს იმ წაკლამ", თქვა, მანქანაში ჩახტა და გაქროლდა. სურვილი გამიჩნდა, მიმეფურთხებინა. რა ქალი იყო, თმა...

— თმა დაუთოებული ექნებოდა, აი, როგორც მე. — გოგონამ შეკრული თმა გაიშალა და თავი გააქნია.

— ზუსტად, ზუსტად ეგრე ლივლივებდა. თმასაც იუთოებთ ქალები? — ხმამაღლა გაიცინა კაცმა, — რომ იხვევდნენ, ვიცოდი. შენ ჯერ პატარა ხომ არ ხარ ამისთვის. წავედით...

საშამფურეები შვილიშვილს მიაწოდა, თვითონ შეშა ამოიღლიავა.

— ეგ როდისღა მოხდა, ბა, რამდენი წლის წინ...

— ალბათ, თხუთმეტის...

— ესე იგი, შენ ორმოცდაათის იყავი. ის?

— ოცდაათამდე...

კაცი დამნაშავესავით ხრის თვალებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– აქაც თაყვანისცემა იყო, სხვა არაფერი. ეს უნდა დამიჯერო, თორემ ველარ მოვყვები.

– მჯერა ბა. ასე იმიტომ მეუბნები, რომ სხვა დროსაც უმცროსები მოგეწონა?

– ეგრე გამოვიდა. ერთხელაც ყველა ერთად ვნახე...

გოგონა ისევ წამოხტა:

– არ გამაგიჟო! დაუჯერებელია; მოყევი, რა, მოყევი.

– მესამეც იყო. ბოლომ კი თავისი მოულოდნელი საქციელით დამამახსოვრა თავი ლიფტში.

– რაა? — გადაიკისკისა გოგონამ. — ლიფტში?

– არა, ცუდი არაფერი იფიქრო, მანამდე საქმე, არ მისულა...

– ლიფტი ბოლოსთვის მოვიტოვოთ, საკაიფო იქნება, ჯერ იმის წინაზე მომიყევი.

– ისედაც წინ იყო. დაახლოებით ათი წლის წინ...

– ესე იგი, სამოცის იყავი?

– ჰო... ჩემმა ორმა მსახიობმა მეგობარმა სპექტაკლზე დამპატიჟა; რომ დამთავრდა, რესტორანში წავედით. ჩვენთან ახლოს ისხდნენ სამი კაცი და ერთი ქალი, რომელსაც კისერზე როგორლაც ამაყად დადგმული შავხუჭუჭთმიანი პატარა თავი და მწვანე თვალები ჰქონდა. ძალიან დახვეწილად მოძრაობდა. მალულად ვზვერავდი მის უზადო პროფილს, ერთხელაც არ შევუნიშნივარ. ჩვენმა არტისტმა თამადამ ფეხზე ადგომით მიმართა მეზობლებს, თქვენს პატრიცია ჰოლმანს გაუმარჯოსო. ეს ჩვენი თაობის მშვენიერი ქალი იყო რემარკის "სამი მეგობრიდან". ქება-დიდება აფრქვიეს ჩემმა სუფრისმტეებმა. მე ჭიქა უხმოდ ავწიე, თვალებით ვადღეგრძელე. ყველას თავისი მიაგო თბილად და ზრდილობიანად, მე ბოლოში მომიტოვა და ასეთი რამეები მითხრა: "თქვენ, მელაკუდა ბიძია, ჩუმად რომ ზიხართ მანდ, საიდუმლო რომ აღარ დამიტოვეთ, ისე წვრილად შემისწავლეთ და გამცხრილეთ — ყველაზე უფრო თქვენ მომეწონეთ. რამდენჯერ გაიფიქრეთ, ნეტავი მისი ტოლი ვიყოო — აბა, იმას ხომ არ ინატრებდით, ის იყოს ჩემხელაო (აქ გადაიკისკისა). თქვენ ისეთი მუზმუზელა ხართ, სახლში ჩემზე უკეთესი გეყოლებათ, ნამდვილად ასე იქნება. რა თქმა უნდა, იდეალური არ მგონიხართ, პირიქით, ბლომად გექნებათ ხარვეზები და მაინც მთელი ცხოვრება თქვენნაირ კაცზე ვოცნებობდი. რა ვქნა, ადრე დაიბადეთ ანდა მე გავჩნდი გვიან, ამიტომ ორივეს კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა. ჩათვალეთ, რომ ოცი წლის წინ უკვე მიყვარდით და კიდევ ამდენ ხანს მეყვარებით. თქვენ ჩემი ოცნების ბებრუხანა ხართ..." მერე ჩანთა აილო და ადგა, წავიდეთ, აქ არაფერს გვაცდიანო, თავის მრევლს უბრძანა. თავნებობა სიარულშიც კი ეტყობოდა. უცბად მოტრიალდა და მითხრა:

"ყველაზე ცუდი კი ისა გაქვთ, რომ ზედმეტად ქედმაღალი ხართ, თავი ისე გიჭირავთ, თითქოს პირველად მხედავთ."

სწრაფი ნაბიჯით დაეწია მეგობრებს. სახტად დავრჩი! ასეთი ქალი მინახავს და დამვიწყებია? ეტყობა, სადმე მეგობრებთან ან ნათესავებთან წვეულებაზე შევხვედრივარ-მეთქი, ვიფიქრე და, სადაც მოვხვდი, ყველგან ვეძებდი — ამაოდ. ამ ერთი თვის წინ სახლში მივდიოდი, ჩვენს ქუჩას ფეხით მივუყვებოდი. უცბად ქალის კივილი მომესმა: "ბაო, უკან!" ელდა მეცა, მაგრამ შენს ნაცვლად სამი-ოთხი წლის გოგონა დავინახე, ქუჩაზე გადმორბოდა, მისკენ დიდი სისწრაფით მოჰქროდა მანქანა. ერთი ნახტომით ბავშვთან გავჩნდი და ხელში ავიტაცე, მეორე ნახტომით ისევ ტროტუარზე ამოვჩნდი. მანქანა ბორდიურზე ამოვარდა და ხეს დაეჯახა იქვე, რამდენიმე ნაბიჯში.

ჩემს წინ გაფითრებული ქალი იდგა, ცახცახებდა: "ისე უცბად გამისხლტა... მადლობისთვის სიტყვები არ მყოფნის, ღმერთო ჩემო, უკვე მერამდენედ მიშველეთ... თქვენ ჩემი ცხოვრების თანამდევი კეთილი სული ხართ, დიდი მადლობა".

ბავშვი გამომართვა, ჩაიხუტა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ყურებში ისევ ჩამესმა "ბაო, უკან!" დავაკვირდი და გავშეშდი.

"მიცანით?" მკითხა უკვე მშვიდი ღიმილით.

"თქვენ... რიკოთზე, ალბათ, ოცდაათი წლის წინ," ავლუღლუღდი.

"დიახ, მაგრამ რატომ მხოლოდ რიკოთზე. მერე ქუჩაში ავარია? ჩემს გამო რომ იჩხუბეთ... მერე რესტორანში რომ გამოგლანძღეთ... ხუთი წლის წინ ლიფტში? მაშინ რომ არ შემხვედროდით..."

"ლიფტშიც თქვენ იყავით?" გაოცებისგან თავგზა ამერია.

"მე ვიყავი."

"ღმერთო, მთელი ცხოვრება... ასე სხვადასხვანაირი — ხან ქერა, ხან წაბლისფერი, ხან შავი თმა... რესტორანში თქვენი ქმარი რომელი იყო?"

"არც ერთი. ქმარი, დიდი ხანია, აღარ მყავს, გავშორდი..."

"რამდენი სათქმელი მაქვს, სულ თქვენი პოვნის იმედით ვიყავი..."

"მე ხვალ მივემგზავრები. ბაო მიმყავს დედასთან, გერმანიაში. არ ვიცი, როდის დავბრუნდები, ჩემს შვილს ძალიან ვჭირდები. ალბათ, ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ჩამოვალ, ბაო სკოლას რომ დაამთავრებს. მერე ვისაუბროთ ძალიან ბევრი, თუნდაც სიცოცხლის ბოლომდე".

აეროპორტში გავაცილე და თვითმფრინავს გავატანე მთელი ჩემი ცხოვრება.

კაცი ნაღვლიანად ჩაჩუმდა, შამფურების ბურბუშელას მიაშტერდა.

– ბა, ცუდ ხასიათზე დავდექი... წადი! ჩაჯექი თვითმფრინავში და წადი. ვერ გაუძლებ, ისე დარდობ. ხომ შეგატყვე, სულ დარდობ...

– რა აზრი აქვს, სამოცდაათი წლის ვარ, სიკვდილის შიში უკვე ნიშნებს მაძლევს. იმანაც კარგად იცის, რომ აზრი არა აქვს, უბრალოდ, ათი-თხუთმეტი წლის სიცოცხლის სურვილი მაჩუქა...

– ბა, მოდი, ცხენებზე შევსხდეთ და შინ წავიდეთ. მწვადებიც იქ შევწვათ... ბუხარში... ისეთ გუნებაზე დავდექი, სახლში მინდა. ჩვენი წითელი ღვინის დალევა მინდა, ერთი ჭიქის, სავარძელში ჩაჯდომა და ცეცხლის ყურება. არ მინდა ციხე-კოშკის ნანგრევების ნახვა, სხვა დროს წამოვიდეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

პაპა და შვილიშვილი ბუხარში ცეცხლის მოძრაობას უყურებენ.

ტაბლაზე ღვინო და ჭიქები დგას, თეფშებზე მწვადია.

– ლიფტის ამბავიც მომიყევი, ბა, ეს როდის იყო?

– ხუთი წლის წინ. ჩვენი ლიფტი, ხომ იცი, რა ბნელია; სანამ მეცხრეზე ავა, თავი აკლდამაში მგონია-ხოლმე. ზამთარი იყო, ციოდა. ლიფტს ერთი ქალი ელოდებოდა. სანამ ჩავსხდებოდით, თვალი შევავლე. ნაქსოვი ქუდი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. გრძელი "დუბლიონკა" ეცვა. მუქი სათვალე ეკეთა, სათვალე სიბნელეში, ამაზე გულში გამეცინა. ცხვირი დაწითლებოდა, სახე კი მიტკალივით გაფითრებოდა — ტირილის მერე რომ იცის, ისე. ვგრძნობდი, კაბინაში თვალმოუცილებლად მიყურებდა. რაღაც წამში წინ ამეფარა და მაკოცა. მოულოდნელობისგან გავხევდი. რომელიღაც სართულზე ღილაკს თითი დააჭირა და გავიდა, არ მოუხედავს... რაღაცნაირი კოცნა იყო, მშვიდობიანი და როგორღაც მარადიული. ჩავთვალე, რომ ვინმე არაორდინარულ არსებასთან მქონდა საქმე, სხვისი გაგიჟება რომ მოეგუნებებათ-ხოლმე, ანუ თქვენებურად — ევასებათ. მადლობელი ვარ ღმერთის — ჰოვნისთვის, დაკარგვისთვის, ერთგულებისთვის, ღალატისთვის, შენ რომ მყავხარ, იმისთვის და მარადიული სევდისთვის. ეს სიცოცხლეა...

კაცმა ჭიქა მიუწკარუნა გოგონას ჭიქას.

მეორდება აეროპორტი, ინტიმური გამომშვიდობება თვალში მომდგარი ცრემლებით და სიმღერა:

*"შენ ისევ მოდიხარ და*
*სიზმრებში ჩნდები*
*ვაი, რომ მახსოვხარ —*
*არ მავიწყდები..."*



**ნინო ბოსიკაშვილი**
პეიზაჟი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რენე კალანდია

წიგნიდან *„გამოთხოვება ალკოჰოლთან“*

## ნაბახუსევი „ყვავილები“

ჰა, როგორც იქნა,
გაექცა ცოლ-შვილს!..
შუა ქუჩაში
გიჟივით დადგა...
იყვირა: ტაქსი!..
წავიდა...

ჰა, როგორც იქნა, —
ჩავიდა...

შეაფარა ცოდვილის თავი –
დამძიმებული,
სიგარეტებით გაბრუებული,
ცისფერ მონაზონს –
ბიჭვინთის ტაძარს...
ზის და ღვთაებრივ ორღანს უსმენს –
გულსევდიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟღერს დჲპრეს „ვარიაციები...”

აქ მელოტ,
დეფორმირებულ თავს
გუმბათიდან უთვალთვალებს
შუბლგახვრეტილი იესო –
თვალებში მუშტისოდენა ცრემლით...
ცრემლი – დამოკლეს მახვილი,
ცრემლი – ოხერი ფრაზა:
Nulla dies sine linea*
მაღლა,
თორმეტი მოციქულის დუმილში ელავს,
თანაც წკრიალებს –
ბინძური ოცდაათი ვერცხლი...

შეაღწია მზერამ კედლებში,
შეაღწია ორგანის ტევრში,
შეაღწია მუსიკის ზღვაში...
ჰა, აქვითინდა სივრცის სივრცეში
ჩამავალი მზის სხივი...

*— კონცერტი დამთავრებულია!..*

იგი ცარიელ დარბაზში იჯდა –
ვეება ბოთლის ფსკერზე,
ვით იერონიმ ბოსხი...

## უკანასკნელი ”გასეირნება”

მივდივარ,
რჩება ოთახი –
აწ გარდაცვლილი სიმღერების
მოუსვენარი ლანდებით...

მივდივარ...
ერთხელ გადაშლილ და
უკვე დაკეცილ წიგნთა წიაღში
ჩარჩენილია დაღლილი მზერა,
ბგერები – ჟამის ფრინველები
და მთრთოლარე ანაბეჭდები...

მივდივარ...
ჩემი სევდაოთახი –
აწ გარდაცვლილი სიმღერების მბორგავ ლანდებით –
იდუმალების მობრძანებას დაელოდება...

მივდივარ...
დაე, თქვენს წიგნებში
*ი ნ ა ვ ა რ დ ო ნ ვ ა რ დ ი ს ფ უ რ ც ლ ე ბ მ ა,*

* არც ერთი დღე სტრიქონის გარეშე (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულბულის სტვენამ
და ღვთაებრივმა იასამანმა...

მივდივარ...
სახეამღვრეული ჩემი ლექსები
შეინახავენ მარტოსულთა ძახილის ექოს...

მივდივარ...
ჩემი სევდაოთახი –
ღამის ფრინველი – ფრებდაგლეჯილი –
აწ გარდაცვლილი სიმღერების
მოხეტიალე ლანდთა სამეფო –
ჭაბუკ პოეტს დაელოდება...

## საით?

*გიორგი სულიკაშვილის ხსოვნას*

დასავლეთისკენ რატომ გარბის ბებერი ძაღლი?.. ბალანგაცრცვილი, დუჟმორეული, მაგრამ მაინც კუდაპრეხილი და ისარივით გამიზნული იმედის გზაზე... თვალები მისი – მობრიალე ჩირაღდნებია და ანათებენ დაისის ასფალტს...

ნუთუ არ იცის იმ უბედურმა მაწანწალამ, რომ ის ყასაბი – თავისი დუქნით, სადაც მიწაზე სისხლივით ბრწყინავს ძვლის იმედი, სულ სხვა მხარეში – აღმოსავლეთში დარჩა... დიდი ხანია, იქ დაძრწიან მისი მოძმენი... ძაღლებს დასდევენ მოიმედე მაწანწალები, ანუ ყოფილი მოქალაქენი: ეგებ დააგდონ ძვალი?!.

ნეტავ, სად გარბის ბებერი ძაღლი – ძმა და კოლეგა საუკუნოდ დაწყევლილი აჰასფერისა?!.

## სტოპ-კადრი

აჰა, საერთო ვაგონის მგზავრი ტამბურში ზიხარ მოკუნტული, გულსევდიანი – განწირული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული: ჯიბეებს ჯიჯგნის სიმსივნე... კუშტად გიმზერს გამცილებელი და დამცინავად მილიციელი... მინებჩალეწილ ტამბურში ზიხარ – ხელჩაქნეული, გულდარდიანი... შვილი პეიზაჟს უმზერს, ანუ აღტაცებული ათვალიერებს.

ეგ ყველაფერი ჩინებულია, მაგრამ სად არის შენი ვაგონი?.. ნეტავ, რა ხდება ვაგონში?.. ვაგონში ცხელა, ვაგონი ყარს: ვაგონი, როგორც კასრი ქაშაყით – გაწყობილია, გაჭედილია... ვაგონში სხედან მოქალაქენი და კოლექტივის წევრები; ჯიბეში ყველას უდევს "ცნობა", რომ "მოსავალი –

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისია" და მიაქვთ დიდი ქალაქისკენ, როგორც "პარიზის სტომაქისკენ" თხილი, ხურმა და ლუფა...
– იფ, რა კარგია, რა დიდებული! – აბაზანიდან გამოსული – გალაღებული დედაქალაქის მოქალაქე პათოსით ამბობს – გადადებს ლუფას და თხილს აყოლებს ხურმას...
ვაგონში სხედან მოქალაქენი და კოლექტივის წევრები, შენ კი – ტამბურში, ვაჟი – პეიზაჟს ათვალიერებს: უკვე არ ტირის ბიჭი...

თავდაპირველად თქვენ იცდიდით პლატფორმაზე ორი საათი – "თქვენს მატარებელს" ელოდით... როგორც იქნა, ჩამოდგა იგი – გამურული "გამხარებელი..." შორს გააჩერა, გაედევნეთ: ერთ ხელში ბარგი, მეორეში – პატარა ბიჭი: გარბოდით მძიმედ, დიდხანს... კიდევ კარგი, რომ "თქვენი ვაგონი" აღმოჩნდა ბოლოს – ეშალონში უკანასკნელი... სანამდე ბილეთს დაეძებდი და "მგლოვიარე ჯიბეებში" იქექებოდი – მატარებელიც დაიძრა, გამცილებელი ვეება ღიპით კარებში ჩადგა – რესტორანის მეპანღურე კარისკაცივით და გადაკეტა გზა...
– აი, ბილეთი! – იყვირე და სახელურს თითქმის წაავლე ხელი, მაგრამ კარებში გამცილებელი იდგა გულგრილი, საოცრად მშვიდი – ჟამის ყრუ-მუნჯი ჯარისკაცივით – ვეება ღიპით გზა გადაკეტა და გიშორებდა თავიდან, როგორც აბეზარ მათხოვარს...

ატირდა ბალღი... უფალმა ხელი შეგაშველა და, როგორც იქნა, აიყვანე ტამბურში ბავშვი... დიდხანს ტიროდა პატარა... ამშვიდებდი და მაინც ტიროდა... შემდეგ ორი პაწია მუშტით ამოიმშრალა თვალები და თითქოს გულზე დაგისვა დანა – მოულოდნელად გკითხა: – მამა, მითხარი, რატომ გვაგდებდა ის ბიძია გაქანებული მატარებლიდან, ჩვენ ხომ ბილეთი გვქონდა?!.

ვერ უპასუხე ვერაფერი... თქვენ უპასუხებთ, მკითხველო?!. ვერ უპასუხებთ განა? – რატომ აგდებენ ადამიანებს გაქანებული მატარებლიდან ეგ ღიპიანი და "ხელის ჭუჭყით" გაქსუებული" ბიძები..."

ვაგონში სხედან მოქალაქენი და კოლექტივის წევრები,
შენ კი – ტამბურში, ვაჟი – პეიზაჟს ათვალიერებს:
უკვე არ ტირის ბიჭი...

*ვაგონი შენზე უფროსია, ხანდაზმულია,*
*ვაგონი შენზე დიადია – "დამსახურებით",*
*გახლავთ საერთო, ანუ სახალხო ვაგონი,*
*ვაგონი შენზე ძლიერია – რკინაა იგი,*
*შენ ხარ უბრალო ადამიანი, ანუ თახსირი საუკუნის "პატარა კაცი..."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კარგი, რომ იმზირება სივრცეში ბავშვი,
თორემ შენ ზიხარ მოკუნტული, გულდარდიანი
გაძეალტყავებულ ტამბურში და პირს გიწვავს "პრი-
მა" ამაოების, ვით „ბინდისფერი სოფლის"
სტრიქონი – ოხრად დარჩენილ სიცოცხლეს...

## ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე...

*თენგიზ პატარაიას ხსოვნას*

ორშაბათია. 30 წუთში უნდა ვიყო სამარშრუტო N1 ავტობუსში, რათა მივუსწრო თვითმფრინავს და გადავფრინდე ჩებოქსარში, სადაც უკვე მელოდებიან ჩუვაშური ლიტერატურის ფუძემდებლის კონსტანტინე ივანოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე. მეგობრები მელოდებიან.

უნდა ავიღო "ჩვენს ფოსტაში" მოსული "ჩემი ფოსტა".

უნდა, უნდა გადავიხადო 30 მან. მეზობელ წიგნის მაღაზიაში – მანდელშტამის 5 წიგნის საფასური. რამეთუ ისევ იგვიანებენ ჩემი ტომები, მეგობრებს ვჩუქნი მანდელშტამის ძვირფას ლურჯ ტომებს; მწამს, მეგობრებს არ ეწყინებათ...

უკვე ავიღე ფოსტა. ულდისის წერილს ვკითხულობ: ეტყობა, შვედურ ლუდს სვამს სვიანს – შვედური სოციალიზმის მომხრე...

უნდა დავლიოთ "მთის ნიავში" ჩემი "მორიგი 100 გრამი..."

ჰა, როგორც იქნა, ჩავუშვი!..

რისი ნიავი? – 100 გრამი კონიაკი ძოწად ჩაბრძანდა ხახაში და მიგრიალებს – დასავლეთის მიმართულებით – პატივცემული უ. შექსპირის ქარიშხალივით...

რახან არ შემრჩა ტაქსის ფული, ავტობუსის გაჩერებასთან ბოძივით ვდგავარ – მგოსანი – სარგადაყლაპული...

გადავშალე "ლიტ. საქართველო": ბოლო გვერდი და ელდა მეცა: კონიაკმაც დამარტყა, როგორც საბჭოთა ურომ... რაც მთავარია, შენგან ამას არ მოველოდი, რა დაგიშავე, ბიჭი?!

*ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!*
*ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!*
*ამათი ფოსტის ღდინიც ვატირე!*

ბიჭო, თენგო, რა დაგიშავე! რომ შენს ნეკროლოგს ვკითხულობ?!.

ნისლიანია ზაფხულის სივრცე, სევდისფერია შენი სურათი, ბინდისფერია გზა...

თენგო, ბიჭო, ამ აზვრებმა განა იმისთვის აიღეს ფოსტა, ტელეგრაფი თუ ხელისუფლება, რომ გაზეთი, სადაც ციმციმებს შენი სევდა – ნეკროლოგი – 4 დღის შემდეგ გადაეცათ ხელმომწერთათვის?..

*ამათი ფოსტის დედაც ვატირე!*
*ამათი ფოსტის დედაც ვატირე!*
*ამათი ფოსტის დედაც ვატირე!*

25.06.90

მ ი ნ ა წ ე რ ი: ნუ გეწყინება, რომ ბარათი – აღსარება დავაგვიანე. ვიცი, მენდობი, რომ აქამომდე მაწვალებდა იმ დღის ტკივილი და ვერ გავბედე, მეთქვა. დღეს ამოხეთქა სათქმელმა, რადგან დღეს დღეა ჩემი – შენი ძმაკაცის დაბადებისა: ხომ ხედავ როგორ იწყება, ძმაო, აქ დაწყევლილთა, იქ ბედნიერთა დაბადების დღის დილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხსოვნის სიღრმიდან

*ჰენრიკ ედოიანს*

აჰა, ზვარტნოცის არწივებით იწყება ჩვენი
დიდი საღამო. გზა წარსულისკენ მიემართება
და სისხლისფერი ბროწეულები დიადი ტაძრის
სულს ანათებენ უკვდავების შარავანდედით.

მკერდზე არაბთა ველურმა ურდომ გადაგვიარა,
ვით ნიაღვარმა... რა შევცოდეთ, ნეტავ, უფალ-
თან? – როცა ჩვენთა ხალხთა ხელები ამდენ
ლოცვა-ვედრებაში ცისკენ აღმართულ სანთლე-
ბად იქცნენ, იცრემლებიან და ანათებენ მამუ-
ლისათვის თავდადებული შვილების გულზე ამო-
ტყორცნილი თუ ჩაკირული ქვა-ჯვარის სევდას –
უსასრულობას.

ზვარტნოცის ჭა – ხსოვნაა ჩვენი და ისტორი-
ის შრეებისკენ მიგვერეკება, როგორც თეთრ ბა-
ტკნებს – შავოსანი სომხეთის დედა – გეჰარდის-
კენ – გამთენიის ცრემლისფერ დილით...

## კონტრამარკა

ახლა აქ ვდგავარ აფიშებთან
და უხალისოდ ვათვალიერებ
დიდი ქალაქის ფერად ცდუნებებს

მხატვართა კვირა
შიშველი მეფე
ობლების ლუდი
კონ კონ კონცერტი
ვეძებთ ტალანტებს
ალო შე ქალო
ლექსის საათი
უკვდავთა თითით

სულის ჭაში ნეკერჩხლის ფოთოლს
აწრიალებს მიუსაფრობა
(მწარეა N 1 "პრიმა")

იქ – რკინაკავეულის მაღაზიაში
ფილოსოფოს-ფილოლოგი გოგრიაშვილი –
ჩემი კრიტიკოსი – მომავალში –
ვედროს ყიდულობს ჩემი ფოთლისთვის –
პრიალა ფსკერზე აკაკუნებს
ა უ ჩ ქ ა რ ე ბ ლ ი ვ...

რენე კალანდია ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაგნიტური ველი

დღე
დიდებული რამ არის
ცაზე მზე ბრწყინავს დიადი

საღამო
მშვენიერია
ვსვამთ და აღარც კი ვიღლებით

ოხ დილა
საძაგელია
ნაბახუსევი თავით

გწყურია
ისევ დაწვები
და გესიზმრება ღორები



**ინა ლებრანძე**
ზღვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლევან მალაზონია

## ახო

*ვუძღვნი ზურაბ კიკნაძეს*

ისეთი ხვატი იდგა, რომ აგვისტოს თაკარა მზე ბუჩქნარით დაბურულ მთაზედაც სუნთქვას უძნელებდა ყოველ სულიერს. პაპანაქებისგან თითქოსდა გავარვარებულ ცას ლურჯი ფერი დაჰკარგოდა. დიდი სიცხისგან მოთენთილი არემარე გაყუჩებული ელოდა ზენიტზე მდგომი ცეცხლოვანი დისკოს დასავლეთისკენ დაცურებას. ნიავი ოდნავადაც არსად ჰქროდა, ფრინველი თითქოსდა გადაფრენასაც ვერ ბედავდა ცაზე.

ასეთ პაპანაქება სიცხეში ორი უქუდო ახალგაზრდა, რომლებსაც თავზე ჭრელი ცხვირსახოცები დაეფინათ, ზლაზვნით მიაბიჯებდა სოფლის ღორღიან შარაზე და მათი ნაფეხურები კვალად მტვერს ტოვებდა. ჩრდილის ნასახიც არ ჩანდა ახლომახლო, მხოლოდ ბუჩქნარით დაბურულ მთის ფერდობზე შეიძლებოდა ცოტა ხნით მაინც ჩამუხლება. იქამდე კი საკმაოდ შორს იყო, მეზობელი სოფელი, საითკენაც ისინი მიდიოდნენ, უფრო ახლო ეგულებოდათ. ოფლში გახვითქული ტანმსხვილი აღნაგობის დაბალი და ჯმუხი წამით შედგა და ამოხვნეშით თქვა:

— იმ მთის ძირში აგრილებამდე რომ ჩრდილში დამსვა, „სულს მოვითქვამდი.

მის გვერდით მავალმა, ბეჭებში ოდნავ მოხრილმა მზის სათვალიანმა ჭორფლიანმა მაღალმა, თითქოსდა ამ სიტყვებს ელოდაო, უხმოდ თავი დააქნია და დასტურის ნიშნად გზიდან მარჯვნივ გადაუხვია, იქით, საითაც ბუჩქნარი მოჩანდა; ეტყობოდა, ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა, ისე გაუყვა ოღროჩოღრო და გადატრუსულ, გადამხმარ მინდორს მთისკენ. დაბალიც მაშინვე აედევნა და ახლა ორივე მხნედ მიაბიჯებდა, რადგან ადრე თუ გვიან ჩრდილში დასხდებოდნენ. როგორც იქნა, თითქოსდა ედემს მიაღწიეს და ხშირ ბუჩქნარში გრილ მიწაზე მოცელილებივით დაეყარნენ. იწვნენ გულაღმა, ხელები გაშლილი ჰქონდათ, ფეხები გაფარჩხული და გავარვარებულ ზეცას აჰყურებდნენ. მერე ზოლებიანი სველი პერანგები გაიხადეს, ეკლიან ბუჩქებზე მოისროლეს და წელზევით შიშვლები ბალახზე გაიშოტნენ. ცოტა ხნის შემდეგ, სული რომ მოითქვეს, მაღალი ეკითხება დაბალს:

— ეს მთა რომ გადავიაროთ, გზას ხომ შევიმოკლებთ!

— კი.

— ნამდვილად აქეთაა შენი ახლობლის სოფელი?

— ჰო.

— მაშინ, ავყვეთ ფერდობს. ასეთ სიცხეში შუა გზაზე ვინ დადის...

— მთაზე ასვლის თავი გვაქვს? — ახლა დაბალმა ჰკითხა მაღალს, რომელმაც შუა თითი მზის სათვალეს აჰკრა და ადგილი შუბლზე მოუნაცვლა, — ჰოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყოთ აქ. ფერდობს სალამოსკენ ავუყვეთ. არც ისე დიდი მთაა.

მერე ხმა აღარ ამოუღიათ, თითქმის მთელი საათი ეყარნენ მიწაზე. ოდნავ კიდეც წათვლიმეს.

აქედან დაბლა კარგად მოაჩანდა გადატრუსული, გადამხმარი ვრცელი მინდორი, რომელსაც ალმური ასდიოდა; ქვალორღიანი შარაგზა თითქოსდა სულ გათეთრებულიყო.

— გოჩა! — წამოიძახა უცებ მაღალმა, წამოჯდა და მიმოიხედა, — დაუბერა. გვეყო კოტრიალი.

— რა გითხრა, იცი, ცოტნე? მე მძინავს.

— არა, მართლა დაუბერა, გახედე, ფოთლები აშრიალდა. ავდგეთ ახლა. ასეთ ტყეში რომ მაცხოვრა, რაღა მომკლავს.

— მერე, ვინ გიშლის, — თვალების ფშვნეტით თქვა გოჩამ, ისიც წამოჯდა და გადამწვანებულ მთას ახედა, — ჰო, მართლა დაუბერა.

— წავიდეთ, ცერად ავუყვეთ ფერდობს. შენი არ იყოს, არც ისე დიდია მთა.

გაოფლილ ზურგზე მიკრული ბალახის ღერები და მიწის გამხმარი გოროხები ჩამოიბერტყეს, გახეხეშებული პერანგები მხრებზე მოისხეს და ის იყო, გზა უნდა განეგრძოთ, რომ მოულოდნელად, ფერდობიდან მარჯვნივ, დაინახეს საყანედ გაკაფული ტყე. უნებურად მხრები აიჩეჩეს და უხმოდ გასცქეროდნენ ახოს.

— გზიდან არ ჩანდა, — გაკვირვებით თქვა მერე გოჩამ.

— ჰო, — დაემოწმა ცოტნე და დაუმატა, — ხედავ? ვიღაც მუშაობს ყანაში. სიმინდს თოხნის.

— ასეთ სიცხეში? რეგვენია ვინაცაა.

— ჩალის ქუდი ახურავს. მივიდეთ, ვნახოთ, რა კაცია, გამოველაპარაკოთ. ამ სიცხეში მართლა როგორ მუშაობს.

— ახლა ამისთვის იქ მივიდეთ? ხომ არ შეიშალე.

— ახლოა. წყალსაც დაგვალევინებს.

— ჰო, კაი, პირსაც დავიბანთ, — დაეთანხმა გოჩა და გაკაფული ტყისკენ გასწიეს.

ახო საკმაოდ დიდი იყო, მოზრდილ ფართობზე გადაჭიმული — ასიოდე მეტრი ჩაიარეს და თავზე წაადგნენ ღილინით მომუშავე ჩალისქუდიანს. იგი თოხით სარეველა ბალახისგან წმენდდა წელამდე ტანაყრილ სიმინდს. გოჩა და ცოტნე მიესალმნენ ყანის მუშას. მან ღილინი შეწყვიტა, მოიხედა, უცხოებს უხმოდ თავი დაუკრა და ისევ განაგრძო თოხნა. მკლავებდაკარწახებული თეთრი პერანგი ეცვა, ტილოს მოყავისფრო შარვალი და უთასმო, ახალთახალი მონითალო სპორტული წაღები. ჩალის ქუდი წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული, მაგრამ უწვერულვაშო გამხდარი პირისახით მაინც ჩანდა, რომ სამოცი-სამოცდახუთის იქნებოდა!

— უკაცრავად, ბატონო, წყალს ხომ არ დაგვალევინებ, — ხმამაღლა სთხოვა გოჩამ.

ყანის მუშამ თოხი მიწაზე დააგდო, ახლო ბუჩქნარისკენ გაემართა, იქ ფოთლებში მიმალული მომცრო თუნგი გამოიღო, რომლის ვიწრო ყელზე თუნუქის ჭიქა იყო ჩამოცმული და უცნობებს უხმოდ მიუტანა. შემდეგ თავის ადგილს დაუბრუნდა და თოხს დაავლო ხელი. გოჩამ სულმოუთქმელად შესვა წყალი, მერე ცოტნესაც დაალევინა და თუნგი, ზედ ჩამოცმული ჭიქით, იქ დადგა, სადაც იდო.

ყანაში ისმოდა ფხვიერი მიწის ხრაშახრუში.

გოჩაც თავის ადგილს დაუბრუნდა და ხმამაღლა თქვა:

— დიდი მადლობა.

— ჩალისქუდიანმა თავი უხმოდ დააქნია.

— კარგი წყალია, — თქვა ახლა ხმამაღლა ცოტნემ იმ განზრახვით, რომ ყანის მუშა გამოლაპარაკებოდა.

ჩალისქუდიანი მთელი ტანით შემოტრიალდა, ბიჭები ყურადღებით შეათვალიერა და მერე თითქმის დაცინვით იკითხა:

— მე, ვთქვათ, შევიშალე და გამოვედი ამ თონეში სამუშაოდ, თქვენ ვინ გაძალებდათ სეირნობას ასეთ ხვატში...

ხმა სასიამოვნო ტემბრის ჰქონდა, თითქმის ბოხი. მის სიტყვებში გაგულისებაც იგრძნობოდა.

— დილით ღრუბლიანი ამინდი იყო, რას ვიფიქრებდით, თუ.., — წამოიწყო ცოტნემ, მაგრამ ჩალისქუდიანმა შეაწყვეტინა:

— საით გაგიწევიათ?

— ამ ჩემ მეგობარს, — გოჩაზე მიუთითა ცოტნემ, — ნათესავი ჰყავს აქვე ახლო, ქსანთან, იქ მივდივართ და, მგონი, გზა აგვებნა.

— რაო? — გაიკვირვა ყანის მუშამ, ჩალის ქუდი მოიხადა და რამდენჯერმე მარაოსავით მოიქნია. მას დაღარული შუბლი და გრუზა და ჭაღარა თმა ჰქონდა.

— არა, სწორი გზით მივდივართ, — თითქოსდა თავი იმართლა გოჩამ, — ამ მთას გადავივლით და მივადგებით კიდეც...

— სახელი არა აქვს? — იკითხა ჩალისქუდიანმა.

გოჩამ სოფელი დაუსახელა.

ცოტნე კი ამ დროს იქაურობას თვალს ავლებდა და ნანახით მოხიბლული თავს აქეთ-იქით აქნევდა. ფერდობის გასწვრივ, დაახლოებით ნახევარ ჰექტარ ფართობზე, სიმინდის ყანა ბიბინებდა. ახო ისე საგულდაგულოდ იყო გაჭრილი, რომ თვალნათლივ ეტყობოდა გამრჯე მეურნის მარჯვენა. წელამდე სიმაღლის, სიმწვანისგან თითქოსდა ჩაშავებული სიმინდების მარჯვნივ და ოდნავ დაბლა, ფერდობის მთელ სიგრძეზე ბოსტანი მიუყვებოდა. ალაგ-ალაგ ყანიდან მსხმოიარე ვაშლის, მსხლისა თუ ატმის ხეები იმზირებოდნენ — ხეხილი ბოსტანშიაც იყო მოშენებული, ფერდობის ბოლოსკენ დაბალი ჯიშის ვენახი მოჩანდა, მოშორებით — სკის მოცისფრო ყუთები. იმ ბუჩქნარის უკან, სადაც თუნგი იდგა, ყანის პატრონს კრამიტიანი პატარა ქოხი ჩაედგა, იქვე ახლოს, ათიოდე ნაბიჯზე, ღარში, წყარო მოწანწკარებდა. "აი, ამას ჰქვია ნამდვილი მამული, ოღონდ, ერთი კაი ნაგაზი აკლია აქაურობას" — უნებურად გაიფიქრა ცოტნემ და ჩალისქუდიანი მოკრძალებით შეათვალიერა.

— უკაცრავად, თქვენ ახლომახლო სოფელში ცხოვრობთ? — ჰკითხა გოჩამ ყანის მუშას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, თბილისში. იქაურობას მოვშორდი და ზამთარ-ზაფხულ აქ ვარ. ჩამოჯექით, დაისვენეთ. ახლა ჩემმა მტერმა იარა, — თქვა ჩალისქუდიანმა, თოხი მსხმოიარე ვაშლის ხეზე მიაყუდა, მერე იმ ბუჩქნართან მივიდა, სადაც თუნგი იდგა და ჩრდილში დაჯდა.

— უჰ, რა სჯობს აქ ყოფნას, — უნებურად წამოიძახა ცოტნემ და ხელები გაშალა.

— მოგწონთ? — ჰკითხა ყანის პატრონმა.

— ძალიან — სამოთხეა პირდაპირ. ოღონდ, მე თუ მკითხავთ, ძაღლიც რომ იყოს აქ, სულ დახატავდა აქაურობას.

— მყავს, — უპასუხა ყანის პატრონმა, — მწყემსებმა მომყიდეს შარშან ყურებდაჭრილი ლეკვი, ახლა იმოდენა ნაგაზია, მგელს არ შეეპუება. ჩემმა ბიჭმა წაიყვანა დილით საბანაოდ, საღამოსკენ მომიყვანს.

— ეს თქვენი ყანაა? — მიამიტურად ჰკითხა გოჩამ.

— მე მგონი, — ჩაიღიმილა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა ჩალისქუდიანმა.

ცოტნე მის ახლოს დაჯდა მიწაზე და გამოცდილი, გამრჯე მეურნის ტონით უთხრა:

— კაი პირი უჩანს ყანას, ჩემის აზრით...

ჩალისქუდიანს სიცილი წასკდა და მერე თქვა:

— მეც ასე მგონია.

ახლა გოჩა დაჯდა ცოტნეს გვერდით და ყანის პატრონს ჰკითხა:

— თქვენ აქ მარტო მუშაობთ?

— კი. არავინ მეხმარება. ჩემ უფროს ბიჭს მხოლოდ სუფრის გაშლა უყვარს ყანაში... ეჰ, არ ღირს ლაპარაკი, — ხელი ჩაიქნია ჩალისქუდიანმა, მერე ახალგაზრდებს ყურადღებით დააცქერდა, წარბები შეჭმუხნა და გააგრძელა, — თუ არ გამიბრაზდებით, მაინტერესებს, რას საქმიანობთ, სად მუშაობთ. მე მირიანი მქვია. გავეცნოთ ერთმანეთს. თქვენი ტოლია ჩემი უფროსი ბიჭი. ისტორიას ვასწავლიდი სკოლაში. მერე, სული რომ არ ამომხდომოდა, ამ ტყეს მოვაშურე... ჰო, მუშაობთ სადმე?

— არსად, — უპასუხეს ერთხმად.

— რა თქმა უნდა, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა მირიანმა, — ასეა დღეს...

— მე ცოტნე მქვია, ამას გოჩა, — თქვა მაღალმა და მზის სათვალეს, როგორც სჩვეოდა, შუა თითი აჰკრა.

რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეჰ, მეც რომ ასეთი ყანა მქონდეს.., — ინატრა გოჩამ და ხელის მტევანი მუხლზე დაირტყა.

— მერე, ვინ გიშლის, ყმაწვილო! — ნიშნისმოგებით უთხრა მირიანმა, — მიწა არის, ამას მაინც მოვესწარით დღეს... ჰო... სწავლობთ სადმე? ჩემმა უფროსმა ბიჭმა შუა გზაზე მიატოვა უნივერსიტეტი...

— სასოფლო დავამთავრეთ, — უგულოდ უპასუხა ცოტნემ.

— მერე! — ჩაეძია მირიანი.

— "მერე" — ხაზგასმით, სიტყვის დამარცვლით თქვა გოჩამ, — ამ ვაჟბატონმა კანტუზია მიიღო აფხაზეთში, მე — მუცელში გაჩხერილი ტყვია.

მირიანმა თავი გადააქნია და ღრმად ამოისუნთქა.

— მაინც, რამდენი ფუთი სიმინდი მოვა ამ ყანაში, მაინტერესებს, — თითქოსდა თავისთვის ჩაილაპარაკა გოჩამ.

— ვინ იცის, არაკაცები რამდენს დაგიტოვებენ. შარშან ძაღლი კინაღამ მომიკლეს. ყოველდღე აქ ხომ ვერ გავათევ ღამეს. მთავარი მაინც ამინდია, — ოდნავი დაყოვნების შემდეგ კი ხმადაბლა იკითხა: — თქვენ აფხაზეთში იბრძოდით?

ორთავემ თავი უხმოდ დააქნია.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მირიანმა ბრაზმორეული ტონით თქვა:

— ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შევიგნოთ, ძველებმაც და ახლებმაც, რომ ჩვენ მთავრობა არ გვყავს და მოსახლეობა უპატრონოდაა მიგდებული. ამაში მეთანხმებით, ყმაწვილებო?

— ცუდი ხომ გვყავს მაინც, — სიცილით გასცა პასუხი ცოტნემ.

— არა! — წამოიყვირა მოულოდნელად მირიანმა, — ეს თუ არ ვიცით, მაშინ ყრუ და მუნჯები ვყოფილვართ! — და ტუჩები ისე მომუწა და წარბები შეჭმუხნა, რომ აშკარა იყო, გუნებაში ვიღაცებს უკურთხებდა.

— ოცი ფუთი სიმინდი მაინც მოვა, — ისევ ჩაილაპარაკა გოჩამ.

— ადამიანი დღეს შეიძლება ამ მთავრობის იმედით იყოს?! — უფრო ხმამაღლა წამოიძახა მირიანმა, თითქოსდა ვიღაცას უჯავრდებაო და თვითონვე გასცა პასუხი თავისსავე კითხვას, — რა თქმა უნდა — არა, თუ ნორმალურია. ერთადერთი გამოსავალი ესაა მხოლოდ, — ხელები გაშალა და აბიბინებულ ყანას მოავლო თვალი, — სხვა ყველაფერი როშვაა და ტატყანი... ასი-ასოცი სპეკულანტი და წურბელა იმის წყალობით გამდიდრდა ჩვენში, რომ მოსახლეობას თორმეტი წლის განმავლობაში წოვდა სისხლს და ამაში ხელს არავინ უშლიდა!.. პირიქით, საქმეში ეგრეთ წოდებული მთავრობა შველოდა... ეჰ, არ ღირს ლაპარაკი... — დაამთავრა ამოჩემებული სიტყვებით მირიანმა და თან ხელიც ჩაიქნია.

სულისჩამდგმელმა ნიავმა ისევ დაქროლა, თითქოსდა ამას ელოდნენო, ჩიტებიც გამოჩნდნენ ცაზე.

— რითი გაგიმასპინძლდეთ ახლა, — თქვა დუმილის შემდეგ მირიანმა და ხელები გადაშალა, — წყალი ხომ დაგალევინეთ მაინც. ჰო... არ მეგონა, თუ თქვენ იმ უბედურებაში იყავით... სოხუმში...

— ისე მოგვეწონა აქაურობა, რომ წასვლა გვეზარება. ჩვენ არაფერი გვინდა, — თქვა ცოტნემ და მერე დაამატა, — აქაური თაფლი უგემრიელესია, ალბათ.

— ჰო, მარა მომპარეს. სამოცამდე ქართული ჯიშის ფუტკარი მყავს, მთელ მსოფლიოში ცნობილი... ერთი ეს მითხარით, ომში წასვლამდე დიდხანს გამზადებდნენ?

— ორ კვირას, — ჩაიდუდღუნა გოჩამ, — ბევრმა ია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალის ხმარებაც არ იცოდა და მაინც მიჰყავდათ.

— ასეც ვიცოდი, — ამოიხვნეშა მირიანმა, — ერთმა მითხრა, იმდენი ბრძანება ისმოდა ფრონტზე წამდაუწუმ, რამდენიც ოფიცერი იყო ჩვენს ჯარშიო.

— დაახლოებით ასე იყო, — ისევ ჩაიდუდღუნა გოჩამ.

— ჰოდა, როგორ ბედავენ თქვან — მთავრობა გვყავსო! — წამოიძახა უცებ მირიანმა, მომუჭული მუშტი მუხლზე დაირტყა და ამოჩემებული სიტყვებით დაამთავრა, — არ ღირს ლაპარაკი, — მერე წამით გაყუჩდა და გააგრძელა, — თუმცა, არ ღირს კი არა, წარამარა ამაზე უნდა ვყვიროდეთ, ვკიოდეთ, ვბღაოდეთ!.. — და ისევ ამოჩემებული ფრაზა გაიმეორა, — არა, არა, არ ღირს ლაპარაკი...

გოჩასაც და ცოტნესაც ღიმილი მოეფინათ სახეზე.

რამდენიმე წუთს ხმას არ იღებდნენ.

ნიავმა ახლა ისე დაქროლა, რომ სიმინდის ყანა აშრიალა.

— ვაშლებია ჩამოცვენილი, მიირთვით, გემრიელია, — თქვა მირიანმა, წამით ჩაფიქრდა, სტუმრები კიდევ ერთხელ შეათვალიერა და გააგრძელა, — თუ არ გამინაწყენდებით, პირდაპირ გეტყვით — ახალგაზრდები ხართ, მიწაზე დადიხართ და მიწას ვერ ხედავთ. ესაა ჩვენი უბედურება. თუმცა, თქვენ კი არა, გლეხებს აღარ ახსოვთ მიწა, თოხი და ბარი გადააგდეს და ოჯახს სიგარეტის ვაჭრობით არჩენენ. უცხოეთში წასვლით კი არა, ამ მიწით უნდა არჩინოს ყველამ ოჯახი, თუ გვინდა გადავრჩეთ. არადა, სხვა დაეპატრონება, ყმაწვილებო, აქაურობას, სხვა! სხვები!

მირიანი წამით გაჩუმდა, ახალგაზრდები კვლავ შეათვალიერა და გააგრძელა:

— ეჰ, მინდა გითხრათ ყველაფერი, რაც გულში მაქვს, მაგრამ, ვიცი, თავს მოგაბეზრებთ და...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო მირიან, — შეაწყვეტინა ცოტნემ, — ჩვენ არ გვეჩქარება.

— მოგვბეზრდა, ყელში ამოგვივიდა იმათი ტატყანი, — ჩაიბუზღუნა გოჩამ და გულისხმობდა, რა თქმა უნდა, დღევანდელ პოლიტიკანებს.

— თუ ასეა, — რატომღაც ტაში შემოჰკრა მირიანმა, — გეტყვით ჩემ სათქმელს, ოღონდ ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე. იცით, რატომ? დიდი და პატარა მიზეზიც ერთ წერტილში იყრის თავს. თუ არ დაგაინტერესებთ, შემაწყვეტინეთ, გავჩუმდები, ნუ მომერიდებით.

— ამისთანა ყანის პატრონი, ვიცი, რაღაც ახალს გვეტყვის, — გაიღიმა ცოტნე.

მირიანი რამდენიმე წამს გოროხებს ჩააშტერდა, თითქოსდა მიწიდან უნდოდა ამოეკითხა სათქმელი და დაიწყო:

— არა, გეტყვით ძველს. ახალი ამ მზის ქვეშ არაფერი ითქმება... უბრალოდ ჩამოვთვლი ჩვენი უბედურებებიდან რამდენიმე უმთავრესს და ამით მოვრჩები სათქმელს. მოხსენებები და ლაილაი სხვების მეჯავრება მე. საბოლოოდ, სხვათა შორის, რაღა დაგიმალოთ და, თქვენი აზრი მაინტერესებს. ჰოდა, მინდა გაგანდოთ ჩემი გულისტკივილი. იცოდეთ, არაფერი დამიმალოთ.

გოჩამ და ცოტნემ ერთდროულად თავი უხმოდ დააქნიეს.

— მე კი ყველაფერს გულახდილად გეტყვით, აღსარებასავით, შეულამაზებლად, — მერე წამით ჩაფიქრდა და გააგრძელა, — ჰო, თორმეტი წელი გავიდა, თორმეტი და ჩვენი ვითომდა მთავრობა დღესაც იმეორებს შოვინისტი რუსების მიერ შეთითხნილ გამოთქმას, თითქოსდა, რაც ხდება, ესაა, ქართულ-აფხაზურ-ოსური კონფლიქტი. მსგავსი რამ დედამიწაზე არც ერთ ხელისუფლებას არ ჩაუდენია! რომელი ნამდვილი მთავრობა დაიკანონებდა შოვინისტების გადმოგდებულ გამოთქმას! საქართველოს თორმეტი წელია ეომება რუსეთი ყველანაირი საშუალებით, ჯარით, ტექნიკით, ფულით, დივერსიით, დეზინფორმაციით. რომელი ხეპრე იტყვის, რომ ჩვენ ერთმა სტადიონმა აფსუებმა დაგვამარცხეს!..

გოჩას და ცოტნეს სიცილი წასკდათ.

მირიანი რატომღაც მოიღუშა და გააგრძელა:

— შოვინისტებმა გააბრიყვეს აფსუები, ოსები, სომხები, ჩეჩნები მაშინ, სხვებიც, მხოლოდ იმიტომ, რომ მოსკოვმა დაკარგული "დერჟავის" ტიტული აღიდგინოს. ჰოდა, შენ თუ ამ ომს "ქართულ-აფხაზურ-ოსურ კონფლიქტს" უწოდებ, დანარჩენი მსოფლიოც ამასვე გაიმეორებს, აბა რას იზამს! საქართველოს მთავრობამ დაიკანონა ეს აგერ უკვე ათი წელია, ხომ! ვითომდა იმ ბრჭყალებში, ბრძნული პოლიტიკით, სინამდვილეში კი გულუბრყვილო, უფრო სწორად — ბრიყვული იმედით, რომ ამით შოვინისტი რუსების გულს მოვიგებთო. ასეთი პოლიტიკის გამტარებელი ან უტვინო უნდა იყოს, ანდა — გამყიდველი. ტაიგის დათვი შეიცვლის ზნეს ოდესმე და ირმად იქცევა? ანდა ზვიგენი — დელფინად? ვის ეომებოდით თქვენ! ვინ იყო ჩვენი უმთავრესი მტერი!

გოჩამ და ცოტნემ მრავალმნიშვნელოვნად თავი უხმოდ დააქნიეს.

— ჩამოთესლილი აფსუები, ოსები, სომხები? — თითქოსდა თავისთავს ეკითხებოდა მირიანი, — ესენი ხომ იმ შოვინისტმა რუსებმა წააქეზეს, დაიქირავეს, დააფინანსეს და საქართველოს წინააღმდეგ იარაღი აალებინეს! უმთავრესი ჩვენი მტერი მაშინაც და ახლაც და კავკასიის ყველა ხალხის მტერი შოვინისტური რუსეთია. ამას შეიგნებენ, როცა იქნება, ისინი, ვინც დღეს ჩვენ გვებრძვის, კი, ეჭვი არ მეპარება, და მაშინ თვალს როგორ გაგვისწორებენ, იმასაც ვნახავ.

მირიანმა წამით ცას ახედა და განაგრძო:

— ახლა ისიც ვთქვათ, ამ პლანეტაზე რომელ ჭკუათმყოფელ მთავრობას ჩაუყენებია ოდესმე დამპყრობელის ჯარი თავის მიწაზე მშვიდობის მისიის შესასრულებლად! ღმერთი აღარაა? მთელი ერის თავმოყვარეობას სულში უნდა ჩააფურთხო მაშინ! ვინ მისცა ამის უფლება მთავრობას! მე არ ვიცი, როგორ ვიტანთ ამას დღემდე! ომის დროს იხოცება ხალხი და არა დადედლებული, ლაჩარი თუ გამყი-

დველი მთავრობა! აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობა, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ბავშვი, ქვებითაც და კეტებითაც იბრძოლებდა ნამდვილი წინამძღოლი რომ ჰყოლოდა!

მირიანი წამით გაჩუმდა და მერე ხმამაღლა გააგრძელა:

— საგანგებოდ არ შექმნა არმია! ექვსი წელი თავდაცვის მინისტრად გვყავდა შოვინისტი რუსების ყურმოჭრილი ფინია და ჯაშუში, გადაგვარებული ქართველი. გვარიც არ მინდა ვახსენო მისი. ვინ ჩააბარა ასეთ ნაძირალას ჩვენი ბედი! მე?! თქვენ?!

მირიანი რატომღაც წამით წამოდგა, მაშინვე დაჯდა და ახლა ხმადაბლა განაგრძო:

— არ შექმნა არმია, რადგან, ან ეშინოდა მისი, ისევე, როგორც ცხრაას თვრამეტში ილიას ერთ-ერთ მკვლელ მარქსისტ ჟორდანიას ეშინოდა, ანდა — დავალება ჰქონდა ასეთი... ჰო, ასევე არ უნდოდა ჰყოლოდა ძლიერი ჯარი ეროვნული მოძრაობის ვითომდა ლიდერს, მთელი წლის განმავლობაში მთავრობის სახლის წინ ტურებივით რომ აკივლებდა უწიგნურ ქალებს. გახსოვთ, ალბათ, როგორ დაიშალა მაშინ მისი ბრძანებით გვარდია. რაღა უნდა გვიკვირდეს ამის შემდეგ: დღემდე საქართველოს ნამდვილი ჯარი არ ჰყავს! დღემდე მთავრობა ნამდვილი მტრის სახელს არ ახსენებს! პირიქით, დღემდე ისევ შოვინისტ რუსებს ელაქუცება!

ცოტნეც და გოჩაც მირიანს მისჩერებოდნენ, ხმას არ იღებდნენ.

ყანის მუშა მიწას ჩააშტერდა, თითქოსდა ისევ იქიდან უნდოდა ამოეკითხა სათქმელი, მერე შორს გაიხედა, თავი გადააქნია და თქვა:

— ერთი მილიონი ქართველი, ახალგაზრდებო, დაახლოებით ერთი მილიონი უცხოეთში წავიდა სამუშაოს საშოვნელად და აქ ას ოცი წურბელა სისხლს წოვს დანარჩენ მოსახლეობას... თელავიდან, ხონიდან თუ ჩოხატაურიდან რომ ოჯახი ლუკმაპურისთვის, და არა გამდიდრებისთვის, კანადაში გადასახლდება, ეს უკვე ჩვენი გადაშენების ნიშანია! ვინ და რამ აიძულა ეს ხალხი წასულიყო იქ, სადაც მწვანე ბალახის და ციკნების ნაცვლად აისბერგები და თეთრი დათვებია! ა? ახლა იმასაც გეტყვით, რას მაგონებს მე ეს, წარამარა რომ გაიძახიან "აბრეშუმის გზა" თუ კრეპდეშინის.

გოჩას და ცოტნეს გულიანი სიცილი აუტყდათ. მირიანს რატომღაც არ მოეწონა ეს, წარბები შეჭმუხნა და ბრაზმორეული ტონით გააგრძელა:

— სულაც არ ვხუმრობ მე! ეს კრეპდეშინის გზა, — დამარცვლით, ხაზგასმით გაიმეორა მან, — სხვათა შორის, კომუნისტების დროინდელ ლოზუნგს მაგონებს — ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ მომავალი თაობებისთვისო. კი მაგრამ, იმ ხალხმა რა დააშავა, ვინც დღეს ცოცხლობს! თანამედროვე ადამიანისთვის, ხნიერი იქნება ის, ახალგაზრდა თუ ბავშვი, უკვალოდ ჩაივლის ჩვენს ირგვლივ გამეფებული ყოველგვარი სიმახინჯე? მათ ფსიქიკაზე არ იმოქმედებს? დადგენილია, რომ სტრესი და დაძაბულობა გენში გადადის და მომავალ თაობებს გადაეცემა; ათასნაირი ჭირი და უბედურება უკვალოდ არ ქრება. ჰოდა, მაშინ ვილასთვის გვინდა ეს კრეპდეშინის გზა, — ახლაც დამარცვლით წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვები, — ამიხსენით.

გოჩამ და ცოტნემ ამჯერად თავს ძალა დაატანეს, რომ სიცილი არ წასკდომოდათ.

ქვევით ორმა მოყვითალო ავტობუსმა აუარა ერთმანეთს და ღორღიანი შარაგზის მთელ სიგრძეზე, აღმა და დაღმა, მტვრის სქელი ბული ჰანწვა.

— ზევით მიმავალი თქვენს სოფელში მიდის, — თქვა მირიანმა, ხელი მინდვრებისკენ გაიქნია და დაამატა, — თუმცა, აქედან რაღა მიაწვდენ ხმას შოფერს.

— არა, ჩვენ ფეხით გვინდა ვიაროთ, — უთხრა ცოტნემ.

— ჰო, თუ თავი არ მოგაბეზრეთ...

— მე ყველაფერი მაინტერესებს, — ჩაიდუდღუნა გოჩამ.

— მაშინ, როგორც შეგპირდით, არეულ-დარეულად გავაგრძელებ, ამ სიცხეში არაა ეს გასაკვირი.

მირიანმა ჩაიღიმილა, გადატრუსულ ველს გადახედა, თავი გადააქნია და დანანებით თქვა:

— ო, ჰო, ჰო, ჰო, როგორაა დასიცხული მიწა, ხედავთ? ხრიოკად იქცა. გვალვაა ნამდვილი. ჰო, ახლა ისიც უნდა ითქვას, ვინ არიან დღევანდელი ძველი პარტიულები, კომუნისტები. საჭიროა ვიცოდეთ, სადაა ძაღლის თავი დამარხული. დიახ... კომუნისტების ტვინის ყოველი უჯრედი ისეა მოწამლული კრემლის, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, ფილოსოფიით, რომ მათი ეროვნულ საქმეში ჩარევა ყოვლად დაუშვებელია. ძველ პარტიულებს ძვალრბილში აქვთ გამჯდარი მლიქვნელობა, სიცრუე, დასმენა, ხოცვა-ჟლეტა და ათასი სხვა სიმდაბლე. ოცდაორი მილიონიდან ოცდაექვს მილიონამდე განუწყვეტლივ ჰყავდათ აბსოლუტურად უდანაშაულო ხალხი პატიმრებად კატორღებში უფასო მუშახელად ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში... საქართველოში იმ რეჟიმის დროს ასიათასობით დახვრიტეს... მადლობა ღმერთს, მათ ბარბაროსობაზე უთვალავი დოკუმენტი გამოქვეყნდა... ამას ხომ მოვესწარი მაინც, — თითქოსდა თავისთვის ჩაილაპარაკა მირიანმა და განაგრძო, — მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ვინც კითხულობს ასეთ წყაროებს, ის არ იჯერებს! სხვათა შორის, არცაა გასაკვირი! ნორმალურ ადამიანს შეთითხნილ სიყალბედ ეჩვენება გამოქვეყნებული დოკუმენტები და ეს ბუნებრივია — იმდენად არაადამიანური დანაშაული ჩაიდინეს. კომუნისტებმა, ბიბლიაში ნათქვამი რომ მოვიშველიო, "მთები დაალბეს" სისხლისგან!.. მარტო ეს სიტყვები კმარა მათ დასახასიათებლად. სამოთხე რომ შეექმნათ, სამოთხე, მაინც ვერ გაამართლებდა მათ დაღვრილ ზღვა სისხლს...

— მთები დაალბეს? — მოულოდნელად იკითხა გოჩამ.

— კი. ერთ-ერთი წინასწარმეტყველის ნათქვამია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გამოხატავს მაშინდელ გამაოგნებელ უბედურებას ამ ორი სიტყვით, არა? ჰო, სამოთხე კი არა, ჯოჯოხეთური უზარმაზარი ჩეკისტური მახინა შექმნეს. ვილაც გადამთიელის, ჯალათის და პროვოკატორ ულიანოვის ნაჯღაბნი და ბიოგრაფია ზეპირად უნდა გცოდნოდა და თუ გაბედავდი და დავით აღმაშენებლის სახელობის ქუჩის დაარსებაზე ხმას ამოიღებდი, დამთავრებული იყო შენი საქმე, კატორღას სანატრელად გაგიხდიდნენ... ივანე ჯავახიშვილი, ჩვენი უდიდესი ისტორიკოსი, მისსავე დაარსებულ უნივერსიტეტიდან გააძევეს — ბნელ მარქსამდე ვერ ამაღლდაო... ეჰ, რომელი ერთი ვთქვა... აი, ასე ჰქონდათ კომუნისტებს ტვინი დაპლომბილი.

გოჩამ და ცოტნემ ამჯერად თავი ვერ შეიკავეს და სიცილი აუტყდათ.

— ჰო, ჰო! — ბრაზმორეული ტონით გააგრძელა მირიანმა, — დაპლომბილი! კომუნისტებმა კაცობრიობის წინაშე უფრო მეტი დანაშაული ჩაიდინეს, ვიდრე ფაშისტებმა! გჯერათ ეს?

გოჩამაც და ცოტნემაც მხრები აიჩეჩეს.

— რომელი მტერი გირჩევნიათ თქვენ, ახალგაზრდებო, ნილბიანი თუ უნილბო! რატომ არაფერს მეუბნებით! ფაშისტები თავიანთი იდიოტური რასიული თეორიით იყვნენ კაცობრიობის აშკარა მტრები, კომუნისტები, დემაგოგიით — ნილბიანი, მთელი პლანეტის განითლება რომ მოინდომეს. თან არავის ეკითხებოდნენ, მოსწონდა თუ არა ეს ფერი სხვა ხალხებს. ფაშისტებს საკუთარი ხალხის მიმართ რეპრესიები არ ჩაუტარებიათ! არასდროს! პირიქით, ცაში აყავდათ გერმანული რასა; ეს ბარბაროსობა ამ დედამიწაზე მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებმა ჩაიდინეს... დაფიქრდით ამაზე! მძინარე მამას აგიტაციისგან ტვინგამოლაყებული ბავშვი ცულით რომ თავს გაუჩეხავს, ასეთ უბედურ ღლაპს მთავრობა ძეგლს დაუდგამს და ახალ თაობებს მოუწოდებს — თქვენც ასე უნდა მოიქცეთ პარტიის ინტერესებისთვისო, ამის ჩამდენი ბოლშევიკები უნდა ინატროს ჭკუათმყოფელმა ადამიანმა? მათ ნამოღვაწარს თუ ჩაუღრმავდები, ეჭვი შეგიპყრობს, იყვნენ თუ არა ისინი საერთოდ ადამიანები!..

მირიანი გაჩუმდა, ყანას თვალი მოავლო და თქვა:

— იმ ვაშლის ხის ძირას ჩარჭობილ პალოს ხედავთ? ჰოდა, ვინც კომუნისტების რეჟიმის აღდგენას ნატრობს, მან ისე იცის ჩვენი წარსული, როგორც მიწაში ჩარჭობილმა იმ პალომ.

ცოტნეს და გოჩას სიცილი აუვარდათ.

— ასეა, ნამდვილად, ისევ მოილუშა მირიანი, მერე წამით ჩაფიქრდა და განაგრძო:

— ახლა ისიც ვთქვათ, ვისა აქვს ჩვენს მიმართ ბიოლოგიური ზიზღი! აფხაზებს? არა! ვისაც ჩვენ ვეზიზღებით, ისინი აფსუები არიან, ქედს გადაღმიდან გადმოსულები მეჩვიდმეტე საუკუნეში. ვისაც ქართველი ეზიზღება სოხუმში, ესაა უეჭველი საბუთი იმისა, რომ ის არაა ნამდვილი აფხაზი! უკაცრავად და, იცით ეს თქვენ?

უარის ნიშნად გოჩამ და ცოტნემ თავი უხმოდ გააქნიეს.

მირიანი წამით ისევ ჩაფიქრდა და ხმადაბლა გააგრძელა:

— ჩიტის წამოფრენამდე ვილვიძებ, რომ ამ ყანას მივხედო. შინაურ წურბელებზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული, ხელი უნდა გავანძრიოთ. გადარჩენის სხვა გზა დღეს არ არსებობს. ჰო, სხვათა შორის, ამას წინათ ერთი ასეთი სიზმარი ვნახე აქ: ვითომ ტყეში ნაბდებისგან გაკეთებული კარავი იდგა. იქვე დანთებული ცეცხლი ცას წვდებოდა. კარავში მეომრებს ლოგინად დაფენილი ჰქონდათ კონებად შეკრული ღომის ჩალა და ზემოდან ქილოფი ეხურათ. მოდი ახლა და, ახსენი ეს სიზმარი...

— ხშირად ფიქრობთ, ალბათ, მირიან ბატონო, მტრებზე, სოფელზე და ესაა, — თქვა ღიმილით ცოტნემ.

— ჰო, კი... რა ვიცი... ახლა ყმაწვილებო იმასაც გეტყვით, თუ რატომ არ მინდა მე რუსეთთან ყოფნა. ერთ ფაქტს აღვნიშნავ მხოლოდ! ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანაა, უსაზღვრო სივრცის მქონე. მაგრამ, კიდევ ვიმეორებ მგონი, რად გინდა! ღორს რომ ბრილიანტები დაუყარო, გამოიყენებს რამეში? რუსი ზარმაცი და მონური სულის მქონეა. არ მინდა მე იმ ხალხთან მქონდეს საქმე, რომელსაც უთვალავი სიმდიდრე აქვს და შიმშილობს. გავანებოთ ყოველგვარ პოლიტიკას თავი ერთი წუთით. რუსეთის სიმდიდრე რომ ჰქონდეს სხვა რომელიმე ხალხს დედამიწაზე, ედემში იცხოვრებდა! სულაც არ ვაზვიადებ, სხვათა შორის... მგონი, მოგაბეზრეთ უკვე თავი...

— გისმენთ მთელი გულით, — უთხრა ცოტნემ და უნებურად წელში გასწორდა.

— ჰო... რა ვქნათ მაშინ, რუსეთი არ გვინდა, ამერიკას ჩავუვარდეთ მუხლებში? არავითარ შემთხვევაში! ბაბუაჩემის დანატოვარი მუხა ჩემს სოფელში უფრო ხნიერია, ვინემ ამერიკის შეერთებული შტატები...

გოჩას და ცოტნეს ისევ აუტყდათ სიცილი.

— ასეა, ჰო, — ხელის მტევანი მუხლზე დაირტყა მირიანმა, — ამერიკა დღეს ერთადერთი ზესახელმწიფოა დედამიწაზე. ეს ტიტული წაგლიჯა შოვინისტურ რუსეთს, რისთვისაც მთელმა პლანეტამ მადლობა უნდა უთხრას. მატერიალურად ყოველმხრივ უძლიერესია მთელ მსოფლიოში, მაგრამ სულიერად — ულატაკესი. ჯარში მამათმავლობა კანონით დაუშვეს იქ... მორალურად მეტი დაცემა წარმოუდგენელია... ერთი სიტყვით, არც რუსეთი, არც ამერიკა! აბა რა! იკითხავთ თქვენ! საით ვიაროთ! რა გადაგვარჩენს! ვერც ევროპა გვიშველის! ისევ ჩვენივე ტრადიციები, შრომა, ოჯახის და მიწის სიყვარული გვიხსნის... მაღალფარდოვან სიტყვებად მოეჩვენება ეს ჩემი ნათქვამი დღეს ბევრ ახალგაზრდას... სამწუხაროდ...

მირიანმა ახლა მალულად შეათვალიერა ბიჭები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოტნეს და გოჩას ხმა არ ამოუღიათ.

მირიანმა შუბლი მოისრისა და თქვა:

— იყო ერთი დიდი ბრძენი, ნამდვილი ბელადი ინდოეთში, მაჰათმა განდი, გასულ საუკუნეში, იქაურმა, ერთ-ერთი კასტის წევრმა, მოკლა. გაგიგონიათ, ალბათ. ჰოდა, ეს უზარმაზარი ქვეყანა, იცით როგორ გაათავისუფლა ინგლისისგან? შრომით! ჰო, შრომით! დადიოდა, ქადაგებდა და დაარწმუნა თავისი ხალხი იმაში, რომ დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად თოფი, ზარბაზანი და ძალადობა საჭირო არააო. ზღაპარი ჰგონია ეს ბევრს... არადა, ასე იყო. ინგლისს თავისი საქონელი შეჰქონდა ინდოეთში, ხომ! ვთქვათ, მარილი, ტანსაცმელი, ათასნაირი ქსოვილი. მაჰათმა განდი მოუწოდებდა მოსახლეობას, არ შეეძინა ინგლისური საქონელი, ყველას საკუთარ სახლში მოექსოვა ტანსაცმელი, ზღვის ტალღებიდან მარილის გამოხდის ხერხი ასწავლა ხალხს, ამგვარი მშვიდობიანი გზით ებრძოდა დამპყრობელს და ისე გაათავისუფლა უზარმაზარი ქვეყანა, რომ თოფი ერთხელაც არ გაუსვრია! ერთხელაც კი! ჩაწვა ინგლისური საქონელი, არ გასაღდა მარილი, რაღა უნდა ექნა დიდ ბრიტანეთს და წავიდა სახლში. შოვინისტური რუსეთისგან ასეთი ნაბიჯი აბსოლუტურად გამორიცხულია! სულ რომ ჩამპალიყო მისი საქონელი ინდოეთში, იქიდან ფეხს არ მოიცვლიდა და საპასუხოდ ამოწყვეტდა მოსახლეობას. ეს თავისთავად იგულისხმება... აი, ვინ იყო ყველა დროის უდიდესი ბრძენი და წინამძღოლი. აბა, ჯალათი და გერმანელების მიერ დაქირავებული პროვოკატორი ულიანოვი იყო ბელადი? მსგავსი არაკაცი პლანეტაზე არასოდეს დაბადებულა. რა სიკეთეს ისწავლიდნენ მისგან ეგრეთ წოდებული მისი მოწაფეები ჩვენიანის ჩათვლით... ამაზე აღარ მინდა ვილაპარაკო... აი, რა სასწაული მოახდინა მაჰათმა განდიმ! ამას იმიტომ გეუბნებით, რომ დღეს ჩვენც შრომა გადაგვარჩენს, საკუთარი მარჯვენა და არა უცხოური ნაწყალობევი... მათხოვრობაზე უარესი რა უნდა იყოს... ხელი სამოწყალოდ კი არ უნდა გავიშვიროთ! ხელი უნდა გავანძრიოთ!..

ამ ხნის განმავლობაში, მირიანის სიტყვებს რომ ყურს უგდებდა, გოჩას გამომეტყველება ელვისებურად ეცვლებოდა, რაც არცთუ მაინცდამაინც მის გულკეთილობაზე მიანიშნებდა. იგი უფრო ცნობისმოყვარე ადამიანი იყო, ანუ — ნაკლებ მგრძნობიარე და მისი წონასწორობიდან გამოყვანა ან გაკვირვება მხოლოდ დაუჯერებელ ამბებს შეეძლო. ცოტნეს კი, როგორც ყოველ კეთილ კაცს, ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა, მირიანს ანთებული თვალებით მისჩერებოდა და წამდაუწუმ ცმუკავდა, მოუსვენრად იჯდა.

ყოფილი პედაგოგი და დღევანდელი ყანის მუშა, ისევ მიწას ჩააშტერდა, მერე შორს გაიხედა და მოგუდული ხმით თქვა:

— აი, ნახეთ ჩემი კოჟრიანი ხელები, მელნით უნდა მქონდეს მოსვრილი და რასა ჰგავს... სხვა გზა დღეს არაა, ჩემის აზრით...

მირიანის გაშვერილი ხელების მტევნებსა და თითებზე აბურცულ ჩაშავებულ-ჩაყვითლებულ ბებერებს ცოტნემ და გოჩამ ყურადღებით დახედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ, რითაც ალბათ თანაგრძნობა გამოხატეს. ყოფილი პედაგოგი კი იმით დარჩა კმაყოფილი, რომ ახლგაზრდებმა იგი, როგორც მას მოეჩვენა, გამრჯე მეურნედ აღიარეს და ხალისიანი ხმით განაგრძო:

— ჩემ დროს, როცა სკოლაში ვასწავლიდი, ცალი წარბის აწევა კმაროდა, ახმაურებული მოწაფეები რომ გაჩუმებულიყვნენ. დღეს, როგორც მეუბნებიან, თუ რომელიმეს დაუყვირე, დედ-მამის სულს გადმოგიბრუნებს... აბა! ჰო... აქეთ პირველად ხართ?

— კი. მხარი გვექცა და.., — ჩაიდუდღუნა გოჩამ.

ამ დროს ყანაში ფართო ნაბიჯებით ვიღაც უცნობმა შემოალაჯა. მაღალი იყო, ძალზე გამხდარი, დაღარული შიშველი პირისახე ჰქონდა გადასლექილი შავი თმით, მაკარონის სიმსხო კანჭები და ისეთი გრძელი ხელები, რომ ალბათ ფეხსაცმლის ზონარის შესკვნისას წელში არ იხრებოდა; თვალები მბჟუტავ ნათურებს მიუგავდა. ოცი-ოცდაორი წლის თუ იქნებოდა. შუა ყანაში შეჩერდა, წელში გასწორდა, იქ მყოფთ თავაზიანი თავის დაკვრით უხმოდ მიესალმა და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— მოულოდნელად გამოგეცხადე, მამიკო (ეს უკანასკნელი სიტყვა პათეტიკურად, გაპრანჭულად გამოთქვა), ალბათ მიხვდები, რამ ამომიყვანა ამ სიცხეში.

— ჩემი უმცროსი შვილია, — ცალყბად უთხრა ცოტნეს და გოჩას მირიანმა და სიტყვა ისე გააგრძელა თითქოსდა ყანაში არავინ შემოსულიყოს, — სხვათა შორის, დამავიწყდა მეთქვა წეღან. იაკუტიის ავტონომიური რესპუბლიკა, რუსეთის იმპერიაში რომ შედის დღესაც, ექვსი საფრანგეთის ოდენაა! მერე! იყენებს რამეში შოვინისტური კრემლი იმ უზარმაზარ ტერიტორიას? ესეც ხომ მის უტვინობაზე და უნიჭობაზე ლაპარაკობს...

— ერთი თოფიც არ უსვრიათ? — მოულოდნელად იკითხა გოჩამ.

— სად! — აიბნა უცებ მირიანი.

— ინდოეთში.

— არც ერთი თოფი! — რატომღაც ყვირილით უპასუხა მირიანმა, — განდის მილიონობით მომხრედან ჯაყვაც არ ჰქონდა არავის! ერთსაც კი! — მერე გოჩა ყურადღებით შეათვალიერა, ხმას დაუწია და თქვა, — და ინდოეთმა, ამ უზარმაზარმა ქვეყანამ, დამოუკიდებლობას შრომით და გარჯით მიაღწია. ასე იყო ეს. ჩვენთან კი... ეჰ... ხომ ხედავთ, რაც ხდება...

ყანაში შემოსული მირიანის უმცროსი შვილი აქამდე ფეხზე იდგა მზეში, გოჩას და ცოტნეს მალულად უმზერდა, სურდა, ამოეცნო თუ რა ყაიდის ბიჭები იყვნენ ისინი და თან დროდადრო გადასლექილ თმაზე ხელს ისვამდა.

— ახლა ისიც ვთქვათ, — ცოტაოდენი ჩაფიქრების მერე განაგრძო ყოფილმა მასწავლებელმა და შვილს წამით თვალი შეავლო, — თუ ვინ არიან დღეს ჩვენში

მდიდრები. მე, სხვათა შორის, არავისი ფული არ მშურს, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ხალხის ხელში ჩავარდა მილიარდები. ესენი გახლავთ, ვაჟბატონებო, ახალი მდიდრები, სპეკულაციების და მაქინაციების წყალობით გაზულუქებულები, ანუ, როგორც ასეთებს უწოდებენ — ნუვორიშები. შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი და მათი ვითომდა ნიჭი მხოლოდ ამით შეიძლება შეფასდეს. ერთსაც ვერ ნახავ დღეს ნამდვილ ბიზნესმენს საქართველოში! მხოლოდ სპეკულანტობით და გახრწნილი ჩინოვნიკების წყალობით ჩაიგდეს ზღაპრული ქონება ხელში... რა თქმა უნდა, ჩვენი ეგრეთ წოდებული მთავრობის ხელშეწყობით ან წაყრუებით. ნუვორიშები! დაიმახსოვრეთ ეს სიტყვა.

მირიანი თანდათან სიმშვიდეს კარგავდა, მღელვარება დაეტყო და მის ხმასაც ნერვიულობა ემჩნეოდა.

— ლეონარდო და ვინჩი გაგიგიათ, ყმაწვილებო? — მოულოდნელად იკითხა ყოფილმა მასწავლებელმა.

უარის ნიშნად ცოტნემ და გოჩამ თავი უხმოდ გაიქნიეს.

"აი, რა გააკეთა ტელევიზიამ", — გაიფიქრა მირიანმა და მერე წამით ისევ შვილს გახედა. იგი კი ახლაც ფეხზე იდგა მზეში და ბიჭებს თვალით ზომავდა.

— იყო ასეთი ერთი დიდი მხატვარი და ხელოვანი, — ხმამაღლა გააგრძელა მირიანმა, — რომელმაც აი, რა თქვა: "როცა ხომალდი იძირება, მასზე არც კაპიტანია და არც მგზავრები, არც მდიდრები და არც ღარიბები, არც დიდი და არც პატარა, არიან ადამიანები, რომელთაც აერთიანებთ ერთი ბედი — ჩაიძირონ" ზღვაში. ჰოდა, სწორედ ამიტომ, დღევანდელი ჩვენი გაძარცული, გაყვლეფილი მოსახლეობის უბედურება დღევანდელი სპეკულანტების, ანუ ნუვორიშების უბედურებაცაა და იცით, რატომ? ერთიც და მეორეც, მდიდარიც და ღატაკიც, ერთ ხომალზეა, ანუ — ერთ მიწაზე, ერთ ქვეყანაში. და თუ ეს ქვეყანა ჩაიძირა, ის გაზულუქებული მილიონერებიც იმ ღატაკებთან ერთად ჩაიძირებიან. უცხოეთში გაქცევით ვერ უშველიან თავს — იქ გადაშენება ელით და ასეთ მდიდრულ ცხოვრებას სხვის მიწაზე აქ დარჩენილი მათხოვრის ცხოვრება სჯობს. გჯერათ ეს?

ცოტნემ და გოჩამ დასტურის ნიშნად თავი უხმოდ დააქნიეს.

მირიანის შვილი კი ახლა ირონიულად იღიმებოდა. ამის დანახვაზე ყოფილი მასწავლებელი მოიღუშა და რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღია. მერე ისევ გახედა შვილს და გასძახა:

— დაჯექი, ბიჭო, რა შუა ყანაში დამდგარხარ. მზემ არ დაგკრას.

— ხომ იცი, რატომაც ამოვედი ამ სიცხეში, მამიკო, — ტუჩებმოკუმულმა წარმოთქვა დაუფარავი დაცინვით უკანასკნელი სიტყვა მირიანის შვილმა, — ზაფხულში, არდადეგებზე, ვის გაუგონია ლექცია. ახლა კურორტის დროა.

მირიანმა ისე გააგრძელა თავისი სათქმელი, თითქოსდა აინუნშიაც არ ჩაუგდია შვილის დაცინვა. არადა, ეტყობოდა, რომ შეურაცხყოფამ გული ატკინა.

— ახლა ისიც ვთქვათ, თუ, უბრალოდ, ჩამოვთვალოთ, თავი რომ არ მოგაბეზროთ, რა საშინელებები დატრიალდა ამ, ეგრეთ წოდებული, მთავრობის ხელში. სხვათა შორის, ცუდი დრო მუდამ ბოროტებას და სიმახინჯეს არ ბადებს. იმ ჯალათური კომუნისტური რეჟიმის დროსაც იყვნენ პატიოსანი ადამიანები. ასეა ჩვენს გამათხოვრებულ და სულში ჩაფურთხებულ ქვეყანაში დღესაც. ერთსაც ვიტყვი: ჩემი და უფროსი თაობის ადამიანები რომ [illegible] გარემოში გავჩენილიყავით, ისეთ[illegible], როგორებიც არიან გადაგვარებულ ახალგაზ[illegible] ახლა. მუცლიდან არ დაყოლიათ მათ სიმახინჯე. გარემოზე ბევრია დამოკიდებული, ასეა ნამდვილად. და ბოლოს, ზოგიერთ ინტელიგენტზე. შუადღისას ანთებული სანთელივით უსარგებლოდ არ უნდა იცხოვროს კაცმა. განზე გადგომა იოლია, ან — პოლიტიკანებზე და ქურდებზე ჭორაობა. თუ ბრძოლა არ შეგიძლია, თოხს მოკიდე მაშინ ხელი. დღევანდელ სპეკულანტებს და წურბელებს კი ისე დაემართებათ, როგორც ერთხელაც საქათმეში მელას დაათენდა და რა დღეშიც ჩავარდებოდა, მიმიხვდებით. მე ჩიტის ნამოფრენამდე ვიღვიძებ-მეთქი გითხარით, ამ ყანას რომ მივხედო. ისინი კი... ეჰ, არ ღირს ლაპარაკი, — და ახლაც, როგორც სჩვეოდა, ხელი ჩაიქნია. მერე ისევ შეავლო წამით თვალი ფეხზე მდგომ შვილს, და იმ კაცის კილოთი ჩაილაპარაკა, რომელმაც უფრო მეტი იცის, ვიდრე ამბობს:

— ჰოდა, მთავარი სათქმელი ისლა დამრჩა, რომ ჩვენივე ტელევიზია ყოველდღიურად გაცილებით დიდ ბოროტებას თესავს ამ გაუბედურებული ქვეყნისთვის, ვიდრე შოვინისტი რუსები. ამას მე მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ.

მირიანის შვილი აწრიალდა რატომღაც და ახლა ქოხისკენ დაიწყო ყურება.

— ჩვენ სხვა ხალხი ვართ ამ დედამიწაზე, — მშვიდად წარმოთქვა ყოფილმა მასწავლებელმა, — თვითმყოფადი, უძველესი ერი, ავითაც და კარგითაც სხვებისგან განსხვავებული, ინდივიდუალური რასის შვილები და არა უსახური მასის ... არიან ასეთი ხალხები... ჩვენმა ტრადიციებმა მოგვიყვანეს დღემდე, ოჯახმა, ქრისტიანობამ, მწერლობამ, კულტურამ, მუსიკა იქნება ეს, ხელოვნება თუ გამაოგნებელი ფოლკლორი... რა ვიცი... ყოველივე ჩვენმა საკუთარმა შეგვინარჩუნა სული, სხვისას რომ არ ჰგავს და დღეს კი ამ გახრწნილი ტელევიზიის საშუალებით ქართული ტრადიციები უნდა ამოიძირკვოს? ტერიტორიები დაკარგულია, მოსახლეობა გამოძევებული და გამათხოვრებული, საროსკიპოები არასრულწლოვანი გოგონებით ავსებული!.. და შენ ამ დროს გულისამრევ ჩხავილს ან მანჭვა-გრეხას გადასცემ? რომელი ერთი ჩამოვთვალო... ნიკო მარი ამბობდა, იცით, ალბათ,

უდიდესი ენათმეცნიერი იყო, ქართული ენა მსოფლიო ენააო... ჰოდა, როგორ მეტყველებენ ეგრეთ წოდებულ მთავრობაში, პარლამენტში, ტელევიზიაში! ქართულს შეაჯავრებენ უცხოელებს. ჰო... გჯერათ ეს?

გოჩამ და ცოტნემ ჯერ მხრები უხერხულად აიჩეჩეს და მერე თავი უსიტყვოდ დააქნიეს.

ექსტაზში შესულმა მირიანმა ხმას აუწია:

— მონღოლების თუ კომუნისტების შემოსევამ საქართველოს გაცილებით ნაკლები ბოროტება და უბედურება მოუტანა დღევანდელ ამორალურ ტელევიზიასთან შედარებით! ესეც დამიჯერეთ... ტელევიზიაზე უფრო დიდი მტერი დღეს ჩვენ მეორე არ გვყავს!.. ვიცი, ბევრი არ დამიჯერებს ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა. რა დიდი ფილოსოფია უნდა იმას, რომ ტელევიზია პასიურ აზროვნებას უნერგავს ადამიანს, უქვეითებს. ინფორმაციებს არ ვგულისხმობ მე. გადაცემები გაუბედურებული ქვეყნის სინდისიერი მოსახლეობის ოთხმოცდაათი პროცენტის განწყობას არ უნდა შეესაბამებოდეს?

— ოთხმოცდაათის? — ჰკითხა ცოტნემ.

— თუ მეტის არა! — უპასუხა მირიანმა და ხმამაღლა გააგრძელა, — მგლოვიარე ოჯახში რომ ადამიანი შევიდეს მანჭვა-გრეხით და წრიპინით, როგორ მოექცევიან მას! ტელევიზია ტვინს ულაყებს ყველა ასაკის ადამიანს და აზარმაცებს. და, რაც მთავარია, გულგრილობის სინდრომს თესავს მოსახლეობაში, თითქოსდა ირგვლივ არაფერი ხდებოდეს! მშობლების წაყრუებით, ანუ — დასტურით, არასრულწლოვანი გოგონები ბოზობით არჩენენ ოჯახებს! მსგავსი რამ მომხდარა ოდესმე საქართველოში? ოდესმე!

წინათ ჩვენში გონებადაბინდული მამა გაუბედურებულ ქალიშვილს, თავის სისხლსა და ხორცს, ბოზობისთვის კლავდა!.. ახლა თვითონ გზავნის, თვითონ!.. თორმეტი წლის გოგონას, ბავშვს, საროსკიპოში უშვებს ოჯახის სარჩენად! რომელი უფრო დიდი დანაშაულია, ვინ ამიხსნის ამას!.. და ასეთები ათასობით არიან!.. ეს ჩვენი ეკლესია კრინტს არ სძრავს ამაზე... მორალი, უპირველეს ყოვლისა, ვის ეხება, თუ არა რელიგიას... ტელევიზია კი დღედალამ ტაშ-ფანდურს გადასცემს და ისეთ ეგრეთ წოდებულ ფილმებს, გარყვნილებას, უწიგნურობას, უგემოვნობას, მკვლელობას, გულგრილობას რომ ასწავლის ჩვენს გოგო-ბიჭებს! მშობლებიც შეეგუენ ამ გადაგვარებას და იმის ნაცვლად, რომ ხმა ამოიღონ, ტკბილად უყურებენ შვილებთან ერთად გახრწნილობას! უფრო უარესი რაღა უნდა მოხდეს ჩვენში... ქართველი კაცი არასოდეს ქუჩაში მათხოვრად არ დამდგარა! არასოდეს! არც ქალი! არც ბავშვი! და ამას ვერ ხედავ? თუ ხედავ, მაშინ რაღა გამღერებს და გაცეკვებს, თუ ნორმალური ხარ! ტელევიზიის ხელმძღვანელობა ბანდიტზე უფრო დიდ დანაშაულს სჩადის!.. ჰო, ასეა, მე არ ვაზვიადებ... ეს უნიჭო და თავქარიანი ლაწირაკები როგორ ჭყავიან! რა გვჭირს სხვისი მისაბაძი! მთელ დედამიწაზე ჩვენზე უკეთ რომელი ხალხი მღერის! თქვენ, ვაჟბატონებო, როგორ ფიქრობთ, ეს უმნიშვნელო ფაქტია? გენიალურია ქართული ხალხური სიმღერა და ბევრი სხვა რამ... იმის ნაცვლად, რომ ამით ვიამაყოთ და თაობები აღვზარდოთ, სხვების ჩხავილს მივბაძოთ? ვინაა ნამდვილი, კლასიკური ჯაზის წინააღმდეგი! მაგრამ გულისამრევ უნიჭობას რომ უთმობს ასპარეზს ტელევიზია და პოპულარიზაციას ეწევა!.. მე არ ვამბობ, გლოვა გამოვაცხადოთ-მეთქი ქვეყანაში. დაცემის ატანაც უნდა შეგვეძლოს და, ასევე, ამაღლების! ყოველ შემთხვევაში, ტინგიცობის დრო არაა ახლა! სად მომხდარა, რომელ ქვეყანაში, რომ ომის დროს გასართობ კონცერტებს მართავდნენ! ჰო, მერე რა, რომ ტყვიების ზუზუნი არ გვესმის! შოვინისტი რუსები ახლა დივერსიით, ფულით და დეზინფორმაციით გვებრძვის, როგორც გითხარით... ჰო, ვიმეორებ, ასიათასობით მათხოვარი დგას ხელგაწვდილი ქუჩებში, ქალი, ბავშვი, მამაკაცი, მსგავსი ჩვენს ისტორიაში დღემდე რომ არ მომხდარა! ერთი მილიონი უცხოეთშიშა გაქცეული! და შენ გასართობ პროგრამებს გადასცემ? ისე ვინც ახლა ნარკოტიკების გასაღებით ოჯახს არჩენს, გაცილებით ნაკლებ დანაშაულს სჩადის, ვიდრე ტელევიზია! და, აი, რატომ, ამაზე იოლი ასახსნელი რა უნდა იყოს. ვინც ნარკოტიკს ასაღებს, ჩუმად, მალულად აკეთებს ამ საქმეს, რადგან შეგნებული აქვს, რომ დიდ დანაშაულს სჩადის.

ამ სიტყვებზე მირიანმა შვილს შეავლო თვალი, რომელსაც სიგარეტი ამოეღო და დიდის ვაივაგლახით ასანთს უკიდებდა. მერე წამით ჩაფიქრდა და ხმადაბლა გააგრძელა:

— ტელევიზია კი აშკარად, შეუნიღბავად შედის ყოველდღე ოჯახში ყველგან და გარყვნილებას, უგემოვნობას, მკვლელობის არაფრად ჩაგდებას, გულგრილობას ქადაგებს მოსახლეობაში. ვინ უფრო დიდ დანაშაულს სჩადის! ტელევიზია თუ ნარკოტიკების გამსაღებლები! არაო, ერთმა მითხრა, ტელევიზიის თანამშრომლები იმ გულის ამრევი ფილმებით და გადაცემებით ოჯახებს არჩენენ, იძულებულნი გახადესო. ესაა გამართლება? ნარკოტიკებით მოვაჭრეებიც ოჯახის სარჩენად ასაღებენ წამალს! მილიარდებს ამ საქმით სხვები აკეთებენ უცხოეთში. ჰო... უმდარესი სატელევიზიო გადაცემებით უფრო იწამლება დიდი თუ პატარა, ვიდრე ის, ვინც ნარკოტიკებს იღებს!.. რატომ არ გამოთიშავო, ნათესავმა მითხრა. მე, კი, ბატონო, შემიძლია გამოვრთო და ასედაც ვიქცევი, მაგრამ რა ჰქნან მოხუცებმა ანდა ახლადწამოჩიტულებმა, ამისი ნებისყოფა რომ არა აქვთ! გულის ამრევი, იდიოტური, ვითომდა ფილმების ასეულობით სერია რომ ახსენო, მარტო ესაა საკმარისი ტელევიზიის დასახასიათებლად. კიდევ ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, უფრო დიდი მტერი დღეს არ არსებობს. წიგნი სასაცილო გახდა ახალგაზრდისთვის! რად უნდა, აგერ არაა ტელევიზია? რატომ უნდა ფურცლოს მან სამას თუ ოთხასგვერდიანი წიგნები! ამას მე ხომ არ ვიგონებ! წიგნის ფურცვლას ჩამორჩ-

ენილობად თვლის ბევრი ახალგაზრდა და კევის ღეჭვა ურჩევნია და გამოლენჩებული სახით ტელესერიალების ყურება... ცოდნა შეიძლება ეკრანიდან მიიღო თვალებით? სხვათა შორის, ეს მარტო ჩვენი ერის უბედურება არაა... აზროვნებას და შრომას თუ გადააჩვევ ადამიანს, რაღა დარჩება მისგან!.. ჰოდა, აი, სად ვნახე მე გამოსავალი, — თქვა ბოლოს მირიანმა, დაკოჟრილი ხელები გაშალა და ყანას მოავლო თვალი, — ეს რომ არა, სული ამომხდებოდა...

რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა და უცებ ცოტნემ მოკრძალებულად იკითხა:

— გავაუქმოთ სულ ტელევიზია, ბატონო მირიან?

— არავითარ შემთხვევაში! — წამოიძახა ყოფილმა მასწავლებელმა, — ასე გაიგეთ ჩემი ნათქვამი? გადმოსცეს ინფორმაციები, ჩვენი და სხვა ხალხების შედევრები, სპორტული ასპარეზობები! უნდა შეწყდეს მხოლოდ უნიჭოების, უწიგნურების, გადაგვარებულების პარპაში!.. ჰოდა, ახლა თქვენი აზრი მაინტერესებს, რას მეტყვით. მგონი ცუდად ვილაპარაკე... ტელევიზიას და რადიოს ყოველდღიურად მთელი მსოფლიო უნდა შეეძრა, შოვინისტმა რუსებმა გენოციდი, რომ მოუწყვეს ქართველ ხალხს აფხაზეთში!.. და ამის ნაცვლად მანჭვა-გრეხას და ყროყინს გადასცემენ... ფაშისტებს ახლაც დასდევენ დედამიწაზე მაშინდელი დანაშაულისთვის, ამათ ამ სისხლისმსმელ რუს შოვინისტებს ყველაფერი შერჩათ! არადა, კი არ უნდა ვეჭუკჭუკებოდეთ, გაჩენის დღე უნდა ვაწყევლინოთ! ჰო... დღემდე ყველაფერი შერჩათ!.. არავინ დაუსჯიათ!.. ჰოდა, ამდენი იმიტომ ვიქაქანე, რომ ბოლოს ჩემი ეს მთავარი სათქმელი მეთქვა. ახლა თქვენგან ველი პასუხს... არაფერი დამიმალოთ. მითხარით, რაში ვცდები. მე ვამტკიცებ, რომ ტელევიზია უფრო დიდ დანაშაულს სჩადის დღეს ჩვენთვის, ვიდრე შოვინისტური რუსული დუმა. ეს მინდოდა მეთქვა. თუ არ მეთანხმებით, თქვით, ვაჟებატონებო.

მირიანმა ღრმად ამოისუნთქა, ერთხელ კიდევ გახედა მზის გულზე მდგომ შვილს ახლა რაღაცნაირად ზანტად, თითქოსდა უიმედოდაც და თავი უხმოდ ჩაჰკიდა.

რამდენიმე წუთს ხმა არავის ამოუღია.

იქაურობას მთიდან მონაბერი გრილი ბორიო მოეფინა.

სუნთქვა იოლი გახდა თითქოს.

— მა — მი — კო! — გაისმა ამ დროს სიტყვის დამარცვლით და ენამოჩლექით მირიანის შვილის ხმა, მერე კი დამცინავი ტონით მანვე თქვა, — ჩემო მშრომელო მამა.

ცოტნემ რატომღაც ახლა შეამჩნია, რომ მზის გულზე მდგომ ბიჭს ცხვირი პირიდან ძალიან დაშორებული ჰქონდა, რაც, როგორც ყურმოკრით იცოდა, უტვინობის ნიშანი იყო.

მირიანმა ისევ გახედა წარბშეკვრით ზანტად შვილს და არაფერი უთქვამს.

— ხომ იცი, რატომაც ამოვედი ამ სიცხეში! რამდენჯერ უნდა გითხრა! — გაისმა ახლა უკვე მუქარით წარმოთქმული სიტყვები.

— ფული არ მაქვს, ბიჭო, — აღრენილად უპასუხა მირიანმა შვილს, — რას დაყუდებულხარ ამ ყანაში!..

— ზრდილობა სად დაკარგე, მამიკო? — აუმღვრეველი გულგრილობით წარმოთქვა ახლა მან და ხელები აქეთ-იქით გაშალა.

— დაჯექი, ბიჭო! მაცალე ამ ხალხთან ლაპარაკი! — დაუყვირა შვილს მირიანმა, — ანდა, წადი სახლში!

ცოტნემ და გოჩამ უხერხულად იგრძნეს თავი და წამოდგნენ.

— მაგდებ, ჩემო თავაზიანო მამა? — გულაგდებული ტონით წარმოთქვა ბიჭმა და მერე მუქარის ხმით დაუმატა, — ხელცარიელს მიშვებ?!

— დღეს ფეხით ამოვედი მე აქ, ავტობუსის ფულიც არ მქონდა, — თითქოსდა თავი იმართლა მირიანმა.

— უი, რა მომხდარა! — ვითომდა გაიოცა თუ უთანაგრძნო მამას შვილმა, ლოყაზე ხელი იტკიცა და თავი დანანებით აქეთ-იქით გადააქნია.

— გაეთრიე აქედან! — მთელი ხმით დაიღრიალა მირიანმა და თვალებანთებული მაშინვე წამოდგა.

გოჩამ და ცოტნემ ერთმანეთს გადახედეს.

— რატომ! ჩემზე მზრუნველო მამიკო, მეც ხომ უნდა ამოგიდგე მხარში შრომით, გარჯით, ოფლის ღვრით, აი, ასე — თქვა მშვიდად, აუღელვებლად ბიჭმა, ხეზე მიყუდებულ თოხს ხელი დაავლო და რამდენიმე ტანაყრილი სიმინდი ცელივით გადათიბა, მერე, ახლომახლო, დანარჩენებს მისდგა და თან გაიძახოდა, — აი, ასე, აი, ასე, აი, ასე!..

— რას აკეთებ, შე პირუტყვო! _ დაიღრიალა თავისი ბოხი ხმით აცახცახებულმა და ადგილზე გაქვავებულმა მირიანმა.

ბიჭმა სიმინდები ახლა ფეხით გადაჯიჯგნა, რამდენიმე თოხით გადატეხა, გადაამტვრია და წინ და უკან სირბილითაც ბევრი გადათელა. გაოგნებული და გაფითრებული მირიანი შვილს ზურგიდან მიეჭრა და მთელი ძალით წელზე ხელები შემოხვია. ბიჭი შემობრუნდა, გაალმასებული თოხი მოუქნია და თავში ჩაარტყა. მირიანი მოცელილივით დაეცა მიწაზე. ბიჭმა, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს, ისევ განაგრძო ყანის გადათელვა აქეთ-იქით სირბილით და თოხით. გოჩა, აქამდე მოღუშული რომ გასცქეროდა ყოველივე ამას, ადგილს მოსწყდა, უგონოდ გაშოტილ მირიანს წამით დახედა და ბიჭისკენ გაქანდა. ცოტნე დაბნეული თუ გაოგნებული იდგა და ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან. მირიანის შვილმა მასთან მირბენილს თოხი მოუღერა, უნდოდა, თავში ჩაერტყა, მაგრამ გოჩამ დაასწრო და მუშტი ისეთი ძალით ატაკა ცხვირ-პირში, რომ ბიჭი გულაღმა გაიშხლართა მიწაზე. ცოტე თითქოს ახლა გამოფხიზლდა, უგონოდ გაშოტილ მირიანთან მიიჭრა, ჩალის ქუდი მოხადა და მოსულიერება დაუწყო. ყოფილმა მასწავლებელმა თვალები გაახილა, გასისხლიანებულ თავზე ხელი მოისვა და წითლად შეღებილ თითებს დააცქერდა. გოჩამ უძრავად გაშხლართულ ბიჭს დახედა, რაღაც ჩაიდუდღუნა და ნელი ნაბიჯით წყაროსკენ წავიდა, სადაც ღარიდან წყალი მოწანწკარებდა. მირიანი წამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯდა მიწაზე და მიმოიხედა. გოჩამ თუნგით წყალი მიურბენინა და პეშვით სახეზე ასხურა. ცოტნე ახლა მიწაზე გაშხლართულ ბიჭს დაადგა თავზე, ჩაიმუხლა და რამდენჯერმე შეანჯღრია. იქვე ახლოს ბურდღუნით გოჩამ თუნგი დადგა და მოქუფრული მირიანთან დაბრუნდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მამა-შვილი ფეხზე იდგა და ერთმანეთს უხმოდ უმზერდნენ. მერე მირიანმა გადატეხილ სიმინდებს მოავლო თვალი, ჩაიკეცა, ხელის მტევანს დახედა, მიწაზე მოწყვეტით დაჯდა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— დღეიდან აღარ დამენახო! წაეთრიე აქედან!..

ბიჭს ტუჩებიდან სისხლი სდიოდა, პირისახე ცხვირსახოცით მოიწმინდა, გოჩას თვალი წამით შეავლო, შეტრიალდა და ხმაამოუღებლად, ფეხათრევით, ყანიდან გადავიდა.

გოჩა და ცოტნე ერთმანეთს მისჩერებოდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

მირიანმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ ველარ შეძლო ფეხზე დადგომა, კვნესით გულაღმა გადაწვა, შუბლი ხელის მტევნით დაიფარა და გაისუსა. რამდენიმე წამის შემდეგ ისე ამოიგმინა, რომ ცოტნემ და გოჩამ იღლიებში და ფეხებში ხელი ჩაავლეს, ქოხში შეიყვანეს და ტახტზე ფრთხილად დააწვინეს. ოთახში გრილოდა, საკმაოდ ბნელოდა და მაინც კარგად ჩანდა ბუხრის ახლოს კედელზე მიყუდებული თოხი, ბარი, ცული თუ წალდი და იქვე გრძელ ხის ყუთში ჩაყრილი ათასნაირი სადურგლო ხელსაწყო. ცოტნემ კართან ჩამოკიდებულ პირსახოცს ხელი დასტაცა და წყაროსკენ გაქანდა — გოჩამ სასთუმალი შეუსწორა დაჭრილს. ცოტნე მალე დაბრუნდა და სველი პირსახოცი მირიანს თავზე სათუთად დააფარა. ომში ნამყოფი ბიჭების გასაოცრად სისხლი უკვე შედედებულიყო, თუმცა ჭრილობა უმნიშვნელო ჩანდა. მირიანმა მალე მოიხედა, თვალი მოავლო იქაურობას, ცოტნეს და გოჩას დანახვაზე უხერხულად შეიშმუშნა, თითქოსდა დაიმორცხვა და ხმადაბლა, თავისი ბოხი ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა:

— აჰა... ხომ ხედავთ, რა დღეში ჩამაგდო... ტელევიზიის გაზრდილმა... ჩემმა მახინჯმა შვილმა...

— ყველაფერი კარგად იქნება, — თქვა მისდა უნებურად ცოტნემ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც ეთქვა.

— მე რა მიშავს, — ჩაილაპარაკა მირიანმა, — როგორმე მივხედავ ჩემ თავს, მაგრამ... იმ უბედურს და მისთანებს რა ეშველებათ... უფროსი შვილიც რომ მას ჰგავს, ეს მიკლავს გულს... ძალლი გასაყიდად წაიყვანა... მოგატყუეთ, ამომიყვანს-მეთქი...

ცოტნემ და გოჩამ, როგორც შეეძლოთ, დამშვიდება დაუწყეს, ბოლოს უთხრეს, რომ ექიმთან მისვლა აუცილებელი იყო და ქალაქში ჩაყვანა შესთავაზეს.

მირიანმა, როგორც სჩვეოდა, ხელი ჩაიქნია, რაც ახლა ბიჭების რჩევაზე უარს ნიშნავდა და მერე გარეთ, წყაროსთან ჯდომა ისურვა. ერთი-ორი წუთის შემდეგ თვითონ წამოჯდა ტახტზე, კვნესით წამოდგა, თავზე დაფენილ სველ პირსახოცზე ხელის მტევანი დაიდო და ნელი ნაბიჯით ქოხიდან მზეზე გავიდა.

ოდნავი ნიავი ქროდა, მაგრამ ჯერ ისევ პაპანაქება სიცხე იყო გარეთ.

მირიანი წყაროსთან ჩამოჯდა, ბიჭებს ახედა და ჰკითხა:

— რას იზამთ ახლა თქვენ... მე თავი მოგაბეზრეთ ჩემი ყბედობით, მთელი დღე დაგაკარგვინეთ... პატივი ვერ გეცით...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო მირიან, — წამოიძახა ცოტნემ, — თქვენ თვალი აგვიხილეთ ბევრ რამეზე...

— ვითომ? — დაეჭვებით იკითხა ყოფილმა მასწავლებელმა, — თუ ასეა, ჩემი თავის გატეხა გამართლებულია მაშინ.

ცოტნემ და გოჩამ ნაძალადევად გაიღიმეს.

— წადით ახლა, გააგრძელეთ გზა და სხვა დროს თუ გამოივლით, გამიხარდება, უკეთესად დაგხვდებით და მაშინ დავრწმუნდები, რომ ჩემზე ნაწყენი არ ხართ...

ორივენი შეპირდნენ, რომ მალე ინახულებდნენ, გამოჯანმრთელება უსურვეს და მთისკენ ამავალ ბილიკს აუყვნენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მირიანი ზლაზვნით წამოდგა, გადაჯეჯგნილ, გაპარტახებულ შუა ყანაში მიწაზე დაგდებული ჩალის ქუდი აიღო, პირსახოცით შეხვეულ თავზე დაიხურა, იქვე ჩაჯდა, მიმოიხედა და... ატირდა.

იგი ახლა ვერც გრძნობდა იმ პაპანაქება სიცხეს, ადამიანს სუნთქვასაც რომ უძნელებდა...

გოჩამ და ცოტნემ შორიდან, მთიდან დაინახეს გადათელილ სიმინდებში ჩამჯდარი მასწავლებელი, რომელსაც თავზე ჩალის ქუდი ეხურა. ოღონდ, მისი ტირილი არ ესმოდათ. ისინი ისე ჩავიდნენ სოფელში, რომ ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ.

მირიანი შუა ყანაში იჯდა თავჩაქინდრული და ზლუქუნით ტიროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დალილა ბედიანიძე

●

მახსოვრობის ნედლი იისფერი ხე
განიტოტა ჩემში.
წვიმამ ცას პირი აბრეშუმის ძაფებით ამოუკერა
და ცა დამუნჯდა და ველარაფერს მეუბნება,
მაგრამ მე მახსოვს, რაც ადრე მითხრა.
მე ცის სიტყვებს ადამიანთა ენაზე ვთარგმნი
და წვიმაში ვარ გამომწყვდეული,
ცასა და მიწას შორის გარჩენილი,
წვეთების მწყემსი.
მახსოვრობის ხეზე ბრჭყვიალა სათამაშოები ჰკიდია.
მახსოვრობის ხეზე მზეები ჰკიდია.
აღმოსავლეთის დაჰბერა ქარმა
და მზეები შეაერთა და დააცხუნა.
ო, მზეო, მზეო, ციურო ცეცხლო,
შენ ვერ ჩაგაქრობს ქარი და წვიმა.
იწვი, ანათებ და ხსოვნის ხეზე
ელვარებ, ბრწყინავ.
მახსოვრობის ხე, როგორც ნაძვის ხე,
მორთულია ვარსკვლავებით და მზეებით
და მე მახსოვს ზეცის სიტყვები —
"მე კარი ვარ — გამაღე და შემოდი ჩქარა
და სიკვდილს ასე, მხოლოდ ასე გადაურჩები!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დაბლანდულია წვიმის ძაფებით სულის ჭრილობა.
სასაფლაოს სველ ბალახებზე კვალი იშლება
წუთისოფლის გამვლელებისა.
მწვანე ფარდა საიქიოს და სააქაოს შორის ეშვება.
ახლად გაჭრილ სამარეში წყალი გროვდება –
ჭირისუფლების უხვი ცრემლი.
წვიმამაც, როგორც ჭირისუფალმა, დაიტირა მიცვალებული
და ახლა იგი ცრემლთა შინპა განისვენებს და მოისვენებს.
წვიმის ძაფებით გაკერილი სულის ჭრილობა.
ღმერთო, ნეტავ, რატომ დაგვბადე,
თუ მაინც უნდა მოვმკვდარიყავით
და ეს ცხოვრება ათასნაირი ტანჯვით გაგვევლო.
სად არის ჩვენთვის უკვდავების წყალი, სად არის?
წავალთ და ჩვენს კვალს წაშლის ხოლმე ცრემლების წვიმა.
ვინ – დაობლდება, ვინ – დაქვრივდება,
ვის ვინ უკვდება და ერთმანეთს ყველა ვუკვდებით.
ო, რა ტკბილია შეჩვეული წუთისოფელი,
სული ტკბილია!
რა ამაოა და სასაცილო ჩვენი ოცნება უკვდავებაზე.
წვიმის ძაფებით გაკერილი სულის ჭრილობა...
ეს წვიმა მუდამ იქნება – მაშინაც, როცა ჩვენ არ ვიქნებით
და მიხარია, რომ წვიმს – ასე ხომ
მარადისობას ვეზიარებით, როგორც ბალახი, ხე და ყვავილი.

## ღრუბლები

ცაც მოიღრუბლა და სულშიც მოიღრუბლა.
ღრუბელზე დავწვები,
თავს ღრუბლის ბალიშზე დავდებ,
ღრუბლის საბანს დავიხურავ.
ქარი დაუბერავს და დამარწევს.
დამესიზმრება ღრუბლები და კარღია ზეცა.
ღრუბლების ფარდაა ჩემსა და დედამიწას შორის.
აქ მიწა ვერ მომწვდება. ვერ შემჭამს.
მსუბუქი ვარ თოვლის ფანტელივით.
ცაც მოიღრუბლა და სულშიც მოიღრუბლა.
მე სულით თეთრ ღრუბლებს ვატარებ
და ისინი მიმსუბუქებენ მიწიერ სევდას.
მზესაც ღრუბლები ფარავენ.
მთვარესაც ღრუბლები ფარავენ.
მხოლოდ ღრუბლები არიან ირგვლივ
და სულშიც ღრუბლები ირევიან –
სათოვლე ღრუბლები, წმინდა წვიმის ღრუბლები.
აღარასოდეს დავბრუნდები დედამიწაზე
და, საითაც წავლენ ღრუბლები, მეც იქით წავალ.
სტუმრად ვიყავი დედამიწაზე და ახლა შინ ვარ
ღრუბლებში გახვეული.
ცაც მოიღრუბლა და სულშიც მოიღრუბლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

წელს უკანასკნელად მოვიდა თოვლი
(მოღრუბლული შენი თვალები)
ზამთარმა კუდი მოიქნია
(მოღრუბლული შენი თვალები)
აყვავებულ ატმებს და ალუჩებს
თოვლმა ყვავილი გააყრევინა
(მოღრუბლული შენი თვალები)
ჩემი ნაადრევი ოცნებებიც
თოვლმა დაფარა
(მოღრუბლული შენი თვალები)
ნამტირალევი მზე გამოჩნდა
(მოღრუბლული შენი თვალები)
ნამტირალევი მთვარის თვალი
(მოღრუბლული შენი თვალები)
ძალიან მინდა გაგახარო
(მოღრუბლული შენი თვალები)
თუნდ კედელს ცერცვი შევაყარო
(მოღრუბლული შენი თვალები)
წელს უკანასკნელად მოვიდა თოვლი
(მოღრუბლული შენი თვალები)
უკანასკნელად მოიღრუბლა
(მოღრუბლული შენი თვალები)
აი ვხედავ უკვე ღიმები
და ღრუბლებიც გაიფანტება
(მოღრუბლული შენი თვალები)

●

ღმერთო, შენ მომივლინე
ქარი სასიკეთო!
ერთი კარგი სიზმარი
დამასიზმრე, ღმერთო!

და კარგად ამიხდინე
რაც ავად მესიზმრა,
შენი მადლი მომფინე
წუთისოფლის ხიზანს.

ამ ბოლო ჟამს რატომღაც
სულ დარდები მეტობს.
ერთი კარგი სიზმარი
დამასიზმრე, ღმერთო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბულატ ოკუჯავას ხსოვნას

ღმერთო, უშველე მღვრიე მდინარეს,
რომელიც ახლა იცვლის კალაპოტს,
მოდის და მოაქვს თან არე-მარე –
ღმერთო, უშველე პატარა ნაფოტს.

ღმერთო, უშველე, ვინც არის გზაში,
ვინც არის ცეცხლში და ცეცხლი ფიცხობს.
უშველე მოსილს ქერივ-ობლის თავშლით
ღმერთო და არც მე არ დამივიწყო!

ო, უპატრონო ბავშვებს უშველე,
ყველას მიეცი დედა და მამა,
რომ ვერ ითბობენ პატარა ხელებს
და ენატრებათ ზოგჯერ სმა-ჭამა.

ღმერთო, უშველე ზღვაში მეზღვაურს,
ყანაში – მომკელს (სეტყვამ არ მისცხოს),
ვინაც ღრმა რწმენით ელის სასწაულს
ღმერთო და არც მე არ დამივიწყო!

უშველე მას, ვინც გასაჭირშია
და ვინც ამაოდ მოუხმობს მშველელს.
უშველე, ვისაც სცივა და შია,
ვინც შენი რწმენის ტაძარში შევლენ.

ო, ღმერთო, ჩემთვის გთხოვ ბევრს არაფერს:
ნუ გამიყინავ ცაში მზეწვიებს,
ნუ მოუხომავ მანძილს გასაფრენს!
ღმერთო, მიშველე და შემეწიე!

## გვირილა

ფრინდი-ფრინდი გვირილაო,
გვირილაო, რაო? რაო?
მზის გვირილა იწყებს ვარვარს –
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ
მითხარი!

გვირილაო, გვირილაო,
წყალს შეგასმევს ყვირილაო,
ტალღა-ტალღა აცურდები,
მჯერა, რომ არ გაცრუვდები
ლამაზო.

გვირილაო, გვირილაო,
ანგელოზის თეთრო ფრთაო,
სიყვარული შემემთხვაო,
მომიცლია სამკითხაოდ
მიშველე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირილაო, გვირილაო,
ფურცელ-ფურცელ მიფრინავო,
ამ ჩემს ბედზე დაიფურცლე,
მიპასუხე უცებ, უცებ
რაც იცი!

გვირილაო, გვირილაო,
ვინ გაიგებს ჩემსას სხვაო!
სიყვარულსო უნდა ფარვა,
ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ
მითხარი!

●

მთაწმინდა! გაწვიმდა.
აფრენილ არწივთა
ნაფრთევი ეტყობა ჰაერს.
უეცრად აცივდა.
ქვითინი მაცილთა.
დაე, ინანიონ, დაე!
აქ თბილი ქვებია.
რას აღარ ჰყვებიან.
ამბორი ეკლესიის კედელს!
ყვავილი ყვავილში
ჩაწნულა – რა გიშლის
სიცოცხლეს სიცოცხლის შემდეგ!
ისმის მდუმარება.
დღე არის ხარება.
ო, ღმერთო, მიყვარხარ, ღმერთო!
ცრემლები – თვალები.
დრო გამოსალმების
და ლოცვა ო, სასიკეთო.
ცოდვები მამძიმებს,
სიცოცხლის მანძილზე
ვერა და ვერ გავიხარე.
ჩუმი ლიტანია.
რამდენი ხანია...
მთაწმინდა...
გაწვიმდა მწარედ.

●

დილის გაზქურაზე ცეცხლის გვირილები გაიფურჩქნა.
სურნელოვანი დილის ყავა...
საცაა ჩვენი მერძევე მოვა და მაწონს მოგვიტანს.
ცაზე ღრუბლები წააგვანან ათქვეფილ მაწონს.
ერთმანეთში გადახლართულან წუხანდელი სიზმარი და
დილის ცხადი.
მადლობა ღმეროს, შუქიც არის, გაზიც და წყალიც.
ტელევიზორი დილის კონცერტს გადმოსცემს
და ეს დილა მუსიკის ხმაზე საცეკვაოდ მიხმობს, მეძახის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ვცეკვავ მარტო.
დედაჩემი გაოცებული შემომყურებს.
მიხარია, რომ ცოცხალი ვარ და რომ ცეკვა შემიძლია.
სახლიც ცოცხალია – ისმის წყლის ხმა, გაზის ტკაცუნი, სიმღერები.
დღეს პანაშვიდზე მივდივარ და სიკვდილის ფონზე
სიცოცხლით ვტკბები.
სანამ ვარ, მინდა, გავიხარო.
ღმერთმა მიბოძა სიცოცხლე და ყოველ დილას
მადლობის ლოცვას აღვავლენ ხოლმე.
ღმერთო, მაცოცხლე, რაც შეიძლება, დიდხანს მაცოცხლე!
დილაა. ჯერ შინ ვარ,
ამ დილით ვტკბები. მერე კი წავალ
და სახლიდან გამოყოლილი სითბო მთელი დღე გამაძლებინებს.

●

ზღვა რომ გადაურბენს კენჭების კლავიატურას
ო, რა მუსიკა აღმოხდება!
და ამ მუსიკით გაბრუებული
სანაპიროზე გაშხლართულა მილეთის ხალხი
და ტკბება, ტკბება.
მათ სხეულებზე მზე დასეირნობს
და კვალს ტოვებს, რათა ახსოვდეთ.
ნამზეური ზღვისა და მზის ბეჭედია,
სიყვარულის ნიშანია
ცასა და დედამიწას შორის.
ზღვის სურნელს ერთვის ყვავისა და თევზის სურნელი.
ზღვის თითები გადარბიან კენჭების კლავიატურაზე
და უკრავენ სიმღერებს
შორეულ გემებსა და მეზღვაურებზე,
მანდარინის ყვავილებსა და ევკალიპტებზე,
მამაც მოცურავეებზე, ვინც იხილა ზღვივს უფსკრულები.
მერე ღამდება და ღამის ზღვაც მთვარეს გულში იხუტებს.
მთვარე ზღვის სარკეში იყურება და კეკლუცობს
და კეკლუცობენ სანაპიროზე მოსეირნე გოგონები,
თავის რჩეულებს თავს აწონებენ –
და ღამის ზღვა უკრავს, უკრავს სიყვარულისას.
აი, შევალ ზღვაში და ასე მგონია, აღარ დავბრუნდები
და ზღვას შევერთვი და ზღვის მუსიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ირმა მებურიშვილი

## იქ ციხისძირში

ცა ერთხელ მინაგნები,
სადაც მზე ცეცხლს იკიდებს,
სად ოცნებებს ვაგებდი,
დამაბრუნებს იქ კიდევ.

დამაბრუნებს იქ როსმე –
ჩიტმა ჩიტს რომ გაუბა
სტვენა – კვლავაც მოვუსმენ
გაზაფხულის საუბარს.

დამაბრუნებს ტალღები
რომ ვისხურე – ის ყურე,
სად სივრცეებს გავყევი,
სადაც ვიგულისყურე.

მარწევდნენ ქარები ხან-
და ხან ტალღა-აკვანით,
სადაც შენ მყვარებიხარ –
ქარების მინამგვანი.

●

*ლაშა გახარიას*

წუხელის, როცა არემარე შეკრა ქუხილმა,
დამრია ხელი უსასოოს ჩუმმა წუხილმა,

კვდებოდი თურმე, ფორიაქი ტკივილის მგრელი
ამიტომ მქონდა, ვერ იქნება – პოეტის მკვლელი –

დრო – სივრცესავით გამჭვირვალე – ბოლო უჩანს გზებს,
მომენატრები და მოგნახავ "ლექსის ქუჩაზე",

მაშინ წასულხარ, როს ქუხილმა გახსნა ზესკნელი,
ცას მისწვდენია შენი კვნესა უკანასკნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სხვა ყვავილები, რაგინდ როგორიც
არ უნდა იყოს – მათი ყურება
არ მხიბლავს, — მაგრამ ვარდის კოკორის
ნახვით სიამით მომეწურება.

გული, ლარნაკში ვარდს სიო არწევს,
ბედნიერებით მთვრალი შეირხა
და ერთ ძველ არაკს მახსენებს ვარდზე,
რომ უარაკა სატრფოს შეიხმა,

აი, არაკი – სად გამახსენდა...
ეგებ, ეს ვარდიც რისი მაცნეა.
უფლის ნებაა, ქვეყნად რაც ხდება,
მიწაზე უწინ – ზეცას აჩნია.

ეგებ სიყვარულ-ვარდის ახდენაც
ჩანდეს ... ესაა, რაც გამაჩნია.

●

აშრიალებს ალვის ფოთლებს მბრწყინავს
სიო – მითრთის ალვასავით სული,
უღრმეს წიაღს თვისას მიაღწია
სულმა, მზერით დაეძებდა სურვილს.

იპოვა და უნებურმა კითხვამ
დაადინა ცხელი ცრემლის ღვარი –
მე ხომ უკვე აღარავინ მიყვარს,
მე ხომ უკვე არვის შევიყვარებ?!

## ის ატმის ხე

ის ატმის ხე, მე რომ ბაღში შევამჩნიე,
გამიკვირდა, ანთებული ისე მგავდა...
ყვავილების სურნელს ვეღარ შევაჩვიე
სუნთქვა, უცებ გამაბრუა გამბანგავმა.

ძირს, მიწაზე დაცვენილი ვარდ-ფურცლები
ქარით ისევ აფარფატდნენ, აფრიალდნენ,
შემენანა, ვით ოცნება დაუცველი,
ის ატმის ხე, მოყვავილე აპრილამდე.

●

გამორკვევა აღარ ძალმიძს
სულის ყრუს და უჩინოსი,
მესმის კვნესა უჩუმესი
ჩემი ასე ურჩი მესი.

●

არც ჩემი ცის, არც შენი ცის
მზე არ არის სამშვენისი.
მზე თვით უფლის სანთელია,
ამ სალოცავს რა შემიცვლის.
რად აგვენთო ცის ტატნობზე,
არც მე ვიცი, არც შენ იცი.

●

"რა ვარდებია"...
ულამაზესი ვარდების კონა
გდია კარებთან,
ვით ერთადერთი სიტყვა –
"მიყვარხარ".
"რა ვარდებია"...
სახე ჩავმალე
წითელ კოკრებში,
მივესათუთე
დასჯილ სიყვარულს.
გუშინაც ეგდო...
ამ კარებთან თაიგული,
ახლაღა მივხვდი
რა ყოფილა,
რომ განმეორდა.
დაჩაგრავს ნეტა,
ამ ბიჭს ღმერთი?
ხვალ რა იქნება?
ვინ იცის, ეგებ ერთად გაუღოს
კარიც და გულიც –
მეზობლის გოგომ.

## გალაკტიონს

სულ მინდოდა ვყოფილიყავ, მეოცნებე, შენებრ ბავშვი,
სიზმარშიაც, სიზმარშიაც ვიყავ ლექსის შენებაში.
სულ მინდოდა, და როდესაც პოეზიის შეველ ბაღში,
რაც ვარდში და შროშანშია, ვპოვე იის მშვენებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემო ჯაფარიძე

## ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა

1

ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა — უნებლიეთ ხმამაღლა ვთქვი ფიქრით გადაღლილმა და დავარღვიე ჩემი ბინის სიჩუმე, რომელსაც ჩემი ნაბიჯების ხმა ან ჭიქის მაგიდაზე დადების, ან სკამის გადადგმის ხმები თუ არღვევდა ხანდახან. მარტო ვიყავი და მთელი დღეების განმავლობაში ვდუმდი. ამიტომაც გავამახვილე ყურადღება უნებურად ხმამაღლა წარმოთქმულ მოკლე წინადადებაზე. თამაშით და აგდებული გრძნობით შევათვალიერე იგი, მაგრამ მომეჩვენა, რომ კრიტიკას გაუძლო. რაღაც საყურადღებო დავლანდე მასში. ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა, ჩავთვალე, რომ ეს სამი სიტყვა ზუსტად და ლაკონურად გამოხატავდა ჩემს ანონიმურ მიკარგულობას. ისიც მომეჩვენა, რომ მხოლოდ ჩემს მდგომარეობას არ გამოსახავდა ეს მოკლე ფრაზა, თითოეული ადამიანის შინაგან სიმარტოვეს იტყობინებოდა თითქოს. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ანონიმი პირი ბევრი ადამიანის გარემოცვაში გრძნობდა სიმარტოვეს თუ ხალხისგან განცალკევებულად ყოფნის შემთხვევაში. ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა, იმაზე დავიწყე ფიქრი თუ ვის მივმართავდი ამ სამი სიტყვით. მილიონობით ადამიანს შორის მდგომარე წარმოვიდგინე ჩემი თავი და შევეცადე, გამერკვია, ვის ვუყურებდი ამ ფრაზის შინაარსის გამომხატველი თვალებით. კონკრეტული ვერავინ და ვერაფერი დავინახე. ამ განუსაზღვრელობამ, ე.ი, იმან, რომ არ ვიცოდი, ვის ვთხოვდი ყურადღებას, შემოქმედებითი ინტრიგა წარმოშვა ჩემში. მომინდა, რაღაც დამეწერა ამ სიტყვებით წარმოქმნილი თემის შესახებ. მოულოდნელად დავასკვენი, რომ ეს კოტიტა წინადადება უკვე დასრულებულ მხატვრულ ფორმას წარმოადგენდა. ირონიულად გავიფიქრე: "ლექსია თუ მოთხრობა შენი "ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა". ერთი-ორი სიტყვა მაინც დაუმატე, რომ რაღაცას დაემსგავსოს. ვთქვათ ასე: ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა მრავალთა შორის. არ ვარგა. რატომ მაინცდამაინც ჩემი გამოხედვა უნდა იქნას ალმოჩენილი. მილიონებიდან თითოეულის გამოხედვა უნდა იყოს შემჩნეული. ამაშია სირთულე. ჰო, მაგრამ მე ჩემსას ვითხოვ და, ჩემსას რომ ვითხოვ, ამით სხვისასაც ვითხოვ. არა, არ არის საჭირო "მრავალთა შორის". ისევ ასე სჯობს: "ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა". მერე და მერე სიტყვამ "გამოხედვამ" გამაღიზიანა. მომეჩვენა, რომ ზედმეტ მგრძნობელობას ქმნიდა. გადაჭარბებულად ემოციური თვალები დავინახე მასში. სხვა სიტყვის მოძებნის საჭიროება ვიგრძენი. ხან სული ვთქვი "გამოხედვის" ნაცვლად, ხან ბედი, ხან განწყობა, ხან გული და ბოლოს ასე გადავწყვიტე: თუ პირველად თქმულ ვარიანტს, ანუ პირველ სამ სიტყვას დავტოვებდი, "გამოხედვის" მგრძნობელობა გამართლებული და შესაფერისი იქნებოდა წინადადების კონტექსტისთვის, თუ "გამოხედვის" ნაცვლად "გულს" ჩავსვამდი, ტექსტი უნდა გაგრძელებულიყო დაახლოებით ასე:

*ალმოაჩინე ჩემი გული, გვერდს ნუ აუვლი,*
*ალმოაჩინე, შეამჩნიე, იპოვე იგი — და ა.შ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა, ეს ფრაზა სხვა აქცენტს იძენს მესამე სამყაროს განუვითარებელ ქვეყნად წოდებულ, დაქუცმაცებულ, არეულ-დარეულ, ღატაკ და შფოთიან საქართველოში. დგახარ ერთმანეთს გადამტერებულ და წაკიდებულ ქართველებს შორის და ამბობ: ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა. არ იცი, მიაღწევს თუ არა ეს თხოვნა იმ განუსაზღვრელ ფენომენამდე, რომელსაც მიმართავ. არ იცი, უსმენს თუ არა იგი არეულ და აუწყობელ საქართველოში მყოფ ადამიანს. ქართულ კულტურას და ენას უცხოეთში არავითარი სტატუსი და წონა არა აქვს. მსოფლიო ასპარეზზე ქართული გენია და სულიერი სისუფთავე თავისი რეალური სიდიდის მეათედი ხდება. იქნებ, ქართული სიტყვით ნათქვამი "ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა" არ მიდის ადრესატამდე და უაზრო ბგერების ჟღურტულივით ისმის ხილულ და უხილავ სამყაროებში. იქნებ, სამყაროს მხოლოდ წარმატებული და მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიმართვა ესმის. იქნებ, მცირერიცხოვანი ერის მსოფლიოსგან სრულიად იზოლირებული ენა ის ფორმა არ არის, რომლითაც სამყარო რამე შეტყობინებას მიიღებს. ვითომ ასეა? არეულ-დარეული, ჩამოუყალიბებელი და ღატაკი ქვეყნიდან გაუგებარი ენით გამოთქმული მიმართვა რამის:

ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა.

2

ადამიანის უფლებები, მისი რეალური რაობის გამომხატველი უკანონო, მაგრამ თანდაყოლილი თვისებების დაუწერელი "კოდექსის" მიხედვით.

მუხლი 97

ადამიანს აქვს უფლება, არ იცოდეს სამყაროს აგებულება და მასთან საუბრის ენა. აქვს უფლება, მგლის ყმუილის მსგავსი ბნელი მუდარით გახედოს სამყაროს და ჩათვალოს, რომ ესაუბრა მას. აქვს უფლება, მოულოდნელად და ყოვლად უმიზეზოდ შინაგანი ტკივილი იგრძნოს და, ამასთან, ცრემლიც მოადგეს თვალზე. იმის უფლებაც აქვს, არც იცოდეს, რა ემართება და ამის გამო სასიამოვნო უბედურების განცდა დაეუფლოს. იმის უფლებაც კი აქვს, რომ სულ ცოტა ხანში ასევე მოულოდნელად კარგ გუნებაზე დადგეს და სიცილი მოუნდეს, მხოლოდ მერე ასევე უმიზეზოდ და უნებლიეთ ნაცნობი ტიპის მოაგონდეს და მისთვის თავის გასრესა მოესურვოს, ამ იმპულსის შეეშინდეს და დამნაშავედ იგრძნოს თავი.

იმის უფლებაც აქვს, რომ არ იგრძნოს თავი დამნაშავედ. აქვს უფლება, გაიფიქროს: რა უაზრობაა ყველაფერი. მეორე წამში კი მოიწყინოს და უმისამართოდ თქვას: ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა.

3

ვერ მივაღწიე ისეთ დონეს, რომ წერა არ მიმაჩნდეს საჭიროდ. ეს გენიალური მდგომარეობა იქნებოდა. სადად, ამპარტავნული ვნებების გარეშე ვიცხოვრებდი. ამინდების მიხედვით ვისულდგმულებდი. ყოფიერების უბრალო და უმნიშვნელო წვრილმანებს დიდი ამბებივით აღვიქვამდი. ჯერ კიდევ გუშინ და იმის წინ ორი თვის განმავლობაში მეგონა, რომ მივაღწიე სულიერ სიმშვიდეს. თურმე უბრალოდ დაღლილი ვყოფილვარ და ვისვენებდი. ასე გამოვიდა, რადგან ერთი პატარა ფრაზა, კერძოდ, "ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა", საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ შემოქმედებითი შფოთი დამბრუნებოდა. რატომ მიმიზიდა ამ მოკლე გამოთქმაში გამოხატულმა ადამიანის მიკარგულობამ. დიდი ხანია, ცნობილია, რომ ადამიანი უპატრონო არსებაა. უპატრონოა ყოფიერების წინააღმდეგობრიობათა წინაშე, სიკვდილის წინაშე, თავისივე შინაგანი სამყაროს მტკივნეული სირთულეების და ბუნდოვანებების წინაშე, ცისა და ღმერთის მიუწვდომელი ქცევებისა და წყობის წინაშე. რა შეიცვლება იმით თუ ადამიანი ამ სამ საცოდავ სიტყვას იტყვის: ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა. არ ვიცი, რა შეიცვლება და რა არ შეიცვლება, მაგრამ ვიცი, რომ მინდა ამ სიტყვების თქმა. მსიამოვნებს ადამიანის მიკარგულობის სინანულის ფორმით გამოხატვა. ამ წუთში ვინმემ რომ მითხრას, წერის მოთხოვნილება სახელის მოხვეჭის ამპარტავნული იმპულსიდან მოდისო, კატეგორიულად არ დავეთანხმები. სახელი და ამპარტავნება შემოქმედების სოციალური ზედაპირია. აქ ურფო იდუმალი ამბები უნდა იყოს დაფარული. მთვარი, მგონი, ის უნდა იყოს, რომ შემოქმედების პირველადი საწყისი ტალანტია და ტალანტს არა აქვს უფლება, ინფორმაციას არ იწოდებოდეს თავისი ენერგიის და აზრის შესახებ. ჰო, მაგრამ რა იცი, რომ შენი "ალმოაჩინე ჩემი გამოხედვა" მაინცდამაინც ნიჭიდან მოდის. ეგ არ ვიცი, მაგრამ ვნახოოთ. ამჟამად წამყვანი მნიშვნელობა იმას გააჩნია, რომ ამ სამ სიტყვაში მრავალმნიშვნელოვანი სიმღერა, ანუ ღია განცდა ისმის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ანონიმურმა მიკარგულობამ და მის მიერ ბნელიდან ნათელი გამოსავალის ძიებამ ფორმა, ანუ მხატვრული გახსნილობა იპოვა.

4

ადამიანის უფლებები მისი რეალური რაობის გამომხატველი უკანონო, მაგრამ თანდაყოლილი თვისებების დაუწერელი "კოდექსის" მიხედვით.

მუხლი 209

ადამიანს აქვს უფლება, იყოს ჭკუანაკლული და ბნელი, უნიჭო და განუვითარებელი, არაფრის გამკეთებელი და სულელურად მშვიდი. მას აქვს უფლება, არ ჰქონდეს არავითარი იდეები და დიდი მიზნები. მას სრული უფლება აქვს, არ აწუხებდეს, სული აქვს თუ არა, არ აინტერესებდეს, რატომ გაჩნდა და არ ენაღვლებოდეს ზოგადად ადამიანის შეჭირვებულობა. იგი უფლებამოსილია, ხარობდეს და კმაყოფილდებოდეს ელემენტარული ფიზიოლოგიური სიამოვნებებით, თმა ებურძგლებოდეს ფანტასტიკური არადამაჯერებელი ჭორების დაჯერების გამო და ჭკვიანი საუბრის გაგონების დროს ეგრევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძინებოდეს ტკბილად. ამასთანავე, ადამიანს იმის უფლებაც აქვს, რომ ბევრს ფაფხურობდეს შემოქმედებითად, ნიჭიერი ეგონოს თავისი თავი, წარმატებასაც აღწევდეს ტელეეკრანზე ხშირად გამოჩენის საშუალებით, მაგრამ სინამდვილეში უნიჭო იყოს. იმის უფლებაც აქვს, რომ თავისი ფუჭი და დროებითი პოპულარობით დაიმედებული ზემოდან უყურებდეს ჩრდილში და თავისთვის მყოფ ჭეშმარიტად ნიჭიერ ხელოვანს. იშვიათ შემთხვევაში ზოგ ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ უაღრესად ნიჭიერი იყოს, მაგრამ ძნელად განსახორციელებელ ამოცანებს ისახავდეს და ამის გამო უნიჭო ეგონოს თავისი თავი.

5

ადამიანი არასდროს არა გრძნობს თავს კარგად. ყოველთვის რაღაცა სჭირს. არ არსებობისთვის ბრძოლით არის გატაცებული და ავად იღრინება. ან კიდე სულიერად შეჭირვებული ცხოვრების თანამედროვე ფორმებში ღმერთის ახალ მინიშნებებს ეძებს. ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. ამაოდ შვრება. მოკლედ, ადამიანს სულ რაღაც სტკივა, სულ რაღაც აწუხებს, სულ რაღაც ვერ გაუგია. სულ რაღაც აკლია. ყოველთვის უკმყოფილოა იგი, ყოველთვის ჭირვეულობს, ყოველთვის მეტს ეპოტინება, ვიდრე აქვს. რა კარგები არიან მგლები! იციან, რა უნდათ. რა კარგები არიან ირმები! იციან, რა უნდათ. ერთადერთი ადამიანია, ვინაც არ იცის, რა უნდა. ანგელოსურ საწყისს ეძებს თავის თავში და უცნობ დანაშაულებრივ თავის თავს პოულობს. — ფიქრობს გამვლელი, რომელსაც ადამიანებზე მეტად ცხოველები უყვარს. ათონელის ქუაზე მიდის ნელ-ნელა.

6

მწერალი, რომელიც აღარ წერს, თავის პატარა ოთახში ფანჯარასთან ზის, უაზროდ იყურება ქუჩაში და ფიქრობს: "რა ძნელია ადამიანთან საუბარი. იმის მაგივრად, რომ მოგისმინოს და გაგიგოს, თავისას მირეკავს. რა ძნელი შესაცნობია ადამიანი, გუშინ სხვა იდეალი ჰქონდა, დღეს სხვა იდეალი აქვს. ყოველთვის იცვლება, ძალიან უპრინციპოა. ვერ დაეყრდნობი. დღეს შენთან მეგობრობს, ხვალ ზურგს შეგაქცევს, გაგყიდის, გიღალატებს, სულ სხვა უცხოებს დაუმეგობრდება.

რა ძნელი ასატანია ადამიანი, ყოველთვის შენგან განსხვავებული განწყობა აქვს. შენ რომ მშვიდად ხარ, ის გაუგებარი მიზეზის გამო ნერვიულობს. იდიოტური ფორმებით გამოხატავს ნერვიულობას. გიჟივით იქცევა. როცა შენ რაღაც განუხებს, ის მხიარულობს, უსტვენს ან ყოვლად უმიზეზოდ იკრიჭება. გარდა ამისა, სულ მიზეზობს, ჭირვეულობს, ის არ აწყობს, რაც ახლა აქვს, რაღაც სხვა უნდა, მაგრამ კერძოდ რა უნდა, თვითონ არ იცის. სულ რაღაცის ეშინია. ძრწოლით შეპყრობილი განუწყვეტლივ ეჭვობს, ვერ დაუდგენია, გონებით უნდა იცხოვროს თუ ინსტინქტებით. რა ძნელია ადამიანის ნდობა. რა ძნელია ადამიანის სიყვარული. რა ძნელია ადამიანის თანაგრძნობა, ბოროტად იყენებს, რომ ზრუნავ მასზე, ჭირვეულობს, გაწვალებს. სულ რაღაც ტკივა, სულ ეჩვენება, რომ მალე მოკვდება და ყველაფერი დამთავრდება. ძალიან ბევრ ყურადღებას უთმობს იმას, რომ უნდა მოკვდეს.

7

"ალმოაჩინე ჩემი გული." — აბსოლუტურად არაცნობიერად გაიფიქრა მუშაობით გადაღლილმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც თავის ოთახში იჯდა ტახტზე. მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა, მოეწესრიგებინა თავისი შეთხზული მელოდია, რომელზეც უკვე ერთი კვირა იყო, რაც უშედეგოდ იმუშავა. რთული მელოდია გამოდგა. განუსაზღვრელი ანდამატი რომ არ ჰქონოდა, თავს მიანებებდა, მაგრამ ვერაფრით თმობდა მელოდიის ღრმა განწყობის მქონე ანდამატს. ახლა გიტარა მუხლებზე ედო. ხელები გიტარაზე ჩამოეწყო და იატაკს დასცქეროდა. "ალმოაჩინე გული ჩემი" — ეს სიტყვები კი არ გაიფიქრა, არამედ იგრძნო. უფრო სწორად, ასეთი შინაგანი მდგომარეობა ჰქონდა, უკვე დიდი ხანია, მისი შინაგანი სამყარო ამ სიტყვებს ამბობდა რომელიღაც აბსტრაქტული და განუსაზღვრელი მოვლენის მისამართით. შეიძლება, არც არაფრისადმი და არც არავისადმი იყო ეს ჩუმი მიმართვა. ე.ი., უბრალოდ მიმართვა იყო. შეიძლება სიცოცხლის ძალისადმი ან სულაც საკუთარი თავისადმი იყო წარმოთქმული "ალმოაჩინე გული ჩემი." გულიც რაღაცნაირ ბუნდოვან დატვირთვას იძენდა. გაუგებარი იყო, გული კერძოდ გულს ნიშნავდა, სიცოცხლეს, პიროვნებას თუ ბედს. იქნებ, სამყაროს მოუსვენარ დინამიკაში მონაწილეობის უფლებასაც ან, უბრალოდ, სიმარტოვიდან გამოსავალს. ისიც გაუგებარი იყო, თხოვნას გამოსახავდა ეს გაუცნობიერებელი შინაგანი ხმა თუ ზოგად ამოოხვრას. იმ წუთებში ვინმეს მისი თანდასწრებით ხმამღლა რომ ეთქვა "ალმოაჩინე ჩემი გული", გიტარისტი ისე აღიქვამდა ამ სიტყვებს, თითქოს ძალიან ნაცნობი რამ ესმოდა, მაგრამ საკუთარ სიტყვებად არ მიიჩნევდა. მოეჩვენებოდა, რომ ეს სიტყვები თითოეული ადამიანისთვის თავისი იყო.

8

შუახნის მღვდელი, რომელიც ყოველივე გარეგნულში და შინაგანში ღვთის ნიშანს ეძებს, ბელინსკის ქუჩის აღმართზე ადის ნელ-ნელა. გრძნობს, რომ ბევრი ფიქრი რწმენას აშორებს. არ გაუკვირდა, როცა არამორწმუნეობრივი აზრი მოუვიდა თავში: "იმ შემთხვევაშიც კი, როცა გეჩვენება, რომ არავითარი საიქიო, ღვთის სასუფეველი და ყოფიერებაში ღვთის იდუმალი გამოვლინების ნიშნები არ არსებობს და მაინც ჯიუტად ქექავ ნიშანთა წარმოსახვით პოტენციებს, როცა არ იცი, შენი სიჯიუტე სირეგვენეა თუ უკომპრომისო ძიება, — არაცნობიერ შეჭირვებულ სიხარულს განიცდი სიჯიუტის ხალისიანი ენერგიის გამო. არც ისე ურწმუნო აზრია. არა, ეს რწმენა არ არის, ეს სულიერი კრიზისიდან გამოსავალის ძიებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9

"რა კარგები არიან ძაღლები: სიყვარული იციან. რა კარგები არიან მერცხლები: სიხარული იციან. რა ბნელი და მოუმთავრებელი არსებაა ადამიანი". ფიქრობს კაცი, რომელსაც ცხოველები უფრო უყვარს, ვიდრე ადამიანი. იგი თვლის, რომ საიქიოში ადამიანებს უთუოდ მოეკითხებათ, როგორ ექცეოდნენ ცხოველებს ამქვეყნად.

10

*კარგი რამე თუ არ მოხდა, ცუდი რამე მოხდება:*
*თბილისის ბნელ ხვრელებიდან გველი ამოხოხდება.*
*ყველას დაკბენს და დაგესლავს, ყველა უცებ მოკვდება.*
*მტერი კაციც, ჭკვიანიც და კარგი კიკოც "კოკდება".*

ამ სიტყვებს ყოვლად უსმენოდ, აუწყობელი მელოდიით და თითქმის უპაუზოდ მღერის სადგურის გარებაზრობაზე ყველა მოვაჭრესთვის ცნობილი დებილი ვაჟი სახელად კიკო.

— რას დაგვჩხავი, ბიჭო. წადი აქედან. გამომივიდა ესეც წინასწარმეტყველი! — შეჰყვირა კიკოს სიგარეტების, სალეჭი რეზინების და კოკა-კოლას გამყიდველმა. კიკო ბუნძულით გასცილდა იქაურობას, დახლებს შორის მიმომავალ ხალხს შეერია. კვერცხისებურ სახეზე და მაღლივად წაგრძელებულ თავზე ეტყობა, რომ ჭკუასუსტია. ცივა, მაგრამ შალიფად აცვია. პატარა მოედანზე გავიდა და მზესუმზირის გამყიდველ სქელ დედაკაცს მოკრა თვალი. ეს ქალი ახლა ხუთჯვრიან დროშებს ყიდდა. რამდენიმე დღის წინ მხოლოდ მზესუმზირით და სიგარეტით ვაჭრობდა. რუსთაველის პროსპექტზე საპროტესტო აქციები როცა თანდათან გამწვავდა, უმალ იგრძნო დროის ცვლილება, ბაზრობიდან გაქრა და ახლა სხვადასხვა ზომის ხუთჯვრიანი დროშებით გამოცხადდა. გარემოვაჭრეებმა ჯერ დასცინეს, მაგრამ მერე, როცა დაინახეს, რომ დროშები იყიდებოდა, გაყუჩდნენ. ჭკვიანურ ბიზნესადაც ჩაუთვალეს დროშების შეკერვა. კიკომ დედაკაცთან მიირბინა და შეჰღრიჯა:

— ელიკო, მომე ერთი დროშა, რა!

— გამომივიდა ესეც რევოლუციონერი! აბა, აქედან დამეკარგე! დროშა შენ მზესუმზირა ხომ არა გგონია.

— მომე რა, მომე რა! ნახე, რა ლამაზია!

უზარმაზარ მკერდიანი ელიკო მიხვდა, რომ კიკო არ შეეშვებოდა და უთხრა:

— იმღერე შენი ლექსები და მოგცემ.

კიკოც ყოვლად აბდაუბდურად და ჩქარი რიტმით ამღერდა:

*კარგი რამე თუ არ მოხდა, ცუდი რამე მოხდება,*
*თბილისის ბნელ ხვრელებიდან ცოფი ამობობღდება.*
*ყველას ტვინში შეუძვრება, გულში ჩაუხოხდება.*
*ყველას ცოფი მოერევა, ყველა გაბოროტდება.*

— არა, მაგაში დროშას ვერ მიიღებ. რამე მხიარული იმღერე.

— ეი, კიკო, აჩვენე, გოგოები სად გიყვარს და მოგცემს. — გამოსძახა კიკოს იქვე, დახლთან მდგომმა კაცმა, რომელიც იატაკის ჯოხებს, ქვასანაყებს და ცოცხებს ყიდდა. კიკომაც იმწამშივე სარცხვინელზე წაივლო ხელი შარვლის ხვანჯრის ზემოდან და ელიკოს უთხრა უსუფთავესი, კამკამა გამომეტყველებით:

— აი, აქ მიყვარხარ, ელიკო, მომე რა!

— უ, შე გათახსირებულო, შენა. ახლავე მომწყდი თავიდან. — მაგრამ ელიკო ვერ გაბრაზდა. სიცილი წასკდა. დიდი მკერდი აუთუხთუხდა.

— აგე, ხომ ხედავ, ესიამოვნა. — გამოსძახა კიკოს ისევ იმ კაცმა.

— მომე რა, ელიკო, მომე რა!

— მხიარულ სიმღერას როცა იმღერებ, მერე ვილაპარაკოთ.

*ცუდი რამე თუ არ მოხდა, რაღაც კარგი მოხდება*
*ღვთის სახიდან მოღიმარი სიხარული მოწყდება,*
*ყველა დუხჭირს მოწვდება და სულში ჩაუცოცდება,*
*ყველა ყველას ჩაეხვევა, ყველა გამოცოცხლდება.*

— ჰოო, ეგრე, კარგი ბიჭი ხარ! — ელიკომ ყველაზე დიდი ზომის დროშა გაუწოდა კიკოს. ამ ზომის დროშა არც ერთი არ გაიყიდა. — აჰა, გამომართვი. მხოლოდ იცოდე, უკან უნდა დამიბრუნო. აფრიალე და, როცა დაიღლები, მომეცი. გაიგე, რას გეუბნები?!

კიკომ დროშა გამოართვა, ააფრიალა და ადგილიდან მოწყდა. დახლებს შორის მოსიარულე ხალხში დაძვრებოდა და აფრიალებდა დროშას.

— კიკო, შე რევოლუციონერო, შენა! — მიაძახა ვილაცამ.

11

ადამიანის უფლებები მისი რეალური რაობის გამომხატველი უკანონო, მაგრამ თანდაყოლილი თვისებების დაუწერელი "კოდექსის" მიხედვით.

მუხლი 107

ადამიანს აქვს უფლება, იყოს ჩამოუყალიბებელი, თვითვერშემცნობი და განუსაზღვრელად ცვალებადი "მე"-ს მქონე არსება, რადგან ადამიანი მოუმთავრებელი სულდგმულია, მას უფლება აქვს, ბევრი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეთხოვებოდეს. მაგალითად, სრულიად დასაშვებია, რომ მას ჭკუა სავსებით არ მოეკითხებოდეს. ე.ი., ადამიანს უეჭველი უფლება აქვს, იყო სულელი, გაოგნებული და ზედმიწევნით ქარაფშუტა. უფლება აქვს, მუდამ სულელურ შეცდომებს სჩადიოდეს. მაგალითად, მოწყენილობის განსაქარვებლად ომს იწყებდეს ან თავისი აგრესიულობის გამოსავლინებლად სამართლიანობის და ხალხის სიყვარულის იდეებით შენიღბულ დებოშებს აწყობდეს. ამასთანავე, იმის უფლებაც აქვს, რომ უტიფარი იყოს და თავის სულელურ შეცდომებს გმირობას უწოდებდეს. ადამიანს, აგრეთვე, აქვს უფლება, იყოს ნაძირალა და სხვა ადამიანებს არ პატიობდეს იგივე ნაძირლურ შეცდომებს, რომლების მსგავსსაც თვითონაც სჩადის. მას აქვს უფლება, ჩაახშოს და არ გამოიყენოს შენანიების, თანაგრძნობის და შენდობის უნარები. ასევე აქვს უფლება, გამხეცდეს, გაპირუტყვდეს, ძალაუფლება გამოიყენოს და დაუცველი ადამიანების სასტიკი დასჯით ილუზია შეიქმნას, რომ სამართლიანობას ემსახურება. ადამიანს აქვს უფლება, მხოლოდ სხვა ადამიანის ნაკლოვანებებს ამჩნევდეს და ვერაფრით ხედავდეს საკუთარ ნაკლოვანებებს. მას უფლება აქვს, სძულდეს ყველა, ვინც მის შეხედულებებს არ იზიარებს.

12

ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავის შეთხზულ მელოდიაზე მუშაობდა, უფროსი ძმა საყვედურობს:

— ვერ გავიგე, რა ტიპი ხარ. მთელი დღეები ზიხარ და გიტარას აჩხაკუნებ. ნუთუ არ გაინტერესებს, მიტინგზე რა ხდება. ერთხელ მაინც არ მოგინდა იქ მოსვლა?

— მე ჩემი საქმე მაინტერესებს.

— რა საქმეა, გიტარა და ლექსები?

— დიახაც.

— იცი, რა სახეები აქვთ! გუშინ 50 ათასი კაცი იქნებოდა თავშეყრილი. დღეს უფრო მეტნი იქნებიან.

— არ მაინტერესებს ბრბოს ყურება. და საერთოდ, ცალკეული ადამიანის სამყარო უფრო მაინტერესებს, ვიდრე ბრბოს აგრესიული ვნებები.

გაუგებარი ტიპი ხარ. ყოველთვის უცხო იყავი ჩვენს ოჯახში. — ძმა გაბრაზებული მანერით გავიდა ოთახიდან.

რამდენიმე წუთში სახლიდანაც წავიდა.

თავის ოთახში დარჩენილმა ახალგაზრდა კაცმა უსაშველო სიმარტოვე იგრძნო. თავისი ოთახიც კი უცხო და მიუსაფარ სივრცედ მოეჩვენა. ისეთი განწყობა შეექმნა, თითქოს ვერავინ ვერასდროს ვერ გაუგებდა. ტახტზე მიწვა და ფანჯარას მიაშტერდა. ფანჯარაში ბნელ ცაზე ვარსკვლავები ბჟუტავდნენ. "ალმოაჩინე ჩემი გული" — თქვა მოულოდნელად მან, მაგრამ ყურადღება არ გაუმახვილებია ამ უნებურად და ინსტინქტურად ნათქვამ სიტყვებზე. მხოლოდ მერე მიაქცია მათ ყურადღება, როცა გიტარა აილო და მუშაობა განაგრძო. გიტარის ხელში აღების მომენტში კვლავ ინსტინქტურად გაიმეორა: ალმოაჩინე ჩემი გული. მერე შეგნებულად გაიმეორა ეს სიტყვები რამდენჯერმე. "მგონი, ჩავავლე სიტყვებს, რომლებიც მელოდიას მოუხდება" გაიფიქრა მან და გიტარა ააჟღერა. გასინჯა, რამდენად მოერგებოდა მელოდიის განწყობას სიტყვები "ალმოაჩინე ჩემი გული." აენთო, როცა იგრძნო, რომ სრული თანხვედრა მოხდა, "მერე? მხოლოდ ეს სიტყვები არ ეყოფა. იქნებ, ასე გაგრძელდეს: "ალმოაჩინე ჩემი გული, გვერდს ნუ აუვლი". კიდევ და კიდევ იმეორებდა ამ სიტყვებს. მერე აზრი მოუვიდა: ქალისადმი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მიმართული ეს სიტყვები. ეს უნდა იყოს ყველაფრისადმი და არაფრისადმი მიმართვა. აბსტრაქტული, უმისამართო მიმართვა უნდა იყოს. დიდი ძალისხმევით ამოყვირებასავით უნდა იყოს, რომლითაც ადამიანი ცდილობს, რომ ამცნოს, რომ იგი ტყუილად არ არსებობს. ვის უნდა ამცნოს? სამყაროს? მაღალფარდოვანია. იქნებ ღმერთს? მაღალფარდოვანია. სამყაროს, ღმერთს, ადამიანებს, ქალს, ყველაფერს ერთად და არაფერს კონკრეტულად. ჰო, მაგრამ როგორ გავაკეთო, რომ ასეთი უმისამართო მიმართვა იგრძნობოდეს. "ალმოაჩინე ჩემი გული, მას რაღაც უჭირს." ეს მგონი არ უნდა იყოს ცუდი. მიდი, იმუშავე. გავკარი პოლიტიკას.

13

კიკო კვლავ ბაზრობის ტერიტორიაზე დაძრწის და ხუთჯერიან დროშას აფრიალებს.

— ეი, კიკო, ვაშლი გინდა? — გასძახა ვაშლით მოვაჭრე ჩია ტანის ვაჟმა.

— მინდა.

— მითხარი, სად გიყვარს გოგოები და მოგცემ.

— აი, აქ მიყვარს. — კიკომ შარვლის ხვანჯარზე წაივლო ხელი. მოვაჭრეებმა გაიცინეს.

— უ, შე გაფუჭებულო შენა. აჰა, გამომართვი. — მოვაჭრემ სიცილ-სიცილით გაუწოდა ვაშლი კიკოს.

კიკომ მიირბინა და ვაშლი გამოართვა. მოვაჭრემ უთხრა:

— ახლა ლექსიც თქვი.

კიკო ამღერდა:

*ვინაც ობლებს აწყენინებს, იგი სასჯელს დაიმტყამს,*
*ან აგური დაეცემა, ან მანქანა გაიტანს.*

კიკო გაიქცა. დროშა ააფრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14
მწერალი, რომელიც ველარ წერს, თავისი ოთახის ფანჯარასთან ზის ისევ. შორი მთის ფერდზე ხეებს შორის მიმალული სოფლური სახლების პატარა ფრაგმენტებს უყურებს ჩამქრალი თვალებით. ფიქრობს: "რა ჩუმია სივრცე. რა ჩუმია სიშორე. რა შორს ვარ ახლა. რისგან? ყველაფრისგან. რაღაცნაირი გაურკვეველი სიშორე დასადგურდა ჩემში და დუმს. რატომ წარმოუდგენია ადამიანს სიჩუმე სივრცობრივ რაიმედ. იქნებ იმიტომ, რომ დიდი სიშორეებით აგებული სამყარო დუმს. ერთია არარსებული საგნის სიჩუმე და მეორეა არსებული საგნის სიჩუმე. სულ სხვა არის სულის დუმილი, არსებული საგნის სიჩუმეში ადამიანი რაღაც აზრს გულისხმობს, საიდუმლო აზრით სავსე ეჩვენება ადამიანს არსებული სამყაროს სიჩუმე. რატომ? იქნებ, სიჩუმე უბრალოდ არაფერს ნიშნავს. რაებზე ფიქრობ, სულ გამოთაყვანდი უსაქმურობისგან. მაგრამ სამყაროდან ყველა საგანი რომ გაქრეს და სრული სიჩუმე რომ დამყარდება, იქნება თუ არა ის სიჩუმე თავისთავად რაიმე, ანუ მეტავირტუალური საგანი. სამყაროდან ყველა საგანი რომ გაქრეს, იქნება თუ არა თვითონ სივრცე რაიმე. ეგ იგივეა, რომ იკითხო: სიცარიელე, ანუ არაფერი საგანია თუ არაფერი. ვითომ არაფერშია სამყაროს ერთმანეთს დაცილებული მილიარდობით საგანი მოთავსებული? ვარსკვლავები არაფერში იმყოფებიან? რა ჩუმია არაფერი! მაგრამ რატომ იქცა იგი საგნებს შორის დაცილებად. რადგან დაცილებაა, ე.ი., მანძილია. რადგან მანძილია ე.ი. სივრცეა. რა ჩუმია მანძილი ჩემსა და ღმერთს შორის. სად არის ღმერთი. რაში ვლინდება იგი ამ თვალმიუწვდენელ სამყაროში. რომელი სუბიექტური მოვლენა ფიქრობს ადამიანის გონების გარდა ღმერთზე. ექნებოდა თუ არა ადამიანს ღმერთის საიდუმლო განცდა, გონება რომ არ ჰქონებოდა და მხოლოდ ინსტინქტები და გრძნობები ჰქონებოდა. წამოიჭრებოდა თუ არა ღმერთის საკითხი ადამიანში, მხოლოდ ინსტინქტების და გრძნობების დონეზე რომ ჰქონოდა სამყაროს აღქმა. რწმენა გონებით მართული გრძნობის შედეგია თუ მხოლოდ გრძნობის. თუ სამყარო ღმერთის გამოვლინებაა, რატომ არ აღიქვამს ადამიანის გონება სამყაროს ღმერთის უეჭველ ნიშნად. რატომ შეუძლია ადამიანის გონებას, ღმერთისგან დამოუკიდებლად არსებულ მოვლენად განიხილოს სამყარო. რატომ აღიქვამს ადამიანის გონება სამყაროს, როგორც ბრმა სტიქიას, როგორც შეუგნებლად მოწესრიგებულ ბუნებას და რატომ ეძებს ადამიანის გონება ღვთის ნიშნებს სამყაროს სავსებით განსაკუთრებულ კანონებში თუ ნიშნებში, აუხსნელ, ანუ სასწაულებრივ ნიშნებში. იქნებ, ადამიანის გონებაა ღმერთის ყველაზე რეალური ნიშანი. მაგრამ რატომ ძალუძს მაშინ გონებას რელიგიური განცდის სრული უარყოფა. მაშინ სად არის, რა ფორმით ვლინდება ღმერთი ადამიანის არსებაში და ყოფიერებაში. იესო ნაზარეველი ამბობს, რომ სიყვარულის და შენანების ფორმებში ვლინდება ადამიანისთვის ღმერთი.

15
მუხლი 977
ადამიანს უფლება აქვს, არ სწამდეს ღმერთი, არ ეძებდეს სამყაროსთან თავის დაფარულ და დაუფარავ კავშირებს და ერთიანობას. მას უფლება აქვს, პირუტყვული აზარტით იბრძოლოს საშოვარისთვის და არსებობისთვის და ბრძოლის საშუალებების ხრიკებით განსაზღვროს თავისი არსებობის მიზეზი და მიზანი.

16
გიტარისტი განაგრძობს თავისი შეთხზული მელოდიისთვის სიტყვების შერჩევას. თითოეულ ახალ წინადადებას ქაღალდზე წერს. მერე ტექსტს ხვეწს. ზოგ გამოთქმას და ფრაზას უარყოფს, ზოგ სტრიქონს გადააკეთებს, ზოგს გადაადგილებს. საბოლოოდ გადაწყვეტს, ტექსტი თეთრი ლექსის პრინციპითააწყოს. მელოდიის განუწყვეტელი მუდამ ცვალებადი ხაზი რითმულ განმეორადობას ვერ მიიღებს, ჰგონია. თითქმის სამი სტროფი უგროვდება:

*ამოაჩინე ჩემი გული,*
*მას რაღაც უჭირს.*
*ამოაჩინე ჩემი გული,*
*გვერდს ნუ აუვლი.*

*ამოაჩინე ჩემი გული ყველა რთულ დროში,*
*ყველა უკუღმართ და უსხივო ვითარებაში,*
*წვიმაში, ქარში, მიუსაფარ დევნილობაში,*
*ტუსაღობაში, გასაჭირში, სიმარტოვეში.*

*ამოაჩინე ჩემი გული ხალხთა გნიასში,*
*მითქმა-მოთქმებში მიჩქმალული რომც იყოს იგი.*

*ამოაჩინე ჩემი გული მრავალთა შორის,*
*დიდ ქალაქებში, მიყრუებულ დამპალ უბნებში.*
*ვიწრო ქუჩებში, უმნიშვნელო მიკარგულ გზებზე*
*ყოვლად ღარიბულ კაფეებში ან სარდაფებში,*
*ან ბნელ ოთახში შეყუჟული რომც იყოს იგი.*
*ამოაჩინე ჩემი გული, ნუ გამოტოვებ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

"მგონი, ზედმეტად სერიოზული ლექსი გამოდის სიმღერისთვის. მაგრამ მსუბუქი ტექსტი არ მომეწონებოდა. მელოდიის ხასიათი, მისი განწყობა და რიტმი უკანალის თამაშით ცეკვისთვის არ არის მიმართული. და მაინც, კარგი იქნება, თუ ტექსტი მძიმე არ გამოვა. მეორე მხრივ, რამდენად შესაძლებელია, დღევანდელ მოუწყობელ საქართველოში მსუბუქი და ზერელე განწყობა გააჩნდეს ხელოვანს. "ალმოაჩინე ჩემი გული", ეს სიტყვები საქართველომ რომ იმღეროს, ალბათ, ზუსტად გამოხატავს თავის სასოწარკვეთილ მდგომარეობას. ვერა და ვერ ეღირსა ეს პატარა, უბედური ქვეყანა თავისუფლებას. ახლა ამერიკა და რუსეთი ათამაშებს პამპულასავით მის სახელმწიფოებრიობას. ვინ არის სოროსი. რა უნდა ჩვენგან. მაინც პოლიტიკაზე დავიწყე ფიქრი. ფუ, ამის ყოფა ვატირე." — ფიქრობს გიტარისტი. "არა, პოლიტიკას არავითარი ადგილი არა აქვს ტექსტში. მასში უფრო ოცდამეერთე საუკუნის თავგზააბნეული ანონიმის მდგომარეობაა გამოხატული. თუმცა ტექსტში გამოსახული შეჭირვება განუსაზღვრელი და მრავალმნიშვნელადია".

17

მუხლი 707

ადამიანს უფლება აქვს, ხელი ჩაიქნიოს გაუთავებელი შიდა წინააღმდეგობრიობით და დამანგრეველი დაპირისპირებებით დაუძლურებულ საქართველოზე. მას უფლება აქვს, გაიქცეს მუდამ მოუწყობელი საქართველოდან. მაგრამ იმის უფლებაც აქვს, რომ გული ჩაეგლიჯოს საქართველოზე დარდისგან. აქვს იმის უფლებაც, რომ ქრონიკული ნევროზი ჩამოუყალიბდეს საქართველოს უბედურებების გამო და ამ ნევროზს სხვადასხვა ფორმებით გამოხატავდეს, ვთქვათ, სულელურად ლაღი და მხიარული ადამიანების გარემოცვაში ალმოჩენილს აგრესიული სარკაზმის გამოხატვა ან რაიმეს დამტვრევა უნდებოდეს.

18

მწერალი, რომელიც აღარ წერს, განაგრძობს ფიქრს: "გამოდის, რომ პლანეტები არაფერშია მოთავსებული. ყველაზე რთული ასახსნელი სწორედ ეს არაფერია, რომელიც იმის შემდეგ, რაც მასში ვარსკვლავები გაჩნდნენ, მანძილებად იქცნენ, ე.ი., რაიმედ იქცნენ, სივრცედ იქცნენ. რაღაც გაურკვეველი მოვლენის აფეთქების შედეგად სამყაროს წარმოშობის თეორიის მიხედვით ყველა ვარსკვლავის მიღმა მყოფი არაფერი მხოლოდ არაფერია. იგი არაფერსა და არაფერს შორის მყოფი არაფერია. ასეა ვითომ? უფრო სწორი იქნება, თუ ასე იტყვი: სამყაროსა და სამყაროს მიღმა არარსებას შორის მყოფი არაფერი სამყაროს აქეთ რამეა და მანძილებს წარმოადგენს, სამყაროს იქით კი არარაიმეა და არაფერს წარმოადგენს. რაღაც ვერ გამოდის სწორად. როგორ შეიძლება, არაფერი ბოლო ვარსკვლავის აქეთ სივრცე იყოს და ეს სივრცე იგივე ბოლო პლანეტის იქით არასივრცედ, ანუ არარად იქცეს. სადმე თუ სივრცეა, როგორ შეიძლება უსასრულოდ არ გრძელდებოდეს და მოულოდნელად სადღაც წყდებოდეს. ე.ი., იმის იქით აღარ იყოს. თუ არაფერი რაიმე, ანუ სივრცე არ არის, საგნები ვერ განთავსდება მასში. სულში თუ ცხოვრების, ინსტინქტების, გრძნობების შთაბეჭდილებებს მოათავსებ, რაიმედ იქცევა. შთაბეჭდილებებს მოათავსებ თუ ბედის შინაარსს? სულში საგანი ვერ მოთავსდება. სულში მხოლოდ საგანთა და მოვლენათა შინაარსი მოთავსდება. შინაარსი რაიმეა, მაგრამ არ ჩანს, არაფერივით არის.

რა ჩუმია სული. რა ჩუმია სამყაროს შინაარსი. რა ჩუმია სიკვდილზე ფიქრი. რა ჩუმია იმ აზრთან შეგუება, რომ უნდა მოკვდე. რა ჩუმია არარსებული საგანი. რა ცხადია სამყარო და რა იდუმალია მასში ღვთის გამოვლინების ნიშნები. რა ხმაურაა ყოფიერება და რა ჩუმი და შეუმჩნეველია მასში ღვთის გამოვლინების ნიშნები. და მაინც სამყაროში ჯერჯერობით არ არის ალმოჩენილი რაიმე მოვლენა, რომელსაც ადამიანის გონების მსგავსად აინტერესებდეს ღმერთის რაობა. ჯერჯერობით ადამიანის გონება ერთადერთია, რომელიც ღმერთს ეძებს. იგი მარტოა ღმერთზე ფიქრში.

რა განსხვავებაა მიცვალებულის სიჩუმესა და არარსებული საგნის უხმობას შორის. რა განსხვავებაა მიცვალებულის უხმობასა და სულის მდუმარებას შორის. სულის მდუმარება ცოცხალ სიჩუმეს გულისხმობს და გეჩვენება, რომ რაღაცნაირად მაინც მოისმის მისი არსებობა. ჩემი გარდაცვლილი ახლობლის სულის სიჩუმე მოისმის. სწორია ეს გამოთქმა? სამყაროს შინაარსი ყველაზე წვრილმანი ეპიზოდის ჩათვლით, ყველა მყისიერი შემთხვევითობის ჩათვლით ცოცხლად დუმს და განუსაზღვრელად მოისმის. სად მიდის ცალკეული ადამიანის ცხოვრების უხილავი შინაარსი სიკვდილის შემდეგ. იფანტება და იშლება თუ კონკრეტულ ბედად შეკრული რჩება?

სად იჩენს თავს ღვთის გამოვლინება. სახარება სიტყვით დაიწერა. ადამიანი სიტყვით, ანუ აზროვნებით ეძებს ღმერთს. მოკლედ ყველა არსებულ მოვლენათა შორის ყველაზე მეტად ადამიანის გონება ავლენს ღვთის ნიშანს. ადამიანის გონება რომ არა, ღმერთზე, სიკეთეზე, სიყვარულზე და თანაგრძნობაზე ფიქრი არ იქნებოდა მიწაზე. ამ მოვლენების არც ხსენება და არც რეალობა არ იქნებოდა.

19

დებილი კიკო ისევ დააფრიალებს ხუთჯვრიან დროშას სადგურის გარებაზრობის ტერიტორიაზე. თან უნიჭოდ მღერის:

*ვინაც სუსტებს აწყენინებს, იმას მაგრად მოხვდება,*
*ყველა განზე გაუდგება, არვინ დაუმოყვრდება,*
*ყველა საქმე ჩაეშლება, ბედი აუოხრდება.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნაური ის არის, რომ მისი ყოვლად არამუსიკალური სიმღერა სუფთა გრძნობებს წარმოშობს. ხოლო ადამიანმა რამენაირად უნდა აიძულოს თავისი თავი, რომ მოუსმინოს მას.

— კიკო შე რევოლუციონერო! მაჩვენე, სად გიყვარს გოგოები და თაფლს გაჭმევ.

— აი, აქ მიყვარს. — კიკომ გულზე მიიდო ხელი.

— არა, ეგ არ ითვლება. კიდევ სად გიყვარს.

— აი, აქ მიყვარს. — კიკომ ახლა შარვლის ხვანჯარზე წაივლო ხელი.

— ჰოო, ეგრე. მოდი ახლა, კარგი თაფლი გაჭამო.

20

მუხლი 719

ადამიანს უფლება აქვს, მოიწყინოს, თუ დარწმუნდა, რომ სამყარო უპატრონოა და ადამიანს კოსმოსიდან არავინ უთვალყურებს ზრუნვით, ე.ი., თუ ადამიანი შეუგნებელი შემთხვევითობების ანაბარაა მიგდებული.

21

გიტარისტი განაგრძობს სიმღერის ტექსტზე მუშაობას. ახალი სტროფები დაუმატა ლექსს:

*დამცირებული და უიღბლო რომც მოგეჩვენოს,*
*უინტერესო და უგვანო რომც იყოს იგი,*
*რომც მოგეჩვენოს სულმდაბლურად გაავებული,*
*ან დებილივით მცირე წყენით ატირებული,*
*ან წვრილმან რამით დებილივით გახარებული,*
*ან გადაღლისგან თავის თავში გამომწყვდეული*
*უშინაარსო, ჩამქრალ გულად რომ მოგეჩვენოს*
*აღმოაჩინე ჩემი გული, ნუ გამოტოვებ,*
*აღმოაჩინე, ის არ არის გადასაგდები.*

"თითქოს ქართული ენა ითხოვდეს თავის წილ აღიარებას," გაიფიქრა გიტარისტმა. გიტარა განზე გადადო. დაიღალა. "რად გინდათ, ქართულად რომ წერთ, მსოფლიომ არ იცის თქვენი მცირერიცხოვანი ერის ენა. წერეთ ინგლისურად, ყველა გაგიგებთ" — გასცინა გიტარისტმა უცხოელს, რომელიც ყეყეჩი სახით და ინტონაციით მოლაპარაკე წარმოისახა.

22

მუხლი 177

ადამიანს უფლება აქვს, ისე არ იფიქროს, როგორც უმრავლესობა ფიქრობს, მითუმეტეს, ფანატიკურად განწყობილი უმრავლესობა. მას სრული უფლება აქვს, არ მოსწონდეს მასობრივი შეხედულებები და ხმამაღლა გამოთქვამდეს თავის უკმაყოფილებას. თუ ამისთვის დევნას დაუწყებენ, მას უფლება აქვს, შინაგან ემიგრაციაში წავიდეს და გუნებაში კარგები აგინოს მოძალადე და ჭკუასუსტი უმრავლესობის წარმომადგენლებს. ადამიანს უფლება აქვს, იყოს თვითნება. მას უფლება აქვს, გაჯიუტდეს, სულთმლად გამოსულელდეს, გააფრინოს და გამოთაყვანებული უმრავლესობის მასობრივი კანიბალისტური შეხედულებების წინააღმდეგ წავიდეს ჰუმანიზმის პრინციპების დასაცავად. მას ავქს უფლება, წააგოს ბრძოლა, დამარცხდეს. მაგრამ არა აქვს უფლება, დაემორჩილოს, ჩაბარდეს, მოეკიდოს უმრავლესობის კაციჭამიურ იდეოლოგიას.

23

კიკო არ იღლება დროშის ფრიალით. მოსწონს ეს საქმიანობა.

— ეი, კიკო, მოდი, კვერი გაჭამო.

— არ მიდა კვერი.

— გოგოები გინდა?

— არ მინდა გოგოები.

— მა რა გინდა, ზიჭო? არც სიმღერა გინდა?

კიკო მღერის:

*ეს ქართველი — შინაური,*
*ეს ქართველი — გარეული,*
*ათას ქვეყნად ნაწევრდება,*
*საქართველო არეული.*

ვინ გასწავლა, კიკო, ეგ ლექსები.

— იმან.

— აი, იმან.

24

„დავტირი საქართველოს. დავტირი ქართულ კულტურას, რომელსაც პატრონი არ ჰყავს. მაბრაზებენ ქართველები. ველურებივით და მარტივი შეშლილებივით იქცევიან. ვერაფრით შეიმუშავეს საყოველთაო

და მტკიცე აზრი იმის შესახებ თუ რას თვლიან საქართველოდ. განაწყენებულობის ცრემლი მადგება თვალებზე. ახლაც დაერიენ ერთმანეთს, თანაც უცხო ძალების დავალებით. მეშინია ქართველების, მათი არაადამიანურობის, მათი ჟანდარმული სულის. მოვლენ და კეტს ჩამარტყამენ განსხვავებული აზრისთვის. კბილებს ჩამიმტვრევენ, წამაქცევენ, ფეხებით შემდგებიან. იარაღს დამიმიზნებენ, მესვრიან. მერე ხალხს იმის მტკიცებას დაუწყებენ, რომ ხალხის და ქვეყნის მტერი ვიყავი. მაგრამ იმის უფრო მეშინია, რომ ჩემი აზრი დავთმო და მხდალ მონად ვიქცე," — ფიქრობს ძველი დისიდენტი გაბრიელ მამაცაშვილი.

სამოციან წლებში რუსებმა ქართულ საშუალო სკოლებში საქართველოს ისტორიის სასწავლო საგანი გააუქმეს. საბჭოთა კავშირის სახელმძღვანელოში შეიტანეს ერთ-ერთი პატარა ნაწილის სახით. ისტორიის მასწავლებელი გაბრიელ მამაცაშვილი არ დანებდა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ისტორიის დევნის დაკანონებას. ეყო გამბედაობა და მოწაფეებს საქართველოს ისტორიას უფრო ვრცლად და დაწვრილებით უკითხავდა, ვიდრე ადრე. იმ პერიოდში, როცა საქართველოს დაუსრულებელ უბედურობებს უამბობდა, შეუმუშავდა ჩვევა, ეთქვა ხოლმე: დავტირი საქართველოს. საბჭოთა კავშირის ისტორიას კი საერთოდ არ ასწავლიდა მოსწავლეებს. მხოლოდ ზერელედ თხოვდა ხოლმე, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელო მსუბუქად გადაეკითხათ. ვიღაცამ დაასმინა გაბრიელ მამაცაშვილი დირექციაში. შეშინებულმა დირექტორმა სასწრაფოდ გაანთავისუფლა იგი სამსახურიდან. ამის შემდეგ სამსახური ველარ იშოვა. კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდა. ძალიან გაუჭირდა. ხშირად ოჯახში პურის ფულიც არ ჰქონდათ. ამის გამო ცოლი გაექცა. მარტო დარჩა. იჯდა სახლში და დისიდენტური წერილების წერით იქარვებდა ცოლის წასვლით გამოწვეულ დარდს. თანდათან იდუმალი ტიპი გახდა. ჩურჩულით ლაპარაკს შეეჩვია. ძალიან ცხადად დაინახა, რომ ირგვლივ საბჭოთა იდეოლოგიით ზომბირებული მილიონები ცხოვრობდნენ. თავის ანტისაბჭოთა წერილებს ერთი-ორ სანდო ადამიანს უკითხავდა მხოლოდ.

25

გიტარისტი აზარტში შევიდა. გატაცებით მუშაობს მელოდიაზე და ტექსტზე. ახალი სტროფები დაუმატა ლექსს:

*ალმოაჩინე, შეამჩნიე, იპოვე იგი*
*გზებით დასერილ, მაინც უგზო დედამიწაზე,*
*ადამიანთა დიდ წრიალში, დიდ ალრევაში,*
*შულლში და ომში, სიძულვილში და სიანჩხლეში,*
*შეუმჩნევლად მიკარგული რომც იყოს იგი.*
*ალმოაჩინე ჩემი გული, რომც ალარ ლირდეს,*
*ალმოაჩინე რომც უარგყოს, რომც ვერ გხედავდეს*
*ალმოაჩინე, შეამჩნიე, ნუ გამოტოვებ,*
*ალმოაჩინე, ის არ არის გადასაგდები.*

გიტარისტს მოეჩვენა, რომ მისი ოთახი უფრო მყუდრო და შინაურულად თბილი გახდა. მიხვდა, რომ გემრიელმა მუშაობამ შეუქმნა ეს განწყობა. "უცნაურია, — გაიფიქრა გიტარისტმა — ლექსში თანამედროვე ანონიმი ადამიანის მტკივნეული მიკარგულობაა გამოხატული, მაგრამ იგი შინ ყოფნის განცდას წარმოშობს. გატაცებით მუშაობა იწვევს სახლში ყოფნის გრძნობას".

26

კიკო კვლავ დაძრწის ბაზრობის ხალხმრავალ ლაბირინთებში. დროშას აფრიალებს და მღერის:

*ვინაც ტაძრის კარს შეანგრევს, როცა მასში ლოცვა მიდის,*
*იმას ხალხი შეიძულებს, ანგელოსიც ყველა შვიდი.*
*სამყოფელი არ ექნება ქვეყნად სადმე ოდნავ მშვიდი,*
*თავის თავშიც არ ექნება კუთხე რამე მისაზიდი.*

— ე, კიკო, გვითხარი, სად გიყვარს გოგოები.

კიკო არ პასუხობს. მღერის:

*ვინაც უფალს აწყენინებს, იქნება სულ ნაწყენი,*
*ვერაფერი გაახარებს, გაჩენის დღეს დაწყევლის.*

27

მწერალი, რომელიც ალარ წერს, ფიქრობს: "ცუდი ვითარება შეიქმნა. ვერც პოეზიის საქმეა კარგად, ვერც აზროვნების, ვერც საქართველოსი და ვერც კაცობრიობის. საერთოდ, ადამიანის საქმეც ვერ არის კარგად. ძალიან გამოთაყვანდა, პოლიტიკაზე უფრო საინტერესო თუ არის რამე კიდევ, ალარ ჰგონია. პოლიტიკა და ტექნიკური ლამაზი აპარატები, ფული და რეკლამა, ეს ყოფილა ადამიანის მთავარი იდეალი. ვის რაღად უნდა ლიტერატურა. რაც უნდა ოსტატურად და კრებითად განაზოგადოს მწერალმა ცალკეული ადამიანის ცხოვრება და სახე, მკითხველისთვის იგი მაინც ცალკეულ ადამიანად რჩება, რჩება კერძო, სპეციფიკურ შემთხვევად. ასეთი კერძო შემთხვევებისადმი კი დღევანდელმა მკითხველმა ინტერესი დაკარგა. მას ალარ აინტერესებს ცალკეული ადამიანი. მისდამი უცხო და გულგრილი გამვლელივით ალიქვამს ლიტერატურულ პერსონაჟს. მას მხოლოდ თავისი სიცოცხლე აინტერესებს. მხოლოდ კარგად მოწყობით არის გატაცებული. მხოლოდ იმ ადამიანებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც უგებენ, სითბოს აგრძნობინებენ, ეხმარებიან, შეიყვარებენ, ალიარებენ. მაგრამ, როგორც წესი, ასეთ ადამიანებს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოულობს. ზოგადად ადამიანზე ფიქრი, კაცობრიობის მდგომარეობაზე ფიქრი, რასაც ლიტერატურა სთავაზობს, არ წარმოადგენს მის მოთხოვნილებას ან მოვალეობას. ე.ი., ადამიანზე ფიქრი გადაგვარდა. ამან კი აზროვნების კრიზისი გამოიწვია. დევიზმა: შეიცან თავი შენი, მეტამორფოზა განიცადა. იგი ახლა ასე ჟღერს: შეიცან სურვილები შენი და იჩალიჩე მათი აღსრულებისთვის. ვერაფრით ვერ გამოთქვამ ისეთ აზრს, რომელიც პოლიტიკის და ტექნიკის საყოველთაო პოპულარობას დაჩრდილავს. ყველაზე ღრმა თვალსაზრისიც კი რეალობას მოწყვეტილ, დეკორატიულ აბსტრაქციად და ტვინნაჭყლეტ სპეკულატურ რაობად აღიქმება. მხოლოდ ისეთი თეორიები იზიდავს დღევანდელ ადამიანს, რომლებიც იდეების წინაშე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს. საბოლოოდ გაირკვა, რომ ადამიანს იდეებზე უფრო ცხოვრებაში კომფორტულად მოწყობა იზიდავს. წლების წინათ ამაყად ვფიქრობდი: მწერლობა იარსებებს, მანამ ადამიანებს ერთმანეთთან საუბრის მოთხოვნილება არ გაუქრებათ. როგორც ჩანს, ვცდებოდი. ასე უნდა მეფიქრა: მწერლობა იარსებებს, მანამ ჯღაბნის მოყვარული გიჟები იარსებებენ.

28

გიტარისტმა ახალი სტროფი დაუმატა ტექსტს:

*თუ ცდუნებებმა ამიყოლეს და დავიბენი*
*თუ ისეთ რამეს გავეკიდე, რაც ბრძლვნად არა ღირს,*
*თუ მისამართი ამერია და სხვა კარებთან*
*დავჯექ მთხოვნელად პასუხების რთულ შეკითხვებზე,*
*გთხოვ, ნუ მიიღებ ამ შეცდომებს ჩემს ნამდვილ არსად*
*და ჭეშმარიტი გული ჩემი აღმოაჩინე.*
*აღმოაჩინე ჩემი გული, ნუ გამოტოვებ,*
*აღმოაჩინე ჩემი გული, იპოვე იგი.*
*აღმოაჩინე მანამ დარდი ტანს არ დახეთქავს*
*მანამ ჩემ მკერივ მკერდს არ დაბზარავს მტკივნეულ ძგერით*
*აღმოაჩინე მანამ დიდი მოწყენილობა*
*ქუში და უტყვი ჯალათივით გრძნობებს არ დამთხრის.*

29

მწერალი, რომელსაც წერა შესძულდა, ისევ ფანჯარასთან ზის. ქუჩას გაცქერის, ისე, რომ ქუჩას ვერ ხედავს. ფიქრობს: "რა განსხვავებაა წერასა და ზეპირმეტყველებას შორის. მგონი, წერა ისტორიული ხასიათის ფორმას ქმნის, ხოლო ზეპირი მეტყველება თავისი განუსაზღვრელობის გამო უფრო მითოლოგიური თვისებისაა. წერა, ანუ დაწერილი ტექსტი ზუსტი და უცვლელი ფორმით წარუდგება ყველა ეპოქას და ამიტომ ისტორიულ მნიშვნელობას იძენს. ზეპირი სიტყვა ზუსტ ფორმას არ წარმოადგენს და დროთა და სივრცეთა ცვლილებების შესაბამისად ხალხის მეხსიერებაში გარდაიქმნება და, ამდენად, მითი ხდება. შეეშვი ამ ფუჭ ფიქრებს. თუმცა ტექსტის ფორმის შექმნის უფლება არც ისე ფუჭი საკითხია. რას ნიშნავს ტექსტის ფორმის შექმნის უფლება. ტალანტი თუ არა გაქვს, ვერაფრით მოიპოვებ ამ უფლებას. ტალანტი თავად არის უფლება. მაგრამ, როცა წერ არ იცი, ტალანტი გაქვს თუ არა. ტალანტის გარდა კიდევ რაღაც არის საჭირო. მგონი, ჯანმრთელობაა კიდევ საჭირო, ანუ მუშაობის ენერგია. ისიც საჭირო უნდა იყოს, რომ ეკონომიკური შეჭირვების გამო ადამიანად ყოფნის განზომილებიდან დამშეული ორგანიზმის საცოდავი ყოფის განზომილებაში არ გადახვიდე. იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ იმ ენის გარემო, რომლითაც არსებობ და წერ ოდნავ მაინც მშვიდობიანი იყოს. დღევანდელი საქართველო იმდენად არეულია, იმდენად მიუსაფარია, რომ ბევრ უფლებას ურღვევს თუ უსპობს მწერალს. მწერალს არა აქვს უფლება, იყოს ლაღი და შეჭირვების გარეშე ილაპარაკოს ყოფიერებაზე და ადამიანზე საზოგადოდ, რადგან საქართველოა შეჭირვებული, ქართული ენაც შეჭირვებულია და, შესაბამისად ქართულ გარემოში მოქცეული ადამიანურობაც შეჭირვებულია. ქვეყანაში წარმოშობილი დღევანდელი პოლიტიკური დაძაბულობა, კონფლიქტი და სხვადასხვა განხეთქილებები ელდას სცემს ქართული შემოქმედებითი კულტურის განვითარების მიმდინარეობას. თანდათან ცხადი ხდება, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისგან. იმპერიები უკვე აშკარად იბრძვიან საქართველოზე ბატონობისთვის. გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული თვითმყოფადობა უკვე აშკარად თვალნათლივ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს... მგონი, ძალიან მაღალფარდოვნად ვტყუი. ძალიან გავაიგივე ჩემი მდგომარეობა საქართველოს შეჭირვებასთან. მეორე მხრივ, ძალიან უბრალო ანონიმურ და ნაკლებისტორიულ დონეზე ნამდვილად არ მიწყობს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ხელს იმაში, რომ ხალისიანი ვიყო და უკომპლექსოდ ვიმუშაო.

30

*აღმოაჩინე ჩემი გული იმ შემთხვევაშიც —*
*ჩემი თავისგან შეუცნობლად თუ გავუცხოვდი,*
*თუ მოვისუსტე, ვერაფერში თუ ვერ ვივარგე,*
*თუ იმედები გამიცრუვდა და ბლანძი გავხდი,*
*უცნობ ქუჩაზე შუაღამით უგონოდ მთვრალი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თუ წავიქეცი და ადგომა თუ დამეზარა,*
*თუ ჩამეძინა იმ განწყობით, რომ უკვე მოვკვდი —*
*ამოაჩინე ჩემი გული იმ შემთხვევაშიც.*
*ამოაჩინე ჩემი გული, ნუ გამოტოვებ,*
*ამოაჩინე, მასში, მგონი, რაღაცა არის.*

გიტარისტმა აქ გადაწყვიტა ტექსტსის დასრულება. ინსტინქტმა უკარნახა, რომ ლექსის გაგრძელება აღარ იყო საჭირო. რამდენჯერმე წაიკითხა მთლიანად ტექსტი. გაიფიქრა, რომ დროთა განმავლობაში დახვეწდა ლექსს.

31

*ვინაც ქალებს აწყენინებს, გრძნობა ჩაუჩუმდება,*
*ქალს ლოგინში ვერას უზამს, "რაღაც" ჩაეჩუტება.*

— კიკო, შე მამ — მამა შენა!
— კიკო, ორი ცოლი გინდა რომ გყავდეს თუ სამი.
— ბევრი.
— უ, შე მამა-მამა შენა.

32

"იქნებ, წერის უფლება დავკარგე და იმიტომ ვერ ვწერ. რას ნიშნავს წერის უფლება. იქნებ, რაღაც მივქარე და მეტყველების მუხტს ქმედების ხალისი მოვუშალე. მაინც რა მივქარე. რას გაიგებ, რა სწყინს მხატვრული თვითგამოვლენის ეთიკას. რა სწინს მხატვრულ ენას. იქნებ, გული გამიბოროტდა. გაბოროტებას არ ემეტყველება, ბავშვური და ჩვილი ლიაობა უცხოა მისთვის. მეტყველება ამ შემთხვევაში სიმღერას ნიშნავს. როცა წერ, თავისებურად მღერიხარ. სიმღერის ეთიკა ხალისიანი ლიაობის, გულის, აზრის და სულის გახსნის დაუზარებელ ენერგიას უნდა ნიშნავდეს. სიმღერა ალღობს ცოდვის და ღვარძლიანი ვნებების პირქუშ დარდს. შენდობის ზეიმს სძენს გულგაბოროტებას, ეგოგანაწყენებულობას. სიმღერაში, ანუ მხატვრულ ფორმაში პირქუში წუხილის გაუსაძლისობა ზეიმს და სხვებისთვის გასაგებ აზრს იძენს. მაგრამ სიმღერის უფლება უნდა მოიპოვო, რადგან გულგაბოროტებას არ ემღერება. რას ნიშნავს სიმღერის უფლება? ქარაფშუტულად უდარდელი და აცუნდრუკებული უნდა ვიყო? როგორც ჩვილ ბავშვს სჭირდება განუწყვეტელი ყურადღება, ისე სიმღერის უფლებას უნდა პატრონობა. თავისებური პირველშობილი ველური სისუფთავე უნდა შეუქმნა მას. სათქმელი და განცდა უნდა განწმინდო ყოველგვარი სიავისგან. სხვაგვარად მეტყველების ლიაობის მოთხოვნილება გაქრება, ხმის ამოღების დაზარებულობად გარდაიქმნება და უტყვობაში შეიკეტება. უნდა გაჩვილდე ლიაობისთვის, განცდის და აზრის გულუბრყვილოდ ამოღერღვისთვის. სიმღერის მხატვრული ორგანიზებისთვის. არ უნდა გეზარებოდეს სიმღერაში შენი თავის გამოაშკარავება. ყოფიერების ტრაგედიებისთვის სიმღერით, იგივე წერით ფორმის მიცემა საზეიმო შენანებას და შენდობას ჰგავს და კიდევ რომელიღაც საიდუმლო და განუსაზღვრელ სიხარულს. რა უხარია სათქმელის მხატვრულ გამოვლინებას, განცდის და აზრის ლიაობას. რატომ გადაიქცევა პირქუში და აუტანელი მწუხარება სიმღერაში მშვენიერებად. იქნებ, ის უხარია, რომ უფლება მოიპოვა, სიმღერა იყოს, ანუ მშვენიერებად იქცეს.

გთხოვ, ნუ იქნები ასეთი აღფრთოვანებული. მიდი და აქციე მშვენიერებად დღევანდელი საქართველოს გაბოროტებული ყოფიერება." — ფიქრობს მწერალი, რომელსაც ეზარება წერა.

33

"დავტირი საქართველოს. დავტირი ქართულ ენას, ჩხუბისთვის, სიძულვილისთვის, ბოროტი ვნებების და სიანჩხლის გამოთქმისთვის, ბილწსიტყვაობისთვის იყენებენ დღეს ქართველები მას. ენაში გასაიდუმლოებული გენიალური პოტენციები, ნათელი ენერგიები და უმანკო სიკეთეები აღმოუჩენელი რჩება. დავტირი საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მას თმით ათრევენ დღეს დიდი იმპერიები. დავტირი ჩემს თავს, რადგან ვერ განვიცადე თავისუფალი ქვეყნის შვილობა". — ფიქრობს ძველი დისიდენტი გაბრიელ მამაცაშვილი.

34

გიტარისტი ტექსტის გადაწერას შეუდგა. საბოლოოდ ასეთი ლექსი გამოუვიდა:

*ამოაჩინე ჩემი გული, მას რაღაც უჭირს.*
*ამოაჩინე ჩემი გული, გვერდს ნუ აუვლი.*

*ამოაჩინე ჩემი გული ყველა რთულ დროში,*
*ყველა უკუღმართ და უსხივო ვითარებაში,*
*წვიმაში, ქარში, მიუსაფარ დევნილობაში,*
*ტუსაღობაში, გასაჭირში, სიმარტოვეში.*

*ამოაჩინე ჩემი გული ხალხთა გნიასში,*
*მითქმა-მოთქმაში მიჩქმალული რომც იყოს იგი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმოაჩინე ჩემი გული მრავალთა შორის,
დიდ ქალაქებში, მიყრუებულ დამპალ უბნებში,
ვიწრო ქუჩებში, უმნიშვნელო მიკარგულ გზებზე
ალმოაჩინე ჩემი გული, ნუ გამოტოვებ.

დამცირებული და უილბლო რომც მოგეჩვენოს,
უინტერესო და უგვანო რომც იყოს იგი.
რომც მოგეჩვენოს სულმდაბლურად გაავებული,
ან დებილივით მცირე წყენით ატირებული,
ან წვრილმან რამით სულელივით გახარებული,
ან გადაღლისგან თავის თავში გამომწყვდეული
უშინაარსო ჩამქრალ გულად რომ მოგეჩვენოს,
ალმოაჩინე, შეამჩნიე, ნუ გამოტოვებ,
ალმოაჩინე, ის არ არის გადასაგდები.

ალმოაჩინე, დაინახე, იპოვე იგი
გზებით დასერილ, მაინც უგზო დედამიწაზე.
ადამიანთა დიდ წრიალში, დიდ ალრევაში,
შულლში და ომში, სიძულვილში და სიანჩხლეში
შეუმჩნევლად მიკარგული რომც იყოს იგი.

ალმოაჩინე ჩემი გული, რომც ალარ ლირდეს.
ალმოაჩინე რომც უარგყოს, რომც ვერ გხედავდეს.
ალმოაჩინე, შეამჩნიე, ნუ გამოტოვებ,
ალმოაჩინე, ის არ არის გადასაგდები.

თუ ცდუნებებმა ამიყოლეს, თუ დავიბენი,
თუ ისეთ რამეს გავეკიდე, რაც არად არ ლირს.
თუ მისამართი ამერია და სხვა კარებთან
დავჯექ მთხოვნელად პასუხების რთულ შეკითხვებზე,
გთხოვ, ნუ მიიღებ ამ შეცდომებს ჩემს ნამდვილ არსად
და ჭეშმარიტი გული ჩემი ალმოაჩინე.

ალმოაჩინე ჩემი გული, მას რალაც უჭირს,
ალმოაჩინე, შეამჩნიე, იპოვე იგი.
ალმოაჩინე, მანამ დარდი ტანს არ დახეთქავს,
მანამ ჩემ მკვრივ მკერდს არ დაბზარავს მტკივნეულ ძგერით.
ალმოაჩინე, მანამ დიდი მოწყენილობა
ქუში და უტყვი ჯალათივით გრძნობებს არ დამთხრის.

ალმოაჩინე ჩემი გული იმ შემთხვევაშიც,
ჩემი თავისგან შეუცნობლად თუ გავუცხოვდი.
თუ მოვისუსტე, ვერაფერში თუ ვერ ვივარგე,
თუ იმედები გამიცრუვდა, თუ ბლანძი გავხდი,
უცნობ ქუჩაზე შუალამით უგონოდ მთვრალი
თუ წავიქეცი და ადგომა თუ დამეზარა,
თუ ჩამეძინა იმ განწყობით, რომ უკვე მოვკვდი,
ალმოაჩინე ჩემი გული იმ შემთხვევაშიც.
ალმოაჩინე, შეამჩნიე, იპოვე იგი
ალმოაჩინე, მასში მგონი რალაცა არის,
ალმოაჩინე, მანამ დიდი მოწყენილობა
ქუში და უტყვი ჯალათივით გრძნობებს არ დამთხრის.

35
მწერალი, რომელსაც წერა ეზარება, ფიქრობს: "რა ძნელია ადამიანთან საუბარი. უალრესად ძნელია ადამიანის შეცნობა. ძნელია ადამიანის ატანა. რა ძნელია ადამიანის სიყვარული და რა ძნელია სულ მარტო, უადამიანოდ ყოფნა. რა უტყვია უადამიანოდ სამყარო, მაგრამ რა ძნელია ადამიანის ატანა. რა ძნელია ადამიანთან საუბარი. შენ ერთს ეუბნები ის კი თავისას "უბერავს". არ ესმის, რას ეუბნები. რა გამოვა იმისგან, თუ ასეთ ძნელ არსებას მიმართავ: ალმოაჩინე ჩემი საუბარი, ჩემი შინაარსი. ჩემი ხმა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

36

კაცი, რომელსაც ცხოველები უფრო უყვარს, ვიდრე ადამიანები: "რა კარგები არიან ცხენები. მიქრიან. ჩერდებიან. ძოვენ. ისევ მიქრიან. კვლავ ჩერდებიან. ერთმანეთს იყვარებენ. კვიცებს აჩენენ და ისევ მიქრიან. პოეტურად იდეალიზებულიც რომ იყოს ცხენის ასეთი დახასიათება, საბოლოოდ მაინც ასეა. ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ ცხენს: მორჩილად იტანს იმას, რომ გამოუყეყეჩებული, უსინდისო და უტიფარი ადამიანი აჯდება ზურგზე".

37

ადამიანს უფლება აქვს, ბნელი შეგრძნებები ჰქონდეს და ვერაფრით ხვდებოდეს, ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს და რა უნდა. მას უეჭველი უფლება აქვს, წინააღმდეგობრივი და განუსაზღვრელი არსებობისგან დაიღალოს, ფიქრი შეწყვიტოს და გაუცნობიერებელი მიზეზის გამო სიმღერა წამოიწყოს. სიმღერის დროს უფლება აქვს, ისეთი გრძნობა დაეუფლოს, თითქოს თავისივე სიმღერა პატიობდეს ბნელ შეგრძნებებს, შეცდომებს, ცოდვებს და აგრესიულ მოთხოვნილებებს, თითქოს ყველა დანარჩენ ადამიანსაც შეუნდობდეს ყოველივე ცუდს, ყოველივე საძაგელს, ყოველივე არაადამიანურს, თითქოს თვითონ ცხოვრების ქაოსსაც მიუტევებდეს უსამართლობებს და სისასტიკეებს. აქვს უფლება, მოეჩვენოს, რომ სიმღერაში მისი ყველაზე განაწყენებული, ყველაზე მტკივნეული გრძნობაც და ყველაზე აგრესიული ინსტინქტიც კი ყოვლისმიმტევებელი ღიმილის მსგავსი ზეიმის ელფერს იძენს. აქვს უფლება, ვერ აცნობიერებდეს, რატომ სძენს სიმღერა მის მოურჩენელ ტკივილებს მოულოდნელი სიხარულის და ზეიმის აზრს.

მაგრამ ადამიანს იმის უფლებაც აქვს, რომ გული გაუბოროტდეს და ერთხელაც არ მოუნდეს ხელოვნებით, ანუ სიმღერით გულის გახსნა. მას აქვს უფლება, ეზარებოდეს სამყაროს მოვლენებთან და საგნებთან ადეკვატური გრძნობებით და ფიქრებით ურთიერთობა. აქვს უფლება, არ აღფრთოვანდეს სამყაროს დაუშრეტელი ენერგიით, აზრით და მშვენიერებებით. აქვს უფლება, ერცხვინებოდეს სამყაროსადმი სიყვარულის სიჩვილე.

***2004.***



ლევან ტუღუში
დედაშვილობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნუნუ ჯანელიძე

●

რა თქმა უნდა, აღარ გახსოვარ,
გადამივიწყე რა ხანია
და შლეგივით
კარებს არ მიმტვრევ;
რა თქმა უნდა;
ო, ქარო, ქარო...
მაგრამ თვალებს, თეთრზე შავ
ტიტრებს,
ვკითხულობ და
ვხვდები,
როგორ გადამივიწყე...

●

წვიმა ხელით ვინ შეაჩერა,
სიბერესაც როგორ გინდა,
რომ წინ დაუხვდე;
თუმცა, თუ სიყვარული გაეცი
უხვად,
ვერც სიბერე მოგიტანს
წუხილს,
ეგაა მხოლოდ, ნაოჭებში
ჩაჯდება სევდა.
წვიმა ხელით ვინ შეაჩერა...

●

საკუთარ თავს ვერ ვეგუები
და საკუთარ ფიქრსა და
სხეულს,

და შეცდომები
ეკლებივით
მასხია ტანზე;

ო, ცხოველი ფანტაზიის
ველურო ვარდო,
დაიოკე შენი სიბრაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე აქ ვიპოვე თავისუფლება,
თეთრი ფურცლების უსამანო
ლაჟვარდ სივრცეში
და ბორკილები, ფეხზე რომ მადევს,
სასაცილოდ არ მყოფნის ახლა;
მე აქ ვიპოვე თავისუფლება,
თეთრი ფურცლების უსამანო
ლაჟვარდ სივრცეში

და ღრუბლებს ზემოთ
არის
ჩემი მშვიდობის სახლი.

●

მინიშნებებზე და ფრაზებზე აგებული
ჩემი სამყარო;
შეყვარებული სულის ბოდვა
და მოლანდება,
რომელსაც ხელით შეეხები
და აალდება;
სიზმარი, ნისლი,
რაღაც უფრო უსხეულო და
არამყარი;
მინიშნებებზე და ფრაზებზე აგებული
ჩემი სამყარო...

●

აქედან, ფიქრის დაბურული ხის
ტოტებიდან,
სტრიქონები, ვით ცის ფრინველნი,
აიშლებიან ხშირად ფრთების უხმო
ფათქუნით
და თეთრ გუნდებად ერწყმიან
ლაჟვარდს.
და ვხედავ: კვალი იშლება
რა ჟამს,
იხსნება ზეცა
და უსაზღვრო ნათელი
მისი
გადმოდის ჩემში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შენ არ გარგებს ჭრელი გზებით სიარული
სხვათა მსგავსად.
აქ იყავი, ძველ ადგილზე
თუ არ გეჩქარება
არსად.
შენც ხომ იცი, არ აგავსებს შვებით
ის გზა,
სხვა რომ ელტვის,
დამიჯერე, ფიქრში კაცი
უნდა იყოს მაინც
კენტი.

●

აქ ყოფნა მიჭირს, თორემ იქით,
გზა აბრეშუმის
მპირდება ნანატრ, ძვირფას
სიმშვიდეს.
სადაც აღარ იქნება ეჭვი,
ბოღმა და შური;
ო, როგორ, როგორ მეშურება
გზა აბრეშუმის...

●

გაგეშვი ჩემთვის...
რად გინდოდი ამ ნგრევების
უსიტყვო და უმწეო მოწმედ;
გაგეშვი ჩემთვის...
სასტიკი დღე ისედაც მომწვდა
და ის მცირედი სიხარულიც,
დაეჭვებულს სულს რომ მითბობდა,
დაუნდობლად წამგვარა უკან;
გაგეშვი ჩემთვის...
... აღარც შენთვის გინდოდი თუკი...

●

ბედნიერია, დამღლელი გზა
ვინც გაიარა,
და კიდევ ორჯერ ბედნიერი,
ვინც გზა ისე გაასრულა,
რომ ტალახი არ
მოსცხებია,
მაგრამ ვინ არის ნეტავ, ასე
მირონცხებული?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭაბუკი ქორიავა

## კოზირი

ზღვა იყო ჩვეულებრივად ლურჯი და თბილი, ხოლო ქალი, რომელიც ზღვიდან ამოვიდა — საოცრად ლამაზი; ღია მარწყვისფერი ტუჩები ჰქონდა, იზაბელას გულივით სველი, მოელვარე თვალები და ოქროსფერი, მარილწყლით მოლაპლაპე თმა... შოლტივით მოქნილ, ხორბლისფერ. სხეულზე ისეთივე ფერის საცურაო კოსტიუმი ეცვა, საიდანაც თოვლისფერი მკერდი ქარივით ლამობდა ამოვარდნას...

ქალი ისეთი ლამაზი იყო, ყველას და ყველაფერს, თვით პლიაჟსაც კი, გადაავიწყდა, ეკითხა მისთვის სახელი. თუმცა სუსტ და ტანმაღალ, მზისგან გარუჯულ ყმაწვილს ყველაფერი ახსოვდა...

— უკაცრავად... შეიძლება გავიგო თქვენი სახელი?

—არა!

— ძალიან გთხოვთ... მე ცუდი განზრახვით არ გეკითხებით.

"—არც ერთი ვაჟი არ კითხულობს სახელს ცუდი განზრახვით, თუმცა, რას გულისხმობენ ცუდ განზრახვაში, ეს მეორე საკითხია".—ქალი არაფერს პასუხობს, თან ამრეზით უცქერს უცნობს, რომელიც თავხედურად მიუწვა გვერდით.

— თქვენ ძალიან უხდებით ზღვას და თანაც უთამამდებით. გეტყობათ, ზღვის არ გეშინიათ?!

—არა!—თვითონაც გაუკვირდა, რომ გაეპასუხა.

— და არც ამ ცხელი სილისა გეშინიათ, ასე რომ გაწოლილხართ?!

— დიახ, არც სილის მეშინია!.. და, საერთოდ, გირჩევთ და გთხოვთ, შემეშვათ, თორემ თქვენს თავს დააბრალეთ, რაც დაგემართოთ...

— რა უნდა დამემართოს?! — იღიმის ვაჟი და უფრო ახლოს მიდის უცნობთან... — მითხარით სახელი და წავალ... მეტს არაფერს გკითხავთ!

— არ გესმის, თავი დამანებე-მეთქი!.. ისე, გეტყობა, არც შენ გეშინია სილის?! — ქალი ხმას ოდნავ იმაღლებს, თან ხელებს ერთიმეორეზე უსვამს და იფერთხავს ქვიშის ბრჭყვიალა ნამცეცებს. გრძნობს, ვაჟის პასუხი როგორი იქნება.

—არა. მე, საერთოდ, არაფრის მეშინია... მეტყვი სახელს თუ არა?!

ლაწ!—ქალმა მარცხენა ხელით გააწნა სილა და თავი ზღვისკენ მიაბრუნა.

—თუ არ გეშინია, მიიღე... ანზორ, მომაშორე რა, ეს აბეზარი!!!

ანზორი, კუპატივით ჩასკვნილი, დიდთვალება და ლიპიანი მამაკაცი ბანქოს თამაშს ძლივს ეშვება და უცნობთან მიდის, თან იქედნურად დაჰყურებს.

—რა გინდა ჩემს ცოლთან?!.

— შენს ცოლთან?!. — ყმაწვილი წამოდგა, თვითონაც დაიფერთხა ხელები, როგორც ქალმა რამდენიმე წამის წინ, ოღონდ, მის მსგავსად, არავითარი ახალგაზრდული სიანცე არ გაუვლია გულში. ეს იყო, ახლა მის ქმარს შეხედა და, თითქოს რაღაც დაეკარგაო, ისეთი დანანება იგრძნო... დიდთვალებას კისერზე და მაჯაზე ნეკისსიმსხო ბაჯაღლო ჯაჭვი ეკეთა, ხოლო შუა თითზე მორგებული ბრილიანტისთვლებიანი უზარმაზარი ბეჭედი მართლაც რომ ბეჭედს უსვამდა დასკვნას: "ტიპი მაყუთიანია". ზღვისკენ შეაბრუნა სახე; არ სურდა, აწითლებული ლოყა გამოეჩინა.

— თუ მართლა შენი ცოლია, მითხარი, აბა, რა ჰქვია?!

—რა ჰქვია და... თამთა. რა გინდა, რომ არ ეშვები?!

— არაფერი... რაც მინდოდა, გავიგე... ისე კი, გახსოვდეს, ასეთი ლამაზი ცოლი არასდროს დატოვო მარტო... მითუმეტეს, ზღვაზე... მიდი, გააგრძელე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარტის თამაში! — ყმაწვილი ზღვისპირს აუჩქარებლად გაუყვა.

— რა უნდა ამ ლაწირაკს?! თუ გსურს, დავეწევი და თავ-პირს დავუნგრევ?!

— არ გინდა... არც ისე ცუდი ყმაწვილი ჩანს. — ამბობს ქალი და მალულად აპარებს მისკენ მზერას. "ნეტავ, რად გავაწანი სილა, ხომ არაფერი დაუშავებია",— წადი, ანზორ, რას დამადექი თავზე... ხომ გითხრეს, კარტის თამაში გააგრძელეო!

— ჰო, წავედი... თუ რამე და ისევ დამიძახე!.. სიგარეტზეა ყომარი, ამ პარტიას მოვიგებ და ერთი კოლოფი "მარლბორო" შენია.— ანზორს სული მისდის, როდის გააგრძელებს თამაშს, მძიმე ნაბიჯით მიიწევს ამფსონებისკენ და ზურგს უკან მონდომებით მალავს მოპარულ ტუზ კოზირს.

"ხედავ, არც ერთხელ არ შემობრუნებულა" — ქალი თვალმოუშორებლად აკვირდება უკვე საკმაოდ შორ მანძილზე წასული უცნობი ყმაწვილის სილუეტს, მერე მზერა საკუთარ მეუღლეზე გადააქვს და ქალური სიეშმაკით ფიქრობს — შედარება არაა... მაგრამ რას იზამ, უმართლებს იმას, ვისაც ხელში კოზირი უჭირავს".

## საქორწინო კაბა

— რაღაც უშნოდ მისჩერებია ეს ტიპი ჩემს რძალს და თავი არ შემომასაღოს...

— კარგი რა, დაწყნარდი... სიამოვნებს, ალბათ, სიძე-პატარძლის ყურება და უყურებს. თანაც, ვერ ხედავ, როგორი მთვრალია, ალბათ, ერთი ორად ეჩვენება და რა უნდა მოჰკითხო?!

— ვინ არის, ის მაინც ვიცოდე?! არც ჩემი ძმა აპირებს აქეთ გამოხედვას, თორემ ვკითხავდი.

რას იზამ ძმაო, სიძე კაცია და, საითაც უნდა, იქით გაიხედავს და, როგორც უნდა, ისე გაახურებს... არა, ისევ ჩვენში დარჩეს და, მართლა როგორ აკვირდება ის ტიპი შენს რძალს, შარზე ხომ არაა ვითომ?!

— მისმინე ერთ წუთს... ღვინით შემივსე ეს ორი ჭიქა და მესამეში ლიმონათი ჩაუშვი... — ოღონდ, არ შეგამჩნიონ... მოიცა, ჯერ გაკვირდებიან და მერე იჩალიჩე... ეჰ, ადგომის უფლება მომცა, გარეთ გავათრევდი იმ ტიპს და ვუჩვენებდი, როგორ უნდა პატარძლისთვის თვალების გაშტერება... მოიცა, მგონი დგება და მიდი, გაყევი. ჯერ ჰკითხე, ნათესავი არ იყოს?!..

სეფის გასასვლელთან წამოეწია და ხელი მკლავში წაავლო.

— ბოდიში, ძმაო, რაღაც მინდა გკითხო!

— გისმენ!

— პატარძალი შენი რა არის?

— ჩემი რა არის?! კი, მაგრამ შენ ვინ გკითხავს?!

— არა, მაინტერესებს. მაყრების გაცნობა მინდა ახლოს და იმიტომ გეკითხები.

— გაცნობა?! ოოჰ, ჩვენი მეზობელია პატარძალი, უფრო სწორად, იყო. ვაი, რა ლამაზია... არავის მოხდენია საპატარძლო კაბა ისე, როგორც მას. პირდაპირ ანგელოზია.

— მერედა, ასე ნაგლად რომ მიშტერებიხარ მთელი სუფრა, არ გეშინია, სიძემ რომ დაგინახოს?! თუმცა, არც მე ვარ მისი შორებელი.

— დამინახოს, მერე რა... მინდა, ძმაო, და ვუყურებ. შენ შეგეკითხო, ახლა საით გავიხედავ?!

— შენ ეტყობა, შარზე ხარ და გირჩევ, წახვიდე სახლში და გამოიძინო, სანამ ვინმემ სიფათი არ გაგილამაზა...

— არსადაც არ წავალ მანამ, სანამ პატარძალს კაბა აცვია.

— რაო, რა თქვი?!

— რა და, სანამ პატარძალი კაბას არ გაიხდის, ფეხს არ მოვიცვლი აქედან...

ისე მწარედ მოუქნია მარჯვენა, რომ მარცხენის განძრევა არც დაჭირვებია, მაყარი მოცელილ ფურისულასავით მსუბუქად დაეცა ტალახში.

— წამოაყენეთ და სახე გაუწმინდეთ! — ჩაულაპარაკა ხმაურზე იქვე გაჩენილ ცნობისმოყვარეებს და სეფას დაუბრუნდა.

— სად წახვედი, ბიჭო, სახლამდე მიაცილე?! ასე უნდა თამადა კაცის მიტოვება?!

— ნუ გეშინია, აგერ ვარ... იმ ტიპმა ცოტა უშნო ლაპარაკი დამიწყო შენს რძალზე და საკადრისი პატივი ვეცი, იმიტომ დამაგვიანდა.

— რა პატივი, ბიჭო?!. აააა, მართლა, უკვე დავადგინე, ვინც ყოფილა ის ტიპი.

— ვინ ყოფილა?!

— ერთი უბრალო მასტიაო, არც ღვინო, არც წყალი. ცოლის ეშინია თურმე სასტიკად.

— მერე რა?!.

— არაფერი, საქორწინო კაბებს აქირავებენ თურმე და ამით შოულობენ ორ კაპიკს... აქაც ცოლს გამოუგზავნია, ისე არ დაბრუნდე სახლში, კაბა რომ არ მოიტანოო. ჰე, მიდი, ჩამოასხი ღვინო, თორემ ვერ ხედავ, როგორ გვაკვირდებიან მაყრები?!!.

## გვირილა

— არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ!.. არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ... არ... — ბოლო ფურცელიც მოაგლიჯა და გვირილის ცარიელი ღერო გაბრაზებით მოისროლა. — გამოდის, რომ არ ვუყვარვარ... ისე, კი გამიკვირდა, მთელი სუფრა ერთხელაც არ მომაქცია ყურადღება. — სკამიდან ძლივს წამოდგა, სარკმელთან ბარბაცით მივიდა და ფარდა გადასწია, "იქნება, მოვკრა თვალი... სად დაიკარგა?!."

მანანა მეზობლის ქალებში იდგა, ნასუფრალ თეფშებს და ჭიქებს ყუთებში ალაგებდნენ... "მუშაობს... კი, ნამდვილად მუშაობს, მაგრამ მაინც რატომ არ მომაკითხა... ხომ იცოდა, რომ ასეთ დროს "ბორჯომი" ან წყალი მომინდებოდა... არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცაშია საქმე, თორემ... ეს გვირილაც რაღა არ უყვარხარო — მეუბნება. დავიჯერო, დაემთხვა და თანაც ამდენჯერ... არ ვუყვარვარ და ნუ ვუყვარვარ, ჩვენთან რომ ახალი ბუღალტერია, იმას მოვიყვან, თვალებს ისედაც მიშტერებდა და, რომ გაიგებს, ცოლს გაეყარაო, არა მგონია, წინააღმდეგი წავიდეს. ბავშვები?! ბავშვებს მიხედოს მანანამ, დედაა და ვალდებულია... ალიმენტს როგორმე გადავიხდი".— კიდევ ერთხელ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. "ბორჯომი მომცა ახლა... კაი, ცოლმა მიმატოვა, მაგრამ სხვას მაინც არ უნდა გავახსენდე. ბოლო-ბოლო ამხელა ქორწილის თამადა ვიყავი და, სანამ ყველა არ წავაქციე, მაგიდიდან არ ავმდგარვარ... საწოლამდეც ჩემით მივედი... ეჰ, სიმამრის სახლში არ ვიყო, განახებდით, როგორ ვიღრიალებდი, მაგრამ... ახალი ქვისლია და ჩემზე არ იფიქრებს, გიჟი ყოფილაო? თუმცა, სხვებთან რა მინდა, როცა ცოლმაც მიმატოვა და თურმე არ ვუყვარვარ... ეჰ, გასაგებია, რაც მჭირს, მაგრამ მაინც ვცდი, კიდევ ერთხელ მოვსინჯავ, შეიძლება გამიმართლოს..."

მანანამ კარი ფრთხილად შეაღო, შიგნიდან ჩაკეტა და შუქი აანთო.

— რა გჭირს, კაცო? — ძლივს ამოიღო ხმა გაოცებულმა, როცა მისი 120-კილოგრამიანი, ბუმბერაზი მეუღლე ოთახის შუაში, თითქმის მაგიდის ქვეშ თეთრად გადაპენტილ იატაკზე საცვალის ამარა მჯდომი დაინახა, თანაც გვირილით ხელში.

— რა მჭირს და გულზე ვარ გამსკდარი... ერთხელაც რომ ვერ მოიცალე ჩემთვის... სად დაბორიალობდი?

— რა გინდა, კაცო... ისევ უნდა ჩამიმწარო სუფრა?!. პროდუქტებს ვანაწილებდი და არ მეცალა.

— არ გეცალა... თანაც, არ გიყვარვარ, ხომ... ყველაფერი გავიგე!!

— რა გაიგე, კაცო?! ამეღამ გაგისკდა მაინცდამაინც სიყვარულის ბუშტი, ეჭვიანობაც არ დამიწყო ახლა?

— არაფერსაც არ ვიწყებ მე... აა... თუ გინდა, მიყურე, გვირილაც დამიმტკიცებს. — ცისფერი ლარნაკიდან გვირილის ბოლო ტოტი ამოაძრო და გაბრაზებით დაიწყო პუტვა:

— არ გიყვარვარ, გიყვარვარ... არ გიყვარვარ! — გვირილის ბოლო ფურცელი, ცარიელი ბოლო ღერო და კბილებში გამოცრილი სიტყვები: "ხედავ, აი, არ გიყვარვარ თურმე", ერთად დააგდო ოთახში.

— ეჰ, ანახათ ერთი, რა თამადაც ხარ; არადა, ყველა შენს ქებაშია, არც ეტყობოდა სიმთვრალეო, — მანანამ ზურგი შეაქცია, — შენც რაღა არ გიყვარვართოთი იწყებდი, დაგეწყო პირიქით, და მაშინ გაგიმართლებდა, — გაიცინა, — ანდა ხელებშიც არ გაქვს შეგრძნება, ბუნებრივ და ხელოვნურ ყვავილს რომ ვერ არჩევ კაცო?!

— როგორ თუ ხელოვნურს?

— როგორ და ჩვეულებრივად, ვერ გრძნობდი, რომ პლასტმასის ყვავილებს პუტავდი?! — კიდევ ერთხელ გაიცინა მანანამ და ცოცხის ძებნას შეუდგა.

## გათვალული

— გამარჯობა! — მივესალმე გივის და სიგარეტი მივაწოდე, რადგან ვიცოდი, მაინც მომთხოვდა.

მხოლოდ შვიდი ღერი ამოიღო, რამაც ძალიან გამაოცა.

— ბიჭო, სანამ ივლი ასე უსაქმურად ან ოჯახს რითი არჩენ?! — ვკითხე და, როცა კოლოფში დარჩენილ ერთადერთ ღერს ცეცხლი მოვუკიდე, მივხვდი...

— რა ვიცი, ღმერთი მაძლევს... აბა, მუშაობა რომ მინდოდეს, ჩემი ბიძაშვილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრია, ჩავალ დედაქალაქში და, ვარიანტი არაა, ფოთში მაგარ ადგილზე რომ არ გამჩითოს.

— მერე, მიდი, ერთხელ მაინც სცადე!

— არ მინდა! რამე თუ დამჭირდება, ის მომცემს, — მითხრა, ცას შეხედა და ზურგი შემაქცია.

ჩვენში დარჩეს და, მართლაც საოცარი მორწმუნეა, ავტობუსში მანამ არ ავა, სანამ "მამაო ჩვენოს" თავიდან ბოლომდე არ იტყვის და პირჯვარს სამჯერ არ გადაიწერს. დიახ, ასეთი მორწმუნეა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ხალხის დასანახად სჩადიოდეს ყოველივეს.

ერთხელ დამიკაკუნა კარზე და მითხრა, შენი რჩევა ჭკუაში დამიჯდა, თბილისში მივდივარო. მე თვითონ გავაცილე "ფოთი-თბილისის" მატარებელზე.

მეორე დღეს უკან დაბრუნდა, ბიძაშვილამდე ვერ მივაღწიეო...

— რატომ? — ვკითხე.

— ტაქსის ფული არ მქონდა და მეტროსთან რამდენჯერაც მივედი...

— მარტო ლოცვით არაფერი გამოვა, ცოტა ხელიც უნდა გაანძრიო! — შევაწყვეტინე.

— ეჰ, არ დამიჯერებ და გათვალული ვარ... თბილისში წასვლამდე ტელევიზორის მოხელე შემხვდა და, ისე დამაკვირდა, ეჭვგარეშეა გამთვალა... ტელევიზორი გაფუჭებული დამხვდა.

— რომელი, ბოლო ათ წელში ცხრაჯერ რომ აგიფეთქდა?!

— ხო, მაგრამ ახალი გარემონტებული მქონდა... დამიჯერე, ყველაფერი თვალის ბრალია...

ერთი კვირის წინ სოფლიდან მანდარინი ჩამოუტანეს და, ეტყობა, სამი დღე მარტო მანდარინს ჭამდა, საავადმყოფოში წავიყვანეთ, ამორეცხვა დასჭირდა...

— კუჭ-ნაწლავის ექიმი შემხვდა წინა დღით და იმან გამთვალა. — მითხრა და სიგარეტი მთხოვა.

— პორტში რაღაც ფირმა გახსნილა, ხალხს ღებულობენ, გინდა, დაგეხმარები?!

— არ მინდა... ხომ ხედავ, ისედაც გათვალული ვარ?! — ხელი ამიქნია და ზურგი შემაქცია.

— გუშინ, შუაღამით, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ორი სრულდებოდა. გივი იყო.

— თუ არ შეწუხდები, ჩემებს გააღვიძე და უთხარი, რომ სამშობიაროში ვწევარ და მომაკითხონ!

— რაო, სამშობიაროშიო?! კი, მაგრამ იქ რა გინდა?! — კინაღამ ყურმილი ხელიდან გამივარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

–რა ვიცი, გუშინ გინეკოლოგი შემხვდა გზაზე და, ეტყობა ისე შემომხედა, რომ...

## გარიგება

ერთ მშვენიერ დილით ბიკენტიმ, როგორც იქნა, გადაწყვიტა: ბაზარში მინდვრის ყვავილების თაიგული იყიდა და მინადორას სახლის ალაყაფის ჭიშკარი შეაღო.

– მინადორა! — ისეთი ნაზი ხმით დაიძახა, ეზოს კუთხეში ქრიზანთემებს ნაადრევად გაეფურჩქნათ კვირტები.

– გისმენთ! — ბოხი ხმითა და დინჯი ნაბიჯით მიუახლოვდა სტუმარს მინადორას მამა.

– გამარჯობა... მოგესალმებით და მინდა, გამოგიტყდეთ, დიდი ხანია, ველოდი ამ შეხვედრას. — ყვავილები წინ გაიშვირა.

– გაწიე, თუ კაცი ხარ ეს სილოსი და კაცურად ჩამომართვი ხელი.

– ბოდიში, – თაიგული ზურგსუკან დამალა და ხელი გაუწოდა. — მე მოვედი, რადგან უკვე დროა, გესაუბროთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც დაახლოებით ნახევრად თქვენს ქალიშვილს, მინადორას ეხება.

– დაახლოებით ნახევრად რას ნიშნავს, ზუსტ პროცენტს ვერ მოგვახსენებთ? — ქალაქის მთავარი ეკონომისტი ხუმრობის ხასიათზე დადგა.

– ზუსტად 50 პროცენტით... აი, საქმე რაშია, იცით, იმ დღიდან, რაც მე თქვენი ქალიშვილი შემიყვარდა, უკვე გასულია ოცდახუთი წელი...

– მერე რას ითხოვ, იუბილეს თუ, პენსიას?!

– მე ვითხოვ თქვენი ქალიშვილის ხელს.

– ოჰო?! — სასიმამრომ გაიცინა და სიგარეტს მოუკიდა, – რომელი გინდათ, მარჯვენა თუ მარცხენა?

– მე მინდა მინადორას ორივე ხელი, რათა ვეამბორო, მინდა ორივე თვალი, რომ სამყაროს უსასრულობა ვიხილო მათში... მისი ორივე მკერდი მინდა, რომ აღმიზარდოს ღირსეული შთამომავლობა... ორივე ფეხი, რათა გულზე ტკივილით გადამიაროს, როცა ცოცხალი აღარ ვიქნები... მინდა...

–გაჩერდი, თუ კაცი ხარ, სანამ თითო-თითო რაცა აქვს, იმის ჩამოთვლაზე გადასულხარ... მე შეგეკითხე, რომელი ხელი გინდა-მეთქი, – დაანახა მუშტად შეკრული ხელები.

–რო... როგორ... ვიჩ...ხუბოთ? — ენის ბორძიკი აუტყდა.

–რისი ჩხუბი, დამშვიდდი, ენა არ გადაგეყლაპოს და მე არ მექნას შენთვის ღრანჭი გასახსნელი... უბრალოდ, თუ გამოიცნობ, რომელ მუჭში მაქვს ათთეთრიანი! — მინადორას გატან...

– აჰა! — შვებით ამოისუნთქა ბიკენტიმ, – დღეს მე წვერი... უფრო სწორად, წვერის მსგავსი ღინღლი სახეზე გავიპარსე მარ... მარჯვენათი... გამოდის, რომ, ჰოროსკოპითა და ვარსკვლავმრიცხველთა წინასწარმეტყველებით, თქვენ ის ხურდა გექნებათ ჩემგან მარჯვენა ხელში... ე.ი. საწინააღმდეგო მხრიდან თუკი დავაკვირდებით, საპირისპირო, ანუ...

–ბიჭო, პარალელებსა და მერიდიანებში მოძებნე-მეთქი, კი არ მითქვამს, დაარტყი, რომელ ხელში გეგულება.

ბიკენტიმ ყვავილებიანი მარცხენა სასიმამროს ხელს დაუმიზნა და დაკრა.

–შენ რა, ცაცია ხარ?

–არა, ფაცაცია.

–ჰოდა, ჩემო ფაცაცია, კიდევ კარგი, ჭინჭარი რომ არ ურევია ამ ბალახებს, თორემ რასაც ამდენი წელი ალოდინებ ჩემს ქალიშვილს, იმას ორ წუთში მოგიმთავრებდი, – აწითლებული მარჯვენა გახსნა და ვერცხლისფერი მონეტაც აბრჭყვიალდა.

– იეს...! — ხელი ოლიმპიური ჩემპიონივით შემართა ზევით, – მაქვს უფლება, ვეახლო ჩემს დედოფალს?!

– მინადორა, შვილო! — გასძახა ქალიშვილს, – გამოდი გარეთ, შენი ბედი მართლა ეს ყმაწვილი ყოფილა და ღმერთმა ისე შეგაბეროთ ერთმანეთს, როგორც მზე და მთვარე...

– არა, მამი, – მწყერივით ჩაპუტკუნებული მინადორაც გამოგოგმანდა. — მე და ბიკენტი მზე და მთვარესავით კი არ ვიქნებით, არამედ ვაფლის ფირფიტებივით.

–რაო, ვაფლის?

– დიახ... მზე და მთვარე ყოველთვის გაურბიან ერთმანეთს, ვინ იცის, რამდენი ლოდინის მერე ერთი დღით თუ ნახავენ ერთმანეთს, ჩაეხუტებიან და ამასაც მთელი მსოფლიო აკვირდება ფერად-ფერადი შუშის ნატეხებით. ჩვენ კიდევ გვინდა, ვაფლის ფირფიტებივით ტკბილად და მჭიდროდ მივეკრათ ერთმანეთს და მუდამ ერთად ვიყოთ.

– კარგი, შვილო, როგორც თქვენს გულს გაუხარდება... ისე, ხომ გახსოვს, ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკის დირექტორი ჩემი ძმაკაცია და, თუ გსურთ, მიდით მასთან, შეაწუხეთ...

სასიმამრომ ზურგი შეაქცია ბიკენტის, მარჯვენაც გაშალა და ორივე მონეტა ერთ ხელში მოაქცია.

"წავალ, რამე ანეკდოტების გაზეთს ვიყიდი და გავერთობი, თუმცა ოც თეთრად ვინ გაღირსებს ამათზე უკეთეს ანეკდოტს. — გაიფიქრა, სანამ ქუჩას გადაჭრიდა, კიდევ ერთხელ მოაბრუნა თავი და დააკვირდა, თუ როგორ უკოცნიდა ცალ მუხლზე დაჩოქილი სასიძო მინადორას ხელისგულებს...

"ეჰ მაინც ამ პიჟონს დარჩა ჩემი სამსარუთლიანი სასახლე".

## ქალაქის ტუჩები

"ზზზ..." — ზუზუნებენ ბუზები და "ზრრ", – ზრიალებს ტელეფონი...

– ჰო, მაგარ პახმელიაზე ვარ, არ მცალია, –

ყურმილი აპარატზე დააგდო და ამოიხვნეშა, — აუჰ, გამისკდა თავი…, — მაგიდის ქვეშ მოთავსებულ ღილაკს თითი დააჭირა, — სოფო, ერთი ბოთლი, "ბორჯომი" ამომიტანე, რეზბიანი…

"თამადაც ასეთი უნდა… მოიცა, რა ლექსი იყო, დედაზე რომ წაიკითხა… თანაც მისი დაწერილი… ღმერთო, გამახსენე… ორჯერ გმირია ვაჟკაცის დედა, თუკი… ნწუ, ვერ ვიხსენებ… რა შეიძლება ყოფილიყო დედის რითმა?!

"ზზზ…" — ზუზუნებენ ბუზები და "ზრრ…" — ზრიალებს ტელეფონი.

— ხო, სოფო… ვინ მომჩივანი?! აჰა, თანამშრომლებიც ახლავს და მანქანა-დანადგარების სურათები მოაქვთ… კიდევ ვინ?! არა, ჯერ მარტო ის უცხოელი შემოუშვი!

"ორჯერ გმირია ვაჟკაცის დედა… დედა, დედა, საყვარელო ჩემო დედა… არა, ეს სიმღერაა…"

— ზრრ… ზრრ… ზდრავსტვუიტე, — ძლივს ამოთქვა.

"მადლობა ღმერთს, არ დაიხრჩო", — გაიფიქრა და ინგლისური მოიშველია.

— სით დაუნ, — წვალებით წამოდგა და "ბორჯომი" დაუსხა. — ბორჯომ, ვერი გუდ…

"ზზზ" — კვლავ ზუზუნებენ ბუზები და "ზრრ" — ისევ ზრიალებს ტელეფონი.

— კარგი, სოფო, შემოუშვი… მეორე მხარე ერთ საათში დაიბარე. მათაც წამოიღონ მტკიცებულებები, — ადგა და გაიარ-გამოიარა.

გადათვალა, შვიდი მუტრუკი შემოვიდა და ყველა ერთად ალაპარაკდა. ვარდების რევოლუციაში ჩვენი წვლილი შევიტანეთო და ახლა აბეზღებენ მას, ვისაც გაუყიდია, თურმე მანქანა-დანადგარები… და ვინც ერთ დროს ესენი სამსახურში მოაწყო.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ რას წარმოადგენთ?

— ჩვენ ვართ ქალაქში ამ სფეროს ტუზები.

— ესე იგი, ტუზები?! — თქვა და ხელით მოიგერია ბუზები. ლამისაა, ერთმანეთს შეეჯახონ ეს უმაყურო და უხილავძრავიანი ცოცხალი ვერტმფრენები.

სარკმელი გამოაღო და ისევ ღილაკს მიუბრუნდა:

— სოფო, გაიტანე ნაგავი!

"მაინც რა თვეა ეს აგვისტო, შეგიკლავენ ბუზები და… მოიცა, არის ლექსი", — ფურცელი ამოიტანა და რალაცის წერა დაიწყო, რომ ისევ "გაიკეკლუცა" ტელეფონმა.

— დიახ, აქ არიან… როგორ, თქვენც გაქვთ კომპრომატები?! ფოტომასალები და აუდიოკასეტა, დიქტოფონით ჩაიწერეს, თანაც მალულად?! ვარდების რევოლუციის დროს წინა ხაზზე… გასაგებია, მაგრამ… ჰო, წამოიღეთ დოკუმენტები!.. ვიცით, რომ თქვენც ტუზები ხართ! — თქვა, ფურცელს დააკვირდა და რალაც მიაჩხაპნა. "მოიცა, რითმა კი არის ნაცნობი, მაგრამ პლაგიატობას ვინ დამაბრალებს, გამოქვეყნებას ხომ არ ვაპირებ". ორი ყლუპი "ბორჯომი" მოსვა, მზერა კაბინეტში განლაგებულთ მოავლო და ფერდაკარგულ უცხოელზე შეაჩერა. "მერე რა მოხდა, თუ პირდაპირ ბანკეტზე აერია გული. კიდევ კარგი, ოდნავ მოეშვებოდა, თორემ, ვინ იცის, რა დასკვნებს გააკეთებდა ჩვენს საამაყო ქვეყანაზე ეს ეუთოსა თუ კაცუთოს ფილიპინელი დამკვირვებელი ბრტყელი, სამწახნაგოვანი სახითა და ჭერმის კურკისტოლა თვალებით". მზერა აარიდა და ყურმილს ჩასძახა.

— მისმინე ერთ წუთს, — მერე კაბინეტში მყოფთ გადახედა და დაამატა, — თქვენც ყურადღებით მომისმინეთ, როგორც იქნა, დავწერე ლექსი.

— ლექსი?! — გაისმა რამდენიმე გაოცებული ხმა ერთად, — რა დროს ლექსია, მთელი ქარხანა ჯართად გაყიდეს და ჩვენი წილი…

— მოითმინეთ, — ჩაახველა და ხმას აუწია, — აგვისტო… მერე გაოცებულ უცხოელს გადახედა და თავი დაუქნია, — ოოგოსტ… ოოგოსტ!..

— იეს, იეს… — თავისთვის საწყლად ჩაილაპარაკა უცხოელმა და ნერწყვი — "ბორჯომივით" — სლოკინით გადაყლაპა.

— მაშ ასე, — მეშვიდეკლასელი დეკლამატორივით რიხით წარმოთქვა და დაიწყო:

— დრო მოვიდა მუზების,
ბოზების და ბუზების,
თუ ხართ მართლა ტუზები,
ნულარ…

"ზზზ…" — ზუზუნებენ ბუზები, "ზრრ…" — ზრიალებს ტელეფონები და "ზდრ…" დაბზრიალებენ ცოდვილ პლანეტაზე ორჭიქიანი უცხოელები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შალვა საბაშვილი

### მიტოვებული უმაცქერლოდ

ერთმანეთს უმზერს განუწყვეტლივ ყველა საგანი,
ეტრფის გარემოს, ზოგი რამე კიდევაც თრგუნავს,
მაგრამ არც ერთი, ცალკეული იმათთაგანი
არ ფლობს ზემოდან ყოველივეს დახედვის უნარს.

ხოლო ის, ვისაც აქვს კავშირი ყველაფრისადმი
და ძალუძს ყოვლის შეფასება მსაჯულის მსგავსად,
შესაძლო არის, არც ყოფილა ოდესმე სადმე
და ამის მერეც არ გამოჩნდეს არასდროს არსად!

### ცხავნილი შორეთში

აალდა ფერთა გრძნეული წყება,
განათდა აწმყოს ნაზი აურა,
მსუფევი არსის ზვიადი ნება
მომავალ ხანას გაეხმაურა;

გადასდო ხიდად მუსიკად მთოვარ
ძახილის ხიბლი და სიბრწყინვალე
იმასთან, რაიც ოდესმე მოვა,
იმისგან, რაც აქ ჩაქრება მალე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი და მთელი

სადაც ნაწილი საკუთარ მთელს აღემატება,
იქ მაცქერლის წინ სხვა ხილვანი აღემართება.

სად უსაზღვრობა წარიტაცებს სრბოლას გონების,
გაბრწყინდებიან მომნუსხველი სხვა კანონები.

იქ მუდმივობას მხარს უმშვენებს გრძნობა მყისობის,
იქ დგას სუფევა პარალელურ შესატყვისობის.
რაც ამ ველებზე არასოდეს არ დაიშვება,
იქ უბრალოდ და თავისთავად გადაიშლება.

სული, ამ ყოფას შენივთული ერთხანს, დროებით,
იქ გაბრწყინდება სამუდამო მოჯადოებით.

ო, ჟამი იგი დაგვატყდება ნეტარ ღვარცოფად,
რადგან მას ყოფის უსასრულოდ ძალუძს განვრცობა.

და იკაშკაშებს, ამ გრძელ გზებზე რაც დაგებინდა,
სრულიად ახალ, ჯერუხილავ წახნაგებიდან.

ო, იმ მხარეში სხვა კოშკები აღემართება,
რადგან ნაწილი იქ მთელს ბევრად აღემატება!

## მუსიკა და აზრი

სულს ზოგი ატკბობს, ზოგიც აშკარად ატკენს,
ჯობს მარტივ სახეს გამონათება მწყაზრის;
ო, პოეზიის ღირებულებას ადგენს
თანაფარდობა მუსიკისა და აზრის.

ორივეს უტევს თუმცა ქროლება ქარის,
ამ შემოტევას ორივე იტანს უტყვად,
ერთი მეორეს გადაჭდობილი არის,
თან ორსავ ცალკე ციხესიმაგრე უდგას.

ტურფა მუსიკას აქვს გულისგული შინა,
რომლის სიმყარე აზრს მოგვაგონებს ფრთიანს,
აზრის ნაპირნიც ვერცხლისფერებად მბრწყინავ
ია-იაზე წმინდა მუსიკად თრთიან.
ორმაგი არის თითოეულის ტანი:
გულს რაღაც ეკვრის უთვალავ მსუბუქ სვეტად,
აზრს და მუსიკას აქვთ საკუთარი ცანი,
მაგრამ ერთურთის ზეცისაც უყვართ ჭვრეტა.

რომ ლექსი წარმტაც ქმნილებათ მწკრივში ჩადგეს,
სდიოს პოეტმა შეუდავებელ საზრისს,
რომ პოეზიის ღირებულებას ადგენს
თანაფარდობა მუსიკისა და აზრის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გვერდიგვერდ სუფევს

გვერდიგვერდ სუფევს უცილო და შესაძლებელი,
გარდაუვალი ესაზღვრება უშემთხვევითესს,
სული, უსაზღვროდ თავისუფალ სივრცის მძებნელი,
შესაძლო არის, გამოუვალ ჩიხშიც შევიდეს.

ყინულით სავსე მთები ჭვრეტენ ველებს მზებურვილს,
ყოვლის მბრწყინებ არსს ზოგჯერ ბილიკს ნისლნი უნთქავენ,
თავის ღირსებთ უსასრულოდ განსხვავებულნი
ერთად სახლობენ და ერთნაირ ჰაერს სუნთქავენ.

ბევრჯერ დარწმუნდა ფიქრი, ყოფის ტინზე ნალესი,
რომ ერთ მზის ქვეშ კრთის, არსებობს და ერთურთს ერევა
ცივ, გულგრილ სულთა რუხ ფიქრების ტყე უმშრალესი
და პოეზიის უსასრულო მშვენიერება.

## კვლავ ფარულ რწმენით

გარინდებულან მუხები გზისპირს,
სიო არ იძვრის, არ კრთება ნეშო,
რაღაც ზმანებას — ვარდისფერს, მზისფერს
აწვდის ბუნებას ხმა სანუგეშო.

ვით თოვლქვეშ ია — გარემო იცდის,
იგი გაუძლებს ქარებს და თოვებს
და ყველა ფიქრებს გაზაფხულისთვის
შემოინახავს, შემოიტოვებს.

დგას ზამთრისპირი, როგორც სამოსი
ბევრი ოცნების, ნაზის და წრფელის,
და ყველა ძარღვი მთელ მიდამოსი
კვლავ ფარულ რწმენით გაზაფხულს ელის...



ლაშა გოჩიტაშვილი
ლეკვ

ეროვნული
ბიბლიოთე

# მადონა დარცმელია



●

ალიონი,
— ქალწული პომპეზურ პოზაში,
თითქოს უხატია რენუარს,
ალიონი
ამოდის ცის თაღის ლოჟაში,
ვარსკვლავზე დაჰკიდებს პენუარს
დღე მოდის,
— საუზმე,
— ვით ტილო მორიზოს
და ღამე მთქნარებით
მოარღვევს ჰორიზონტს
და მიტევს ქარებით
და მერე ღამეა.
ო, ღმევ, სასჯელო!
არც ტილოვ პისაროს, არც მიქელანჯელოს,
უბრალოდ, ღამე ხარ
გაფანტულ ნოტებად,
მე ღრუბლის ხომალდით
დავეძებ კუნძულებს
იქ კაციჭამია კვლავ შემეტოტება,
ამომგლეჯს გულს და მიაძუნძულებს.
— ბელ-ილში ვიმსხვრევი კლდეებზე,
ეს მონე, კლოდია,
ცრემლები გაფრენილ დღეებზე
თავისით მოდიან.
ვიღაცა დამდევდა ქოშინით
ბელი-ილის ნაპირთან,
დავკარგე კონკიას ქოშივით
ბავშვობა ზღაპრიდან.
მე მინდა მოხვედრა მონმარტრის ბულვარში
ან კაპუცინების;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვლა წარსულის ბურანში,
თქვენ ნუ გეცინებათ,
სამყაროს გავყურებ წარსულის
ზღაპრების ჩეროდან,
ჩათვალეთ სიგიჟედ
და პოეტურ ასულებს
ზღაპრების სჯეროდეთ.
რად გინდა ასეთი ასული.
მართლებო სავსებით,
თქვენ მოგწონთ ასული ავსული,
მოსილი ხავსებით.
მე კი,
მე ალიონს ვამგვანებ რენუარს,
ღამე კი ქოშინით
შემიხსნის პენუარს
და ვკარგავ ოცნებას კონკიას ქოშივით,
და მერე ბელ-ილის
კლდეების ნაპირთან
ვიმსხვრევი,
კოშმარულ სიზმრებით დამფრთხალი,
— როგორ გამაძევეს ბავშვობის ზღაპრიდან,
მე ახლაც ჩამესმის იმათი ხარხარი
და ახლაც შემომრჩა ხსოვნა, ვით ტვიფარი,
და ვიღაც ამ კადრებს
ანელებს,
აჩერებს.
და მიმზერს ბოროტი მზერით უტიფარი,
მიყინავს ძარღვებში მხურვალე ჩანჩქერებს.
მე კი,
მე ალიონს ვამგვანებ რენუარს —
ღამე კი ქოშინით
შემიხსნის პენუარს
და ვკარგავ ოცნებას კონკიას ქოშივით.

●

რა ღამე იყო...
და დილა
ნისლებით შემომეპარა,
გამელვიძა და მანდილად
მზის ათინათი მეფარა.

— და იმ ფერების გამაში
ჩანდა წამწამის ხიდიდან
თეთრი ღრუბლების თამაში,
განთიადი რომ ხედნიდა.

მზე ცას სარეცელს ულაგებს,
— ბრიზი ცელქობას არ იშლის,
ჰგავს ცად გაფრენილ ულაყებს
შენი ქათქათა ბალიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რუკაზე ვეძებ ჩრდილოეთ პოლუსს
(ასეთი ბედი როგორ მელოდა)...
ვუახლოვდები ორმოცს და ბოლოს
მივემგზავრები საქართველოდან.

ჰა, თქვენი იყოს თბილი დარები,
მზეც ჩამოხსენით ცისკიდურიდან,
ნუღარ დამიხსნით, გემუდარებით,
რუსეთის ზამთრის ცხრაკლიტულიდან.

რუკაზე ვეძებ ჩრდილოეთ პოლუსს...

●

იყო მარტი,
დაცხრა...
მდელო, ნარდი,
ფაცხა,
იყო არსი,
ფონი,
ნარდში მარსი,
ფსონი,
იყო მარტი,
მოცრა,
ჩემი ფანტი –
კოცნა.
ცეცხლი,
— კაკლის ლეჯა,
ლექსის
გულში "გლეჯა",
მოცრა,
მერე დაცხრა,
კოცნა, ფანტი, ფაცხა –
იყო მარტი.

●

შენ ხომ არ იცი როგორ მაცოფებს,
როცა შენს თვალებს სხივი უქრება,
მე ველი მათგან ისეთ ღვარცოფებს,
წასალეკად რომ დამემუქრება.

რად ღირს ის ვეფხვი, ბრჭყალს რომ არ აჩენს,
არადა, ველი მხოლოდ ამასღა,
მე ვიმსახურებ სასტიკ განაჩენს,
რომ წამწამებზე მსხვერპლად ამასხა.

თუ არ გაგრძელდა შენი ზღაპარი,
თუ მუზამ ლექსი ველარ მოდენა,
— უნდა ვიპოვო თავშესაფარი,
ჯიღა თვალები, — ხარისოდენა.

ჰო, სასტიკია ბედის სასწორი,
არ დაივიწყო, რასაც გავალებს
არა ხარ მოყმე – დალთან ნაწოლი,
ვერ მიძღვნი მოჭრილ ოქროს დალალებს,

რად ღირს ის ვეფხვი, ბრჭყალს რომ არ აჩენს,
არადა, ველი მხოლოდ ამასღა,
მე ვიმსახურებ სასტიკ განაჩენს,
რომ წამწამებზე მსხვერპლად ამასხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*მწერალ ნოდარ ხუნდაძეს 75 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ბატონ ნოდარს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და მკითხველს ვთავაზობთ მის ახალ მოთხრობებს.*

# ნოდარ ხუნდაძე

## საშველი



სარდაფი ნესტიანი იყო. ბეტონის კედელში დატანებული სარკმლიდან სინათლის ცრიატა შუქი აღწევდა და იქ გამეფებულ უკუნს ებრძოდა.

— აქ მო, — დაუძახა ნინომ ქმარს, რომელსაც ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ იქვე იდგა, ხელის გაწვდენაზე — მისი სუნთქვა ესმოდა.

მიხო მიუახლოვდა. ხელი მოაფათურა. ცოლის მხარს წაეპოტინა.

— ძლივს არ გიპოვე! — გაეცინა.

— დაჯექი, აქ რაღაც ყუთი დევს.

კაცი დაიხარა, მერმე დაჯდა. ამოიოხრა, ერთბაშად საოცარი დაღლილობა იგრძნო.

არაფერი უკეთებია — დაძაბულობამ, გაურკვევლობამ და რაღაც ბუნდოვანის გამუდმებულმა, უმძიმესმა მოლოდინმა სიქა გააცალა.

ცოლი გვერდით მიუჯდა.

მიხომ ხელი მოხვია. მკერდზე მიიხუტა.

— როგორა ხარ? — შეეცადა, ხმას ჩვეულებრივი რიხი არ მოჰკლებოდა.

ქალი გაიტრუნა.

მალე ოცდაათი წელი შესრულდება, ერთად ცხოვრობენ და ასეთი თბილი, ალერსიანი იშვიათად ახსოვს. ბუნებით სიტყვაძუნწი და თავშეკავებული კაცი იყო, თითქოსდა რცხვენოდა საკუთარი გრძნობის გამჟღავნება. შვილებსაც იშვიათად ეფერებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველ ხანებში ვერც შვილიშვილების ალერსს ახერხებდა.

ნინოს დაცდილი ჰქონდა — თითქოსდა ტაბუდადებულ ალერსს ქმარი მისთვის მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციაში იმეტებდა. რასაკვირველია, ამას ვერ იტყვის თაფლობის თვეზე. მაშინ მიხოც ისეთივე ჩვეულებრივი მამაკაცი იყო, როგორიც, ალბათ, სხვები არიან. მერმე კი...

თუმცა, მის ერთგულებასა და ოჯახისადმი უსაზღვრო სიყვარულში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია.

— როგორ ხარ? — გაუმეორა კითხვა მამაკაცმა.

ხმა სავსებით უჩვეულო, საოცარი სითბოთი ავსებოდა.

ნინოს გული აუთრთოლდა.

"ღელავს, ძალიან ღელავს", — გაიფიქრა, ქმარს კი შესცინა:

— კარგად, შენ?

— რა მიშავს, როცა შენ გვერდით მყავხარ.

დადუმდნენ.

სიბნელეს ნელა შეეჩვია თვალი. უკვე გაარჩიეს, რომ სარდაფის ერთ კუთხეში ცარიელი ყუთები იყო ახოხოლავებული, მეორე კუთხეში, მათგან უფრო ახლოს — ბოთლებით სავსე ყუთები.

— რამდენი ყუთია! — გაიკვირვა ქალმა.

— კურორტვაჭრობის ლიმონათისა და მინერალური წყლების საწყობია, — უთხრა კაცმა. — სადღაც ტელეფონიც უნდა იყოს. — მიხო ადგა და იმ მხარეს წავიდა, სადაც მაგიდა ეგულებოდა.

მარტოკა დარჩენილი ქალი რაღაც უეცარმა შიშმა შეიპყრო. უნდოდა, ქმრისთვის დაეძახა, მაგრამ გადაიფიქრა — ვაითუ, ვინმე შემთხვევით ჩავლილმა ხმაური გაიგონოსო.

კაცი მალე დაბრუნდა.

— ნახე?

— კი, მუშაობს, — და კაცს გაეცინა, — შეგვიძლია, ნებისმიერ ნაცნობს დავურეკოთ... — შეცბა, ენა მოიკვნიტა.

— ვაი, ჩვენს დღეს! — ამოიოხრა ქალმა. — სადღა არიან ჩვენი ნაცნობები!.. — მერმე თავი ჩაჰკიდა და აქვითინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა წამოროშა! მართლა და სად არიან ნაცნობ-მეგობრები! გუშინვე დაიცალა მთელი ქალაქი. ვინც გაასწრო, გაიქცა. ვინც გაქცევა ვერ მოახერხა და ქალაქში ჩარჩა, ალბათ, ისევე იმალებიან, როგორც ნინო და თვითონ.

მიხოს არ სჯეროდა, რომ ქალაქი დაეცემოდა. ან როგორ უნდა დაეჯერებინა, როცა ქალაქის ხელმძღვანელობა თუ სამხედროები ერთხმად გაიძახოდნენ, ჩვენს უნებურად გაგრაში ჩიტიც ვერ შემოფრინდებაო?!

ამ ერთი კვირის წინ ნინომ ამოიჩემა — შვილები და შვილიშვილები გავხიზნოთო.

მიხომ შორს დაიჭირა. რაც მართალია, მართალია, განუწყვეტელი სროლით თვითონაც შეშინებული იყო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც არ სჯეროდა, მტერი გაგრის აღებას თუ შესძლებდა.

ნინომ მაინც გაიტანა თავისი — შვილები და შვილიშვილები ფოთამდე ვერტმფრენს გააყოლეს, საიდანაც მატარებლით თბილისს გაემგზავრნენ.

მადლობა ღმერთს, რომ ისინი მაინც ეგულება სამშვიდობოს.

— დამშვიდდი, ნინო, — ისევ მოჰხვია მიხომ მხრებზე ხელი — ჩვენს შვილებს საფრთხე არ ემუქრებათ. ღვთის წყალობით, ჩვენც არაფერი დაგვიშავდება.

ქალმა ქვითინი შეწყვიტა.

— დაიზაფრებიან ბავშვები... ალბათ, განუწყვეტლივ რეკავენ შინ.

მიხო მოიბუზა. ნინომ არ იცოდა, რომ მათი "შინ" უკვე აღარ იყო — აფსუებმა იმ საღამოსვე დაწვეს მათი სახლი, ქალაქში რომ შემოვიდნენ. ეს ახალი ამბავი პავლიკმა მოუტანა. მიხოს ბიძაშვილის ქმარი — პავლიკი რუსია და ქალაქში თავისუფლად დადის, არავინ ერჩის. ბოლო ორი ღამე სწორედ პავლიკისას გაათენეს, მაგრამ იქ კიდევ დარჩენა საშიში იყო — ქალაქში შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ, ქართველებს დაეძებდნენ. თუ ვინმეს აღმოაჩენდნენ, იქვე ხვრეტდნენ.

დღეს დილას პავლიკი ქალაქში წავიდა — ვნახავ, რა ამბები ხდებაო. უკან რომ დაბრუნდა, მკვდრის ფერი ედო.

— არავის აღარ ინდობენ, — უთხრა მიხოს, რომელიც განზე გაიხმო. — საკმარისია, ქართველი იყო, რომ... იმდენი დაუხოცავთ, შეძრწუნებული ვარ... — და მიხოს დახოცილი ნაცნობ-მეგობრები ჩამოუთვალა.

მიხო გაოგნებული იყო. ვერ გაეგო, რას ერჩოდნენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, ვისაც არც იარაღი სჭერია ხელში და აფსუების წინააღმდეგ სიტყვიერადაც არასოდეს გაულაშქრებია.

— კურორტის დირექტორი, მისი ცოლი და ფეხმძიმე ქალიშვილი საკუთარ ბინაში დაუცხრილავთ. არც სხვები გაუშვიათ ცოცხალი, ვინც იმ დროს იქ იყო... — ჰყვებოდა შეძრწუნებული პავლიკი.

თავზარდაცემულ მიხოს ხმა ვერ დაეძრა, სულგაკმენდილი უსმენდა პავლიკს.

— თქვენი აქ დარჩენა საშიშია, — ენის ბორძიკით უთხრა პავლიკმა. — იმათ რა ჭკუა მოეკითხება — შემოვლენ და...

მართალს ამბობდა პავლიკი. მიხოსა და ნინოს ხომ დახოცავდნენ და არც მასპინძლებს დაინდობდნენ.

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? — უფრო თავის თავს ეკითხებოდა მიხო, ვინემ თანამოსაუბრეს.

— შინიდან თქვენი გაშვება ძალიან მიჭირს, მაგრამ...

მიხო კარგად იცნობდა პავლიკს. დარწმუნებული იყო, აშკარა საფრთხე რომ არ დამუქრებოდა, მიხოსა და ნინოს სახლიდან არასგზით გაუშვებდა.

— ნუ ბოდიშობ, — უთხრა მიხომ. — მე ყველაფერი კარგად მესმის. მოდი, იმაზე ვიფიქროთ, რა გზას დავადგეთ.

— იქნებ ჩემს საწყობში გადაგიყვანოთ. ჯერჯერობით იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებით, მერმე კი სხვა გზა ვეძიოთ.

მიხომ იცოდა, სადაც იყო ის საწყობი, უფრო სწორად, საწყობი კი არა, სარდაფი, სადაც პავლიკი მუშაობდა. ჰოდა, ის იყო, აქ გადმოვიდნენ — პავლიკმა მოიყვანა თავისი მანქანით საღამოხანს, უსაფრთხოებისთვის კარს გარედან დიდი ბოქლომი დაადო და წავიდა...

— დაიზაფრებიან... — დაეთანხმა მიხო. — იქნებ მიხვდნენ და შურასთან დარეკონ... — ხავსს მოეჭიდა მიხო. შურა მისი ბიძაშვილი იყო. პავლიკის ცოლი.

— ტელეფონის ნომერი კი ეცოდინებათ?.. — დაეჭვდა ნინო.

— ჩაწერილი ექნებათ, შე ქალო... — დააიმედა მიხომ, თუმცა თვითონაც არ სჯეროდა, რომ ეს ასე იქნებოდა.

მერმე კარგა ხანს მდუმარედ ისხდნენ და გარედან შემოჭრილ ხმაურს უსმენდნენ.

უცებ იქვე, გზის გადაღმა მდებარე სახლიდან, კივილი გაიგონეს. კივილს გინება მოჰყვა:

— გამოდით, გამოდით გარეთ, თქვენ!.. — იგინებოდა ვიღაცა.

— გარეწრებო, არამზადებო! — კიოდა ქალი.

— ეტყობა, მიქელაძეებს მიუხტნენ... — თქვა ნინომ. ერთხანს გაყუჩებული იჯდა, მერმე აწრიალდა — ადგა, სარკმელთან მივიდა.

ისევ ხმაური, კარის რაჯგუნი და ავტომატის კაკანი გაისმა.

— ვიღაცა მოკლეს... — თავისთვის ჩაილაპარაკა მიხომ. — ვიღაცა მოკლეს ბანდიტებმა.

— ღმერთო, შენ გვიშველე... — აჩურჩულდა ნინო და პირჯვარი რამდენჯერმე გადაიწერა.

ცოტა ხნის შემდეგ გზაზე ტანკმა თუ ჯავშანტრანსპორტიორმა ჩაიგრუხუნა.

ნინო და მიხო გატრუნული ისხდნენ, ყურდაცქვეტილნი, თითქოსდა კიდევ უნდა მომხდარიყო ისეთი რაღაც, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოჰპარვოდათ მხედველობიდან.

თუმცა არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა — გზატკეცილზე, რამდენიმე ავტომანქანამ ჩაიქროლა და ქალაქს ისევ მძიმე, დაძაბული მდუმარება დაეუფლა.

— მომწყურდა, — თქვა ნინომ.

— "ბორჯომი" გირჩევნია თუ ლიმონათი? — ჰკითხა მიხომ.

— სულერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხო ადგა და სარდაფის იმ კუთხისკენ გაალაჯა, ბოთლებით სავსე ყუთები რომ ეწყო. ერთი ბოთლი აიღო, ყუთის ძგიდეზე ჩამოკრა და თავმოხდილი ცოლს გაუწოდა.

ნინომ მოსვა.

—"ბორჯომი" ყოფილა.

—ლიმონათიც ბლომადაა. შეგვიძლია, ვიქეიფოთ.

ორთავემ გაიღიმა.

— რა მცირე მანძილია ბედნიერებიდან უბედურებამდე! — თქვა ნინომ მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

სიმართლეს ამბობო, გულში დაეთანხმა კაცი, ხმამაღლა კი უთხრა:

— უბედურებას ნუ ახსენებ, — ხელი ისე აიქნია, თითქოს მოახლოებულ უბედურებას აფრთხობსო. — ჯერ ცუდი არაფერი გვჭირს. ღმერთს მადლობა შესწირე.

— უარესი რა უნდა დაგვემართოს — ნაშრომ-ნაკვდავი დაგვატოვებინეს, მშობლიური ადგილებიდან მიგვერეკებიან, ხალხს უმოწყალოდ გვიხოცავენ. უფრო დიდი უბედურება კი იქნება? — ხმა ჩაეხრინწა, სული შეეხუთა და ხელები უმწეოდ აასავსავა.

— მოსვი "ბორჯომი", — უთხრა ქმარმა.

არა, უფრო დიდი უბედურება მართლაც წარმოუდგენელია და მიხოს არ ასვენებს აკვიატებული კითხვა: რატომ? რა ისეთი იძულება ადგათ აფსუებს, რომ ქართველები ასე შეიძულეს და დაუნდობლად შეებრძოლნენ?

კარგად იცის, რომ ეს ბრძოლა არც გუშინ დაწყებულა, არც გუშინწინ. იგი მთელი ორმოცი წლის წინ დაიწყო. ნელა, წინდახედულად, გეგმაზომიერად. მას მუდამ ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ. შეტევაზე აფსუები მხოლოდ ბოლო ხანებში გადმოვიდნენ, როცა ძალა მოიცეს. რუსებმა ზურგი რომ გაუმაგრეს, ნიღაბი მაშინღა ჩამოიხსნეს.

ქართველები კი...

— ახია ჩვენზე... — ჩაილაპარაკა მიხომ.

— რაო, რა თქვი? — ჩაეკითხა ცოლი.

— ახია-მეთქი ჩვენზე, რაც გვჭირს, — თქვა მიხომ და წამით ჩაფიქრდა. — მეტი სიფხიზლე გვმართებდა, მეტი გამჭრიახობა... — კიდევ უნდოდა ამ აზრის განვრცობა, მაგრამ გადაიფიქრა და, თითქოს საკუთარ თავს ეპაექრებაო, ჩაილაპარაკა: — თუმცა ჩვენ რა შეგვეძლო ან რას გავხდებოდით. ყველაფერს მოსკოვი განაგებდა. საქართველოს ხელისუფლება მუდამ კრემლის ყურმოჭრილი მონა იყო და დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტდა... — სამოცდათვრამეტი წლის ამბები ხომ გახსოვს? — ჩაეკითხა ცოლს და, როცა ნინომ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია, განაგრძო: — მაშინ იყო, აფხაზეთში ტელევიზიამ რომ დაიწყო მუშაობა. როგორც მოგეხსენება, ტელევიზია აფსუებმა მიითვისეს. ქართული გადაცემები საერთოდ არ იყო, რუსულიც — იშვიათად. რუსულად მხოლოდ იმას გადმოსცემდნენ, რაც რუსებს ეამებოდათ და ქართველებს გულს ატკენდა... ეს უკვე აშკარა ბრძოლა იყო, რის წინაშეც თვალის დახუჭვა არა მხოლოდ სიბეცე, სამშობლოს ღალატის ტოლფასიც იყო... მაგრამ ისევ და ისევ ხელისუფლების მეთაურების წაყრუების, მე ვიტყოდი, გამცემლური პოლიტიკის შედეგად, აი, აქამდე მოვედით...

— გაჩუმდი! — შეუწყრა ცოლი. — რა დროს მაგისთანა რამეებზე ლაპარაკია. ისღა გვაკლია, რომ...

— მე მხოლოდ იმას ვამბობ, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

ნინოს არ უყვარდა პოლიტიკაზე მსჯელობა, უფრო სწორად, პოლიტიკა დედაკაცის საქმედ არ მიაჩნდა. გაოცებული იყო სტადიონზე გამართულ მიტინგებზე ქალთა სიმრავლით. უსაქმურებსა და მეშარიეებს ეძახდა იმ ქალებს, ხელში პრეზიდენტყოფილის პორტრეტი რომ ეჭირათ და მის მხარდასაჭერ ლოზუნგებს ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ...

უცებ ტელეფონის ზარი გაისმა.

ნინო შეკრთა. მიხო უანგარიშოდ წამოდგა. გაახსენდა: ყურმილის აღება არ შეიძლებოდა.

ზარმა ხუთი-ექვსჯერ გაიწკრიალა და დადუმდა.

"არ არიან, ბატონო, შინ", — გაეღიმა მიხოს.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და ტელეფონთან მივიდა.

ნომერი აკრიფა. გავიდა თუ არა ზარი, მაშინვე უპასუხეს.

— მე ვარ, — ჩასძახა ყურმილში მიხომ და ნინოს გამოხედა: ქალი უძრავად იჯდა და ქმრისკენ დაძაბული იცქირებოდა. — ხვალ რა დროს გამოივლი?.. გელოდები, — თქვა მიხომ და ყურმილი დადო.

— ვის ელაპარაკე? — ჰკითხა ნინომ.

— პავლიკს.

— როდის მოვალო?

— ხვალ დილით.

— მეტს ნუღარ დარეკავ, ვინ იცის...

— აღარ დავრეკავ.

სანამ დაღამდებოდა, მიხომ ცარიელი ყუთებით საწოლები გამართა და ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოთავსდნენ.

— სიბერემდე სიქაჩლეო... — ნაძალადევად გაიღიმა მიხომ. ნინო გასუსული იწვა და აბეზარ ფიქრებს ებრძოდა.

ამასობაში სულ მთლად ჩამობნელდა. ჩაქრა სინათლის ის ცრიატი, კედელში დატანებული სარკმლიდან რომ აღწევდა.

ღამე შფოთვაში გაატარეს.

დილაუთენია სარდაფის კარი გაიღო და პავლიკი შემოვიდა.

— როგორა ხართ? — იკითხა და პასუხს არ დალოდებია — პირდაპირ საქმეზე გადავიდა: — გამგეობაში მოველაპარაკე, შეიძლება საშვი გაგიხერხოთ. საშვის გარეშე საზღვრის გადალახვა აკრძალულია.

— დიდებული საქმეა, — უთხრა მიხომ, — მაგრამ საშვს, ალბათ, ფული უნდა.

— კი, უნდა... — დაუდასტურა პავლიკმა და საკმაოდ დიდი თანხა დაუსახელა.

— ჯიბეში მხოლოდ ათი ათასი მაქვს... — მწარედ გაიღიმა მიხომ.

— რაცა მაქვს, მე დაგიმატებთ, მაგრამ ვერ გვიშველის, — შეწუხდა პავლიკი.

ნინო ხმას არ იღებდა, არ ერეოდა კაცების საუბარში.

— არადა, აქ დარჩენა დიდხანს არ შეიძლება, — პავლიკმა კეფა მოიქექა. — უბრალოდ, ვინმეს მინერალური წყალი რომ დასჭირდეს... რა ვიცი...

— ოქროს ბეჭედი მაქვს, პავლიკ, — თქვა უცებ ნინომ. — ფულის ნაცვლად არ მიიღებენ?

თითიდან ბეჭედი წაიძრო და პავლიკს გაუწოდა.

მიხო გაოცებით მიაჩერდა ცოლს.

— ნიშნობის ბეჭედია, — უთხრა ქალმა. — მიჭირს, მაგრამ... თუ ცოცხალი ვიქენით, კიდევ მიყიდი...

მიხოს საოცრად ეტკინა გული, მაგრამ არაფერი უთქვამს.

კიდევ სამ დღეს გაგრძელდა მტანჯველი მოლოდინი და მეოთხე დღეს, როგორც იქნა, დაადგათ საშველი: პავლიკმა მოირბინა და ცოლ-ქმარს ახარა — საშვები მზად არისო.

— ჩქარა წავიდეთ, — უთხრა პავლიკმა. — სლავიკი გამგეობაში გველოდება.

— სლავიკი? — დაინტერესდა ნინო.

— ჯერგენია. გამგეობაში მუშაობს. დიდი დახმარება გამიწია, თორემ საშვებს არ მაძლევდნენ.

— მე მგონი, ვიცნობ იმ ჯერგენიას. — თქვა ნინომ.

— არ შეიძლება, არ გახსოვდეს, თურმე თქვენს ბაღში დადიოდა.

დიახ, ნინოს კარგად ახსოვდა ეს ქერა, ჭორფლიანი ბიჭი — იმ საბავშვო ბაღში დადიოდა, რომლის გამგედაც ნინო მუშაობდა.

— ბოლოს ხომ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში იყო?.. მგონი მთავარ ეკონომისტად მუშაობდა, — გაიხსენა ნინომ.

— ჰო, ჰო... სწორედ ისა...

საწყობის შესასვლელთან პავლიკის "მოსკვიჩი" იდგა. პავლიკმა ცოლ-ქმარი უკანა სავარძელზე დასვა, თვითონ საჭეს მიუჯდა. ჩქარობდა, უჩვეულოდ ფუსფუსებდა.

"ნეტა, რატომ ღელავს" — გაიფიქრა მიხომ.

მანქანა სწრაფად მოსწყვიტა ადგილიდან.

— რატომღაც გული ცუდად მიკვნესის, — წასჩურჩულა ქმარს ნინომ და სახეში შეაცქერდა. გაოცდა: ხუთი დღე-ღამის სიბნელეში ჯდომას თითქოსდა ერთბაშად გამოეცვალა მიხო — დაბერებული ჩანდა. ქუთუთოები დასიებოდა. ახოვანი და წარმოსადეგი კაცი ბეჭებში საცოდავად მოხრილიყო. შუბლის ნაოჭები დაღრმავებოდა. თითქოს ქალს უცხო კაცი ეჯდა გვერდით და არა მიხო, მუდამ ენთუზიაზმით აღსავსე, მხიარული და ენამოსწრებული კაცი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო დაღლა, მოწყენა. უცხო და ულიმღამო სახეჩამქრალი, სევდისა თუ შიშის დაღდაჩნეული თვალები.

"საცოდავი!" — გაიფიქრა ქალმა.

— რას მიყურებ? — ნაძალადევად გაიღიმა მიხომ.

ქალმა არ უპასუხა, თვალი აარიდა და ისევ წასჩურჩულა:

— გული ცუდად მიკვნესის.

კაცმა უხმოდ მოძებნა მისი ხელი და ფაქიზად მოუჭირა.

— ყველაფერი კარგად იქნება, — შეეცადა, უზრუნველი კილოთი ეთქვა და აღელვებული ცოლი ოდნავ მაინც დაემშვიდებინა.

პასუხად ქალმა რაღაც თქვა, მაგრამ მიხომ მისი სიტყვები ვერ გაარჩია.

— ჰო... — თქვა, რომ რაღაცა ეთქვა.

ქალმა მადლიერად შეჰღიმა.

ქალაქის გამგეობის წინ პავლიკმა მანქანა გააჩერა.

წუთიც და გამგეობის შენობიდან შურდულივით გამოვარდნილი სლავიკ ჯერგენია გამოჩნდა.

— გამარჯობა! — საერთო სალამი თქვა, როგორც კი პავლიკის გვერდით დაჯდა. — აი, თქვენი საშვები! — ქაღალდები თვალწინ აუფრიალა ცოლ-ქმარს.

მათაც მადლობის ნიშნად დაუკრეს თავი.

მანქანა ისევ მოსწყდა ადგილიდან.

მიხო გარემოს ათვალიერებდა.

შემოდგომას სანაპიროსთვისაც დაეჩნია თავისი კვალი — გარშემო ყვითელი ფერი ჭარბობდა.

ქუჩები ცარიელი იყო, არც ზღვისპირა ზოლზე ჩანდა ადამიანის ჭაჭანება.

მაშ ასე — მიდიან. მიდიან განუსაზღვრელი ვადით — არავინ უწყის, როდის შეძლებენ უკან დაბრუნებას. და, საერთოდ, შეძლებენ კი?

პავილიონს ჩაუქროლეს და მცირე აღმართს შეუდგნენ. აქვეა ძველი ტურბაზა, მის საპირისპირო მხარეს — მეორე საშუალო სკოლა. წინ, გორაკზე, სანატორიუმ "საქართველოს" თეთრი, თითქოსდა გასაფრენად კამარაშეკრული შენობა... მერმე — კოლონადა, ზღვისპირა პარკი, რესტორანი "ჟოეკვარა". ახლა მდინარე ჟოეკვარაზე გადებულ ამ მცირე ხიდს გადავლენ და...

არა, არ გაატარეს.

— მშვიდად! — გააფრთხილა მანქანაში მყოფნი სლავიკმა.

შეიარაღებული აფსუები მანქანას მიესივნენ.

— აბა, ჩამოდით! — მიაძახა ერთმა. — ვინა ხართ და საით გაგიწევიათ?

შუახნის ჭაღარაშერეულმა კაცმა თავი მანქანაში შეჰყო. ეტყობოდა, ჯგუფის უფროსი იყო.

სლავიკი მანქანიდან გავიდა და უფროსს ხმადაბალი საუბარი გაუბა.

— არ ვიცი! — ხელი აიქნია კაცმა. — მე ნაბრძანები მაქვს, არავინ გავატარო!

სლავიკმა საშვები გაუწოდა.

კაცმა საშვებს დახედა, მერმე ისევ მანქანაში შეჰყო თავი და ნინო და მიხო შეათვალიერა.

— უთხარი თქვენს გამგებელს, შეეშვას ამ მაიმუნობას! — შეუბღვირა სლავიკს პიკეტის უფროსმა. — ჩვენ სისხლსა ვღვრით, ვიღაცა კიდევ ფულს აკეთებს!.. წადით!.. ჩქარა გაიარეთ!..

პავლიკმა ისევ მოსწყვიტა მანქანა ადგილიდან.

— მადლობა ღმერთს! — პირჯვარი გადაიწერა ნინომ. — ამჯერად გადავრჩით.

მიხომ ისევ ნაზად მოუჭირა ხელი ხელზე.

— დამშვიდდი, აკი გითხარი...

ქალს მოეჩვენა, რომ მიხოს ჩვეულებრივზე ცივი ხელები ჰქონდა. უნდოდა, ქმრისთვის ეთქვა ეს, მაგრამ გადაიფიქრა. მხარზე თავი მიადო.

პავლიკი საჭეს ჩაფრენოდა და გზას გასცქეროდა. მიხო ატყობდა, რომ ისიც ძალიან ღელავდა.

აი, ფსოუს ხიდიც… ესეც შენი საზღვარი!.. გადახვალ ამ ხიდზე და რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდები. იქ კი ხელს ვერც ერთი აფსუა ვერ გახლებს. პირიქით, შეიძლება თვითონ მოგერიდოს.

ეს არის ეგრეთწოდებული საბაჟო. აქ ხდება ყველა წამსვლელ-მომსვლელის ჩხრეკა-შემოწმება.

მკაცრი გამომეტყველების წვერმოშვებული, კბილებამდე შეიარაღებული აფსუა გვარდიელები ფხიზლად დგანან საზღვრის სადარაჯოზე. რამდენიმეს წითელი ალამი უჭირავს ხელში და იმით ანიშნებენ, რომელი მანქანა სად უნდა გაჩერდეს.

პავლიკმა მანქანა საგუშაგოსთან მისვლამდე გააჩერა რატომღაც, ყველანი ჩამოსვა, კარები ჩაკეტა და თქვა:

— აქედან ფეხით წავიდეთ.

სლავიკი წინ მიდიოდა, მას პავლიკი მიჰყვებოდა.

ნინომ აცახცახებული ხელი ქმარს მკლავში გაუყარა და ერთხანს ასე გაჰყვა. მერმე რატომღაც ხელი უშვა და უკან აედევნა. იფიქრა, ასე უფრო ნაკლებ ყურადღებას მოგვაქცევენო.

ღელავდა მიხოც. საერთოდ გაწონასწორებული ბუნების კაცი იყო, ემოციების დაოკების უნარით დაჯილდოებული, მაგრამ ახლა ვერაფერი მოეხერხებინა თავისთვის.

— აი, თქვენი საშვები, — უთხრა მათ სლავიკმა, საგუშაგოს რომ მიუახლოვდნენ, და ქაღალდები მიხოს გადასცა.

მიხომ საშვებს დახედა, თუმცა ვერ გაარჩია, რა ეწერა ზედ. აცახცახებული თითებით დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო.

— მეტს აღარ გამოგყვებით? — ნინომ ჯერ პავლიკს შეხედა, მერმე სლავიკს.

— ჩემი მისია აქ დამთავრდა, — უთხრა სლავიკმა. — ამ საბუთებით უნდა გაგიშვან.

ეს თქვა და რუსეთის მხრიდან მომავალი ხალხის ტალღას გაჰყვა.

— წამო, — უთხრა ცოლს მიხომ და ხელი ჩაჰკიდა.

ნინო უხმოდ გაჰყვა. ძლივს მიათრევდა ფეხებს. თითქოსდა წონასწორობა დაეკარგა და წამისწამ ელოდა, არა ახლა წავიქცევი და არა ახლაო.

მერმე ყველაფერი წამში მოხდა. წამში კი არა, თითქოს უსაშველოდ გაიწელა დრო. ყველაფერი აირია და ნინო უაზროდ მიაბიჯებდა ხიდზე.

უცებ გონს მოეგო — მიხო გვერდით აღარ მოჰყვებოდა.

გაჩერდა. მერმე უკან მიტრიალდა.

— მიხო! — შესძახა სასოწარკვეთილმა.

უცებ იქ, ჰე, შორს, ხიდის იმ თავში, მდგომი მიხო დაინახა. კაცი მისკენ იცქირებოდა და ხელით ანიშნებდა — ნუ გაჩერდები, იარეო…

ნინოს მუხლები მოეკვეთა. სუნთქვა შეეკრა.

რატომ არ გამოუშვეს მიხო? აკი საშვი ორთავეს ჰქონდა?

ჰო, გაახსენდა, გაახსენდა კი არა, თითქოსდა ხელახლა გაიგონა რამდენიმე წუთის წინ ნათქვამი, რასაც მაშინ ყურადღება არ მიაქცია, არ მიაქცია, რადგან მექანიკურად აზროვნებდა — რაკი საშვები ჰქონდათ, ესე იგი, სამშვიდობოს დაუბრკოლებლივ უნდა გასულიყვნენ.

ვიღაცამ რუსულად ბრძანა:

— ეს დედაკაცი წავიდეს, გაატარეთ! — და ნინოს უბიძგა. — ეს კი, — ახლა მიხოზე მიუთითა მეორეს, რომელსაც წითელი სამკლავური ეკეთა და მკერდზე ავტომატი ეკიდა, — ხიდქვეშ!

— მიხო! — შეშლილივით შეჰკივლა ქალმა.

— გაჩუმდი, ნინო! — მკლავში ხელი ჩასჭიდა უცებ სადღაციდან გაჩენილმა პავლიკმა. — წამო, ჩქარა წამო, თორემ…

— ჩვენ ხომ საშვები გვაქვს! — ყვიროდა ქალი. — სად არის სლავიკი… რატომ არ გამოუშვეს მიხო!.. მიხო!.. მიხო!..

და მაინც მიაბიჯებდა. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ, რომ ფეხებს თავისით მიჰყავდა — თითქოს რომელიღაც არსებას თოკი ჩაება მისთვის და სადღაც მთელი ძალით ექაჩებოდა.

## „ბავშვები“

ქალბატონი თინათინი მარჯანიშვილზე შემხვდა.

ბოლო ოთხი წელიწადი, რაც აფხაზეთიდან გამოგვდევნეს, არ მენახა.

ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა — მომეხვია, გულთბილად მომიკითხა. ისე, როგორც მხოლოდ მას სჩვეოდა და სხვას არავის. რაღაცნაირად განსხვავებული შეხვედრა იცოდა მუდამ, სახეს დედობრივი მზრუნველობით გაჯერებული ღიმილი უმშვენებდა. ჭეშმარიტად გულითადი ადამიანი იყო.

გამოცვლილი ჩანდა. დროს თავისი დაღი დაემჩნია მისთვის.

ჩვეულებრივზე უფრო შავგვრემანი მეჩვენა. ერთ დროს უნაოჭო, ნათელი შუბლი საკმაოდ შესამჩნევ ხაზებს დაეღარა. თვალებშიც სევდა ჩასდგომოდა და სახესაც აღარ უნათებდა გულის სიღრმიდან წამოსული ის ღიმილი, ასე რომ განასხვავებდა სხვებისგან.

მართალია, ეს ოთხი წელიწადი ყველა დევნილისთვის ჯოჯოხეთური წლებია, წელში გამართვის საშუალებას რომ არ იძლევა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ქალბატონი თინათინი თითქმის გაენადგურებინა, მიწასთან გაესწორებინა.

შემატყო, მისმა გამომეტყველებამ ისე დამაბნია, ენა ვერ დავძარი, მოკითხვაც კი ვერ მოვახერხე.

— სანდრო მომიკვდა. ექვსი თვის წინ დავასაფლავე აქ, თბილისში… — თავი დაღუნა, თვალები ცრემლით აევსო, — ახლა შვილთან ვცხოვრობ. — სიმწრით გაღიმებულმა ისევ ამომხედა. — ძალიან მეჩქარება, შვილიშვილს რძე უნდა მივუტანო… დარდმა იმსხვერპლა ჩემი სანდრო… ნოსტალგიამ მოუთავა ხელი…

გატრიალდა და წავიდა.

თვალი გავადევნე. ხელში სარძევე ეჭირა და მხრებჩამოყრილი მიაბიჯებდა.

საოცარი გულისტკივილი ვიგრძენი — როგორ შეეცვალა ამ შედარებით მცირე დროს ეს დიდებული, საკუთარი ღირსების შეგრძნებით გაამაყებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა არა პატივმოყვარე, მაგრამ უსაზღვროდ თავმოყვარე ქალი!

მანამ ვიდექი და მივაცილებდი თვალით, სანამ ხალხის ტალღამ არ შთანთქა.

გამოვბრუნდი და ჩემი გზა განვაგრძე.

თავისთავად, გაუცნობიერებლად ამედევნა ფიქრი წარსულ დღეებზე. იმ დღეებზე, მაშინ თითქმის უკვალოდ რომ ჩაიარეს, მაგრამ, ახლა რომ მივუტრიალდი, ამ გადასახედიდან ძალზე შთამბეჭდავი მოვლენებით აღსავსე დღეებად მეჩვენა.

აი, როგორი იყო ერთ-ერთი იმ დღეთაგანი.

●

გვიანი შემოდგომა იდგა. ჟინჟღლავდა. ზღვა ღრიალებდა. კავკასიონის ქედს ღრუბლის შავი ქულები მარბიელი ჯარის რაზმებივით შესეოდა, ცას თითქოს დაბლა დაეწია და გარშემო წკვარამი დაესადგურებინა.

ერთი სიტყვით, მოჟამული ამინდი იყო.

სადარბაზოში რომ შევედი, სითბო ვიგრძენი. პალტოს ღილები შევიხსენი, საყელო გავისწორე და წვიმის წვეთები ჩამოვიფერთხე.

ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

— შემოდი! — ლომივით დაიბუხუნა მასპინძელმა.

კარი შევაღე და სალამი ვთქვი:

— გამარჯობა!

არ მიპასუხა.

ფანჯარასთან იჯდა, ამოჩემებულ ადგილზე მიდგმულ სავარძელში. ამოჩემებულ ადგილზე-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ სხვაგან, სხვა სკამზე ან სხვა ადგილას არასოდეს ჯდებოდა. კითხულობდა? — აქ იჯდა. ჩაის სვამდა თუ უბრალოდ ისვენებდა? — აქ ეძლეოდა ნეტარებას.

— დარწმუნებული ვარ, თინიკომ გთხოვა, მოსულიყავი, — უკმაყოფილების დაუფარავად მომახალა და ხელი ჩამოსართმევად გამომიწოდა. — აბა, ისე რას მოხვიდოდი. სამ თვეზე მეტია, არ გამოჩენილხარ.

გავუღიმე და ხელების სავსავით ვანიშნე — არა, ამდენი ხანი არ იქნება-მეთქი.

— ჩაწერილი მაქვს, როდის იყავი უკანასკნელად. თუ გინდა, ახლავე გეტყვი... — წამოდგომა დააპირა, მაგრამ არ დავანებე.

— იჯექი, იჯექი. ხომ იცი, რა ჯოჯოხეთური სამუშაო მაქვს.

— ვიცი, — უცებ დამიკრა კვერი და თითქოს ერთბაშად გამოიცვალა: ჩამოიშორა ის ყასიდი გაბრაზება და თვალებში ჩვეული სითბო ჩაუდგა. — არ გეწყინოს, ჩემო კარგო. რაც ეს საზიზღარი ამინდები დაიჭირა, გარეთ ვეღარ გამოვდივარ, ვზივარ ამ ოთხ კედელში გამოკეტილი და ვკითხულობ. ვკითხულობ და ვფიქრობ. ხმის გამცემი მენატრება. სანამ თინიკო მოვიდოდეს, სული კბილით მიჭირავს. მითხარი, ხომ იმ კუდიანმა დედაკაცმა დაგირეკა, სანდროს მიაკითხე, შეუძლოდ არისო?

გამეღიმა.

მართალს ამბობდა. ის-ის იყო, სამსახურში მივედი და ტელეფონის ზარი გაისმა.

— წუხელ ცუდად ექინა. ამდილითაც შეუძლოდ იყო, შენი ჭირიმე, თუ შეგიძლია, მიაკითხე სანდროს! — მთხოვა ქალმა.

თინათინი სანატორიუმში მუშაობდა ექიმად და დღის პირველ ნახევარში მუდამ დაკავებული იყო. ამიტომ, როცა სანდროს მარტო დატოვება ეშინოდა, ქმრის მეგობრებს ურეკავდა რიგრიგობით, ჩემს მოსვლამდე შეიქციეთო.

ეტყობა, იმ დღეს ჩემი რიგი დამდგარიყო და დამირეკა კიდეც.

— არა, თქვენთან დავრეკე და არავინ მიპასუხა, — ვიცრუე მე.

— ჩვენი ტელეფონი დაზიანებულია.

— ჰოდა, — განვაგრძე იმით გახარებულმა, რომ სიცრუეში ვერ მამხილა, — ქალბატონ თინათინს დავურეკე.

— ესე იგი, შენი აქ მობრძანება მაინც ინსპირირებულია.

— ასე გამოდის! — დავყარე ბოლოს ფარ-ხმალი და მაგიდასთან მიდგმული სკამი ფანჯრისკენ მივაჩოჩე. — მართალი გითხრა, მომენატრა შენთან საუბარი.

არაფერი უთქვამს. მხოლოდ ჩაიცინა, ცალყბად, თუმცა კმაყოფილად. კმაყოფილებას კი იმით გამოხატავდა, რომ თვალებს ოდნავ მილულავდა.

მრავალმხრივი განათლების მქონე კაცი იყო. თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. თუმცა ხმამაღლა არასოდეს უთქვამს, მაგრამ ვატყობდით, რომ თავი მოსწონდა — ჰამლეტი მითამაშიაო. საერთოდ, არტისტული ბუნების კაცი იყო. ხან უსაზღვრო ოპტიმისტი და ცხოვრებაზე უზომოდ შეყვარებული, ხანაც გამოუსწორებელი პესიმისტი და მელანქოლიით შეპყრობილი; სამხატვრო აკადემიაშიც უსწავლია. მშვენიერი მხატვარი იყო.

— აკადემიაში სწავლა რატომ მიატოვე? — ვკითხე ერთხელ.

თავი ჩაკიდა. ერთხანს საკუთარ ხელებს დასცქეროდა, მერმე ღრმად ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლაო:

— ღერძიდან ჩამოვვარდი და თავით დავეცი... სწავლის გაგრძელება ვეღარ შევძელი... ახლაც...

ჰო, ახლაც უჭირდა ხანგრძლივი ჩაგულისყურება, ერთ პოზაში დიდხანს ყოფნა, თავი მაწუხებსო, ხშირად დაუჩივლია.

თუმცა მაინც ნაყოფიერად მუშაობდა — ხატავდა და წერდა. წერდა ძირითადად ლექსებს, შიგადაშიგ — მოგონებებსა და წერილებს ფერწერაზე. პირადად იცნობდა ქართული ლიტერატურის კორიფეებს, გამოჩენილ ქართველ თუ რუს მხატვრებს. სახელოსნოს ერთი კედელი ქართველი მწერლების პორტრეტებით ჰქონდა მოფენილი და, როცა შინ მარტოკა რჩებოდა და ჯანმრთელობა ამის საშუალებას აძლევდა, მათთან ხმამაღლა საუბრით ერთობოდა. ეს რომ ასე იყო, თვითონ მითხრა ერთხელ: ამათ ხშირად ვესაუბრები, ვეკამათები კიდეცო.

— ახალი არაფერი დაგიხატავს? — ვკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორღაც გამოცოცხლდა და თვალები აუჟუჟუნდა.

— დავხატე. წამო, გიჩვენებ! — მსუბუქად წამოდგა და წინ ენერგიული ნაბიჯებით წამიძღვა.

ასე მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როცა დარწმუნებული იყო, ნახატი გამოუვიდა — ესე იგი, ოდნავაც არ ეეჭვებოდა, რომ მორიგ გამარჯვებას მიაღწია.

— შენ პირველი ხარ, ვისაც ეს სურათი ვაჩვენე. ჯერ თინიკოსაც არ უნახავს. გამაბრაზა და იმიტომ არ გავაკარე სიახლოვეს.

— ეს როგორ? — გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, თინათინი იყო ყველა მისი ნამუშევარის უტყუარი ექსპერტი.

— მუშაობას მიკრძალავდა. ცუდად რომ გახდე, რა მეშველება, ხომ ჩემი სადავიდარაბო იქნებიო. რას იზამ, დედაკაცი დედაკაცია. ყვავივით ნუ დამჩხავი, ენაკვიმატი ხარ-მეთქი, რომ ვუთხარი, გამიბრაზდა.

"ბავშვები" — გამეღიმა უხმოდ.

ჭეშმარიტად ბუტია ბავშვებივით იყვნენ. ხშირად კინკლაობდნენ, მაშინაც კი, საამისოდ არავითარი საფუძველი რომ არა ჰქონდათ. გაბუტულები ერთხანს თავ-თავის საქმეს მიაშურებდნენ. ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ შერიგდებოდნენ და ისე აჟღურტულდებოდნენ, თითქოს წლობით უნახავები ყოფილიყვნენ.

— აი, ნახე! — ზეწარი გადასწია და თავისი ახალი ნამუშევარი გამოაჩინა.

საკმაოდ დიდი ტილო იყო, ლამის ნახევარი კედელი ეჭირა. ზედ ვერაფერი გავარჩიე, გარდა ფერებისა. თითქმის ყველა ფერი ერთბაშად მიჭრელებდა თვალს. უნებურად უკან დავიხიე. თვითონაც დაიხია ჩემთან ერთად.

— სწორია, ფერწერული ნამუშევარი შორიდან უკეთ აღიქმება... — თქვა და ნიკაპზე თითმიჭერილი მიაჩერდა ტილოს. ისე უცქეროდა, თითქოს პირველად ხედავდა. დაუოკებელი ჟინითა თუ დაუმცხრალი ვნებით წამონთებული მისი თვალები დაუფარავ აღტაცებას აფრქვევდა.

მე კი ვიდექი და დაბნეული თუ გაოცებული შევცქეროდი მის ამ ბოლო ნამუშევარს. ხმა ვერ დამეძრა, რადგან არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

რაღაც გამოუცნობი ფიგურები, მახინჯსიფათიანი ადამიანები, კენტავრები, ურჩხულის თავი, ერთმანეთში გადახლართული ასპიტები, შორს, ზედა კუთხეში, წითლად აბრიალებული ხანძრის ენა და... ფერები. თითქოს ფერთა ჭიდილი აესახა მხატვარს. თითქოს ამ ერთმანეთთან შეუთავსებელ არსებათა თუ საგანთა ურთიერთკავშირის მოტივირება ფერებით განეზრახა.

ფერწერის საიდუმლოებათა სიღრმეში ჩაუხედავი კაცი ვარ, ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რასაც ვხედავ: სწორედ იმას აღვიქვამ ფერწერულ ნამუშევარში, რაც თვალსაჩინოა, რაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზედაპირზე დევს. აქ კი...

— იცი, რა დავარქვი ამ ნახატს? — მკითხა ოცნებაში ჩაძირულმა. ყურადღება არ მოუქცევია, რას განვიცდიდი და, საერთოდ, განვიცდიდი თუ არა რამეს მისი ამ ნახატის მაცქერალი, — ქაოსი.

— ქაოსი? — დაუფიქრებლად წამოვიძახე.

— დიახ, ქაოსი... — უცებ შემომხედა. ვერ გეტყვით, რა ამოიკითხა ჩემს სახეზე, მაშინვე კედელთან გაჩნდა, ნახატს ზეწარი მარდად წააფარა და მკლავში ხელი გამიყარა. — შენ ამას ვერ გაიგებ... ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ვერ გაიგებ. — მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო დამაბნია, თუმცა კრინტიც არ დამიძრავს.

კარი გააღო, წინ გამატარა და სკამზე მიმითითა. თვითონ თავის საყვარელ სავარძელში ჩაეშვა.

— გული მიგრძნობს, მალე გაუგონარი არეულობა დაიწყება... — წამით იყუჩა და ფიქრმორეულმა განაგრძო: — დიახ, ნამდვილი ქაოსია მოსალოდნელი. ღმერთმა ქნას, ჩვენი ქვეყანა გადაურჩეს ამ უბედურებას, თუმცა... — თავი ურწმუნოდ გადააქნია და ახლა მობობოქრე ზღვას გახედა. ზღვა კი ყალყზე შემდგარი ურჩხულივით უტევდა ნაპირს. კოკისპირულად წვიმდა და წვიმის შიშინი სამგლოვიარო ჰანგივით გაისმოდა.

გული მომეწურა. მიყვარს გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა და ვერ ვიტან შემოდგომის დელგმას. მაისის წვიმა ალერსიანია, ვარდებს ახარებს.

— მეშინია, მოსალოდნელი ქაოსის ნანგრევებში არ მოვყვეთ, რადგან ასეთი რამ ნამდვილად გვემუქრება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში დღეს იმდენი პარტია ჩემობს პირველობას... კარგად მოგეხსენება, ოჯახს ერთი კაცი უნდა მართავდეს. ასეა ქვეყანაც — მასაც ერთი პარტია უნდა მართავდეს. შეიძლება, სხვა პარტიებიც არსებობდეს, მაგრამ, თუ ყველა პირველობას დაიჩემებს, დასასრული კატასტროფული იქნება. ამ ტილოზეც, შენ რომ ახლახან ვერაფერი გაუგე და, მგონი, დამიწუნე კიდეც, მხოლოდ ქაოსის ჩემეული წარმოდგენის ასახვა ვცადე...

— არა, არა... კარგი ნახატია... — ძლივს გავხსენი კრიჭა.

სანდრომ ისევ ზღვას გახედა. კარგა ხანს გაოგნებულივით მისჩერებოდა.

— ჰმ... კარგი... — დაიწყო ბოლოს, თუმცა ჩემკენ არ მოუხედავს — კვლავ ზღვას გასცქეროდა. — მგონი, ბერტოლდ ბრეხტმა თქვა — სიტყვა "კარგს" საზიზღარი გემო დაჰკრავსო. თუმცა, სიმართლეს გეტყვი, გულის სიღრმეში მაინც მესიამოვნა შენგან უგერგილოდ წარმოთქმული ამ სიტყვის გაგონება. კაცმა რომ თქვას, ამას არავითარი მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან მისი მიზანი მხოლოდ პატივმოყვარეობის ჭიის დაპურებაა, სხვა არაფერი. ეტყობა, სიბერეში მეც გამჩენია ეს ჭია და, ალბათ, იმიტომ მესიამოვნა.

ეს საოცარი გულახდილობა იყო, რაც არასოდეს შემინიშნავს მისთვის. არ უყვარდა გულის გადაშლა, ვერ იტანდა მისი სულის კუთხე-კუნჭულებში სხვის ფათურს. მხოლოდ იმას თუ გეტყოდა, რისი დამალვაც არ ძალუძდა, რაც თითქოსდა სახეზე ეწერა. და ჩემთვის მუდამ ბოლომდე გაუხსნელი და შეუცნობელი რჩებოდა.

ის-ის იყო, რაღაც უნდა მეთქვა, რომ კარი გაიღო და ქალბატონი თინათინი გამოჩნდა.

ქოლგა კუთხეში გაშლილად დადო და ჩვენკენ გამოემართა.

— გამარჯობა თქვენი, ახალგაზრდებო! — ჩანთა სკამზე დააგდო, პალტო გაიხადა და საკიდარზე დაკიდა. — ღმერთო, ეს რა ამინდია, ლამის ცა ჩამოიქცეს!

სანდრომ ცოლს ღიმილიანი მზერა ესროლა. ჰკითხა:

— ხათუნას დაურეკე?

ხათუნა თბილისში სწავლობდა და მშობლები, როგორც წესი, ორჯერ მაინც ურეკავდნენ ყოველ კვირას.

— დავურეკე, კარგადაა.

— რა დღეა დღეს, თინიკო? — უცებ მიაფეთა კითხვა სანდრომ და ცალყბად გაღიმებული მიაჩერდა.

— პარასკევია, შემოგევლე. რა იყო?

— "ლიტერატურული საქართველო" მომიტანე? — იმავე გამომეტყველებით ჰკითხა და, დარწმუნებულმა, რომ უარყოფით პასუხს მიიღებდა, ისე შემომხედა, თითქოს მანიშნებდა — ხედავ, რა ხალხთანა მაქვს საქმეო.

— უი, მოგიკვდა ჩემი თავი! — შეიცხადა ქალა, ქმარს მიუახლოვდა და ყელზე ეამბორა. — დამავიწყდა... მარტოკა მეგულებოდი და შინ გამოვიქეცი!.. — უთხრა, თან თვალი ჩემკენ გამოაპარა — ნუ დამძრახავ ამ უწყინარი სიცრუისთვისო.

— ასეა, — მომიბრუნდა სანდრო და თითქოსდა ნიშნისმოგებით მითხრა: — კაციშვილი არ მეგულება ამქვეყნად, ჩემზე გული შესტკიოდეს... მე ქვეყნის დედინაცვალი ვარ, რომელსაც, როგორც წესი, მუდამ აბრადუმს აყრიან თავზე...

— კარგი რა, სანდრო... — იწყინა თინათინმა და სარკესთან მივიდა, ჩამოშლილი თმა თავის მოხდენილი აქნევით გაისწორა. — სასიკვდილო განაჩენს ნუ გამომიტან...

— განა არ იცი, რომ იმ გაზეთს მუდამ სულმოუთქმელად მოველი?! აკი დილას შეგახსენე!..

— მართალი ხარ, ცამდე მართალი, მაგრამ დამავიწყდა და რა ვქნა ახლა?

— არაფერი, ბატონო, რა უნდა ქნა. მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს.

აი, ასე იცოდა. რაც უნდა უწყინარი სიტუაცია ყოფილიყო, მუდამ ტრაგიკულ ელფერს ანიჭებდა ხოლმე.

— ხომ იცი, შეგვინახავენ გაზეთს და ხვალ მოგიტან.

— დიდი მადლობა... — თავი დაუქნია უკმაყოფილოდ მოქუფრულმა სანდრომ.

ჩუმად ვიჯექი ჩემთვის და იმათ შემყურეს გულში მეღიმებოდა. ვიცოდი, ეს მცირედი წაკინკლავება საკმარისი იყო, რომ ერთმანეთს გაბუტვოდნენ, თუმცა არც შერიგებას დასჭირდებოდა დიდი ხანი. ოღონდ მარტონი უნდა ყოფილიყვნენ, გარეშე პირის მოწმობა ხელს უშლიდა მათს დაუყოვნებლივ შერიგებას. ამიტომ უმალ წამოვდექი და განვაცხადე:

— უნდა დაგტოვოთ, ოთხ საათზე თათბირი მაქვს.

ცოლ-ქმარმა თავი გამოიდო — არ გაგიშვებთ, ვისადილოთ და მერმე წადიო, მაგრამ ჩემი არ დავიშალე: მინდოდა, "ბავშვები" რაც შეიძლება მალე შერიგებულიყვნენ."



მაკა მაკალათია
ნატურმორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მერაბ ჯაფარიძე

### დავიჯერო, წვიმა მოვა

ვერის ბაღი, ფიქრის გორა.
ცა სველ ღრუბლით დაიტბორა,
ამას წყალი არ გაუვა –
უეჭველად წვიმა მოვა.
მოვა? იქნებ, არც მოვიდეს,
ახლა იმნაირი დროა
ყველა ცრუობს, ყველა ტყუა...

ისე, ეგეც სულერთია,
წვიმა მოვა თუ არ მოვა,
რადგან ფიქრში გასარჩევი,
ოცნებების მიდგას გორა
და გადაღმა ნაპირისკენ
გადავყავარ ნელა ბორანს.
ვერის ბაღი, ფიქრის გორა,
ცა სველ ღრუბლით დაიტბორა,
ვითომ მართლა გაწვიმდება,
დავიჯერო, წვიმა მოვა?

### გაცილება

მიდიოდნენ მოხუცები ფეხის ჩუმი ფაჩუნით,
ფრთხიალებდა საგულეში სევდა ფრთებგაფარჩხული.

ტრიალებდა დედამიწა, დროს ვერ შევაჩერებდი,
გადავკეტე სადღაც ყელთან ამომსკდარი ცრემლები.

მამამ ერთი მოიხედა, ხელი დაგვიქნია და
მივხვდი, რაღაც აწუხებდა, რაღაცის თქმა ეწადა.

მერე თითქოს ჩაიქნია ხელი, ძალაწაგვრილი,
და შებრუნდა განა მამა, თითქოს მისი აჩრდილი.

გაჰყვა დედას, მე ვხედავდი, მხრები როგორ უთრთოდათ.
დედამიწა ტრიალებდა, დრო გარბოდა ულმობლად.

დაუნდობლად ჟამთაბრუნვის შეჩერება მწყუროდა...
მხრებწახრილი ბერი წყვილი ჩუმად მიფაჩუნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ამობობღდა, ვით ობობა,
ცაზე ნელა ლილე,
ვარსკვლავებმა ღამე სადღაც
უხმოდ გააცილეს.
მთვარე ისევ გაჯიუტდა,
არ დატოვა ზეცა,
ვით მჭვირვალი მარგალიტი,
ცის კაბადონს შერჩა.
ცა, კრიალა, როგორც სარკე
მუქი ლილის ფერი,
გაინაბა დასიცხული,
სასწაულს თუ ელის.
მიწამ ხვატი აიხვია
გახურებულ მკერდზე,
ჩრდილი ვერსად უპოვნიათ
ტანდაფიფქულ მტრედებს.
შენ, შიშველი, ვითარ შველი,
მზისგულს ეფიცხები,
ცხელ ქვიშაზე მარტო წევხარ
და სიცოცხლით ტკბები.

მერაბ ჯაფარიძემ გერმანიაში ისეთი საქართველო დაანახვა და აგრძნობინა ადამიანებს, როგორზეც ჩვენ აქ, საქართველოში მცხოვრები ქართველები ვოცნებობთ და გვენატრება — ლამაზი, კეთილშობილი, განბრძნობილი რაინდების ქვეყანა, რომლის სახესაც თვითონ წარმოადგენდა. იგი მაშინვე დაინახეს და შეიყვარეს, რადგან არდანახვა არ შეიძლებოდა: დადიოდა და სიყვარულსა და სიკეთეს ასხივებდა. ყველა ესწრაფოდა მასთან ურთიერთობას და მრავალი მეგობარიც შეიძინა გერმანელთა შორის. სამშობლოს სიყვარული და მძაფრი მონატრება ტკივილით იყო სავსე. ტკივილი — ადამიანის სულიერების ნამდვილი გამოვლენა — გადაიღვრებოდა ლექსებში და ყოველ სიტყვას სიცოცხლეს აძლევდა, ხალასი გრძნობით ავსებდა. სამშობლოდან იძულებით გადახვეწილი ადამიანისთვის დიდ იყო მანძილი საქართველომდე; დიდი, მაგრამ არა ცარიელი; მუდამ თრთოდა მშობელ ქვეყანასთან დამაკავშირებელი ცოცხალი სიმი, კვეთდა უსასრულო სივრცეებს და ივსებოდა შინაარსით, აზრით, ხილვებით, შემდეგ კი, შემოქმედებით ენერგიად გარდასახული, იძენდა ხილულ ფორმას ლექსის, სპექტაკლის, ფილმის, ფერწერის, საზოგადოებრივი საქმიანობის სახით.

მერაბ ჯაფარიძემ — საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციის განყოფილების მთავარმა რეჟისორმა და სამშობლოდან გაურკვეველი პოლიტიკური ბრალდებებით დევნილმა კაცმა, მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. კიდევ ერთხელ იელვა ქართულმა ნიჭმა უცხო მიწაზე. საკეთებელი ბევრი იყო და ვერ ისვენებდა.

სამშობლო შორს იყო და იტანჯებოდა, ახლოს თვისტომნი იყვნენ გასაჭირში. იქაც საქართველოს ხვალინდელი დღე იყო ზრუნვის საგანი და მისი უშუალო თაოსნობით გაიხსნა საკვირაო სკოლა, სადაც "სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირებ" ემიგრანტ ბავშვებს ქართულ ენას, ტრადიციებს, კულტურას აზიარებდნენ; თეოლოგ და მწერალ იოხენ ნოიჰაუსთან ერთად დააარსა ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა ხელშემწყობი საზოგადოება "ოქროს საწმისი", რომელიც თავის სიტყვას ამბობს ამ ურთიერთობათა განმტკიცებაში. გერმანელ მეგობართა ხელშეწყობით გადაიღო ფილმი "წერილი მინდენიდან". ეს იყო ქართველ ემიგრანტთა წერილი საქართველოსადმი და, თუმც იგი ვიდეოაპარატურით იყო გადაღებული, დიდი წარმატება ხვდა წილად; დადგა ორი სპექტაკლი მინდენის თეატრის სცენაზე, რასაც პრესა ასე გამოეხმაურა: "ასეთი კაცი ნამდვილი სიმდიდრეა თეატრალური სცენისთვის. მინდენის თეატრალური ლაბორატორია თავს ბედნიერად უნდა თვლიდეს, რომ ასეთი გამოცდილი თეატრალური ხელოვანი ჰყავთ."

იყო საქართველოდან ჩასული სტუმრების სიხარულიანი მასპინძელი.

გერმანიაში გატარებული 9 წელიწადი — ცხოვრების დიდი გამოცდაა. იქ უფრო მძაფრი იყო ქართველობის გრძნობა, მძაფრი იყო ქართული სიტყვა, მძაფრი იყო სიყვარული და ამან საკუთარი თავის, საკუთარი საკეთებლის ბოლომდე გაცნობიერების საშუალება მისცა. იგი გახდა ევროპელ მწერალთა გაერთიანება "კოგგეს" წევრი და კიდევ უფრო ძლიერად გაიჟღერა ქართულმა სიტყვამ უცხოეთში (იგი თარგმნიდა გერმანულიდან ქართულად და ქართულიდან გერმანულად), კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობით დაიტვირთა სიტყვა "საქართველო" ევროპელი ადამიანისთვის.

9 წლის განშორების შემდეგ შინ დაბრუნდა, მაგრამ ვაი, რომ სულ მოკლე ხანში ზეციურ საქართველოს შეუერთდა მისი მუდამ მშფოთვარე სული.

**დალი სულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# არჩილ ფირცხალავა

## შენ, ჭირვეული

მეგონა,
მართლა მოვკვდებოდი
და მოგინატრე,
მერე უეცრად მოემატა
თვალებს სინათლე,
ავაგე კოშკი,
ბროლის კოშკში დავაბინადრე.
მცივაო – მითხარ.
და ვინანე.
რატომ გინატრე.

## დედას

ნიჭიერია შენი შვილი,
იმდენად ნიჭიერი, დედა,
ლექსებს დაწერს და...
ლექსის დაბეჭდვას
ათასში ერთხელ ბედავს.
შენი ჭაღარა – ნათლის ზიარი,
როგორ ყვითლდება, ვხედავ.
იქნებ უნიჭო და საქმიანი
შვილი გერჩივნა, დედა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არჩილ ფირცხალავა

ის ერთადერთი პოეტია,
რომელსაც ქვეყნად
სიკვდილის შემდეგ,
ფიზიკური სიკვდილის შემდეგ
ყველაზე მეტ ლექსს
აღმოუჩენენ დაჭედილ ყუთში.

## ავტოპორტრეტი

ჯიბეში ჰქონდა სიჯიუტე
ვაი მისი ბრალი,
სულ ცისაკენ გაურბოდა
ცრემლიანი თვალი.
მიწას უცებ დაენარცხა,
ვერ იფარა ფარი
ჯიბეში ჰქონდა სიჯიუტე,
რაღა მისი ბრალი.

## ყვავი

ეს ყვავი
ჩემი საფლავიდან აფრინდა წუხელ,
მიტომაცაა
ასე შავი და საცოდავი.
დაიმედება
(თუნდაც ოდნავი)
გაეჯიბრება
უდიდეს წუხილს.
ახლა
არავის
მეათასედ
დარდსაც არ ვუმხელ,
ვერ დაამშვიდეს იმედებმა
გული მშფოთვარი.
ეს ყვავიც
ჩემი საფლავიდან
აფრინდა წუხელ,
მიტომაცაა
ასე შავი და საცოდავი.

*ლექსები მეგობარ პოეტს — იზა ჯაჭვაძეს*

●

სხვა არაფერი,
მე მივიცვალე
ცისკრის ვარსკვლავთა მილეულ ტევრში
თურმე მთელი დღე შენთვის ვიწვალე,
მსასოობადაც შენ ერთი შემრჩი.
ახლა სიზმრიდან გეძახი მხოლოდ,
გეძახი თოვლის თიმთიმა მტვერში...
სხვა არაფერი,
მე მივიცვალე
ცისკრის ვარსკვლავთა მილეულ ტევრში.

●

მე კიდევ კარგი,
მაგრამ შენ რატომ
უნდა გყოლოდა ღმერთად ჰადესი,
ვინ გიღალატა,
გულმა თუ სატრფომ,
დიდი იყო თუ უდიადესი.
თუმცა ყველა გზამ ერთად დამტოვა,
წლებაც ვერ მოსპოს წუთის ნათესი...
მე კიდევ კარგი,
მაგრამ შენ რატომ
არ უნდა გეცნო უდიადესი.

●

შენი მზე — ნაჩრდილი მორევია,
მორევი სიმშვიდის ნაამბორევია,
ამდენი ზოლები საიდან,
ამდენი ფერები საიდან,
შენი მზე ნაჩრდილი მორევია
როგორმე ამ ჩრდილსაც აიტან.

●

ქალაო, პაჭიჭიანო,
გული არ დამიჭიანო,
დაბრძენდნენ ჩემი სწორები,
საურმე სახრეს სჭრიანო.
ჭირიმე შენი თოლების,
ჩემო თოლშურთხა ჭკვიანო.
ყელზედამც ჩამამხვევია
ერთი ტანსლიპი ჭიაო.
ფაფანაგ ჩამაგხევია
როგორ არ ვიეჭვიანო,
ქალაო, პაჭიჭიანო.

●

ისევ დამინდო დედა ამინდმა
თუმცა საკმაოდ დამხანებია,
ასე გულწრფელად და მიამიტად
მე ჯერ არავინ არ მყვარებია.
იცრება ნელა საწუთროს ქვიშა
და მზეა, როგორც ძმური დანდობა...
თურმე მგოსნისთვის არაფერს ნიშნავს
მარტის დღეების ცვალებადობა.

●

I

ნუ დამიხატავ, მეგობარო, გათელილ ფოთოლს,
გვინდა თუ არა, უსათუოდ ჩვენს თმებშიც მოთოვს.
ჯერ კი... დაგვღუის მშვენიერი თიბათვის მთვარე
და უსასრულოდ, უსასრულოდ მშვიდია არე.
ჯერ... ბედნიერებს უხილავი შუქი გვიზიდავს
და გვამწყალობებს უსპეტაკეს ჰანგებს იზიდა.
ფშავის ბილიკებს, წამო, ერთად შევუყვეთ ბარემ,
სახინკლე ქვაბი – გავიყოლოთ თიბათვის მთვარე.
მე სხვა სურვილი არ მქონია, თუმც წლები ვთვალე
(სპარსული ხმალი რად მგონია ნახევარმთვარე),
არავინ იცის, როდის მოთოვს ან როგორ მოთოვს,
ნუ დამიხატავ, მეგობარო, გათელილ ფოთოლს.

II

რად მესიზმრება ხარის სისხლით მოთხვრილი ხელი
ან წარაფს მიღმა დამსხვრეული შუშის ციმციმი
რას მიმანიშნებს ვერაფერი გავიგე, იზა!
მამაკაცური სტრიქონების უხეში ხაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაუწყვილა უსპეტაკეს იდუმალებას,
ვინ გამოღადრა ჩვენს მარჩენალ წიქარას ყელი.
ვინ გაიტყუა სათიბებში ჟამი – სიზმარი.
ნეტა, თუ მართლა მზის ალალი ღიმილი გვყოფნის
გაუძლის გზაზე მოფარფატე ადამიანებს?
ვფიქრობ და... მაინც ვერაფერი გავიგე, იზა!

III

ლეგას სულ უქმოდ უფრთხიხარ,
ქალავ, მა შენი ღვთისა და...
ცისკარნაცემი შურთხი ხარ,
ზარ ჩამაგიკრავს ვისადა?

ნეტამცა ამარჩეულსა
შენი ტრფიალის ღირსადა,
ცალკერძ ქებაი თოლშუქთა
ცალკერძად მზერა შვლისა და

მზედ მაშინ გამოანათებ,
როს მთას ვეფინვი ნისლადა,
ისე კი, არავინ იცის,
ვინ სად მოვკვდებით, ვინ სადა.

ლეგას სულ უქმოდ უფრთხიხარ,
ქალავ, მა შენი ღვთისადა.
ცისკარნაცემი შურთხი ხარ,
ზარ ჩამაგიკრავს ვისადა.



მაკა ზედელაშვილი
ნატურმორტი



## სადად თხრობა რთულ საკითხებზე

**საუბარი რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან**

*1981 წლის 27 მარტს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე პრემიერა შედგა. რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ ლეო ქიაჩელის ნოველა — "ჰაკი აძბა" გაასცენიურა და ყველას, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს სპექტაკლი, შეუძლებელია, ის უცნაური, თავბრუდამხვევი შინაგანი მუხტი, რითაც ეს დადგმა გამოირჩეოდა, ოდესმე განელებოდეს.*

*1981 წლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ... ამ სპექტაკლს, მასში დასმულ მთავარ სათქმელს — ადამიანური ერთგულების შესახებ, ყავლი არ გასვლია.*

*მარჯანიშვილელთა "ჰაკი აძბას" დღესაც მოვისაკლისებთ როგორც სპეციალისტები, ასევე მაყურებლები და, ალბათ, ამანაც განსაზღვრა შეხვედრა და საუბარი ბატონ თემურ ჩხეიძესთან.*

*თუმცა, ვიდრე უშუალოდ სპექტაკლს შევეხებოდე, მინდა, აკაკი ბაქრაძის 1979 წელს გამოქვეყნებული ერთი მეტად საყურადღებო წერილიც ვახსენო. წერილში — „მასალა და მოთხრობა“ ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ ბოლოს და ბოლოს ისეა წაკითხული, როგორც ავტორმა ჩაიფიქრა და არა ისე, როგორც ამას კითხულობდნენ წლების განმავლობაში სოცრეალიზმის ტალღაზე აფოფინებული ეგრეთ წოდებული კრიტიკოსები.*

*დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ, სავარაუდოა, სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორისა და კრიტიკოსის კერძო საუბრებმა განაპირობა ჯერ წერილის, შემდგომ, ცოტათი მოგვიანებით, სპექტაკლის შექმნა; ყოველ შემთხვევაში, არც წერილს და არც სპექტაკლს ერთმანეთისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით, თითქოს შეავსეს კიდეც ერთურთი და, რაკი ორივეს დამოუკიდებლად არსებობის უნარი აღმოაჩნდა, ალბათ, ამჟერად ცალკე აკაკი ბაქრაძის წერილზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს (მით უფრო, რომ ეს წერილი მომავალში უფრო სხვაგვარი, საფუძვლიანი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს). ოღონდ ერთი რამ მაინც მაინტერესებს: ამ სპექტაკლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რეცენზიაში (ავტორი ეთერ გუგუშვილი) ვკითხულობთ — თემურ ჩხეიძე დიდხანს დატრიალებდა ლეო ქიაჩელის მოთხრობის სცენურ ხორცშესხმასო და...*

***— ბატონო თემურ, იქნებ, გაიხსენოთ სპექტაკლის დადგმის წინარე პერიოდი.***

— მართლაც დიდხანს ვფიქრობდი „ჰაკი აძბას“ გასცენიურებაზე. ჯერ კიდევ სატელევიზიო თეატრში მუშაობისას მინდოდა სატელევიზიო სპექტაკლად განმეხორციელებინა, მაგრამ მაშინ რიგი მიზეზების გამო არ მოხერხდა.

***— ტელევიზიაში, ალბათ, ტექნიკურად უფრო იოლი იქნებოდა „ჰაკი აძბას“ განხორციელება, არა?***

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მხოლოდ მაგიტომ არა! ჯერ იყო და რამდენიმე სპექტაკლის დადგმაზე მითხრეს უარი, მაშინ აზრი არა აქვს ჩემს აქ ყოფნას, წავალ-მეთქი ვუთხარი და ეგ იყო "ჯაყოს ხიზნები" დამადგმევინეს, — ეღიმება ბატონ თემურს. ეტყობა, შეეშალათო და იქვე დასძენს — ჰოდა, "ჯაყოს ხიზნების" შემდეგ "ჰაკი აძბას" ვიღა მომცემდა დასადგმელად?!

***— არსებობს თუ არა „ჰაკი აძბას" სარეჟისორო ჩანაწერები?***

— ჩანაწერები საერთოდ კი არსებობს, მაგრამ ის მხოლოდ ჩემთვისაა საინტერესო და ღირებული.

ისე, სულ მინდა, უფრო ვრცელი ჩანაწერები მქონდეს, მაგრამ... თან რაა, იცით, როცა ჩანაწერებს სხვებისთვის, გასაშიფრად ქმნი, ის, ჩემი აზრით, უინტერესოა... რაღაც იდუმალება აქვს თეატრს და ის ბოლომდე შეუცნობელი უნდა დარჩეს — როგორც კი ყველაფერს ახსნი და განმარტავ, უკვე უინტერესოა.

სარეჟისორო ჩანაწერები, ალბათ, უფრო იმისთვისაა, შენ თვითონ გაგახსენდეს რაღაც კონკრეტული. ხანდახან რაღაც სიტყვა, რაღაც დეტალი გაძლევს სტიმულს, არადა, ისე, ობიექტურად რომ წაიკითხო, არაფერიც არ არის.

***— ზოგი ხატავს კიდეც, მგონი მიხეილ თუმანიშვილიც ხატავდა.***

— რა თქმა უნდა, ხატავს კიდეც ზოგი, რობიკოც ხატავს...

***— თქვენ?***

— მე უნიჭო ვარ...

***— ბატონო თემურ, თუ არ მეშლება, „ჰაკი აძბა" ის პირველი სპექტაკლია, რომელიც მაშინ განახორციელეთ მარჯანიშვილის თეატრში, როცა სამხატვრო ხელმძღვანელად მოხვედით.***

— დიახ, ასე იყო. „ჰაკი აძბა" მას შემდეგ დავდგი, რაც მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოვედი.

ისე, ჯერ კიდევ რუსთაველის თეატრში მუშაობისას, ბატონი აკაკი ბაქრაძის ხელმძღვანელობის პერიოდშივე მინდოდა "ჰაკი აძბას" გასცენიურება. როლებიც კი მქონდა განაწილებული, მაგრამ ავად გავხდი და დიდხანს ველარ შევძელი რეპეტიციების გაგრძელება. ისე, არც მსახიობებს გამოუხატავთ მაინცდამაინც დიდი სურვილი სპექტაკლზე სამუშაოდ. არადა, ძალიან მინდოდა, "ჰაკი აძბას" განხორციელება და, მოვედი თუ არა მარჯანიშვილის თეატრში და ვთქვი თუ არა, "ჰაკი აძბაზე" მინდა მუშაობის დაწყება-მეთქი, დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ მარჯანიშვილელები ამ გადაწყვეტილებას. სპექტაკლიც ძალიან მალე — თვესა და რამდენიმე დღეში დავდგი.

***— თქვენ, საერთოდ, მალე დგამთ ხოლმე სპექტაკლებს, არა?***

— რა ვიცი... საერთოდ, მგონია, რომ მართლაც ჩქარა ვმუშაობ. მაგრამ ისე ჩქარა ვერა, როგორც მაშინ, როცა "ჰაკი აძბას" ვდგამდი. თან სპექტაკლში ბევრი მსახიობი მყავდა დაკავებული. სხვადასხვა სკოლის, ესთეტიკის... მიუხედავად ამისა, ერთიანი სპექტაკლი გამოვიდა. ერთი მანერითა და სტილისტიკით...

***— ბატონო თემურ, მაინც, მაინც საიდან აგეკვიატათ „ჰაკი აძბა"?***

— არ ვიცი, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, მაგრამ აი, ხომ გეუბნებით, რამდენიმე წელიწადი კი ვუტრიალებდი, მომწონდა, მინდოდა დამედგა...

საერთოდ, ბევრი პროზაული ნაწარმოები მაქვს სცენაზე განხორციელებული.

***— რაც მეტად ნიშანდობლივია თქვენი შემოქმედებისთვის!***

— იქნებ, გამინაწყენდნენ კიდეც დრამატურგები, მაგრამ არ არის ამდენი ღირებული ქართული პიესა და... რა ვქნა?

ისე, გუშინ მოვიდა ერთი ჟურნალისტი და მეუბნება — თქვენდამი ასეთი პრეტენზიაა — ქართულ ნაწარმოებებს თითქმის არ დგამთ და რატომო?

***— უცნაურია. ეგ კორესპონდენტი, ეტყობა, მეტისმეტად ყმაწვილი იყო და თქვენი ძველი სპექტაკლები არათუ ნანახი, გაგონილიც არა ჰქონდა, თორემ...***

— ჰოდა, ვუთხარი, შენ, ალბათ, მხოლოდ ჩემს ბოლო სამ სპექტაკლს უყურებ, თორემ, საერთოდ, ჩემი სპექტაკლებიდან თითქმის სამოცდაათი პროცენტი ქართულია-მეთქი...

***— თუნდაც "გუშინდელნი", ამ სპექტაკლმა ხომ თავის დროზე საკუთარი სათქმელი გამიზნულად თქვა. ანდა იგივე "ასის წლის შემდეგ", "ჯაყოს ხიზნები", "ქალის ტვირთი", ანდა ტელესპექტაკლები "თეთრი კურდღელი", "კუკარაჩა", რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? თუმცა ამჯერად ისევ "ჰაკი აძბას" მივუბრუნდეთ:***

***როგორც ცნობილია, არსებობს ამ მოთხრობის ორი ფინალი: ერთი, როცა ჰაკი თვითონ იკლავს თავს, და მეორე, როცა კილგა ჰკლავს. თქვენ სპექტაკლის ფინალისთვის აირჩიეთ სწორედ მეორე... ვფიქრობ, ამგვარ დასასრულს მხოლოდ იმიტომ არ მიანიჭებდით უპირატესობას, რომ იგი სცენიურადაა საინტერესო.***

— ორივე ერთად, სცენიურადაც ძალიან საინტერესოა და კიდევ, მოთხრობის მეორე, სწორედ ის ფინალი, როცა კილგა ჰკლავს ჰაკის, უფრო ლოგიკური და უფრო ტრაგიკულიც მეჩვენება.

სხვათაშორის, მაშინ ბევრი მსაყვედურობდა, რატომ შეეცადე კილგას გაადამიანურებას, ეგ ხომ პირუტყვიაო...

კი. ეს ასეცაა, მაგრამ პირუტყვი რომ პირუტყვია, ერთნიშნაა, მეტი არაფერი. და მხოლოდ ერთნიშნა არ მაინტერესებს. საერთოდ ვერ ვიტან ერთნიშნა პასუხებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დასასრული კიდევ იმიტომაც ავირჩიე. კილგამ ხომ უკვე დაუჯერა ჰაკის, ირწმუნა, რომ მართლაც გულწრფელად დაიტირა ის მეზღვაური და უცებ... მოტყუებული აღმოჩნდა. უმტყუნა ჰაკიმ და ამიტომაც მოკლა!.. ყველას ვერ მოთხოვ წყნარ გუნებაზე მოქმედებას, თანაც რომელი პოლიტიკოსი კილგა მყავს, განსჯა რომ დაიწყოს?!

ხედავთ?!. შემიძლია, ახლა ისე მოვყვე ყველაფერი, მთლიანად კილგას მხარეზე გადავიდეთ ყველანი. ასეთ უკიდურესობამდე უნდა მიიყვანო ყველა ხაზი. ეს არის ტრაგედია; ტრაგედიაა, როდესაც თავის მხრივ ყველა მართალია და... უცებ ეჯახებიან ერთმანეთს, თორემ, ერთი თუ თავიდანვე ძალიან ცუდია და მეორე — ძალიან კარგი, მაშინ არაფერი გამოვა.

ტრაგედიაა როდესაც დაფიქრდები — კი მაგრამ როგორ, რანაირად, აბა, მე როგორ მოვიქცეოდი ამ დროს?!

რა ვიცი, რა გარანტია მაქვს, რომ მეც კილგასავით არ მოვიქცევი?

კილგა ერთნიშნა პირუტყვი რომ იყოს, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, პირდაპირ მიატრიალებდა კრეისერს და ცეცხლს დაუშენდა ქალაქს, მაგრამ ასე არ იქცევა.

*— გამოდის რომ არ არის ერთნიშნა და ასეთად იგი, ვგონებ, თვითონ ლეო ქიაჩელსაც არ ჩაუფიქრებია.*

— ჰო, ეგაა საქმე!

*— ახლა, იცით, ის სცენა მომაგონდა, როგორი თანაგრძნობით წამოაყენებს კილგა (ირაკლი უჩანეიშვილი) მოტირალ ჰაკის (ნოდარ მგალობლიშვილი). თითქოს სიბრალულითაც ეუბნება — ტირილი არ იქნება, აფხაზოო!*

— მართალია, კილგამ დაუჯერა ჰაკის და გემზეც დატოვა, იფიქრა, ვუპატრონებ, "თვალს ავუხელო..."

ღალატი თუ ერთგულება?! — ეს პრობლემა ტრიალებს.

კილგასთვის, რაც ჰაკიმ გააკეთა, ღალატია, მაგრამ ჰაკი ხომ ამ ყველაფერს უჯუშის გადასარჩენად აკეთებს — ჰაკი მხოლოდ მისი ერთგულია.

— თითქმის ფანატიკურად ერთგულიც კია...

— რა თქმა უნდა, ერთგულება ფანატიზმსაც გულისხმობს.

*— კილგასთვის კი ეს სრულიად გაუგებარია.*

— იმიტომ რომ კილგას პოზიციიდან ჰაკი მოღალატეა. თან, აქ კიდევ ერთი მომენტია. გახსოვთ, იმ მეზღვაურს, მკვლელობის დროს იქ რომ იყო და გაიქცა, ნაპირზე გადასვამს...

საერთოდ, ჩემი ვალია გავიგო, ვის რა სტკივა, ვის რა ამოძრავებს, საიდან მოდის ეს იმპულსები, თორემ, ისე, უბრალოდ, ცხოველის თამაში იოლია; სასტიკია კილგა, მაგრამ რატომ, რატომ?

ჩემი ვალია, სწორედ ეს ამოვიცნო!

ვამპირი არ მაინტერესებს, ვამპირი ვამპირია და მორჩა!.. ეს კი რატომაა ასეთი გაბოროტებული, ნატანჯია და ამიტომაც ამოძრავებს შურისძიება. მიაჩნია, რომ ამათგან აქვს გაუბედურებული ცხოვრება და ამიტომაც არ ზოგავს არავის.

არ ვიცი, ალბათ, შეიძლება სხვანაირადაც დაინახო, მე პირადად კი ასე დავინახე...

გავაადამიანურე? გავაადამიანურე კი არა, შევეცადე, ამეხსნა, რამ გამოიწვია მისი ასეთი საქციელი, რატომაა ასეთი, ეს თუ ვერ ამოხსენი, მაშინ მსახიობი ვერ ითამაშებს... და, თუ გვინდა ადამიანის სულიერი განვითარების სტრუქტურა ვაჩვენოთ, უნდა დავინახოთ, რა ხდება მასში, უნდა ვიცოდეთ, რა ამოძრავებს, რამ გაუღვიძა ეს გრძნობები, საიდან იბადება ყოველივე ეს. რაც სულაც არ ნიშნავს გამართლებას. ეს მხოლოდ ახსნაა, ამოხსნაა ხასიათისა.

არსებობს ასეთი გამოთქმა — გავიგე, მაშასადამე, გავამართლე, მაგარმ სინამდვილეში ასე არაა. შეიძლება გავიგო, ადამიანმა ადამიანი რატომ მოკლა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მკვლელს ვამართლებ...

მსახიობმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რა ამოძრავებს მის გმირს, რაზე უნდა ააგოს თავისი როლი.

არ შეიძლება პირდაპირ ბოროტი კაცის თამაში, ბოროტება რეზულტატია რაღაცა ემოციური პალიტრისა. და აი, ამას უნდა მიაგნოს რეჟისორმა და აუხსნას მსახიობს და მერე უკვე არტისტი თვითონაც ყველაფერს შესანიშნავად იგებს და აკეთებს.

კილგას პოზიციიდან მას უსამართლოდ მოექცნენ:

ჩავიდა, დაპატიჟეს, ვითომ კარგადაც მიიღეს, მერე კაცი მოუკლეს! უსაფრთხოების გარანტი თუ არ ჰქონდათ, რაღას ეპატიჟებოდნენ?

როგორ, გენდეთ, ჩემი ხალხი გამოგაყოლეთ მიტინგზე, პურ-მარილზეც, და თქვენ შვილივით გაზრდილი მეზღვაური მომიკალით. ამის შემდეგაც გინდათ, ისევ მე დაგზოგოთ და არც გესროლოთ, არც არაფერი გითხრათ? რა, თუ მართალნი ხართ, ახლავე აქ მომიყვანეთ მკვლელიო, — ამას ითხოვს კილგა, მეტს ხომ არაფერს; რა, ამის გაგება არ შეიძლება?

*— რა თქმა უნდა, შეიძლება... მაგრამ ცოტათი, მგონი, მართლაც ცდილობთ კილგას გაადამიანურებას, რადგან, როგორც მიხეილ თუმანიშვილმა ბრძანა — თქვენ ეძებთ ადამიანს!*

*ეძებთ ადამიანს თვით ყველაზე დაცემულთა, უზნეოთა შორისაც და სწორედ ეს რეჟისორული კონცეფციაა (თუ, უბრალოდ, პიროვნული პოზიცია) ჩემთვის მისაღები და ახლობელი... თუმცა ამაზე შემდგომ, ახლა კი მაინტერესებს — 1981 წელს, ჯერ კიდევ საფუძვლიანი კომუნისტური რეჟიმის პერიოდში (მიუხედავად იმისა, გაცილებით ადრე უკვე დადგმული გაქვთ "გუშინდელნი"),*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დგამთ ისეთ ანტისაბჭოურ სპექტაკლს, როგორიცაა "ჰაკი აძბა" და წარწერა სპექტაკლის პროგრამაზე — ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამოცე წლისთავსო, – ცოტა არ იყოს, გროტესკულადაც კი ჟღერს.*

*უცნაურია, როგორ მოახერხეთ ყოველივე ეს მაშინ?*

– სავსებით გულწრფელად გეუბნებით, არავითარი ანტისაბჭოთა სპექტაკლი არ დამიდგამს.

***– რა ვიცი, ასე კი გამოვიდა და...***

– „ჰაკი აძბა“ საერთოდ არ იყო არაფრის ანტი. ეს იყო სპექტაკლი ადამიანის ერთგულებაზე: გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არავითარი ანტი მე არ ჩამიფიქრებია!

ანტირუსული, ანტისაბჭოური? არა, ამას ვერ დავიჩემებ, ვერ გამოვჩნდები გმირად!

საერთოდ, ანტი რომც ჩავიფიქრო, ვერ დავდგამ. რომ იცოდეთ, პირიქით, მე ყოველთვის რაღაცისთვის ვდგამ, ანტი არ მაინტერესებს!..

ვერ გამიგია რატომ იყო ის სპექტაკლი ანტი?!

***– მაშ, რატომ გიკრძალავდნენ მის განხორციელებას?***

– ჰო, რა ვიცი; ისე, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება რომ არა "ჰაკი აძბას" ვერ დავდგამდი, ახლა ამაზე საუბრის გაგრძელება არ მსურს, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, რომ არა მათი თანადგომა, არ იქნებოდა "გუშინდელნი", არ იქნებოდა რობიკოს "ყვარყვარე", იგივე "ჰაკი აძბა".

იცით, როგორი წინააღმდეგობა მქონდა კულტურის სამინისტროს მხრიდან, არაფრით არ მადგმევინებდნენ ამ სპექტაკლს. იყო ერთი "შეგონებანი", მობოდიშებანი და ასე შემდეგ... და ერთხელაც მოხდა ისე რომ...

●

*აი, აქ ჩვენი დიალოგი, როგორც უხმო კადრები, ისე ჩაივლის და ის, რასაც ბატონი თემური მიყვება "ჰაკი აძბას" პრემიერასთან, საერთოდ, სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით, მისივე თხოვნით ჯერჯერობით არ გახმოვანდება, თუმცა ამ ყველაფერს ცოტათი მოგვიანებით აუცილებლად დავწერთ, ამ კადრსაც აუცილებლად გავახმოვანებთ (და ესეც ისევ და ისევ თემურ ჩხეიძის თანხმობით მოხდება).*

●

***– ახლა კი, ბატონო თემურ, 1983 წლის კიევის ფესტივალი გავიხსენოთ, "ჰაკი აძბას" ფესტივალის გვირგვინიც კი უწოდეს...***



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომ იცოდეთ, ჩვენში არა გვქონია ისეთი მძაფრი გამოხმაურება, როგორც რუსეთში, ძალიან უკვირდათ: კი, მაგრამ თქვენ საბჭოთა კავშირში არ ცხოვრობთო?!

სწორედ ამ ფესტივალზე სპექტაკლის დამთავრებისთანავე მაყურებელი არც კი წასულა დარბაზიდან, ისე დაიწყო წარმოდგენის განხილვა.

***— მაგრამ როგორ მიიღო იგივე სპექტაკლი ქართველმა ან აფხაზმა მაყურებელმა?***

— მახსოვს, სოხუმში საგასტროლოდ მივდიოდით და "ჰაკი აძბა" ვერ წავიღეთ...

***— რატომ?***

— იცით, რა მითხრა აფხაზეთის მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, "ჰაკი აძბას" რომ ისეთივე მაღალი მსახიობი თამაშობდეს, როგორიც მელვინეთუხუცესიაო, მაშინ კიდევ შეიძლებოდაო; რატომ-მეთქი, რომ ვკითხე, მომიგო — იმიტომ რომ უჯუშ ემხა ქართველია, ჰაკი — აფხაზია და დაბალიაო!..

მაშინ გამეცინა და მივუგე — ეგ რა შუაშია, საკალათბურთო გუნდს კი არ ვაყალიბებ-მეთქი.

***— ქართველებს რაღა დაემართათ?***

— ქართველებიც გაბრაზებულები იყვნენ. მახსოვს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შეხვედრაზე სტუდენტებმა მითხრეს — არა გრცხვენიათ, ეს სპექტაკლი როგორ დადგით, აფხაზი ასე კარგად რატომ გამოიყვანეთო?!

დავინტერესდი, თქვენ ნახეთ სპექტაკლი-მეთქი?! — არ გვინახავს და არცა ვნახავთო, — მიპასუხეს.

***— მიუხედავად ამგვარი კურიოზებისა, სპექტაკლმა მგონი მაინც დიდხანს იცოცხლა, რამდენ ხანს იყო იგი თეატრის რეპერტუარში?***

— არც ისე დიდხანს, მგონი 5-6 წელიწადი, მაგრამ მაყურებელი მაინც ყოველთვის ჭირდა.

***— მაყურებელი ჭირდა?***

— მაინცდამაინც ვერ დავიტრაბახებთ, რომ ბევრი მაყურებელი ესწრებოდა სპექტაკლს, მიუხედავად ამისა, მსახიობები ისეთი მონდომებით თამაშობდნენ...

რა დასამალია და, როცა ძალიან ბევრი მსახიობი მონაწილეობს სპექტაკლში, ყოველთვის არსებობს მისი მოშლის, მოდუნების საფრთხე, შეიძლება უკანა პლანზე მდგომმა "მეზღვაურმა" გაგიფუჭოს სცენა. არადა, სპექტაკლი ისე ჩამოვიდა სცენიდან, მუხტი არ მოჰკლებია; უხმო როლები რომ ჰქონდათ, ისინიც ისე თამაშობდნენ...

***— ჯერ ერთი, ამდენი ოსტატი იდგა სცენაზე და, ალბათ, ამიტომ, და მეორეც, თვითონ სპექტაკლის ხასიათიდან გამომდინარე, "ხალტურა" ნაკლებად იყო შესაძლებელი. რაც მთავარია, ეს უპირველესად, თქვენი, როგორც რეჟისორის, დამსახურება იყო.***

— ჩემი როგორ, ისინი იდგნენ სცენაზე და... საერთოდ, მსახიობებმა თუ მოინდომეს, ისეთი სპექტაკლს გაგიფუჭებენ, რომ...

მაგრამ მე ამ მხრივ ძალიან განებივრებულ-გათამამებული ვარ...

წელან „გუშინდელნი“ ვახსენეთ და მაინცდამაინც არც ამ სპექტაკლს ჰყოლია ბევრი მაყურებელი. არადა, იმასაც ვერ ვიტყვი, ან ერთი, ან მეორე, იმდენად რთული იყო, რომ მაყურებელმა ვერ გაიგო.

***— საერთოდ, თქვენი სპექტაკლები რაღაც ხელოვნურად შექმნილი, გამოგონილი სირთულეებით არ გამოირჩევა.***

— მიყვარს სადად თხრობა რთულ საკითხებზე.

აბა, ის თუ ვერ გაიგე, რას გელაპარაკები, როგორ შედგება ჩვენს შორის დიალოგი?

სპექტაკლში მთავარია ურთულესი დეტალების გაშიფვრა, მაყურებლამდე გასაგები ენით მიტანა და ამის შემდეგ თვითონ მაყურებელმა უნდა გამოიტანოს საკუთარი დასკვნები.

ბოლოს და ბოლოს რა არის რეჟისურა — თუ როგორ მოგიყვებით ამბავს სხვა მეტი არაფერი!

აქედან გამომდინარე, ფორმაც შესატყვისი უნდა იყოს. მთავარია, რა ფორმით მოგიყვებით, რომ ჩემი მონაყოლი უფრო მოვიდეს თქვენამდე. უნდა იპოვნო, რა ფორმაა ამისთვის საჭირო და არა ის, რომ...

არა ვარ იმის მომხრე, ჩემს მიერ გამოგონილ ფორმაში დაიდგეს სხვადასხვა ყაიდის ნაწარმოებები და ყველაფერს ჰქონდეს ერთი, ჩემი მანერა, რომელიც ბოლოს გაირკვევა, თურმე სულაც არა ყოფილა ჩემი! პირიქით, უნდა მიაგნო, კონკრეტულ ნაწარმოებს თუ რომელი ფორმა უხდება და, აქედან გამომდინარე, „ჰაკი აძბას“ რაღაც ბალადისდაგვარი ფორმა მივეცი...

***— ბატონო თემურ, თქვენ, როგორც წესი, საკუთარ სპექტაკლებს ყოველთვის ესწრებით...***

— რა თქმა უნდა, საერთოდ, რეჟისორი ყველა თავის სპექტაკლს უნდა ესწრებოდეს. ყურადღებით უნდა იყოს, შენიშვნებიც დაიმახსოვროს, ჩაინიშნოს და ეს შენიშვნა მეორე წარმოდგენის დაწყებამდე, ნახევარი საათით ადრე უთხრას მსახიობს, გააფრთხილოს ან შეაქოს და ასე...

***— მაგრამ როცა სცენაზე უეცრად სრულიად მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი რამ ხდება, მაშინ რა განცდა გეუფლებათ? ერთხელ, როგორც ამბობენ, უჯუშის დამბაჩა არ გავარდაო...***

— ჰო, მაშინ?! ადგილზედვე ვქვავდები ხოლმე. ოთარ მელვინეთუხუცესი რომ დამბაჩას გაისროდა, სცენაზე დენთის სუნი დგებოდა... ერთხელაც გასროლის ხმა არ გაისმა...

***— აბა, როგორ მოკვდა მეზღვაური?***

— ხანჯლით; მოკიდა კისერში ხელი, იძრო ხანჯალი, გაუყარა და ერთი ისეთი იღრიალა მიშა მაღალაშვილმა, სასწრაფოდ გაიშოტა. იფიქრა, კიდევ არ დამარტყასო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

***— ამ ყველაფერს თქვენც უყურებდით?***

— კი, იქ ვიყავი, არადა, რა უნდა მექნა?.. შემდეგ სპექტაკლი რომ გაგრძელდა, უეცრად აღმოვაჩინე, რომ სრულიად სველი ვიყავი...

არადა, ყოველთვის, სპექტაკლის დაწყების წინ, სპეციალურად მოდიოდა კაცი კინოსტუდიიდან საკუთარი იარაღით, მსახიობების თვალწინ ტენიდა დამბაჩას, მერე სინჯავდა და ასე, მთელი წარმოდგენის განმავლობაში კულისებში იჯდა ხოლმე, რაიმე გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო და უცებ... არ გავარდა დამბაჩა.

არადა, თითქოს მეც ყველაფერი გათვლილი მქონდა, ფინალში კილგა რომ ესვრის ჰაკის, გასროლასთან ერთად ფორტეთი მიდიოდა მუსიკა. ვიფიქრე, რომ არ გავარდეს, არაუშავს, მუსიკა გადაფარავს-მეთქი, ვითომ ესეც კი გავითვალისწინე, მაგრამ იქ არა, იქ არაფერი მომხდარა.

ასეა, რას იზამ, ეტყობა, ერთხელ რაღაცა ყოველთვის უნდა მოხდეს!

***— ბატონო თემურ, წეღან მაყურებლები ვახსენეთ, თქვენ ბრძანეთ "ჰაკი აძბას" და "გუშინდელს" მაყურებელი არა ჰყავდაო, მაგრამ "ჯაყოს ხიზნებს"?***

— „ჯაყოს ხიზნებს"?.. დარწმუნებული ვარ, ეროტიკული მომენტების გამო.

***— მერედა სად იყო იქ შიშველი ეროტიკა?***

— რა ვიცი, მაყურებელი რას ელოდა. არადა, მე რომელი ეროტიკის შემომტანი ვარ სპექტაკლში?!

საერთოდ, ეროტიკა სცენაზე აუცილებლად გაშიშვლება ჰგონიათ.

სიშიშვლე ერთნიშნაა და მეტი არაფერი. ვფიქრობ, იმავე "ჯაყოს ხიზნებში" საქანელა გაცილებით მეტს ნიშნავს ანდა მარგოს ცეკვა...

***— როგორ თანდათან გადასხვაფერდება მარგო, როგორც ქალი, არა?.. თუმცა ამაზე შემდგომ, ახლა ისევ ჰაკის დავუბრუნდეთ, ბატონო თემურ.***

„ჰაკი აძბა", ისევე, როგორც თქვენი სპექტაკლები საერთოდ პირველწყაროს ზუსტად მისდევს. მაგრამ ერთი პერსონაჟი, მოთხრობიდან განსხვავებით, მაინც გვხვდება, ეს არის ჟურავლიოვი (იოსებ გოგიჩაიშვილი), კრეისრის კომისარი. რატომ გახდა აუცილებელი ამ პერსონაჟის შემოყვანა სპექტაკლში?

სხვათა შორის, სპექტაკლის ჩაბარებისას სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმს რომ გავეცანი, იქ აკაკი ბაქრაძის პოზიციაც იყო ჩანიშნული და ბატონი აკაკი რამდენიმე პასაჟის გამო ცხარედ გეკამათებათ, ჟურავლიოვის შესახებ პირდაპირ აცხადებს: ინსცენირებაში გამოყვანილი კომისარი წონასწორობას იცავს, რაც არ არის სწორი... და იქვე დასძენს — კრეისერზე მკაცრი ატმოსფერო უნდა იყოსო!..

— ბატონი აკაკი პიროვნულად გახსნილი ადამიანი იყო, უმეტესად პირდაპირ, ღიად ამბობდა ხოლმე სათქმელს. ალბათ, ამიტომაც უნდოდა, ამ სპექტაკლშიც არა მინიშნებებით, არამედ პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტის გარეშე მეთქვა — ძირს საბჭოთა ხელისუფლება!

საერთოდ, ვფიქრობ, მე და ბატონი აკაკი ვიზუალურ-ესთეტიკურ გადაწყვეტაში ვერ ვთანხმდებოდით, თორემ აზრობრივ ასპექტში, კონცეფციას რაც ეხება, მგონი, ამ კონცეფციით იყო სპექტაკლი შექმნილი... თუმცა მისთვის უკმარი იყო გამოხატვის ის დოზა, რა დოზითაც ვდგამდი სპექტაკლს და, ალბათ, ამიტომაც არ მოსწონდა. მე კი მიმაჩნია, ხელოვნებამ, ამ შემთხვევაში — სპექტაკლმა, ისეთი რამ უნდა წარმოადგინოს, შემდეგ თვითონ მაყურებელს გაუჩნდეს პროტესტის, თუნდაც რაიმეს წამოძახების სურვილი, თორემ, სცენიდან მე თვითონ თუ ვიყვირე საპროტესტო ლოზუნგები, მაშინ ეს ყოველივე მიტინგს დაემგვანება და... მიტინგებს კი, რაც უნდა სამართლიანი იყოს, მაინც ვერ ვგუობ და რა ვქნა?..

***— თუნდაც ასე არ იყოს, ეს ყოველივე უფრო მკვეთრად, აშკარა მინიშნებებით რომ გადმოგეცათ, მაშინ ხომ შეიძლებოდა, სპექტაკლი საერთოდ აეკრძალათ?***

— არა, მხოლოდ მაგიტომ არა; შეიძლება მართლაც აეკრძალათ, მაგრამ ამის გამო არ შემიკავებია თავი. საერთოდ, ყველა ადამიანს აქვს თავისი მანერა და თავისი ტონალობა;

მე როგორც მინდოდა, როგორც შემეძლო, ისე მოვყევი; სპექტაკლის აკრძალვის შიშით არასოდეს წავსულვარ კომპრომისზე.

რაც შეეხება ჟურავლიოვს, იმისთვის, რომ ეს მასალა გაგვეტანა, ვიღაც გარკვეული მოდავე უნდა ჰყოლოდა კუზმას, იგი ბოლომდე უნდა გახსნილიყო. არადა, სცენაზე პერსონაჟის ბოლომდე გახსნისთვის აუცილებელია დიალოგი. ვის შეიძლება ელაპარაკებოდეს კილგა, ყველაფერს ჰაკის ხომ ვერ ეტყვის. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ჰყავდეს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელსაც თან ენდობა, თან ეჩხუბება კიდეც და... ვიფიქრე, იქნებ ამისთვის აუცილებელია, გემზე იყოს-მეთქი კომისარი.

***— აი, კიდევ, ბატონო თემურ, აკაკი ბაქრაძემ ისიც შენიშნა — კრეისერზე მკაცრი ატმოსფერო არ არის, სუსტია მასობრივი სცენები. ემოციური ძალა აკლიაო!.. არადა, მოგვიანებით, თეატრმცოდნეები თავიანთ რეცენზიებში სწორედ ამ სუსტ, დაწუნებულ სცენებს იწონებდნენ და... რატომ?***

— ხელოვნების აღქმა უაღრესად სუბიექტური რამ არის: ვიღაცაზე მოქმედებს, ვიღაცაზე არა. ვიღაცას მოსწონს, ვიღაცა კიდევ მეუბნება — თემურ, არა გრცხვენია, ეს რა დაგიდგამსო და ამ დროს ორივე გულწრფელია.

სხვათა შორის, ძალიან მინდა, ერთად მოვუყარო თავი რეცენზიებს ჩემს სპექტაკლებზე. ავიღო ერთი გვერდი, გავყო შუაზე და ერთ მხარეს ჩამოვწერო ნაწყვეტები საქებარი, დადებითი რეცენზიებიდან, მეორე მხარეს — ზუსტად იმავე სპექტაკლებზე უარყოფითი აზრი.

 ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, ერთი რომ წერს ეს სპექტაკლი პატარა შედევრიაო, მეორე კრიტიკოსი ამტკიცებს — ეტყობა, ეს სპექტაკლი თემურ ჩხეიძემ სულიერი კრიზისის დროს დადგაო...

ასე რომ, ხომ გეუბნებით, ორივე მართალია, ერთზე იმოქმედა, მეორეზე არა და მოკალი ახლა, რა ქნას?

*— მაინც მგონია, რომ "ჰაკი აძბას" თქვენეული ინსცენირება (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ჯეროვნად კიდევ არ არის შეფასებული, მაგრამ ამაზე შემდგომ. ახლა კი ერთი სცენა მომაგონდა სპექტაკლიდან — კილვა მიმართავს (მოუწოდებს) ჟურავლიოვს — ჩვენ საუკუნის ბრძოლა დავიწყეთო და ეგრეთ წოდებულ რევოლუციურ პოზაში ქანდაკებასავით გაიჭიმება — ეს თქვენი იდეა იყო თუ თვითონ მსახიობის მიგნება?*

— აღარ მახსოვს. ისე, თუ ამგვარად იკითხებოდა, ვისი იდეაც უნდა იყოს, ცუდი ყოფილა!

*— ჰო, კიდევ, ბატონო თემურ, აკაკი ბაქრაძის ერთი შენიშვნაც მომაგონდა: გაუგებარი და მიუღებელია ჩემთვის უჯუში წიგნით ხელში. მონაზონი კაცის შთაბეჭდილებას ქმნის. უჯუში კი არამც და არამც არ არის მონაზონი, არც სჭირდება მას ეს დეტალი. ემხა მხედრული ღირსებით ასრულებს თავის მოვალეობას ბოლომდე, თავისი პიროვნების ერთგული კვდება; უჯუშმა პიროვნული ღირსებით უნდა მოახდინოს ზნეობრივი გავლენა და არა მონაზონებით, უჯუში შეგნებულად მიდის სიკვდილზედო...*

*თქვენ ამაზე მაშინვე უპასუხეთ: ემხას წიგნით გამოჩენაზე ფინალურ სცენაში მონაზონებაზე არ მიფიქრია, ეს წიგნი სახარებაა... თან რატომაა გასაკვირი, უჯუში წიგნიერი ყოფილიყო, სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ იგი მიხვდა საკუთარ განწირულობასო. — ესეც იქვე დააზუსტეთ.*

*არადა, მაშინ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, ჩემს სტუდენტობაში, თუკი ტაძარში წავიდოდით, ჯერ კიდევ რომ გვითვალთვალებდნენ "მოწინავე" კომკავშირელები, სცენაზე სახარების ანდა ლოცვანის გამოტანა უკვე სხვა რანგის სულიერებაზე მეტყველებდა; სპექტაკლში იყო მთელი რიგი პასაჟებისა, რომელიც მხოლოდ ქვეტექსტებით უნდა გაგვეგო და ამოგვეხსნა.*

*ოთარ მეღვინეთუხუცესმა შესანიშნავად ითამაშა უჯუშ ემხა...*

— მართალია, თანაც ოთარი პირველად გამოჩნდა სპექტაკლში, სადაც უმეტესად ჩუმად იყო.

მერე, იცით, ვიღაცამ ოჯახიდან მომიტანა უჯუშ ემხას ნამდვილი პორტრეტი, ეს იყო 23 წლის ულამაზესი ვაჟკაცი.

*— ბატონო თემურ, წელან ბრძანეთ, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, სცენაზე უფრო მეტი მსახიობი იყო, ვიდრე პარტერში მაყურებელიო, მაგრამ... მიუხედავად ამისა, დღეს ხშირად გაიგონებთ — მარჯანიშვილის თეატრს რეპერტუარიდან არ უნდა მოეხსნა ისეთი სპექტაკლები, როგორიც იყო "ჰაკი აძბა" და "ჯაყოს ხიზნები" და ვინ იცის, ჩხეიძემ ეს სპექტაკლი ისევ აღადგინოსო?!*

— არა, როგორ გეკადრებათ. ცხოვრებაში ყველაფერი იბადება, იზრდება, ვითარდება და კვდება. მკვდრის რეანიმაცია კი ჯერჯერობით არ ხერხდება.

საერთოდ, სპექტაკლი კვდომას რომ დაიწყებს, მაშინვე უნდა მიხვდე და დროზე უნდა უშველო, თორემ შემდეგ მკვდრის გასვენებასა და დამარხვას დიდი ჭკუა-გონება არა სჭირდება.

ახლა სხვა თაობამ უნდა დადგას "ჰაკი აძბა", ჩემი შვილების თაობამ, თქვენმა თაობამ. მათ, ჩემგან განსხვავებით, რაღაც სხვა უნდა დაინახონ ამ მოთხრობაში და ეგ არის მთავარი.

*— ბატონო თემურ, წელან ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ განხორციელებული უჯუშ ემხაზე ვისაუბრეთ, ნოდარ მგალობლიშვილმაც ბრწყინვალე სახე შექმნა ჰაკი აძბასი და, საერთოდ, მთელი სპექტაკლი ისეთი ანსამბლური, შეკრული იყო, როგორც საერთოდ სჩვევია ხოლმე თქვენს დადგმებს და ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, რას იტყოდით თვითონ მსახიობებზე?*

— ამას წინათ "ჰაკი აძბა" ტელევიზიითაც აჩვენეს, ვიღაცამ დამირეკა, შემატყობინა; მეც ჩავრთე და ვუყურე, ყველას რაღაცა აქვს ისეთი მოძებნილი თავისი როლისთვის, პატარა ეპიზოდსაც კი ისე ასრულებს... — რა არის, რატომ გვეკარგება ეს ტრადიცია დღეს?

*— „ჰაკი აძბაში" ბევრია ძველი თაობის წარმომადგენელი.*

— მერე რა, ძველში და ახალში არ არის საქმე; ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ახლაც სჯობს ბევრ ახალგაზრდას. მაგალითად, ტარიელ საყვარელიძე მშვენივრად თამაშობს. ყველა, ყველა. მარლენ ეგუტია როგორ თამაშობს კანკიას?! იაშა ტრიპოლსკი ან თამარ სხირტლაძე... რომელი ერთი ვთქვა. თამარი სულ ხუთი თუ ათი წუთი დგას სცენაზე და, ვფიქრობ, მშვენიერი სახე შექმნა, არა?

*— უყურებ სპექტაკლს და გრძნობ როგორი დაშლილი და დანაწევრებულია სამყარო, ამის აღქმას ხელს უწყობს საინტერესო სცენოგრაფიაც. მაღლა, თითქოს ჰაერშია გამოკიდებული ის ძველი ყოფა...*

— ჰო, ასეა; სცენაზე კი არ არის დეკორაციები, თითქოს ეს ყველაფერი, მთელი ის ძველი ეპოქა მოუხვეტავთ, ერთად შეუგროვებიათ და აი, ახლა უნდა გადაყარონ — ჰაერშია დარჩენილი.

*— საერთოდ როგორ მუშაობთ მხატვართან, ალბათ, მაინც თქვენ აწვდით იდეებს, თუ?*

— იდეებს კი ვაწვდი, მაგრამ... მას ხომ გადაჭრა უნდა. "ჰაკი აძბა" სამეულმა — ქოჩაკიძემ, სლოვინსკიმ და ჩიკვაიძემ გააფორმეს და, მგონი, საინტერესოდაც, არა?

***— კონკრეტულად ავალებთ თუ?***

— მახსოვს, ჭავჭავაძეზე ვმუშაობთ მე და მესხიშვილი. ის ხომ არასოდეს გიყურებს, ყოველთვის თავისთვის აკეთებს ხოლმე რაღაცას და ველაპარაკები, ველაპარაკები, მერე რაღაც აბზაცი წავუკითხე ილიას წერილიდან და ვუთხარი — ნახე, ახლა, ამის დამწერს მოკლავდნენ, აბა რა იქნებოდა-მეთქი და... უცებ ჩამეკითხა, რაო, რას უზამდნენ, რას უზამდნენო?.. მოკლავდნენ, რა იყო-მეთქი? — ახლა მე ჩავეძიე. არა, არაფერიო, მომიგო... და სამ დღეში მირეკავს, მეუბნება — მოდი, რაღაც უნდა გაჩვენოო!..

მივედი და მანახებს ილიას კაბინეტს, როგორ აქვს ეს ყველაფერი გაკეთებული — სამიზნე, სამიზნე, სამიზნე, ყველაფერს სამიზნე აქვს მიკრული. აქა-იქ თითქოს სისხლის ლაქებიცაა. ესე იგი, აქ ვიღაც ან უკვე მოკლეს, ან ახლა მოკლავენ... ამ დროს ეს ყველაფერი სრულიად შემთხვევით ნათქვამმა ფრაზებმა შესძლო.

***— რაკი სცენოგრაფიაზე, დეკორაციებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ეტლიც. ეტყობა გამორჩეულად მოგწონთ იგი (გავიხსენოთ თუნდაც "მარადი ქმარი"), რა დატვირთვა აქვს მას თქვენს სპექტაკლებში?***

— ტრანსპორტის; "ჰაკი აძბაში", თუ გახსოვთ (ეტლი, რა თქმა უნდა, ცხენების გარეშე) სცენა ბრუნავს და ეტლი არ მოძრაობს.

***— არც "მარად ქმარში" მოძრაობს, მაგრამ სულ სხვა ფუნქცია ეკისრება.***

— თითქოს რაღაც ზღაპრულიცაა.

***— „ჰაკი აძბაში" სცენა ტრიალებს, ეტლი არ მოძრაობს, ბრძანეთ და ეს, ვფიქრობ, სიმბოლურად ასე აღიქმება: ისინი — ჰაკი და უჯუში, ეგრეთ წოდებულ მოჯადოებულ, საბედისწერო წრეში ტრიალებენ და ვერ ახერხებენ, გაეცალონ ამ სამყაროს, თავიანთ ბედისწერას.***

***სპექტაკლში ორი სამყაროა, ორი გამიჯნული, დაპირისპირებული სამყარო, მაგრამ მაინც... იქნებ, ისინი თანაარსებობენ?!***

— თანაარსებობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ სამყაროში არიან მოქცეულნი, მაგრამ აქ ხომ ერთმანეთს ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ზნეობა ეჯახება: სხვადასხვა აღზრდა, სხვა ცნებები გააჩნიათ, ვინ რაზეა აღზრდილი; ისინი ერთმანეთს ვერასოდეს გაუგებენ...

ისე, კლასობრივი თეორიით თუ ვიმსჯელებთ, ყველანაირ იურისპრუდენციაში, უჯუში მკვლელია, მაგრამ... აქ არის სხვა ნიუანსი.

***— ფსიქოლოგიური?***

— აბსოლუტურად; ის თავისთვის მიდიოდა... იმ მეზღვაურების ბრალი კი რა არის, იცით, მათ სტუმრის ცნება გათელეს, რამაც გამოიწვია ჯაჭვი უბედურებისა; შემდეგ მათ უღალატეს მასპინძლების პირობას.

აბა, დააკვირდით, "სტუმარ-მასპინძლის" ტოლფასი კონფლიქტი არ არის?!

ჩვენ სპექტაკლში ერთი ასეთი ფრაზა დავუმატეთ: მეზღვაური ეუბნება მეორეს — ვასკა, სტუმრად ვართ, ნუ გავიწყდებაო!.. ესე იგი, რა? მე ვარ სხვა ქვეყანაში, სადაც სხვა ტრადიციაა.

***— ქართული, აფხაზური...***

— ჰო, საერთოდ, მთის, კავკასიური ტრადიცია. მეზღვაურებს კი რევოლუციური მენტალიტეტი აქვთ. მეორე მხრივ, ვასკას რასა სთხოვ, მათი კრეისერი თავიდანვე რატომ გამოვიდა ზღვაში — გამოქცეულ თეთრგვარდიელებზე სანადიროდ. ესენიც თეთრგვარდიელ ოფიცრებზე არიან დაგეშილები და რა ექნა ვასკას?.. ამიტომ ვამბობ, ტრაგიკულად ეჯაჭვება მოვლენები ერთმანეთს-მეთქი და ამ ყველაფრის გამო მაბრალებენ, რომ ვაადამიანურებ?!..

ვის ვაადამიანურებ, კაცო, მე უნდა ამოვხსნა, ეს ყველაფერი რატომ მოხდა, თორემ ისინი იმიტომ კი არ შემოსულან, მოდით, ქართველები ან აფხაზები გავჟუჟოთო; არა, ასე არ ყოფილა.

ელემენტარულად, უჯუში თეთრგვარდიელის ფორმაში რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ არაფერი მოხდებოდა, მაგრამ, ისე გამომწვევად დადის ფორმაში, ამათ დაინახეს და... გაგიჟდნენ. თანაც სპექტაკლში ცოტათი უფრო ხაზგასმულია ეს მომენტი: უჯუში დგას და ითმენს, ითმენს და... ბოლოს მოკლავს მეზღვაურს.

იგივე გააკეთა კილგამ თავისი პოზიციიდან. ამდენად, ისინი ერთმანეთს ვერასოდეს გაუგებენ.

მე თუ მკითხავთ, რუსები საერთოდ, აგერ თითქმის ორი საუკუნე აქ იყვნენ და მაინც ვერ გაერკვნენ ქართულ ხასიათში... და კილგას რაღა უნდა მოვთხოვოთ?!

აქეთ ჰაკი რას ამბობს — უჯუში ჩემი ძმაა და მორჩა, თავი უნდა გავწირო ძმისთვის!

ისე, რით არ ჰგავს ეს ანტიგონეს?

ანტიგონეც აცხადებს — ეს ჩემი ძმაა და უნდა დავმარხო, მე არ მეხება თქვენი სახელმწიფოებრივი კანონებიო!

უბედურების მიზეზი აი, ამ ორი მორალის, ამ ორი სამყაროს შეუთავსებლობაა.

ახლა იმ სულელად არ ჩამთვალოთ, "ანტიგონე" და "ჰაკი აძბა" ერთი და იგივე რომ ჰგონია, მაგრამ მათ აქვთ რაღაც საერთო — ზნეობა, მორალი, არა?

ის გაჩნდა ჩემს ძმად და მორჩა, ის უნდა გადავარჩინო, ან კიდევ — ის უნდა დავმარხო!..

არც ჰაკისთვის და არც ანტიგონესთვის არ არსებობს არავითარი პოლიტიკა, ამით ძალიან ჰგვანან ისინი ერთმანეთს...

და თქვენ ახსენეთ თანაარსებობა, თანაარსებობა ამ ორი სამყაროსი? არა, ისინი ერთმანეთს ვერასოდეს გაუგებენ.

ესაუბრა ***ნინო ჩხიკვიშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრეი მარტინოვი

## დიალოგი პაულო კოელიოსთან



პაულო კოელიო — ცნობილი ბრაზილიელი, ვისი წიგნებიც მილიონობით ტირაჟებით იყიდება მთელს მსოფლიოში — იქნება ვიდეოსერია „უცნობი პლანეტის“ ახალი დოკუმენტური ფილმის გმირი. „საუბრები კოელიოსთან“ — ესაა მოთხრობა მწერლის გასაოცარ ბედზე, მწერლისა, რომელიც თვითონვე ამბობს, რომ ყველა მისი წიგნი — ეს არის მისი სულის „მოძრაობის გამოძახილი”.

თვითონ განსაჯეთ: ჩვენ ვაქვეყნებთ ფრაგმენტებს მისი დიალოგებიდან ანდრეი მარტინოვთან, პროექტ „უცნობი პლანეტის“ ხელმძღვანელთან, რომელიც არაერთხელ შეხვედრია პაულოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

### არფა

*ა.მ.* მადრიდში პაულომ შეხვედრა დამინიშნა ოტელ „რიცში”. მდიდრული ვესტიბიული, თეატრალური ჭალი უზარმაზარსარკეებიან ბარში, სადაც ყავას ხუთ დოლარად ყიდიან. უკრავენ არფაზე. ინსტრუმენტთან — არა იდუმალებით მოსილი თმაგაშლილი ქალი, როგორც ეს ჩვენშია მიღებული, არამედ საშუალო ასაკის სისრულისკენ მიდრეკილი მამაკაცი...

დიახ, ასე იყო: კაცი — სიმბოლო ლათინოამერიკელების მთელი თაობისა — თაობის, რომელიც მონაწილეობდა რეალურ და ფსიქოლოგიურ რევოლუციებში — სამგზის ციხეგამოვლილი, ნაწამები, ოცდაათი წლის წინათ — როკვარსკვლავი, ცნობილი მწერალი, ავტორი თავის თავზე დაწერილი წიგნისა „ალქიმიკოსი,“ უსწრაფესად რომ იქცა ათასწლეულების დასასრულ-დასაწყისის სიმბოლოდ — ხვდება რუს ჟურნალისტს, ყოფილ კომკავშირელს, მეტი რომ არ იქნება, ისეთ პათოსიან ოტელ „რიცში”, რომლის ვესტიბიულშიც ვილაც სქელუა ბიძა, ჟაბოიანი თეთრი პერანგი რომ აცვია, არფაზე უკრავს.

### მარტო არა ხარ

*ა.მ.* ჩვენ ბევრი გვილაპარაკია სიმბოლიზმზე და იმ ნიშნებზე, რომლებიც ადამიანებს ცხოვრების გზის გავლაში ეხმარებიან; იმაზე, თუ რაოდენ საინტერესო შეიძლება გახდეს ცხოვრება, თუ მას ისე შეხედავ, როგორც მეკავშირესა და მეგობარს.

პირველი შეკითხვა, რომელიც კოელიოს დავუსვი, მე არ მომიფიქრებია. მას ყოველთვის უსვამენ ისინი, ვისაც ჯერ კიდევ არ წაუკითხავს „ალქიმიკოსი,“ თუმცა ბევრი სმენია მასზე: მაშ, მაინც რაზეა მისი წიგნები? რას ვვასწავლიან ისინი?

***პ.კ.*** არა მგონია, რომ ჩემს წიგნებს შეუძლიათ, საერთოდ რაიმე ასწავლონ. მე, უბრალოდ, სიმბოლოებს გამოვყოფ. არაფრის ახსნა არ ვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, წიგნები — ეს მხოლოდ კატალიზატორია, რომელიც ადამიანებს ეხმარება, გაიხსენონ ის, რაც უკვე დიდი ხანია იციან. ჩვენ სიმბოლურ დროში ვცხოვრობთ. მთელი ჩვენი ცხოვრება — ეს არის სიმბოლო. ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერი ცხოვრება — ეს არის ნიშანი. დაისახეთ მიზანი და თქვენ ამოიცნობთ ნიშნების დაფარულ აზრს. მეტიც, არათუ ამოიცნობთ, უბრალოდ, გაიხსენებთ. ჩემს წიგნებში მე, უბრალოდ, იმას ვამბობ, რისი საკუთარ თავთან აღიარებაც კი ბევრს აშინებს.

*ა.მ.* მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც თქვენი „ალქიმიკოსის" შემდეგ იმდენად აღტაცება არ გან-უცდიათ, რამდენადაც იმედგაცრუება. ამ წიგნმა ისინიც განაცვიფრა, ოღონდ სულ სხვა კუთხით. „კი, — ამბობენ ისინი, — ვხვდებით, როგორი ლამაზი და ღირსეული შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი ცხოვრება, აზრიანიც. მაგრამ ახლა ხომ ცხადია, რომ მთელი ჩვენი დღევანდელი ყოფა — ეს მხოლოდ მირაჟია, უაზრო-ბაა. მართალია, ვიღაცას გაუმართლა, მაგრამ ჩვენ ხომ ველარასოდეს შევძლებთ, ვიყოთ ახალგაზრდები, მიზანმიმართულები და მტკიცედ ვიმოქმედოთ. ამაში კი საბოლოოდ სწორედ „ალქიმიკოსმა" დაგვარწმუ-ნა" — გვიხსნიან ისინი. სხვები ცდილობენ, ეს გულგატეხილი ახლობლები საწინააღმდეგოში დაარწმუნონ: აქაოდა, პირიქით, ნახე, ყველაფერი კვლავ როგორ ადვილად მისაღწევიაო. თქვენ ვის მხარეს დაიჭერდით ამ კამათში?

***პ.კ.*** ჯერ ის ვთქვათ, რომ წერა იმისთვის არ დამიწყია, ვინმე რაიმეში დამერწმუნებინა, ვინმესთვის რაიმე ამეხსნა — რა ვაკეთოთ და როგორ. მე, კაცმა რომ თქვას, ვწერდი ჩემთვის და ჩემზე. როცა ქა-ღალდზე რაღაცას ვქმნი, ეს მეხმარება, უკეთ გავუგო საკუთარ თავს, აღმოვაჩინო ჩემივე სულის უხილავი მხარეები...

მეორეც: ერთადერთი, რაც, შესაძლოა, ადამიანებს დამაჯერებლად მოეჩვენოთ — ეს ჩემი გამოცდილე-ბაა. და მორჩა! მათთვის გასაზიარებელი სხვა არაფერი მაქვს.

ჩემი საყვარელი წიგნები, რომლებსაც ვკითხულობ და კვლავდაკვლავ გადავიკითხავ ხოლმე, ეს ის წიგ-ნებია, რომლებშიც ჩემი სულის გამოძახილს ვხედავ, იქნებ, ისეთსაც კი, რაზეც აქამდე წარმოდგენაც არ მქონდა. და, თუ ადამიანს ხელთ უვარდება ასეთი წიგნები, უცბად აღმოაჩენს, რომ მარტო არ არის. ჩანს, არსებობს კიდევ ვიღაცა, ვინც ისევე გრძნობს და განიცდის, როგორც შენ; უცბად ირკვევა, რომ რომელიღაც მწერალმა შენი გრძნობების ასავალ-დასავალიც იცის! მხოლოდ იმის შეგრძნებაც კი, რომ მარტო არა ხარ, განსაცვიფრებელ ძალას გმატებს საკუთარი ოცნებების განსახორციელებლად; საკუთარი ოცნებების გან-ხორციელებისა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით. საკუთარი და არა სხვისი.

იმას, ვისაც ჩემი წიგნის წაკითხვის შემდეგ თავისი თავის მიმართ გული გაუტყდა, ვეტყვი: „ირწმუნე, მარტო არა ხარ! ისეთები, როგორიც შენ ხარ, ბევრია. უბრალოდ, გაიხსენე შენი ოცნება ან მიზანი და საკუთ-არი გზით გასწიე მისკენ. რადგან მხოლოდ ასე შესძლებ რაღაცის მიღწევას". ამასთან, ძალიან მნიშვნელ-ოვანია, გრძნობდე, რომ მარტო არა ხარ. იქნებ, ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გრძნობა, რომელიც ხელოვნ-ებას აცოცხლებს — ეს სწორედ იმის შეგრძნებაა, რომ მარტო არა ხარ. სწორედ ამით ეხმარება ხელოვნება ადამიანებს, შეცვალონ დამოკიდებულება საკუთარი თავისა და ცხოვრების მიმართ.

## ბრაზილია — რუსეთი — საფრანგეთი (ოღონდ არა ფეხბურთი)

*ა.მ.* საფრანგეთის ქალაქ ტარბის მუზეუმის დირექტორმა, სადაც კოელიოსთან საუბრის ნაწილი გადა-ვიღეთ, გვიამბო, რომ მამა რუსი ჰყავდა, პაპა კი ბრაზილიელი...

## რა არის მოგზაურობა

*ა.მ.* მაინც რა არის ის, რაც ასე ხშირად მიერეკება ადამიანს შინიდან? რა ასეთი მიმზიდველობა ახლავს მომლოცველებს და მომლოცველობას?

**პ.კ.** ჩემს წიგნში „ალქიმიკოსი" მწყემსი თავისი საგანძურის საპოვნელად ეგვიპტის პირამიდებთან მიდის. ის გრძელ გზას გაივლის. განძს პოულობს და საკუთარ თავსაც აღმოაჩენს. გზებს, რომლებსაც მივუყვე-ბით, უცნობ სამყაროში მივყავართ.

პილიგრიმობა, მოგზაურობა — ეს შესანიშნავი საშუალებაა, გაიცნო საკუთარი თავის ის ნაწილაკები, რომლებიც შეიძლებოდა თვით შენთვისაც სიცოცხლის ბოლომდე შეუცნობელი დარჩენილიყო. ეს არის ხერხი, გაიხსენო, როგორი ხარ სინამდვილეში.

ჩვეულებრივი ცხოვრება, როცა ყოველივე დიდი ხნის ნაცნობად და გასაგებად გეჩვენება — ეს არის არსებობა, ყოველი მხრიდან შემოსაზღვრული კედლებით, რომელთაც გამუდმებით აღვმართავთ თვითონ ჩვენც და საზოგადოებაც.

მოგზაურობა გვეხმარება, გადავლახოთ ეს კედლები. კედლები, რომლებიც სინამდვილეში არა მარტო გარეთაა, არამედ ჩვენს შიგნითაც. როცა ისინი ქრება, უცბად აღმოჩნდები საკუთარი სულის ოკეანეში, რომელზეც აქამდე არაფერი იცოდი.

როცა გზას ადგახარ, ადამიანებს უნდა ენდო, რადგან, თუმცა მათ არ იცნობ, მათზე ხარ დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაში ისეთი უმწიკვლო ხდები, როგორც ახალშობილი. არანაირი ცოდნა არ გაგაჩნია იმ უცნობ სამყაროზე, სადაც შედიხარ, ამიტომ არანაირი განზრახვაც არ გაქვს. სუფთა ხარ აღქმისას. და ბოლოს, გზაზე ურთიერთობა უნდა დაამყარო უცნობ ადამიანებთან, თორემ მოგიწევს საკუთარ მარტოობაში დაბრუნება.

ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ, როგორც ჩემი მფარველი ანგელოზი, ისე ჩემი მაცდუნებელი დემონი ჩემთან ურთიერთობას სხვა ადამიანების მეშვეობით ამყარებენ. იმასაც მივხვდი, რომ შენზე და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, რის ამოხაპვას შეძლებ მოგზაურობიდან.

*ა.მ.* რომელი ადგილები უფრო გიზიდავთ?

***პ.კ.*** მთები მიყვარს, იქნებ, იმიტომაც, რომ ოკეანის პირას დავიბადე და თითქმის მთელი ცხოვრებაც იქ გავატარე. ჩემთვის მთები — ეს მამაკაცური საწყისის განსხეულებაა — სიმტკიცის, უკანდაუხევლობის, უპირატესობისკენ სწრაფვის. მაგრამ ყველაფერში წონასწორობის დაცვაა საჭირო. და მაშინ გული ზღვისკენ მეწევა, წყლისკენ; ეს ხომ ქალური საწყისის სიმბოლოებია: მოძრაობა, ცვალებადობა, სინაზე... ჩემთვის ზღვა და მთები — ეს ის სიმბოლოებია, რომლებიც მეხმარებიან გზის მტკიცედ გავლაში. აკი, როცა გზას ვადგავარ, როგორც დისციპლინის და სიმტკიცის, ისე მოქნილობის და შეგუების უნარის გამოყენება მჭირდება.

## ბრაზილია — საფრანგეთი (ფეხბურთი)

*ა.მ.* საფრანგეთში, ერთ-ერთ პარკში ჩაწერისას კოელიო უეცრად აცმუკდა, ვიდეოკამერა და ინტერვიუ სულ დაავიწყდა და წამოიძახა: „რონალდო! რონალდო!" თან ხელებს იქნევდა. ყვითელმაისურიანი ბიჭი მოგვიახლოვდა, ზურგზე „9" ნომრით და წარწერით „რონალდო". „მეც ბრაზილიელი ვარ", — ფრანგულად აუხსნა პაულომ და გულაჩუყებულმა ყმაწვილს მხარზე ხელი მოუთათუნა. იმან კოელიოს ეჭვიანად შემოხედა და, როგორც ჩანს, არ დაუჯერა. „გილოცავთ!" არცთუ თავაზიანად უთხრა „რონალდომ".

"ფეხბურთი — ეს ერთადერთი რამაა დედამიწის ზურგზე, რომლის ფანატიკოსიც შეიძლება კაცმა მიწოდოს," — თქვა კოელიომ.

## სიყვარულზე

*ა.მ.* თქვენ ოთხჯერ იქორწინეთ... მაინც რამდენჯერ შეიძლება, ადამიანმა თავის სიცოცხლეში ნამდვილი სიყვარულის გრძნობა განიცადოს?

***პ.კ.*** ეს ისეთი რთული შეკითხვაა — რამდენჯერ მოდის ნამდვილი სიყვარული. სიყვარული და ქორწინება... ცოლი მოიყვანო, დაქორწინდე — ეს სულაც არ არის ადვილი, თუ სიყვარულის შენარჩუნების თვალსაზრისით შევხედავთ!.. ერთად ცხოვრება ისე დაუჯერებლად რთულია... ეს არის ნგრევის და აღორძინების გამუდმებული პროცესი. ქორწინებაში ყოველდღიურად გიწევს დანგრევა და აღდგენა, დანგრევა და აღდგენა. ეს ისე ძნელია, ეს ისე გარდაუვალია...

თუმცა ადამიანების უმრავლესობა ცოლქმრობას ისე ეპყრობა, როგორც რაღაც უცვლელს. ისინი ამბობენ: აი, ბოლოს და ბოლოს ცოლიანი ვარ. ჰოდა, ამიერიდან აღარაფერი შეიცვლება. ყოველთვის ისეთი ბედნიერი ვიქნებით, როგორც დღეს — და ასე გასტანს სიცოცხლის ბოლომდე! არ ვიცი... ასეთი რამ ჯერ არ მომსწრებია. ისე კი, ძალიან მინდა ეს!



*ა.მ.* რა არის სიყვარული?

***პ.კ.*** სიყვარული ჩემთვის საიდუმლოებით მოცული მოვლენაა. ეს მისტიკაა, იდუმალი მაგნეტიზმია, რომელიც გამუდმებით იზიდავს ადამიანებს ერთმანეთისკენ... სიყვარული — ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც დაგროვების თვისება არ გააჩნია. ახალი სიყვარული არაფერს იღებს წარსულის გამოცდილებიდან.

მე და კრისტინა უკვე 22 წელია ცოლქმარი ვართ. ის ჩემი მეოთხე ცოლია. იმედი მაქვს, ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ჩემთან იქნება. ეს ერთადერთია, რაც ვიცი, რომ მინდა. მაგრამ არ ვიცი... არაფერი ვიცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "კალაშნიკოვი" — სიმღერა ავტომატზე

*ა.მ.* ერთხელ, როცა კოელიოსთან და მის მეუღლესთან, კრისტინასთან ერთად ვვახშმობდი, სიტყვა ჩამოვარდა (არც მახსოვს, როგორ) კალაშნიკოვის ავტომატზე. პაულოს თხოვნით, ყველაფერი ვუამბე, რაც კი ამ „სასწაულ-იარაღზე" უნივერსიტეტის სამხედრო შეკრებებიდან მახსოვდა. მოგვიანებით, როცა სასტუმროსკენ მოვდიოდით (მისი მანქანით) კოელიომ, ეშმაკურად რომ ეღიმებოდა, ჩართო სიმღერა, სადაც მამაკაცების გუნდი მისამღერის ნაცვლად მხიარულად გაიძახოდა „კა — ლაშ — ნი — კოვ!" „კა — ლაშ — ნი — კოვ!" პაულო მთელი სულით და გულით მხიარულობდა, სიმღერას ხმას აყოლებდა და გვაიძულა, სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც მოგვესმინა ავტომატ AK-47-სადმი მიძღვნილი ეს მწველი ჰიმნი. ეს აღმოჩნდა სიმღერა (საუნდტრეკი) საკულტო რეჟისორის, ე. კუსტურიცას რომელიღაც საკულტო ფილმიდან, რომელიც არ მინახავს. კრისტინა ზარდაცემული იყო.

## ჭეშმარიტია მხოლოდ განზრახვა

*ა.მ.* აი, ჩემს წინ ზის ცნობილი მწერალი კოელიო, რომლის წიგნებიც მსოფლიოს ათობით მილიონმა ადამიანმა წაიკითხა, და ის ამბობს, რომ არაფერი იცის! მაშ, სხვებმა რაღა ქნან?

***პ.კ.*** ანდრეი, მთელი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომელიც სხვებზე უკეთ ავითვისე, ასე ჟღერს: არასოდეს აღიქვა არაფერი, როგორც აუცილებლობა. არასოდეს და არაფერი. მოხდენით, რაც გნებავთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. აგერ მე და შენ ვსხედვართ და ვსაუბრობთ, მე კი ავდგები და — ერთი წუთის შემდეგ მოვკვდები. ანდა უცბად გამოგვეცხადება ყოვლადწმინდა ქალწული მარიამი.

ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცი: ყველაფერი იცვლება. ვიდრე აქ ვლაპარაკობთ, რამდენი ფოთოლი მოსწყდა ხეებს? რამდენი მოიმატეს სიმაღლეში ხეებმა? მაგრამ რა იქნება — ეს მე არ ვიცი. მომიტევე.

*ა.მ.* გამოდის, დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ადამიანი ვერ იქნება დარწმუნებული საკუთარ მომავალში?

***პ.კ.*** დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ თითოეულ ადამიანს ძალუძს და ვალდებულიცაა, ჰქონდეს მიზანი. სწორედ ის მიზანი, რომელზეც ლაპარაკობდნენ ცნობილი კარლოს კასტანადას რომანების მექსიკელი ინდიელები. ისინი განმარტავდნენ, რომ თითოეულის ცხოვრებაში მოიძებნება ადგილი მისი საკუთარი მიზნისთვის, მისი საკუთარი მისიისთვის, მისი საკუთარი ოცნებისთვის. თითოეული ადამიანი ხომ სწორედ საკუთარი მიზნის — ან ოცნების, ან დანიშნულების — ხორცშესასხმელად ჩნდება ამქვეყნად.

მაგრამ: თუ გადაწყვიტე, შენსას რომ მიაღწიო, ამისთვის მხოლოდ ნებისყოფა და დისციპლინაა საჭირო, უკვე წაგებული ხარ! ჩემი გმირი, მწყემსი სანტიაგო „ალქიმიკოსიდან" თავის მიზანს არ განსაზღვრავს: მიაღწიოს პირამიდებამდე და იქ მოიძიოს თავისი საგანძური. და იგი, გზას დამდგარი, აღმოაჩენს, რომ ეს არც ისე იოლია — განახორციელო შენი ოცნება, შენი განაზრახი. მიზნის მისაღწევად მას მოუწევს, ისწავლოს, როგორ შეუთავსოს თავისი ნებისყოფა და შეუპოვრობა შეგუების ცოდნას, შესაძლებლობას, იყოს მოქნილი... ყოველივე ეს აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

## დოსტოევსკი, მაიაკოვსკი, რიჩარდ ბახი და კასტანედა

*ა.მ.* თქვენ კარლოს კასტანედა ახსენეთ — მწერალი, რომელიც მთელს მსოფლიოში „60-იანი წლების რევოლუციების" თაობის სიმბოლო იყო. გამოხდა ათეული წლები და ის კვლავ პოპულარული გახდა — ამჯერად რუსეთში. რა ასეთ საიდუმლოს ფლობს იგი?

***პ.კ.*** კასტანედას საიდუმლოსი არაფერი ვიცი. კი, ჩვენთვის ის ნამდვილი კერპი იყო. უდიდესი გავლენა იქონია ჩემზე. ის იყო იმ გრანდიოზული რევოლუციის ნაწილი, რომელიც ჩვენ ყველამ გადავიტანეთ 68-ში და, საერთოდ, იმ საოცარ წლებში. მაგრამ ახლა ბევრი რამ შეიცვალა. დიახ, ჩემი ცხოვრების გარკვეულ წლებში მან მე და ჩემს ამხანაგებს გვითხრა: „თითოეულ თქვენგანში არის სამყაროს მეომარი!" ჩვენ ეს მაშინვე ვერ აღვიქვით: მაშინ ყველანი სიყვარულზე, მშვიდობაზე, მუდმივობაზე ვლაპარაკობდით, იმაზე, როგორ მივაღწიოთ საყოველთაო იდეალებს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის. ის კი ადგა და თქვა: „არა — არა — არა, ახალგაზრდებო! ეგ ის არ არის! შეგიძლიათ, იფიქროთ სამყაროში მშვიდობის დამყარებისთვის ბრძოლაზე და ბრძოლაზე ომის წინააღმდეგ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თითოეული თქვენგანი, თითოეული ცალ-ცალკე — მეომარია. იფიქრეთ არა საერთოდ ბრძოლაზე, არამედ იმათზე, ვინც იბრძვის. და თქვენ გახდებით ერთ-ერთი მებრძოლი. გახდით მეომრები საკუთარი თავის შიგნით. თითოეული თქვენგანი — ეს სამყაროს მეომარია. ნუ დაივიწყებთ ამას!" აი, რა გვითხრა. და ეს ერთობ მნიშვნელოვანი იყო.

*ა.მ.* რიჩარდ ბახი? უმბერტო ეკო?

***პ.კ.*** რიჩარდ ბახი... ძალიან მიყვარდა მისი პირველი ორი წიგნი, დანარჩენი ისე არ მომწონს. უმბერტო — ჩვენ მეგობრები ვართ, ძალიან მიყვარს. ხშირად ვკამათობთ ხოლმე ღმერთზე, ყოველივე არსებულის აზრზე. მას ღმერთი არ სწამს, მე — კი. ორივეს სხვადასხვა ცხოვრებისეული საფუძვლები გვაქვს. ეს მისი არჩევანია, ეს — ჩემი. მას არ ძალუძს, ღმერთის არარსებობა დამიმტკიცოს, მე კი ძალა არ შემწევს, დავარწმუნო უფლის არსებობაში. არა უშავს, ხდება ხოლმე. იქნებ, კაცმა რომ თქვას, არც კია ისე მნიშვნელოვანი, არსებობს თუ არა ღმერთი. მნიშვნელოვანი ისაა, ჩვენი საქმე პასუხისმგებლობითა და გაცნობიერებულად ვაკეთოთ.

*ა.მ.* რა გაინტერესებთ რუსულ ლიტერატურაში?

***პ.კ.*** უჰ, რუსული ლიტერატურა — ეს ვეებერთელა მოვლენაა! ესაა კონტინენტი, ოკეანე... რას მეკითხები?!.

კარგი, გეტყვი: დოსტოევსკი! დოსტოევსკი — ეს გენიოსია, რომელმაც ჩემზე კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა. განსაკუთრებით მისმა ფენომენურმა „შეშლილი სახლის ჩანაწერებმა". კიდევ — „ძმები კარამაზოვები", „დანაშაული და სასჯელი", რასაკვირველია... ძნელია ამაზე ლაპარაკი — უნდა წაიკითხო. კიდევ ტურგენევი მიყვარს, ტოლსტოი.

ოდესღაც, ახალგაზრდობაში, მაიაკოვსკის ვკითხულობდი. დიდი ხანია, არ გადამიკითხავს, მაგრამ მაშინ, სამოციანებში, მან მოგვცა ის, რაც ყველა ჩვენგანს ჰაერივით სჭირდებოდა. ოდესღაც ევტუშენკოს ვკითხულობდით — ნამდვილი ქარიზმატიკოსი იყო. ის იყო სისტემის წინააღმდეგობის ნაწილი. ახლა ველარ გავბედავდი მის გადაკითხვას.

## ჩე გევარა და „ბითლზი"

*ა.მ.* როგორღაც სიტყვა ჩამოვარდა ჩე გევარასა და მის დროზე (და ჯერ კიდევ არამწერალ კოელიოს დროზე). პაულო, რა თქმა უნდა, მაშინ „ბითლზსა" და „დორზს" უსმენდა და თვითონვე ხელმძღვანელობდა ბრაზილიურ როკ-ჯგუფს უბრალო სახელწოდებით „რევოლუცია". დამებადა შეკითხვა: კეთილი, მაგრამ ჩე გევარას თუ შეეძლო, „ბითლზისთვის" ესმინა? გავჩუმდით. შევეცადე, წარმომედგინა ახალი სურათი: ჩე სიერა — მაესტროს მთებთან თავის „კალაშნიკოვს" წმენდს, ყურსაცმებში კი ლენონის „Imagine" ჟღერს (თუმცა, როგორც მახსოვს, „Imagine" გაცილებით გვიანდელია, ფლეერები კი ფიდელის ამბოხებულებს ნამდვილად არ ჰქონიათ).

"ჩე „ბითლზს", რასაკვირველია, უსმენდა, — თქვა კოელიომ. — სხვაგვარად როგორ იქნებოდა?"

## „ცივილიზაციათა შეჯახება", რელიგიები, ისევ კასტანედა

*ა.მ.* თქვენ ნამდვილი რევოლუციონერი იყავით, მონაწილეობდით მსოფლიოს გარდაქმნაში. ეს იყო ათეულობით წლის წინათ. თქვენ ყველაფერი ნახეთ. კარგი და, რა ხდება დღევანდელ მსოფლიოში? მაინც რა არის ეს ცივილიზაციების შეჯახება? ან ომი რელიგიებს შორის?

***პ.კ.*** უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რელიგიური ომების საშიშროებაზე ბევრჯერ მილაპარაკია, ომებისა, რომლებიც ჩვენი უკანდაუხევლობისა და სიჯიუტის გამო გვემუქრება. როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს ადამიანები იწყებენ იმის გაგებას, რომ რელიგია სულაც არ არის რაღაც „ოპიუმი ხალხისთვის". იმას, ვინც ეს ფორმულა მოიგონა, შეიძლება, ხალხისა რაღაც ესმოდა, მაგრამ უდავოა, არაფერი გაეგებოდა ოპიუმისა.

დღეს კაცობრიობა სულ ახალ და ახალ თვისებებს პოულობს თავის თავში. მსოფლიოში გლობალური გარდაქმნები ხდება. მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც თხოულობს რეალობისადმი ახალ მიდგომას, რათა არსებულის ლოგიკური შემეცნების სიმკაცრე შეიცვალოს (ან შეერწყას) მოქნილობით, კაცთმოყვარეობით და თავმდაბლობით. იმ დროიდან, რაც სულიერებამ დაიწყო ადამიანის განვითარებაში სულ უფრო მეტი როლის შესრულება, წინა პლანზე გამოდის უნარი, გაუგო ადამიანებს. თუ ღმერთი გვწამს, მაშინ ვიცით, რომ ღმერთი — ეს, უპირველესად, გულმოწყალებაა. დროა, გავიხსენოთ ეს. ღმერთი — გულმოწყალებაა. მეჩვენება, რომ თვალს ვადევნებთ ახალი ცნობიერების ფორმირებას. და ეს, როგორც ჩანს, ერთობ მტკივნეული პროცესია. თუმცა ის გარდაუვალია. როგორც ანდრე მორუამ, ფრანგმა ფილოსოფოსმა და მწერალმა თქვა, „შემდგომი საუკუნე ან სულიერი იქნება, ან შემდგომი საუკუნე საერთოდ არ იქნება".

*ა.მ.* რა სულიერება, როცა 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო ნამდვილმა ომმა მოიცვა — ომმა ტერორიზმის წინააღმდეგ თუ ომმა ცივილიზაციის ჭეშმარიტი ღირებულებებისთვის...

***პ.კ.*** კარლოს კასტანედა ამბობდა: „სამყაროს მეომარი თვითონ ირჩევს ბრძოლის ველს".

11 სექტემბერს, როდესაც თავს დაესხნენ საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის კოშკებს, ყველამ დაინახა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

იმ ღრმა პროცესების გამოვლინება, რაც უკანასკნელ წლებში ხდებოდა. ახალი მოვლენების სიღრმესა და ძალაზე მიგანიშნებდათ გენუის გრანდიოზული მანიფესტაციებიც, მესამე სამყაროს ქვეყნებიდან ემიგრირებულთა სწრაფი ზრდაც და ბევრი სხვა ნიშანიც.

და აი, 11 სექტემბერს მთელმა მსოფლიომ დაინახა და შეძრწუნდა: „ო, ღმერთო, რა ხდება? რას ჩადიან? ჩვენ რა ვქნათ?!"

მაგრამ ეს ხომ ყველასთვის ხილული კატასტროფული შედეგია იმისა, რაც უკვე მრავალი წელია ხდებოდა. ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებდნენ მომხდარის შესაძლო შედეგებს.

და აი, ახლა, მას შემდეგ, რაც ტერორისტთა ჯგუფი ჩაიდენს იმას, რაც ყველამ დაინახა, აშშ პრეზიდენტი იწყებს იმ ქვეყნის დაბომბვას, რომელსაც ამერიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუკაზეც კი ვერ იპოვიდა. ამერიკა ომს იწყებს იმ ბრძოლის ველზე, რომელიც მას არ აურჩევია. ჯორჯ ბუში ტერორით პასუხობს ტერორზე და არავინ იცის, სადამდე მიგვიყვანს ის. ის იმ წესების დაცვით თამაშობს, რომელიც სხვებმა შესთავაზეს, შესთავაზეს იმათ, ვის წინააღმდეგაც იბრძვის! და მე ვიცი, რომ ეს ყოველი არახალია კაცობრიობის ისტორიაში. არადა, ვინც ეს ჩაიფიქრა, ყველაფერი გათვლილი ჰქონდა იმ ადამიანების სწორედ ასეთ რეაქციაზე, ვისაც თავს დაესხნენ. მათ ეს იცოდნენ. ამერიკამ ნება დართო, ჩაეთრიათ ომში სხვისი ბრძოლის ველზე და ერთობ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

*ა.მ.* მერე რაღა იქნება?

***პ.კ.*** დღეს ამერიკა სუპერთანამედროვე იარაღით ბომბავს ქვეყანას, რომელიც შუასაუკუნეობრივ წყვდიადშია ჩაფლული. ეს ისეთი სიურრეალისტურია. ცხადია, ფული, რომელიც იხარჯება თითოეულ იმ რაკეტაზე, ავღანეთის ხეობებში რომ უშვებენ, საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ ყველა ეს უბედური გამოეკვებათ. ამერიკელები თამაშობენ საშიშ თამაშს, რომლის თითოეული მოქმედება საპასუხო რეაქციას იწვევს — როგორც ფიზიკაში — ქმედებისა და უკუქმედების ძირითადი კანონების მოქმედების თანახმად.

რა იქნება მერე? არ ვიცი. მე ვინ ვარ. მე მხოლოდ ბრაზილიელი მწერალი ვარ, რომელიც პორტუგალიურად წერს. არც წინასწარმეტყველი ვარ, არც ოსტატი და არც მასწავლებელი. უბრალოდ, ვაკეთებ იმას, რაც მინდა და რაც უნდა ვაკეთო. ვცდილობ, დავრჩე იმად, რაც ვარ.

ერთადერთი, რაც ვიცი, ეს ისაა, რომ არ შემიძლია, ჩუმად ვიყო. ვალდებული ვარ, ვილაპარაკო. სადაც უნდა მიმიწვიონ, სადაც უნდა გამოვდიოდე, ყოველთვის განვაგრძობ ბრძოლას რწმენის თავისუფლებისთვის. მე ვარ კათოლიკე, ვინც დაწერა წიგნი ისლამზე ("ალქიმიკოსი") და წიგნი იუდაიზმზე ("მეხუთე მთა"). მეჩვენება, რომ გავიგე — ყველა რელიგიას ერთი უმაღლესი მიზნისკენ მივყავართ. მგონია, რომ კაცობრიობის იდეალი — ესაა იაროს ნათლის გზით წინასწარგანსჯისა და წინასწარი შთაგონების გარეშე. რელიგიები მხოლოდ გვეხმარება, დავადგეთ ამ გზას, გზას, რომელსაც გარდაუვალად მივყავართ იმ აუცილებლობამდე, რომ უნდა იყო ადამიანებთან და შეინარჩუნო მოთმინება და შემწყნარებლობა. და საკუთარი სულიერი გზის არჩევანი — ეს არის შენი პასუხისმგებლობა ყველა დანარჩენი ადამიანის წინაშე.

დღეს კი ვხედავთ, როგორ აღიქვამს ადამიანების უმეტესობა მოვლენების სვლასა და წყობას, როგორც რაღაც ისეთს, რაც თავისთავად იგულისხმება — მათი ნებისა და პასუხისმგებლობისგან დამოუკიდებელ რაღაცად. მაგრამ: როცა ასეთ დამოკიდებულებას მისაღებად თვლიან, ადამიანები დუნდებიან, წყვეტენ გააზრებულ ქმედებას და გამუდმებით აღმოჩნდებიან ხოლმე თვითრღვევის ზღვარზე. ადამიანები წყვეტენ იმად ყოფნას, რაც არიან.

რა იქნება მერე? არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ ეს მხოლოდ ბუშზე არ არის დამოკიდებული. ეს დამოკიდებულია იმაზე, რას და როგორ გავაკეთებთ ყველა ადამიანი, ყველა ჩვენგანი.

## დაივიწყეთ სიტყვა „თუ". თუ დავიწყებას ვერ ახერხებთ, მიმართეთ ღმერთს

*ა.მ.* როგორ მივიღოთ გადაწყვეტილებები? როგორ მოვიძიოთ ძალა საკუთარ თავში, რათა გავიხსენოთ ჩვენი ჭეშმარიტი ახლანდელი მე?

***პ.კ.*** შემიძლია, მხოლოდ საკუთარ თავზე და საკუთარ გამოცდილებაზე ვილაპარაკო. მე ერთი ჩვეულებრივი კაცი ვარ, რომელიც ყოველდღე დადიოდა სამსახურში, აკეთებდა საქმეებს, რისი კეთებაც დაშვებული იყო; აკეთებდა, ეშმაკმა უწყის, რას, რადგან „ასეა მიღებული". ვაკეთებდი საქმეებს, რომელთა კეთება ჩემთვის სრულიად უინტერესო და უმნიშვნელო იყო.

მაგრამ ერთხელაც ჩემს თავს ვუთხარი: „პაულო, სდექ! მოდი, ის აკეთე, რაც შენთვისაა მნიშვნელოვანი და საინტერესო". და მწერალი გავხდი. აი, სულ ესაა. მე კვლავ მრჩებოდა შიში და რიდი. მაგრამ ერთადერთი, რაშიც შეუძლებელია მისაყვედურონ — ეს არის სიმხდალე. მხდალი არასდროს ვყოფილვარ. და, თუ გადაწყვეტილებებს მივიღებდი, მოქმედებასაც ვიწყებდი! ვწყვეტდი დროის ფლანგვას იმაზე, რაც ჩემთვის უმნიშვნელო იყო და ვიწყებდი იმის კეთებას, რაც საჭიროა.

*ა.მ.* ეს როდის მოხდა?

***პ.კ.*** ოცდათხუმეტი წლისა ვიყავი და მეჩვენებოდა, რომ ძალიან ბებერი ვარ იმისთვის, რომ ავდგე და შევიცვალო. მაშინ ვიღაცამ მიკარნახა, მომეწყო პილიგრიმობა ესპანეთის ქალაქ სანტ—იაგო—დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპოსტელაში — 80 კმ-დე გზა კათოლიკებისთვის წმინდა ადგილებში. როდესაც გზას დავადექი, ჯერ ისევ ვფიქრობდი, რომ დაადგე სულიერების გზას — ყველაფერი ეს ისე რთულია; მით უფრო, რომ ასეთი მოხუცი ვარ — ოცდაათს კარგა ხნით გადაცილებული...

მაგრამ ესპანეთში ხეტიალისას უცბად მივხვდი: ან სამუდამოდ ვივიწყებ იმას, რაზეც ოდესმე მიოცნებია, ან სწორედ ახლა ვიწყებ სვლას მისკენ! და მაშინ დავწვი საკუთარი გემები, ხიდები და კიდევ რას წვავენ... დავჯექი პირველი წიგნის, „პილიგრიმობის" დასაწერად. საკუთარი თავისთვის არჩევანი არ დამიტოვებია. და ყველაფერი ერთობ გაიოლდა.

*ა.მ.* მეგობრები რას ამბობდნენ?

***პ.კ.*** არავისთვის არაფერი მითქვამს ცოლის გარდა. როცა ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, არავის არაფერი უნდა ჰკითხო, თორემ, ხომ იცით, დაიწყება: „კარგი იქნებოდა, ასე გაგეკეთებინა და არა ისე; აი, ამისთვის კი მოცდაა საჭირო..." რჩევისთვის მხოლოდ ერთ ადამიანს შეიძლება მიმართო — ყველაზე საყვარელს. სხვას არავის. მეც მხოლოდ ცოლს გავენდე. და კრისტინამ მითხრა: „ისე გააკეთე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. ეს შენი ცხოვრებაა — ჰოდა, იმოქმედე. ხოლო სხვა ცხოვრებები გექნება ან გქონდა თუ არა წარსული ცხოვრებები, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ახლა მხოლოდ ეს ცხოვრება გაქვს. და მას პატივი უნდა სცე".

და მეც შევჩერდი. მაშინ ერთ მსხვილ ხმისჩამწერ კომპანიაში ვმუშაობდი, გავთავისუფლდი და წიგნს ჩავუჯექი.

*ა.მ.* და რა იქნებოდა, ამ გადაწყვეტილებას თუ არ მიიღებდით?

***პ.კ.*** იცი, თუმცა მწერალი ვარ, ვისაც ლექსიკონში უამრავი სხვადასხვა სიტყვა მოეპოვება, მე არ ვიცი სიტყვა „თუ". „სამყაროს მეომრის" ერთი მნიშვნელოვანი თვისება — ეს არის უნარი, დაივიწყოს „თუს" არსებობა. და მე მართლა არ ვიცი ეს სიტყვა. მაგრამ ვიცი, რომ თვითონ ავირჩიე ეს გზა, უარვყავი ყველა დანარჩენი. ვფიქრობ, ადამიანებს უნდა აუხსნა, რომ სიტყვა „თუ" — ეს ძალიან საშიში სიტყვაა.

*ა.მ.* საშიში რატომ?

***პ.კ.*** იმიტომ, რომ ის ადამიანს ძალას აცლის. გაიძულებს, იფიქრო სხვა შესაძლებლობებზე. არადა, უბრალოდ, არჩევანი უნდა გააკეთო, სხვა დანარჩენი დაივიწყო და ირწმუნო, რომ სწორედ ეს არჩევანია ერთადერთი სწორი არჩევანი.

*ა.მ.* მაგრამ, თუ?..

***პ.კ.*** მაგრამ, თუ უცბად მოგეჩვენება, რომ შენს მიერ არჩეული ერთადერთი სანდო გზა მთლად სწორი არ არის, მაშინ იმაში დარწმუნებაში, რომ ეს, ყველაფრის მიუხედავად, ერთადერთი სწორი გზაა, ყოველთვის დაგეხმარება უფალი ღმერთი. თუ, რასაკვირველია, არ დაგავიწყდება, მიმართო მას.

თარგმნა **ელზა მეტრეველმა**



რუსიკო ბერაია
პორტრეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სერგეი დოვლატოვი

## ზონა
## ზედამხედველის ჩანაწერები




**1982 წლის 3 მაისი,**
**ნიუ-იორკი**

ამას წინათ თქვენი "მეტაპოლიტიკის" ნაწილი წავიკითხე. იქ კარგად წერია თავისუფლების ხარჯებზე. იმაზე, თუ რა ფასად მოიპოვება ის. თავისუფლებაზე, არა მარტო როგორც მუდმივ მიზანზე, არამედ, როგორც ასევე მძიმე ტვირთზეც...

შეხედეთ რა ხდება ემიგრაციაში. ბრაიტონის ნეპი გახურებულია. ხულიგნების ტევა არაა (ადრე მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ებრაელის საშუალო ტიპი პროფესორი ეიხენბაუმია).

ცოტა ხნის წინათ იქ საროსკიპო გახსნეს. ოთხი ქალიშვილი რუსია, ერთიც — ფინელი...

სავადასახადო უწყებას ვატყუებთ, კონკურენტებს ვესვრით. გაზეთებში, ეშმაკმა თუ იცის, რას ვბეჭდავთ.

ყოფილი კოოპერატორები იარაღით ვაჭრობენ. ყოფილი დისიდენტები ლამის პროკურორები ხდებიან. ყოფილი პროკურორები — დისიდენტები...

რესტორნების პატრონები ველფერზე სხედან და ფუტსტემპებსაც კი იღებენ. მძღოლის უფლების ყიდვა შეიძლება ასად. სამეცნიერო ხარისხისა — ორას ორმოცდაათად...

გულს გტკენს ის აზრი, რომ მთელი ეს სისაძაგლე თავისუფლების ნაყოფია. იმიტომ, რომ თავისუფლება ცუდსა და კარგს თანაბრად სწყალობს. მის სხივებქვეშ ერთნაირი სისწრაფით ყვავიან გლადიოლუსებიცა და მარიხუანაც...

ამასთან დაკავშირებით ვიხსენებ ერთ წარმოუდგენელ ამბავს. პატიმარი ჩიჩევანოვი, მძარცველი და მკვლელი, განსაკუთრებულ რეჟიმზე უკანასკნელ დღე-ღამეს იჯდა. ის ხვალ უნდა გაენთავისუფლებინათ. პატიმრობის ოცი წელი ჰქონდა მოხდილი.

მე მას სათავო ახალშენამდე უნდა გავყოლოდი. რკინისძარიანი ავტოზაკით ვმგზავრობდით. ჩიჩევანოვი, დებულების თანახმად, ვიწრო მეტალის კამერაში უნდა მჯდარიყო. მის კარებს ჭუჭრუტანა ჰქონდა. პატიმრები ამას სამარჯვოს ეძახიან:

" — მე მას ვხედავ, ის მე ვერ მხედავს".

მე, იმავე ინსტრუქციის თანახმად, ძარაზე ბორტთან მოვკალათდი. გზაში უაზრობად მომეჩვენა ჩიჩევანოვის ასე ფხიზლად ყარაულობა. მას ხომ სულ რამდენიმე საათის ჯდომა ჰქონდა დარჩენილი.

მე ის კამერიდან გამოვუშვი. მეტიც — მასთან მეგობრული საუბარი გავაბი.

უცებ ვერაგმა ზეკმა პისტოლეტის სახელურის დარტყმით დამარეტიანა (როგორც თქვენც ხვდებით — ჩემი საკუთარი პისტოლეტის სახელურით), შემდეგ მიმქროლავი მანქანიდან გადახტა და გაიქცა.

ექვსი საათის შემდეგ დაბა იოსსერში დააკავეს. ჩიჩევანოვმა პროდუქტების ჯიხური გატეხა და გამოლეშვა მოასწრო. გაქცევისა და ქურდობისთვის პატიმრობის ოთხი წელი დაუმატეს...

ამ ამბავმა პირდაპირ შემაძრწუნა. ეს დაუჯერებელ, არაბუნებრივ და ტრანსცენდენტულ მოვლენად მიმაჩნდა. მაგრამ კაპიტანმა პრიშჩეპამ, ძველმა გამოჯეგილმა ლაგერის ოფიცერმა, ყველაფერი ამიხსნა. მან თქვა:

— ჩიჩევანოვი ოცი წელიწადს იჯდა. ის ჯდომას მიეჩვია. ციხემ გარდაქმნა მისი სისხლის მიმოქცევა, მისი სასუნთქი და ვესტიბულარული აპარატი. ციხის გარეთ კი ის რას წარმოადგენს, ვის დაკარგვია! თავისუფლებისა ძალიან ეშინოდა და სული შეუგუბდა...

დასასრული. დასაწყისი „ცისკარი" №3-4

*ამგვარ რაღაცას განვიცდით ჩვენც, რუსი ემიგრანტები...*

*ჩვენ ათწლეულობით ვცხოვრობდით ტოტალური არათავისუფლების პირობებში. ჩვენ ქამბალასავით გაბრტყელებული ვართ ყოველგვარი აკრძალვების უმსუბუქესი ტვირთით. და უცებ აგვიტაცა ფილტვების გამგლეჯმა თავისუფლების გრიგალმა.*

*და ჩვენ პროდუქტების ჯიხურის შესამტვრევად გავემართეთ.*

*ეტყობა, სათქმელს ავცდი.*

*მორიგ ორ ფრაგმენტს წინა ეპიზოდთანა აქვს კავშირი. მათში ფიგურირებს კაპიტანი ეგოროვი — გონებაჩლუნგი და ბოროტი ცხოველი. ჩემს მოთხრობებში ის საკმაოდ სიმპათიური გამოვიდა. საქმე შემოქმედებითი პროცესის მეტამორფოზასთან გვაქვს...*

*ადრე ეს დიდი მოთხრობის მსგავსი რაღაც იყო. მაგრამ დრაიცერმა მხოლოდ განცალკევებული გვერდები გამომიგზავნა. მე მათი შეკვრა ვცადე. შევქმენი კინომონტაჟი ბატონ დოს-პასოსის ტრადიციების შესატყვისად. სიტყვას მოჰყვა და, ერთ ძველ რეცენზიაში მე მისი ეპიგონი მიწოდეს...*

კატიამ გამომრთველი გადაატრიალა და ფანჯრები დაბნელდა.

ძალიან ადრე იყო. მისაღებში ყრუდ წიკწიკებდა კედლის საათი.

კატიამ ფეხები გაცივებულ საშინაო ზანდულებში (ლანჩადაწნულ ფეხსაცმელებში) შეყარა. სამზარეულოში გავიდა. დაბრუნდა. ცოტა ხანს დადგა ცისფერი თივთიკის ხალათმოხურული, შემდეგ კალენდრიდან ფურცელი ამოგლიჯა და მის ისე გულისყურით და ნელა კითხვას შეუდგა, თითქოს ამისგან ბევრი რამ იყო დამოკიდებული...

"ოცდარვა თებერვალი. ხუთშაბათი. ხუთას სამოცი წლის წინათ დაიბადა აბდურახმან ჯამი. სპარსული კულტურის ამ გამოჩენილი მოღვაწის სახელი..."

— ეგოროვ, გამოიღვიძე, — უთხრა კატიამ, — წყალი გაიყინა.

კაპიტანი ძილში ციბრუტივით გადატრიალდ-გადმოტრიალდა.

— ეს ნორმალური რამაა, — თქვა კაპიტანმა, — სავსებით ნორმალური... გაცხელებისას ყინული წარმოიქმნება... გაცივებისას კი... არა, ასე არა... გაცივებისას — ყინული. გაცხელებისას — კვამლი... ნიუტონის მესამე კანონია, რაშიც მე სულაც არა ვარ დარწმუნებული...

— თოვლი შუკუმამდე მოყარა. პაველ, ნუ გძინავს... (შუკუმი — სარკმელში დატანებული მომინული პატარა კარი სუფთა ჰაერის შემოსაშვებად — მთარგ.)

— ნალექები, — თქვა ეგოროვმა, — ის ჯობია მოისმინო, რა სიზმარი ვნახე. თითქოს ვოროშილოვმა ხმალი მაჩუქა. და მე ამ ხმლით მაიორ კოვბას ვუღიტინებ...

— პაველ, ნუ პრანჭიაობ.

კაპიტანი სწრაფად ადგა და კუთხიდან ცივი შავი ჰანტელი გამოაგორა. თან თქვა:

— რაც უნდა იჭაჭო და ივარჯიშო, ვეშაპზე მეტს ვერ დალევ... და სულერთია, გორილასავით ძლიერი ვერ იქნები...

— პაველ!

— რა იყო?! რა მოხდა?

ეგოროვი მასთან მივიდა, რათა მოხვეოდა.

კატიამ თავი გაარიდა და ხმამაღლა ატირდა. ის ცახცახებდა და პირს იღრეცდა.

— ტირილი რა საჭიროა? — ჩუმად ჰკითხა ეგოროვმა. — ტირილი აუცილებელი არ არის. მით უფრო — ქვითინი...

მაშინ კატიამ სახეზე ხელები აიფარა და ნელა, ნელა, ისე, რომ ცრემლებს ხელი არ შეეშალა, თქვა:

— მეტი არ შემიძლია.

კაპიტანი მოიღუშა და სიგარეტი ამოიღო. კრინტის დაუძვრელად გააბოლა.

ფანჯრებს იქით რუხი სუსხიანი დილა იდგა. თოვლზე მოცისფრო გრძელი ჩრდილები ეფინა.

ეგოროვმა ნელა ჩაიცვა, დაბამბული ჯუბა მოიგდო და ნაჯახი აიღო. თოვლი მისი სათხილამურო ჩექმების ქვეშ ჭრაჭუნებდა.

"სადღაც ხომ არის სხვა ცხოვრება, — ფიქრობდა კატია, — სულ სხვა ცხოვრება... იქ მარწყვი, კოცონები და სიმღერებია... და ფიჭვების ფესვებით დაღარული ბილიკების ლაბირინთი... და მდინარეები, და გადასასვლელის მომლოდინე ადამიანები... სადღაც არის სერიოზული თეთრი წიგნები. მუდმივად გამსხლტომი ბახი... ავტომობილთა ბორბლების ჩქამი... აქ კი ძაღლების ყეფაა. მორების სახერხი დაზგა დილიდან საღამომდე გუგუნებს. ახლა კი ამას პირსაბანში ყინულიც ემატება..."

კატიამ მინა დაორთქლა. ეგოროვი ჯირკს დგამდა. ერთხანს ავლო თვალი როკებს, შემდეგ კი ნაჯახი აამუშავა...

რადიოში "თურქული მარში" ჟღერდა. კატიამ თურქული ლაშქარი წარმოისახა. როგორ მიჩანჩალებენ თოვლში ისინი, მძიმეჩალმიანები. ინსტრუმენტალისტი ძალისკენ მიიწევენ. მათი იატაგანები ქარქაშებში ჩაიყინნენ, მათი ჩალმები ყინულით დაიფარა...

"ღმერთო, — გაიფიქრა კატიამ, — გონებას ვკარგავ!"

ეგოროვი ერთი ამოლლიავება შეშიანად დაბრუნდა. ისინი ღუმელთან დაყარა. შემდეგ ჯიბიდან დააძრო შმონის დროს ამოღებული ციხის მესერი ფიქსატორითურთ და კვარის ხლეჩას შეუდგა...

"ადრე ზამთარი მიყვარდა, — ფიქრობს კატია, — ახლა კი ის მძულს, მძულს ყინვა დილდილაობით და ბნელი ღამეები. მძულს ძაღლების ყეფა, მესრები, მავთულხლართები. მძულს ჩექმები, ტანსათბურები... და ყინული პირსაბანში..."

— გაჩუმდი, — თქვა კატიამ, — მძულს შენი სიმართლე, უბრალოობა!

— ეს როგორ? — ვერ გაიგო ეგოროვმა, შემდეგ კი დასძინა: — კარგი, ჰო, თუ გინდა ვოჟაელიდან ვაშლებს, შამპანურს მოვიტან, ჟენკა ბორტაშევიჩსა და ლარისას დავუძახოთ...

— შენი ბორტაშევიჩი სადილობისას ფრჩხილებს იჭრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ ვახტანგ კეკელიძეს, მას თავადი მამა ჰყავს.

— კეკელიძე უხამსია!

— ანუ?

— შენ არ იცი.

— რატომ არ ვიცი, — თქვა კაპიტანმა. — მე ვიცი... მე ვიცი, რომ შენ ის გებლაუქება. ქართველებს ასეთი ხასიათი აქვთ. უცოლშვილო ბიჭია... სასიამოვნო არაა, რასაკვირველია. ისიც... შეიძლება, რომ სიფათი მოუნგრიოს კაცმა...

— ქალისთვის ეს აუცილებელია.

— სახელდობრ რა?

— რომ მას ეარშიყებოდნენ.

— ბავშვი უნდა გააჩინო, — უთხრა კაპიტანმა...

სანერგეში ხრინწიანი ყეფა, ყმუილი ძლიერდებოდა. ამ ხმებს შორის გამოირჩეოდა ერთი ძაღლი — მისი ხმა სულ უფრო და უფრო მეტი თავგამოდებით ყეფდა.

— თოლიები რატომ არ მაღიზიანებენ, — თქვა კატიამ, — ან ტყის იხვები? მე არ შემიძლია, არ შემიძლია, არ შემიძლია ამ ყეფის ატანა...

— ის გარუნია, — თქვა ეგოროვმა.

— საშინელებაა...

— შენ ჯერ მგლების ყმუილი არ მოგისმენია. აი, ნამდვილი საშინელება ეგაა...

ღუმელში შიშხინებდა შეშა, რომელსაც უკვე მეტის ძალით ეკიდებოდა ცეცხლი. და აი, უკვე სველი თოვლის სუნი დადგა.

— პაველ, ნუ ბრაზობ.

— რაზე უნდა ვბრაზობდე?

— ვოყაელიდან ვაშლები ჩამოიტანე.

— სხვათა შორის, პირსაბანში ყინული დნება.

კატია უკნიდან მოადგა, მოეხვია.

— შენ დიდი ხარ, — თქვა მან, — როგორც ხე ჭექა-ქუხილში. მეშინია, არაფერი დაგემართოს.

— კეთილი, — თქვა პაველმა, — ყველაფერი კარგად იქნება. შესანიშნავად იქნება ყველაფერი.

— ნუთუ ყველაფერი კარგად იქნება?

— ყველაფერი შესანიშნავად იქნება. თვითონ ჩვენ თუ ვიქნებით კარგები...

— პირსაბანში ყინული მართლა დნება?

— მართლა, — თქვა კაპიტანმა, — ეს ნორმალური რამაა. ბუნების კანონია...

სანერგეში გარუნი ისევ აყეფდა.

— დაიცა, — გვერდზე გასწია კატია ეგოროვმა, — ახლავე დავბრუნდები. ერთი წუთის საქმეა...

katiam xelebi Camoyara. samzareuloSi gavida. pirsabanis mZime saxuravi wamoswia. iq yinulis patara natexi mimocuravda.

— ნამდვილად დნება, — ხმამაღლა თქვა კატიამ. ის დაბრუნდა, ჩამოჯდა. ეგოროვი იქ არ იყო.

კატიამ ხმაჩახრინწული პატეფონი ჩართო. გაიხსენა ლექსი, რომელიც მას პოეტმა ლიონია მაკმა, შტანგისტმა და აუღიარებელმა გენიოსმა, უძღვნა:

**... Видно, я тут не совсем кстати...**
**Патефон давно затих, шепчет...**
**Лучше вальса подождем, Катя,**
**Мне его не танцевать легче...**

სანერგედან სროლის ხმა მოისმა. ძაღლის ყეფა ჯერ წკმუტუნზე გადავიდა, მერე მიწყდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაპიტანი დაბრუნდა. ფანჯარას ჩაუარა. ბრეზენტში გახვეული რაღაც მიჰქონდა.

კატიას თვალების აწევისა ეშინოდა.

— რაო, — გაიცინა ეგოროვმა, — მეტი სიწყნარეა?

კატია შეეცადა ეკითხა:

— რა ვქნათ ახლა, საით მიდიხარ?

— ეს პრობლემა არაა, — დაამშვიდა კაპიტანმა, — ბარიან ჯეელს გამოვიძახებ...

*1982 წლის 17 მაისი,*
*პრინსტონი*

*როგორც იცით, შალამოვი ლაგერულ გამოცდილებას სავსებით ნეგატიურად მიიჩნევს...*

*ვარლამ ტიხონოვიჩს გენა აიგის მეშვეობით ცოტაოდენ ვიცნობდი. გასაოცარი კაცი იყო. და მაინც, მე მას არ ვეთანხმები.*

*შალამოვს სძულდა ციხე. ვფიქრობ, რომ ეს არ კმარა. ეს გრძნობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს თავისუფლების სიყვარულს. და ტირანიის სიძულვილსაც კი არ ნიშნავს...*

*საბჭოური ციხე ტირანიის აურაცხელ სახეობათაგან ერთ-ერთია, ტოტალური ყოვლისმომცველი ძალმომრეობის ერთ-ერთი ფორმაა.*

*მაგრამ სილამაზე ლაგერულ ცხოვრებაშიცაა. და აქ მხოლოდ შავი ფერები არ კმარა.*

*ჩემი აზრით, მისი ერთ-ერთი ალმაფრთოვანებელი სამკაული ენაა.*

*ლაგერულ სინამდვილეს ენათმეცნიერების კანონები არ ერგება, რადგანაც ლაგერული ურთიერთობის საშუალება არაა. ის არაფუნქციონალურია.*

*ლაგერული ენის ფუნქცია ყველაზე მეტად მისი პრაქტიკული გამოყენებაა. და, საერთოდ, ის მიზანია და არა საშუალება.*

*ადამიანურ ურთიერთობას ლაგერული ენის სულ მინიმუმი ხმარდება:*

*„...განმწესებელი გიბარებს..." — „...მე თვითონ ვეძებ მას..." ისეთი შეგრძნებაა, რომ ზეკები საყოფაცხოვრებო სიტყვიერ მასალას მომჭირნედ ხარჯავენ. ძირითადად კი ლაგერული ენა შემოქმედებითი, ღრმად ესთეტიკური, მხატვრულ-უმიზნო მოვლენაა.*

*საძაგელი ლაგერული ცხოვრება ენის განსაკუთრებული გამომსახველობის პრეფერენციას იძლევა.*

*ლაგერული ენა თავსატეხი, ფერწერული, ორნამენტული და პეწიანია. ის ახლოს დგას რემიზოვის სკოლის ბგერწერასთან. ლაგერული ენა წარმტაცი სიტყვიერი ავანტიურაა. ესაა რაღაც დრამა, რომელსაც დამაინტრიგებელი კვანძი, მიმზიდველი კულმინაცია და ბობოქარი ფინალი აქვს. ან ორატორიაა მისი მრავალმნიშვნელოვანი პაუზებით, ტემპების მოულოდნელი გაძლიერებით, მდიდარი ბგერითი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნიუანსირებითა და გულშემზარავად მყღერი ფიორიტურებით.*

*ლაგერული მონოლოგი დასრულებული თეატრალური სპექტაკლია. ბალაგანია, მბრწყინავი, გამომწვევი და თავისუფალი შემოქმედებითი აქციაა.*

*გამოქექილი, ბევრის მნახველი ლაგერელისთვის ენა ჩვეულებრივ სამოქალაქო სამკაულებს ენაცვლება. სახელდობრ — ვარცხნილობას, საზღვარგარეთულ კოსტიუმს, ყელიან ფეხსაცმელს, ჰალსტუხს და სათვალეს, მეტიც, ფულს, საზოგადოებაში მდგომარეობას, ჯილდოებსა და რეგალიებს.*

*კარგად დაყენებული მეტყველება ხშირად ლაგერის ძველი მკვიდრის ერთადერთი იარაღია. საზოგადოებაზე მისი გავლენის განმაპირობებელი ერთადერთი ბერკეტია, მისი რეპუტაციის მყარი ფუნდამენტია.*

*ფარსაგი, ხარისხიანი ლაგერული მეტყველება ოსტატისადმი პატივისცემას იწვევს. შრომით დამსახურებებს ლაგერში გასავალი არა აქვს. უფრო პირიქით. თავისუფლებისდროინდელი მიღწევები დავიწყებულია. სიტყვალა რჩება.*

*დახვეწილი მეტყველება ლაგერში ფიზიკური ძალა რომაა, იმ მასშტაბის უპირატესობაა.*

*ტყის ჭრის ადგილას კარგი მთხრობელი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე კარგი მწერალი მოსკოვში.*

*შესაძლებელია ბაბელის, პლატონოვისა და ზოშჩენკოს კოპირება. ამას ათობით ახალგაზრდა მწერალი აკეთებს არცთუ წარუმატებლად, ლაგერული ენის ყალბად გამოყენება კი შეუძლებელია, რადგან მისი მთავარი წინაპირობა ორგანულობა, სისხლხორცეულობაა.*

*ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ საკმაოდ უწმაწური ამონარიდები ჩემი უბის წიგნაკიდან:*

*"ჩვენთან მოსკოვიდან გამოგზავნეს სერჟანტი, ფრიად ინტელიგენტური ყმაწვილი, მწერლის შვილი. მაგარი ქურდის რეპუტაციის მოსაპოვებლად ის გაუთავებლად იგინებოდა.*

*ერთხელ რომელიღაც ზეკს დაუყვირა:*

*— რას მიჰქარავ, შე ебнуля?! (მახვილი სწორედ ასე დასვა.) ზეკმა არგუმენტირებულად უპასუხა:*

*— მოქალაქე სერჟანტო, თქვენ მართალი არა ხართ, შეიძლება ითქვას ебнулся, ебанулся და наебнулся. მაგრამ ебнулся არა, რადგან ასეთი სიტყვა რუსულ სალიტერატურო ენაში, მაპატიეთ, არა, არ არსებობს...*

*სერჟანტს რუსული ენის გაკვეთილი ჩაუტარდა".*

*ფრაერი, რომელიც თავს ქურდად ასაღებს, სასაცილო და უწესო ვინმეა. ამისთანეზე ამბობენ: "დედიკოს ბიჭი თავს ზაკონნიკად ასაღებდაო..."*

*ლაგერული მეტყველების ხელოვნება ემყარება ძველ ჩამოყალიბებულ ტრადიციას. აქ არსებობენ ურღვევი კანონები, რკინის შტამპები და უამრავი რეგლამენტი. პლუს — აუცილებელი შემოქმედებითი სიახლე. ესეც ისეა, როგორც ლიტერატურაში. ჭეშმარიტი მხატვარი, ტრადიციაზე დაყრდნობით ავითარებს თავის პირად თავისებურებას.*

*გასაკვირი კია, მაგრამ ლაგერულ ენაში ძალზე ცოტა სალანძღავი, საგინებელი სიტყვაა. ნამდვილი კანონიერი ქურდი დედის გინებას იშვიათად თუ კადრულობს. ის აბუჩად იგდებს წარამარა ბილწსიტყვაობას. მას ძვირად უღირს თავისი მეტყველება, იცის მისი ფასი.*

*ნამდვილი კანონიერი ქურდი აფასებს ხარისხს და არა დეციბელებს (დეციბელი — ელექტრომექანიკაში, ელექტროტექნიკაში, აკუსტიკაში: ბელის მეათედი ნაწილი — მთარგ.), ხვავრიელობას სიზუსტე ურჩევნია.*

*ზიზღიანი "შენი ადგილი პარაშასთანაა" ათობით რჩეულ უშვერ გინებას უტოლდება. "შენა, ჩუკნა ძაღლო, რას მიაცვ-მოაცვამ?!" მაშინვე აფრთხობინებს სულს ადრესატს.*

*შემწყნარებლური "აი ფრაერი — არც მოპარვა შეუძლია და არც ყარაულობა" — ადრესატს აბსოლუტურად აბითურებს.*

*ლაგერში ჯერ ისევ ცოცხალია სიტყვიერი ორთაბრძოლის, ბრწყინვალე საუბრული დუელის ფორმა. ხშირად შევსწრებივარ მოჩვენებითი აპათიით უეცარი მომაკვდინებელი მჭევრმეტყველებით აღბეჭდილ ასეთ შერკინებებს, მსმენია კრილოვისა და ლაფონტენის ფორმულირებები:*

*„მგელი ნიშანდებულებსაც ნთქავს..."*

*ლაგერში მშობლებსა და ახლობლებს არ იფიცებენ. აქ არც ფიცილი ისმის და არც აღმოსავლური ალთქმები. აქ ამბობენ:*

*— თავისუფლებას გეფიცებით!..*

*მომდევნო ნაწყვეტი ისევ იმავე კაპიტან ეგოროვზეა. შუა ფურცლები დაიკარგა. იქ იყო ამბავი ცხენზე — როდესმე მოვყვები. და კიდევ — ველიანში ბუნტზე, როცა ეგოროვი ნიჩბით დაარეტიანეს...*

*მოკლედ, თორმეტი ფურცელია დაკარგული. ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ლიტერატურა დინამიტთან თანაბრდება. ჩემი აზრით, ეს ჩვენთვის დიდი პატივია...*

საპირფარეშოში სისუფთავე და სიგრილე იყო. ეგოროვი რაფაზე შემომჯდარი ეწეოდა. ფანჯრის იქით მეხანძრეები ქალაქობანას თამაშობდნენ. პურის ფურგონმა ჩაიარა და ოდნავი ღრჭიალით გაჩერდა საფუნთუშის ახლოს.

ეგოროვმა სიგარეტი ჩააქრო და გამოვიდა, საავადმყოფოს დერეფანს მზის სხივები კვეთდნენ. იქ ბევრი ფანჯარა იყო — მსუბუქი ფარდები ირხეოდნენ და ფრიალებდნენ.

დერეფანში მედდა მოდიოდა. ის მონაზონს ჰგავდა და სანდომიანი, ეშხიანი იყო.

საავადმყოფოში ყველა მედდა, — მართლაც ცქრიალა, ჯანსაღი — სანდომიანი და ეშხიანი იყო. ირგვლივ კი ასე ბევრი გამჭვირვალე თეთრი ფარდა და ცივი შუქია, და არაფერი ზედმეტი...

— აბა, როგორაა საქმე?

— მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, — ცივად უპასუხა მედდამ.

ელამი თვალები, აკურატული შუბლზე შეჭრილი თმა ჰქონდა და წელზე შემოჭერილი მოცისფრო ხალათი ეცვა.

მედდები პალატებსა და რეგისტრატურაში უგრძნობლებს, გულცივებს, გულქვებს ჰგავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ხომ იმას ამბობდნენ, რისი მოსმენაც ბევრს არ სიამოვნებდა...

— გასაგებია, — თქვა კაპიტანმა, — დამაკმაყოფილებელი, ესე იგი, ცუდი?

— ხელს მიშლით მუშაობაში, — ფოსტის მოსამსახურესავით ნატანჯი ხმით ამოთქვა მან.

— ნეტა შენი თავი ხორცსაკეპში ჩამაჩრევინა, — ჩუმად თქვა კაპიტანმა.

დერეფანში აჩქარებით მოაბიჯებდა ქირურგი თავის ოთხ ასისტენტთან ერთად, რომლებიც მასზე მაღლები იყვნენ. ქირურგი ასისტენტებს მათკენ შეუბრუნებლად რაღაცას ეუბნებოდა. ეგოროვი მათ გზაზე გადაუდგა.

— შემდეგ, შემდეგ, — ჩამოიშორა ის ქირურგმა, — ჩვენ, ექიმები, ცრუმორწმუნეები ვართ...

ის თითქმის ხუმრობდა.

— ჩემი ცოლი თუ... — უთხრა მას კაპიტანმა, — თუ რამე მოხდება... არაფერს, რაც შემდეგ მოხდება, უკვე მნიშვნელობა არ ექნება.

— მორჩით მკრეხელობას, — თქვა ექიმმა, — წადით, ისადილეთ. პორტვეინი დალიეთ. სასადილო კუთხესთანაა.

— როგორი ჯანმრთელი ხარ, — უთხრა კაპიტანმა.

— ვინა? — გაოცდა ქირურგი. — რატომ? მე ხომ ვითხოვე...

საავადმყოფოდან გამოსული ეგოროვი კედლისკენ შებრუნდა და ატირდა. მან გაიხსენა კატიას ბავშვური და გაავებული სახე. გაიხსენა მისი შემოკვნეტილი თითები. გაიხსენა ყველაფერი, რაც იყო ...

შემდეგ გააბოლა და სასადილოსკენ წავიდა. იქ რამდენიმე კლიენტი იყო. დურალუმინის ტაბურეტები შტაბელებად იდგა კუთხეში.

კაპიტანი ფანჯარასთან დაჯდა და ღვინო და შნიცელი შეუკვეთა. ოფიციანტი ქალები სასადილოში სანდომიანებად და ეშხიანებად ეჩვენებოდა და მედდებს ამგვანებდა. ოფიციანტ ქალებს ხასხასა აბრეშუმის კოფთები ეცვათ და მაქმანიანი წინსაფრები ეკეთათ. მოლარე ქალი დარბაზში უკმაყოფილო თვალებით იყურებოდა. მის წინ სქელი დაფხრეწილი წიგნი იდო.

ეგოროვი თან სადილობდა, თან უყურებდა თუ როგორ რეცხავდა ორი ჯარისკაცი სატვირთო მანქანას.

სასადილოდან გამოვიდა, გაზეთი იყიდა, ატრიალა და ჯიბეში ჩაიჩურთა. მისკენ ცოცხიანი ქალი მოემართებოდა. ის პაპიროსისნამწვებიან ასფალტს გვიდა. რკინიგზელმა გაიარა ველოსიპედით, რომლის თვლების მანებიც ოდნავ მოციმციმე წრეს ჰქმნიდნენ.

ერთი საათის შემდეგ ეგოროვი კლინიკაში შევიდა. ის დერეფანში ჭალის ქვეშ იდგა. ფანჯარაზე ირხეოდა მცენარე, რომელსაც მაგარი მწვანე ყლორტები ჰქონდა ამოყრილი. საავადმყოფოში ეს ყვავილები ხელოვნურ ყვავილებად ეჩვენებოდა.

დერეფანს ქირურგი მოუყვებოდა. სველი ხელები ნივთსავით წინ მოჰქონდა. მედდამ მას ხელსახოცი მიაწოდა, შემდეგ კი ეგოროვისკენ გამოემართა.

ეგოროვს ის ქალი უცებ ულამაზოდ მოეჩვენა. ჭკვიან სერიოზულ ბიჭს ჰგავდა. მედდას საყელოზე მელნის ლაქიანი ხალათი და გაცვეთილი ფლოსტები ეცვა.

— თქვენი ცოლი უკეთაა, — გაიგონა კაპიტანმა, — მანევიჩმა სასწაული გააკეთა.

ეგოროვმა მოიხედა — ქირურგი იქ არ იყო, მან სასწაული გააკეთა და წავიდა.

— რა გვარია? — ისევ ჰკითხა ეგოროვმა, მაგრამ მედდაც წავიდა.

ის კიბით ჩავიდა ქვევით. მეგარდერობემ შინელი მიაწოდა. კაპიტანმა რუბლი მიართვა. მოხუცმა ეგოროვისადმი პატივისცემა წარბის აწევით გამოხატა.

მედდა რეგისტრატურაში მღეროდა:

**... Подари мне лунный камень,**
**Талисман моей любви...**

ეგოროვს ის ლამაზი ეჩვენებოდა.

— ჩემი ცოლი თითქოს უკეთაა, — თქვა კაპიტანმა, — მან დაიძინა.

გაჩუმდა და დასძინა:

— რაც გინდა თქვი, ყველა მცოდნე ადამიანი ებრაელია: იქნებ, ტყუილუბრალოდ დევნიდნენ, ავიწროებდნენ მათ საუკუნეების მანძილზე?.. სამოც წელში ჩვენთან ერთი გამოგზავნეს, ყველანი ამბობდნენ — ებრაელია, ებრაელიაო... მსმელი კაცი აღმოჩნდა...

მედდამ სიმღერა შეწყვიტა და უკმაყოფილოდ ჩარგო თავი ქაღალდებში.

კაპიტანი ქუჩაში გავიდა. მისკენ მოდიან ადამიანები — სანდლებიანები, კეპიანები, ბერეტიანები, ჭრელპერანგიანები და მუქსათვალიანები. მათ ჩანთები და პორტფელები მოაქვთ. სხვადასხვაფერკოფტიანი ქალები სანდომიანნი, ეშხიანნი და მედდების მსგავსნი ჩანან.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ცოლს ძინავს, რომ კატიას საფრთხე არ ემუქრება. და რომ ის, ალბათ, ძილში იჭმუხნება...

*1982 წლის 24 მაისი,*
*ნიუ-იორკი*

*მე უკვე ვთქვი, რომ ზონა სახელმწიფოს მოდელს წარმოადგენს. აქ არის სპორტი, კულტურა, იდეოლოგია. არის კომუნისტური პარტიის მსგავსი რაღაც (შინაგანი წესრიგის სექცია). ზონაში არიან კომანდირები და რიგითები, აკადემიკოსები და უვიცები, მილიონერები და ბოგანოები.*

*ზონაში არის სკოლა. არის ცნებები — კარიერა, წარმატება.*

*აქ ადამიანურ ურთიერთობათა ყველა პროპორცია ნარჩუნდება.*

*ლაგერულ ცხოვრებაში უზარმაზარი ადგილი უჭირავს ნათესავებთან მიმოწერას, თუმცა ნათესავები ყველას როდი ჰყავს. განსაკუთრებული რეჟიმისას — მით უმეტეს. თავს იჩენს ლაგერებისა და ციხეების წლები. ცოლებმა სხვა თაყვანისმცემლები*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონახეს. შვილები მშობლების წინააღმდეგ არიან განწყობილი. მეგობრები და ნაცნობები თითქოს უზარმაზარ სამყაროში დაიკარგნენ.

ისინი კი, ვისაც ნათესავები და ახლობლები ჰყავთ, მათთან მიმოწერას ელოლიავებიან.

სახლიდან მოსული წერილი ლაგერული სიწმინდეა. ღმერთმა დაგიფაროთ ამ სიწმინდის დაცინვისგან.

მათ ხმამაღლა კითხულობენ. უმნიშვნელო დეტალები სრულ სენსაციებად ცხადდება.

მაგალითად, ცოლი იუწყება:

"... ლიონკა ძალიან დაჟინებული, თვითნება ვინმეა. ქიმიაში ერთიანი მიიღო..."

ბედნიერი მამა წყვეტს კითხვას:

— ერთიანი ქიმიაში...

მის ფიზიონომიას ღიმილი ეფინება.

და მთელი ბარაკი პატივისცემით იმეორებს:

— ერთიანი ქიმიაში... ეხუმრები?!

სხვა საქმეა მიმოწერა "დაუსწრებელ ქალებთან", მასში ბევრი ცინიზმი, თავის მოკატუნება, პრანჭიაობაა.

ასეთი წერილები კოლექტიურად იწერება. მათში პატიმრები თავიანთ თავს ტრაგიკულ გარემოებათა მსხვერპლად წარმოსახავენ. გამოხატავენ მშვიდობიან შრომასთან მიბრუნების მხურვალე წადილს. მარტოობისა და ადამიანთა ბოროტების გამო ჭმუნავენ.

ზონაში არიან ეპისტოლური ჟანრის კორიფეები. გულგანმგმირავი ტექსტების შედგენის ოსტატები. აი, "დაუსწრებელი ქალებისადმი" მიწერილი ლაგერული წერილის ტიპური დასაწყისი:

"გამარჯობა, უცნობო ქალო (შესაძლოა — ქალიშვილო) ლიუდა! შენ გწერს ყოფილი შეუპოვარი სახლის მძარცველი, ახლა კი სატყეო მეურნეობის კვალიფიციური მძღოლი — გრიგორიი. ფანქარი მარცხენა ხელით მიჭირავს, რადგან მარჯვენა ხელი აუტანელი შრომის შედეგად მილპება..."

"დაუსწრებელი ქალებთან" მიმოწერა ყალბი და ლვარჭნილია. მაგრამ ამ წერილებშიც კი საკმაოდ ღრმა გრძნობაა ჩაქსოვილი.

ეტყობა, პატიმარს აუცილებლად სჭირდება რაღაცა, რაც მისი საძაგელი ცხოვრების არის გარეთაა. ზონისა და სასჯელის ვადის გარეთ, თვით მის გარეთ. რაღაც ისეთი, რაც მას თავისი თავის დავიწყების ნებას, თუნდაც ცოტა თავისი თავის მოყვარულობის, თაკერძოობის დავიწყების საშუალებას მისცემს. მას სჭირდება უიმედოდ შორეული, თითქმის მითური რაღაც. იქნებ, სინათლის დამატებითი წყარო. უანგარო სიყვარულის რაღაც საგანი. საგანი არა მეტისმეტად გულწრფელი, ჩერჩეტული, მოჩვენებითი სიყვარულისა. მაგრამ სწორედ სიყვარულისა.

თანაც, რაც უფრო უიმედოა მიზანი, მით უფრო ღრმაა ემოციები.

აქედან მოდის ის უსაზღვრო ყურადღება, რომლითაც სარგებლობენ ლაგერელი ქალები.

ისინი, როგორც წესი, ლაგერში რამდენიმეა. ადმინისტრაციულ-სამეურნეო სექტორში, ბუღალტერიასა და სამედიცინო ნაწილში მუშაობენ. ამათ გარდა არიან ოფიცერთა და ზევადიანთა ცოლები, რომლებიც ხანდახან ჩნდებიან ლაგერში.

აქ თითოეულ, ყველაზე შეუხედავ ქალსაც კი ათობით ალტაცებული თვალი მიაცილებს.

ეს ყურადღება თავისებურად უმანკო და უანგაროა. ქალი ემსგავსება სანახაობას, თეატრს, ნამდვილ კინოს. თვად მისი მიუწვდომლობა (თავისუფალი ქალის მდგომარეობა კი მას პრაქტიკულად მიუწვდომელს ხდის) განაპირობებს მათზე ფიქრების, აზრების სისუფთავეს.

— შეხე, შეხე, — ამბობენ ზეკები, — როგორი ქალია!.. მე ნამდვილად მოვაწერდი ხელს ამ მარციფანზე...

აქ აქცენტი არსებით სახელს ესმება. აქ გამტერებს, განცვიფრებს ქალი საერთოდ და არა მისი კონკრეტული ღირსებები. აქ მბრძანებლობს ქალი, როგორც ფაქტი. ქალი აქ საოცრებაა.

ის მარციფალია. ანუ რაღაც იდუმალი, გამოუცნობელი, ამაღლებული, ეგზოტიკური არსებაა. კეფალი მარციპანიათურთ.

ზეკები ძალზე იშვიათად ხელყოფენ თავისუფალ მომსახურე ქალებს. ჯერ ერთი, ეს უიმედო რამაა. მათ შორის მეტისმეტად დიდი სოციალური უფსკრულია. თანაც, მთავარი ეს არაა. გაცილებით დიდი რამაა კულტი, ოცნება, იდეალის არსებობა.

თანაც, ლაგერის უფროსის ცოლთან წარმოსახული ამურები ადგილობრივი ფოლკლორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული კოლიზიაა. ციხეში მითთაქმნის ერთ-ერთი მოარული სიუჟეტია.

ამ თითქმის ფანტასტიკურ სიუჟეტში არის უეჭველი მხატვრული ლოგიკა. სწორედ ასე რეალიზდება ოცნება სოციალურ მისაგებელზე.

რაღაც ამდაგვარი გარეთ თავისუფალ სივრცეშიც ხდება. ტალინში მყავს მეგობარი ეინო რიპი. მან შესძლო ესტონეთის კულტურის მინისტრის ცოლის შეცდენა. ის ქალი ისეთი ელამი იყო, რომ რესტორანში მსხდომნი ეკითხებოდნენ:

— ასე რატომ მიყურებთ?..

და მაინც, რიპი მას აღმერთებდა. რიპი თავს იმკვიდრებდა იმით, რომ პარტიული ფუნქციონერის ცოლს ფლობდა. როცა ამ ქალს ტანჯავდა, რიპს სოციალური ზეიმის წამები ედგა.

ის მეუბნებოდა:

— მისი სახით მე საბჭოთა რეჟიმს მივაგებდი თავისას...

ჩვენს ხელნაწერს დავუბრუნდეთ. დარჩა ოთხი დაცალკევებული მონაკვეთი. დაკარგული გვერდების ხელმეორედ მოყოლა სისულელეა. მათი აღდგენა შეუძლებელია, რამდენადაც დავიწყებულია მთავარი — როგორი ვიყავი თვითონ მე.

ერთი სიტყვით — ნახეთ...

სცადეთ ექიმ იავშიცთან თავმოგლეჯიანმა შეიაროთ. ის თქვენ ნაღვლიანი თვალებით შემოგხედავთ და გეტყვით:

— რას უჩივით, სერჟანტო?

გავშინს ჯარიდან გასანთავისუფლებლად რომ ჩავეთვალე, ამისთვის საავიაციო კატასტროფა იყო საჭირო. და მაინც, ერთ წელიწადში შევისწავლე ავადმყოფობის, რადიკულიტით დაწყებული, — კატარით დამთავრებული, სიმულირება. უბრალოდ ვასახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელებდი რაღაც ხელსაყრელ ფანტასტიკურ, დაუჯერებელ სიმპტომს, შემდეგ კი მას რაღაცნაირი გაკერპებით ვიცავდი. მაგალითად, მთელი თვე ვაზრიყვებდი იავშიცს იმით, რომ ვუჩიჩხინებდი:

— ისეთი შეგრძნება მაქვს, ექიმო, რომ ჩემგან ნახშირბადს ქაჩავენ. ამას გარდა, ფრჩხილები მტკივა და ხერხემალი მექავება...

მაგრამ ამ დროს ბედმა გამიღიმა. ჩემი რადიკულიტი სამარცხვინოდ გაბითურდა. იავშიცმა მითხრა:

— შეგიძლიათ წახვიდეთ, სერჟანტო!

და დემონსტრაციულად გადამიშალა სიმენონი.

— საინტერესოა, — ვუპასუხა მე, რითაც ვაგრძნობინე, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის გაუარესების გამო პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა.

— მე თქვენ არ გაკავებთ. — ხმადაბლა თქვა ექიმმა.

მე კიდევ დავლიე და ლენინის ოთახში შევიხედე.

იქ მარტო ფიდელი იჯდა. მის წინ გადაბრუნებული სკამი იდგა. ფიდელი, ძველი ოსტატებივით, საჯდომის ქვედა ნაწილს აჩუქურთმებდა. თან რაღაცას ღიღინებდა.

— სალამი, — ვამბობ.

ფიდელმა სკამი გვერდზე გადასწია. შემდეგ ამაყად შეავლო თვალი თავის ნახელავს.

— აი, — მითხრა მან, — სულის ყივილია!

შემდეგ მკითხა:

— შენ ედიტა პიეხა მოგწონს? ოღონდ გულწრფელად თქვი...

— მომწონს რომელია, — ვუთხარი.

— მისი სახეც და ფიგურაც?

— კი.

— მაგრამ იმას ხომ ვიღაც, რაღაც ის, — ოცნებებმა დარია მას ხელი.

— გამორიცხული არაა, — ვეუბნები.

— ქალში მთავარი ეს არაა, — თქვა ფიდელმა, — მთავარი ხასიათია. დადებითი აზრით... ერთი ჩუვიხა მყავდა სიკტივკარში, და მე მას ყვავილებს ვჩუქნიდი. — კესანეებს, ვარდებს, ნაირნაირ ქრიზანთემებს...

— ცრუობ, — ვუთხარი მე.

— ვცრუობ, — დამეთანხმა ფიდელი, — მაგრამ მთავარი ხომ ეს არაა. მთავარი პრინციპია... ღამით მომიკაკუნებ?

— კი.

— მეექვსე ბარაკში ზეკები რაღაცას იმას შვებიან. თვით ოპერი გვაფრთხილებდა.

— კონკრეტულად რა ხდება?

— არ ვიცი, შენ იმას ჰკითხე.

— კარგი იქნება ამის გარკვევა.

— ოპერს ჰკითხე...

ყაზარმის ეზო გადავიარეთ. ახალწვეულები სამწყობრო მომზადების მეცადინეობას გადიოდნენ. მათ სერჟანტი მელეშკო უფროსობდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ეგრევე შეიცვალა ტონი.

— რაო, პარამონოვ, — იღრიალა სერჟანტმა, — კვერცხები გიშლიან ხელს?!

პარამონოვის მამა ლიტერატურათმცოდნე იყო. მის შვილს სამხედრო ნაბიჯით სვლა არ შეეძლო. გიმნასტურას პერანგს ეძახდა. ავტომატს — იარაღს. ამას გარდა ლექსებს წერდა. მისი ლექსები სულ უფრო და უფრო უხამსდებოდა, უწმაწურდებოდა...

კარმოლიავებულ საპირფარეშოს ჩავუარეთ და სანერგეში აღმოვჩნდით. ფართო ვოლიერები რკინის ბადეებით იყო შემოზღუდული. იქ ყარაულის ავი ძაღლები ცოფებს ყრიდნენ. გამძვინვარებული თმააბურძგნილი ალმა კუდს იღრღნიდა. მისი ბალანი სისხლით იყო მოთხვრილი...

ნახაპილი არ ჩანდა. ინსტრუქტორი ვოლიკოვი მაგიდის იქით რაღაცას უკირკიტებდა. მის წინ რეპროდუქტორი იდგა. უკანა კედელი მოხსნილი იყო. კანიფოლის მძაფრ სუნს ვგრძნობდი.

ჩვენ რომ დაგვინახა, ინსტრუქტორმა სარჩილავი გამორთო.

— შენთან კარგადაა საქმე, — თქვა ფიდელმა, — უფროსობა აქ იშვიათად თუ იჭვრიტება.

თვალი შევავლეთ ძელურ კედლებს და დაუდევრად დალაგებულ ლოგინს. მაგიდის თავზე ფერადი ფოტოსურათები, ფეხბურთის ჩემპიონატის ცხრილი, გიტარა, ძაღლების წვრთნის ინსტრუქცია...

— მე დედა მეტირება, — თქვა ვოლიკოვმა, — ძაღლები ნაღდად გაგიჟდნენ, ალმას ბლოკპოსტზე ვაყენებ. ზეკი მესრის გასწვრივ მოდის — ალმა კუდს უქნევს. დარისკაცებს კი უტევს, ახტება. მთლად გაველურდა. მეც კი ვერ მცნობს. ვკვებავ ამ ოხერს სპეციალური ამბრაზურიდან.

— ნეტა მე ვიყო მის ადგილზე, — თქვა ვოლიკოვმა და შარვალი მოიჭირა.

ჩვენ, მოკუზულები, სპეციალურ საკუჭნაოში შევედით. იქ მამულია — ასე ერქვა ძუკნას — იწვა მხარ-თეძოზე. მან შეშფოთებით წამოსწია თავი. გვერდით მის მუცელში მიყუჟული ლეკვები ფუთფუთებდნენ.

— ხელი არ ახლო, — უთხრა ვოლიკოვმა ფიდელს.

მან ლეკვები აიყვანა და ჩვენ გადმოგვცა. მათ პატარა ყვითელი მუცლები ჰქონდათ. წვრილი თათები უცახცახებდათ.

ფიდელმა ერთი მათგანი ცხვირთან მიიტანა. ლეკვმა ის გალოკა. ფიდელმა გაიცინა და განითლდა.

მამულია შეშფოთებით გვავლებდა თვალს და კუდს აქიცინებდა.

რამდენიმე წამს ყველანი ჩუმად ვიდექით. შემდეგ ფიდელმა ხელები ისე ალაპყრო ზევით, როგორც ჯაზის მომღერალმა ჩელენტანომ გრამფირფიტა "სუპრაფონის" ყდაზე და დედა შეაგინა შვიდივე ლეკვს და ძუკნა მამულიას. ასეულის უფროსობას. პირადად კაპიტან ტოკარს. ადგილობრივ კლიმატს, ზედამხედველთა შემადგენლობის ინსტრუქციას. და კარს მომდგარ ტრადიციულ სათხილამურო კროსს.

— ბოთლზე უნდა წავიდე, — თქვა გოლიკოვმა, თითქოს სადღაც ამის რაღაც მინიშნება დაინახაო.

— არ შეიძლება, — ვუთხარი მას. — საღამოს მორიგეობა მიწევს.

— მეექვსეში სოკოშხამა იწყება, გაიგე?

— კონკრეტულად რა?

— არ ვიცი. ოპერმა ინსტრუქცია მოგვცა.

— წადი შენ იავშინთან, — მითხრა ფიდელმა, — ინფარქტი მაქვს, ჩრჩილი... მაწუხებს, ხველით მკლავს, კუჭში განაჭერი მაქვს-თქო.

— ვიყავი. იმან გარეთ გამომაბრძანა.

— იავშიცი მთლად გატყიურდა, — შენიშნა ვოლიკოვმა და მამულიას მოფერებით მოუსვა ხელი, — აბსოლუტურად... როგორღაც ერთხელ მივდივარ. ყლაპვა მიჭირს-მეთქი. ის კი მპასუხობს: "თქვენც ნაკლები ყლაპეთ, ეფრეიტორო!" მიქარაგმებს ეგ მამაძაღლი, სვამო. თვითონ ხომ უბერავს შნაპსს განმარტოებით.

— არა მგონია, ცუდად იყოს, — ვთქვი მე, — ბაბუ ჩინებულ ფორმაშია. მთვრალი ის არ უნახავთ.

— ეტანება, კი, ეტანება, — ჩაგვერია ფიდელი, — ექიმებს იმდენი სპირტი აქვთ, რო ... ვითომ რატომ არ უნდა დალიოს?..

— კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, — ვამბობ.

— ყური მოვკარი, როცა ხალხის მტერი იყო, მაკსიმ გორკი მან დაღუპაო. სამოც წელში კი შეიწყალეს... ლეა... რეალი... რეაბილიტირებული ხარო, უთხრეს. ექიმი კი განაწყენდა: მე რომ სასჯელს ვიხდიდი, მაშინ საით იხედებოდითო?! და დარჩა ჩრდილოეთში.

— იმათ რომ ყური უგდო, — გაბრაზდა გოლიკოვი, — ყველა სუტყუილად ზის. ჯაშუშებს კი მე საერთოდ არ ვაღმერთებ. და არც ხალხის მტრებს.

— თქვენ ისინი გინახავთ? — ვეკითხები.

— აქ შემხვდა ერთი ებრაელი, აბანოების მმართველი. მცირეწლოვანთა გახრწნის გამო ზის.

— ეგ რა ხალხის მტერია?

— აბა, რა, შენის აზრით, მეგობარია?

ვოლიკოვი მოსაშარდად წავიდა. ერთი წუთის შემდეგ ბრუნდება და ამბობს:

— ალმა მთლად გაველურდა, აბა! მე მიყეფს, თითქო უცხო ვინმე ვიყო. ერთხელ ვერ მოვითმინე, მივადექი და ისე ავყეფდი, რო ... შიშით ლამის გული გაუსკდა...

— მის ადგილზე, — თქვა ფიდელმა, — მე ყველას, ცირიკებსაც და ზეკებსაც, ყელს გამოვღრღნიდი...

— ჩვენ რისთვის? — დაინტერესდა ვოლიკოვი.

— ყველაფრისთვის, — მიუგო ფიდელმა.

გავჩუმდით. ისმოდა როგორ წკმუოდნენ ლეკვები საკუჭნაოში.

— კარგი, ჰო, — თქვა ვოლიკოვმა. — ეგრე იყოს.

მან ლეიბიდან მწვანეეტიკეტიანი ვერმუტის ბოთლი დააძრო.

— ა, ჩემსავე თავს დავუმალე... და უცბად ვიპოვე...

ბოთლი დალუქული იყო. ფიდელს საქმის გაჭიანურება არ უნდოდა და ბოთლის ყელი ქურის კიდეს ჩამოჰკრა.

ერთი ტოლჩიდან მოვსვით. ვოლიკოვმა ბულგარული სიგარეტები მოგვართვა.

— ოჰო, — თქვა ფიდელმა, — აი, რას ნიშნავს უფუროსობის გარეშე ცხოვრება. ყველაფერი გაქვს — შნაპსიც და მოსაწევიც. ერთმა ინსტრუქტორმა კი ვესლიანაზე, ამბობენ, ტრიპერი აიკიდაო...

ფანჯრის იქით სერჟანტმა მელეშკომ ათეული საპირფარეშოსთან მიიყვანა. გაისმა ბრძანება:

— გა — ე — მართეთ!

ყველანი გარეთ დარჩნენ. ფიცრული ჯიხურის ირგვლივ განლაგდნენ. ერთი წუთის შემდეგ თოვლზე ვენზელები განეფინა. მაშინვე გაჩნდა იმპროვიზებული შეჯიბრება რბენაში. როგორც შორიდან ჩანდა, გომელელმა იაკიმოვიჩმა გაიმარჯვა...

თეთრი კვამლი ვერტიკალურად ადიოდა გარნიზონის სახურავს ზემოთ. ცუდი რეცხვისგან გაყვითლებული დროშა მომჩვარულად ეკიდა. ფიცრული კედლები განსაკუთრებით გაუნძრეველნი ჩანდნენ. ასე უმოძრაო შეიძლება სწრაფი მთის მდინარის ახლოს ნავმისადგომი იყოს, ან პატარა სადგური, რომელზეც ექსპრესი ოდნავ ამუხრუჭებს, შემდეგ კი ქროლით განაგრძობს გზას.

ტანსათბურიანი მედღეჟურები (მორიგეები) პარმაციის ახლოს ფართო ფანერის ნიჩბებით თოვლისგან წმენდნენ მიწას. ნიჩბების ხის ტარები მზეზე ბზინავდნენ. ბრეზენტისფურგონიანი მწვანე სატვირთო მანქანა არმიის სამზარეულოს კარებთან გაჩერდა...

— ბობ, შენ ზეკებს კარგად ეკიდები? — მკითხა ფიდელმა და სირჩა გამოცალა.

— სხვადასხვანაირად, — მივუგე.

— მე კი, — თქვა ვოლიკოვმა, — ზეკებს რომ ვუყურებ, პირდაპირ ვათავებ.

— მე, — თქვა ფიდელმა, — მთლად ავირ-დავირიე...

— კეთილი, — ვამბობ, — დროა სამორიგეოდ წავიდე...

ყაზარმაში შევედი, ჯუბაჩა ჩავიცვი და ლეიტენანტი ხურიევი მოვნახე. მას ჩემთვის ინსტრუქცია უნდა მოეცა.

— წადი, — მითხრა ხურიევმა, — ფრთხილად იყავ!

ლაგერის ჭიშკარი ღია იყო. მას ხისმზიდი სატვირთოები ადგებოდნენ. პატიმრები ძარის იატაკზე ისხდნენ. ჯარისკაცები კაბინის გვერდით ბარიერებს იქით იყვნენ განლაგებული. როცა მანქანა ამუხრუჭებდა, პირველნი ისინი ხტებოდნენ ქვევით, შემდეგ კი რამდენიმე ნაბიჯს სწრაფად დგამდნენ უკან და ავტომატებს წინდახრით იჭერდნენ ხელში. ამის შემდეგ პატიმრები ხტებოდნენ ქვევით და ჭიშკრისკენ მიდიოდნენ.

— პირველო მწკრივო, მარშ! — ბრძანა თვაურმა.

მარჯვენა ხელში მას ბარათებიანი ბრეზენტის ტომსიკა ეჭირა. მათზე აღნიშნული იყო პატიმრების გვარები, განსაკუთრებული ნიშნები და მოსახდელი ვადა.

— მეორე მწკრივო, მარშ!

ბამბისბუშლატებმოღეღილი პატიმრები ისე მიაბიჯებდნენ, რომ ძაღლების ხრინწიანი ყეფა არ ესმოდათ და ვერც თვით ძაღლებს ხედავდნენ.

სატვირთოები გატრიალდნენ და ფარებით ჭიშკარი გაანათეს.

როცა ბრიგადებმა ჩაიარეს, საგუშაგოს კარები გავაღე. გიმნასტურაგაღეღილი მეკონტროლე ბელო-

ტა პულტს უჯდა. მან მანჭვალი გამოსწია. გისოსს იქით ვიწრო გასავლელ დერეფანში აღმოვჩნდი.

— მოსაწევი გაქვს? — მკითხა ბელოტამ.

მე ღარში ქსივებისთვის რამდენიმე დასრესილი სიგარეტი შევყარე. მანჭვალი უწინდელ ადგილს დაუბრუნდა. მეკონტროლემ ზონაში შემიშვა...

ჩრდილოეთში საერთოდ ადრე ბნელდება. ზონაში კი — განსაკუთრებით.

ბარაკის კედლებს ჩავუარე. მივედი ჭიშკართან, რომლის ქვემოთაც ვიწროლიანდაგიანი მატარებლის რელსები პრიალებდნენ. შევიხედე საკონტროლო-გამშვებ პუნქტში, სადაც ზევადიანები ბურას თამაშობდნენ.

მივესალმე, მაგრამ ხმა არ გამცეს. მხოლოდ ლენინგრადელმა იგნატიევმა აგზნებულად შემომძახა:

— ბობ! მე დღეს ვახურებ!

დაჭმუჭნილი სიგარეტები უხმაუროდ ეცემოდნენ იდაყვებით მოპრიალებულ მაგიდაზე.

სიგარეტი ბოლომდე მოვწიე, ნამწვი კონსერვის ქილაში ჩავაგდე. შემდეგ, კარი გამოვალე და დავრწმუნდი, რომ მთლად დაბნელდა. წასვლა იყო საჭირო, მეექვსე ბარაკი მთავარი ხეივნის მარჯვენა მხარეს, კოშკურას ქვეშ იყო. და მაინც — წავედი. მინდოდა, ყველაფერი ეს აბსოლუტური სიჩუმის დასადგურებამდე მომეთავებინა.

მეექვსე ბარაკის კუთხეებში ჩრდილები იმალებოდნენ. მბჟუტავი ნათურა ანათებდა უხეშ მაგიდას და ორიარუსიან ტახტებს. ბარაკი შევათვალიერე. ყველაფერი ეს ჩემთვის ნაცნობი იყო. სახურავახდილ სადგომში ცხოვრება ... საგნების უბრალო და ერთმნიშვნელოვანი აზრი ... პარაშა შესასვლელთან, გაჭვარტლულ კოჭებზე ნახატები "ოგონიოკიდან"... არაფერი ეს არ მაშინებდა. მხოლოდ სიბრალულითა და ზიზღით მმსჭვალავდა...

ბუგორ ალიოშინი იდაყვებგაფარჩხული იჯდა. მას სახეზე მოუთმენლობა ეწერა. დანარჩენები კუთხეებში მიიკუნჭვნენ.

ყველანი მე მიყურებდნენ. უხერხულობა ვიგრძენი და ალიოშინს ვეუბნები: — აბა ერთი, გავიდეთ.

წამოდგა და ისე მიმოიხედა, თითქოს ამ ერთხელაც თადარიგს იჭერდა. შემდეგ კარისკენ გასწია. კართანაზე გავჩერდით.

— ალიოშინი ზეკს უსმენს, — თქვა ბუგორმა.

მის მანერებში იყო დომხალი პატივისცემისა და უზრდელობისა, რომელიც განსაკუთრებული რეჟიმის პატიმრებისთვის ტიპური რამაა — იქ პირფერულ "უფროსოში" გარკვევით, აშკარად ისმის, — "მტყუვნის?"

— გისმენთ, მოქალაქე უფროსო!

— რას აპირებთ თქვენ მანდ, ბუგორ? — ვკითხე.

ეს არ უნდა მეკითხა. ამით თამაშის წესებს ვარღვევდი. ამ თამაშის პირობებით ზედამხედველი ყველაფერს თვითონ ხვდება და იღებს ზომებს, თუ ამისი უნარი აქვს...

— მანაწყენებ, უფროსო, — მითხრა ბუგორმა.

— რაო, მე ვერ ვხედავ, თუ ...

ამ დროს გამახსენდა სახელაჟღალა ოფიციანტი ლიგოვკაზე მდებარე მოდერნიზებული ლუდხანიდან. ერთხელ გადავწყიტე ის თაღლითობაში მემხილებინა და ავტოკალამი დავაძრე. ვიდრე ფულს ვითვლიდი, ოფიციანტი მშვიდად შემომყურებდა სახეში. და ფამილარული ტონითაც კი მითხრა:

"ითვალე, ითვალე... სულერთია მაინც დაგაკლებ..."

— რამე თუ მოხდება, ბრიგადირობიდან გაქრები!

— რატომ, უფროსო! — მკითხა ვითომ შეშინებულმა აგეშინმა.

მომინდა, მისთვის სიფათში მერეკნა...

კეთილი-მეთქი, — ვთქვი და წავედი.

მეექვსე ბარაკის დათოვლილი, მოწითალო პატარა ფანჯრები უკან დარჩა.

ოპერ ბორტაშევიჩთან შესვლა გადავწყვიტე. ეს იყო ერთადერთი ოფიცერი, რომელიც "შენობით" მომმართავდა. მე ის საჯარიმო იზოლატორში ვიპოვნე.

— გუდ ივნინგ, — თქვა ბორტაშევიჩმა, — კარგია, რომ მოხვედი. მე აქ ვწყვეტ საკითხს — რატომ სვამენ ადამიანები? დავუშვათ, ადრე ამბობდნენ — ეს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთიაო... წარსულის ჩრდილიაო... და, რაც მთავარია, დასავლეთის გავლენააო. თუმცა ჩვენ განსაკუთრებით აღმოსავლეთს ვართ აყოლილი. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. შენ მე, აი, რა ამიხსენი. ოდესღაც სოფელში ვცხოვრობდი. ჩემს მეზობელს თხა ჰყავდა. იმ თხასავით ალკოჰოლიკი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. იმას გინდ წითელი დაუსხი, გინდ — თეთრი. ოღონდ დაუსხი. და მას თითქოს წარსული არა აქვს. ის ძველი ბოლშევიკი ხომ არაა. მეც დავფიქრდი: ალკოჰოლში საიდუმლო ძალა ხომ არაა ჩაბუდებული, ატომის ბირთვის გახლეჩისას რომ წარმოიქმნება, იმის მსგავსი. ჰოდა, ამ ძალის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენება არ შეიძლება? მაგალითად, მე რომ არმიიდან დროზე ადრე მომიწიოს დემობილიზებამ?..

იზოლატორში ფანჯრებზე გისოსებია. კუთხეში დგას ქურა, რომელზეც ორცხობილებშემოწყობილი ჩაიდანია შემოდგმული. კედელს იქით განცალკევებული პატიმრების კამერებია. მათ "ჭიქებს" ეძახიან. ახლა ისინი ცარიელია...

— ჟენია, — ვეუბნები, — მეექვსე ბარაკში, ეტყობა, ფათერაკი მწიფდება. ეს ასეა?

— დიახ, და მე მინდოდა, გამეფრთხილებინე.

— რატომ არ გამაფრთხილე?

— ფილოსოფიური აზრები მომეჯარნენ. ჩემი ყურადღება სხვა რამეებზე გადაერთო. პარდონ...

— და რა ხდება იქ?

— უნდათ, ერთ ჩამშვებს წირვა გამოუყვანონ. ივან ონუჩინს.

— ეს ხომ შენი საყვარელი კადრია.

— უკვე არაა ჩემი. მე არ შემიძლია ამ ტიპის გამოყენება. სრული ფსიხია. პოლიტიკამ გადარია. რაც უნდა ჰკითხო, სულ პოლიტიკაზე გელაპარაკება. ამანო, ამბობს, დიდი რაღაც დაამდაბლაო, ამას არაჯანსაღი ტენდენციები აქვსო. თითქოს საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ მოქალაქე ონუჩინი უჭერდეს მხარს. ფუფ, ჰქმნის, რა, ბუნება ასეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე, მაინც ვინაა ის?

— რასაკვირველია, ჩვამაა. მე შენ, აი, რას გეტყვი. შენ შენს საგუშაგოზე იჯექი, ან ჩემთან. მეექვსე ბარაკში კი ცხვირს ნუ ყოფ.

— ისინი ხომ მას სულს ამოხდიან. თითოჯერ ყველა დაარტყამს, რომ ყველამ ენა პირში ჩაიგდოს... — შენ, რა, ონუჩინი გებრალება? გაითვალისწინე, რომ ის უფროსობას ყურში შენზეც აწვეთებდა რაღაცებს — კონტინგენტს აქეზებსო.

— ჯანდაბას ონუჩინის თავი. მაგრამ კანონის თანახმად მოქმედებაა საჭირო.

— შენ საერთოდ ზედმეტად ეცერემონიები ზეკებს.

— უბრალოდ მეჩვენება, რომ მეც მათნაირი ვარ. და შენც, ჟენია...

— არ გამიხურა?! — თქვა სარკის ნამსხვრევისკენ დახრილმა ბორტაშევიჩმა, — რეებს მიჰქარავ? ჩემი ჯიხური ნამდვილად საჯარიმოა, მაგრამ კანონის წინაშე მე შედარებით სუფთა ვარ.

— შენზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მე გასამხედროებულ დაცვაში მოსვლამდე ვსვამდი, ვხულიგნობდი, ფარცოვშიკებს ვიცნობდი. ერთხელ ქალიშვილს გავარტყი პარინნის ხაზზე. იმას სათვალე გაუტყდა...

— კარგი. ჰო, მაგრამ მე რა შუაში ვარ?

— განა შენ შიგნით მძარცველი და აფერისტი არ გიზის? განა შენ გულში არ გაგიძარცვავს, არ მოგიკლავს? ან, მინიმუმ, არავინ გაგიუპატიურებია?

— აბა, როგორ, ასობით. შესაძლოა — ათასობითაც. გულში — კი. მაგრამ მე ხომ ჩემს ვნებებს გასაქანს არ ვაძლევ.

— რატომ? გეშინია?

ბორტაშევიჩი წამოიჭრა:

— მეშინია? სულაც არა! და ეს შენ კარგად იცი!

— შენ შენი თავისა გეშინია.

— მე მგელი არა ვარ. მე ადამიანთა შორის ვცხოვრობ.

— კარგი! — ვეუბნები, — დამშვიდდი.

ოპერმა ქურისკენ გადადგა ნაბიჯი.

— შეხე, შეხე, — უცებ თქვა მან, — შენ ეს გემართება? როცა ჩაიდანი ორთქლს გამოუშვებს, ძალიან მინდება თითით დავუცო პირი. ერთხელ როგორღაც ვერ შევიკავე თავი. კინაღამ უთითოდ დავრჩი...

— კმარა, — ვეუბნები, — წავალ.

— ნუ ჩქარობ. ლუდი გინდა? ლუდი მაქვს. და კონსერვის ქილაც.

— არა. წავალ.

— ერთიც შენა ხარ, რა! — გაოცდა ბორტაშევიჩი, — მთლად გაველურდა ეს ხალხი. ლუდი არ ნებავს.

ის ზღურბლზე იდგა და მომძახოდა:

— ალიხანოვ, ფათერაკებს ნუ ეძებ!..

საჯარიმო იზოლატორიდან გავემართე ლაგერის ზონის ყველაზე საშიში მონაკვეთისკენ, იქითკენ, სადაც ბარაკის კედელსა და მესერს შორის განათებული ლიანდაგი ეგო. ეგრეთ წოდებული თოფისსაწვდენი დერეფანი.

განმწესებელი სამსახურის განწესის ინსტრუქტირებისას ამ უბნისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას მოითხოვდა. აქ ყოველთვის ამიტომ იყო სრული სიმშვიდე.

ბარაკს ჩავუარე და შორიდან ვუყვირე მორიგეს:

— გამარჯობა, რუდოლფ.

მინდოდა, ამეცილებინა სტანდარტული შეძახილი: "ვინ მოდის?" ამისგან ყოველთვის მიფუჭდებოდა განწყობილება.

— სდექ! ვინ მოდის? — დაიძახა გუშაგმა და საკეტი გაატკაცუნა.

მე კრინტისდაუძვრელად პირდაპირ მისკენ მივდიოდი.

— ვაი, ბორისი ხარ?! — იყვირა რუდოლფ ხედოიანმა. — კინაღამ გესროლე!

— კარგი, — ვეუბნები, — აქ ყველაფერი ნორმალურადაა?

— როგორ ნორმალურად?! — ისევ იყვირა რუდოლფმა. — როგორ ნორმალურად?! ხალხი არ მყოფნის. ნადზირატელ ვიშკა დგას! ამბობ, ნორმალურადო? ნორმალურად, არა! სიცივე — ნორმალურად! ე!..

აქ სამხრეთელები საშინლად იტანჯებოდნენ სიცივისგან. ზოგიერთები პირდაპირ კოშკურაზე ანთებდნენ ცეცხლს. და ამაზე ოფიცრები ოდესღაც თვალს ხუჭავდნენ. შემდეგ რეზო ცხოვრებაშვილმა მთლად გადაბუგა მეოთხე საგუშაგო პოსტი. ამის შემდეგ ნაწილის შტაბმა გამოიტანა სპეციალური განკარგულება, რომლითაც კოშკურაზე მოწევაც კი იკრძალებოდა. თვითონ რეზო მიათრიეს პოდპოლკოვნიკ გრეჩნევთან, რომელმაც ღრიალი მორთო. მაგრამ ცხოვრებაშვილმა ჟესტით გააჩერა ის და მშვიდობისმოყვარულად თქვა:

— კონიაკს ვდგამ!

რის შემდეგაც გრეჩნევი ახარხარდა და ჯარისკაცი დაუსჯელად გაუშვა...

— როგორი კლიმატია, როგორი, — თქვა რუდოლფმა, — მთვარეზე რომაა, იმაზე უარესი.

— შენ მთვარეზე იყავი? — ვეკითხები.

— მე შვებულებაშიც კი არ ვყოფილვარ, — მიპასუხა რუდოლფმა.

— კეთილი, — ვეუბნები, — ორმოცი წუთიც მოითმინე.

კოშკურას ქვევით რამდენიმე წუთს ვიდექი, შემდეგ კი მეექვსე ბარაკისკენ გავწიე. გადაღრეცილი მერხების გასწვრივ მივდიოდი. შრომის დამკვრელთა ფოტოსურათებგაკრული დაბრეცილი დაფების გასწვრივ. წყალსაქაჩის გვერდით, რომლის კარებთან შავი თოვლი გათელილი იყო.

შემდეგ სახანძრო დაფისკენ შევუხვიე, რათა დავრწმუნებულიყავი, ყველა ინსტრუმენტი ადგილზე იყო თუ არა.

ხანძარი თუ გაჩნდება, საეჭვოა, პატიმრებმა ის ჩააქრონ. ნებისმიერი ინციდენტი, სტიქიური უბედურებაც კი, ხომ სასიამოვნოდ ამრავალფეროვნებს ცხოვრებას. მაგრამ საავარიო სტენდი რეჟიმის მონაკვეთზე იყო და ზეკები ამით სარგებლობდნენ. როცა ლაგერში დაკა-დაკა იწყებოდა, მოჩხუბრები სახანძრო სტენდისკენ მირბოდნენ. მათ აქ შეეძლოთ

ნიჩბების, ნაჯახის ან თუჯის ნაირნაირი ინსტრუმენტების ატაცება...

მეექვსე ბარაკიდან მოგუდული ყვირილი მოისმა. წამით გულის კოვზთან საზიზღარი სიცივე ვიგრძენი. გავიხსენე, როგორი უზარმაზარი სივრცე იდო ჩემს ზურგს უკან. წინ კი მხოლოდ მეექვსე ბარაკი, სადაც ყვირილის ქარბორია ტრიალებს. გავიფიქრე, აქედან წავსულიყავი, წავსულიყავი და ხუთ წუთში საგუშაგოში ბანქოს მოთამაშეებთან ამომეყო თავი, მაგრამ ამ წამს მე უკვე ვაღებდი ბარაკის კარს.

ონუჩინი მაშინვე დავინახე. ის კუთხეში ტაბურეტაფარებული იდგა. ამ ტაბურეტის პატარა ფეხები თვალბედითად იყო წინ გამოშვერილი.

ონუჩინი ცნობილი ჩამშვები გახლდათ. აგრეთვე — ზონაში ერთადერთი წვერიანი კაცი. გამოძიებაში ყოფნისას ასე გადაიღო სურათი, რომელიც შემდეგ საქმეში ჩაკერეს. შემდგომში წვერი მისი განსაკუთრებული ნიშანი გახდა, ისევე როგორც ეს გაკრული ხელით დატატუირებული:

"Не забуду мать родную и погибшему отцу!"

ონუჩინი ნაცემი იყო, მისი წვერი წითელი გახდა, სათბუნებელზე ლაქები კი — შავი. ტაბურეტს იქნევდა და იმეორებდა და იმეორებდა:

— რატომ მკლავთ მე? არც არაფრისთვის მკლავთ. ქვეწარმავალი ვიყო, თუ ტყუილად არ გკლავდეთ!..

როცა შევედი... როცა შევირბინე, პატიმრები შემობრუნდნენ და მაშინვე შემოეხვივნენ მას. უკანა რიგებიდან ვიღაცა, ვგონებ ჩალიი, დანით ხელში იკვალავდა გზას წინისკენ. წვრილი რკინის სამართებელი მაშინვე დავინახე. მთელი ბარაკის შუქი ამ პაწაწინა რკინის ნაჭერზე იყო დაფენილი...

— უკან წადი! — ვიყვირე და ჩალიის სახელოში ვეცი.

— ცოდვა არ ამკიდო, უფროსო, — ყრუ ხმით ამოთქვა ზეკმა.

ჩალიის სათბუნებელში ჩავეჭიდე და იდაყვებამდე გავაძრე. შემდეგ მას მუცელში ჩექმა ვდურთე. ერთ წამში ონუჩინთან ვიყავი. მახსოვს, გიმნასტურის მანჟეტები შევიხსენი.

ჩვენს ირგვლივ შემოხვეული პატიმრები სიგნალს ან თუნდაც მკვეთრ მოძრაობას ელოდნენ. ჩემკენ რაღაც უსახო და საშინელი მოიწევდა.

გრუხუნით გაიღო კარი. ზღურბლზე გადმოაბიჯა ბორტაშევიჩმა, რომელსაც კრიალა დეკეულის ტყავის ჩექმები ეცვა. მე მაშინვე შემამჩნია და ხმადაწეულად თქვა:

— ყოველ მეორეს... კომუნისტის სიტყვას ვამბობ... გაუსამართლებლად...

ურჩხული, რომელიც მე მემუქრებოდა, ათ ბნელ ფიგურად დაიყო. ონუჩინს მხარზე მოვხვიე ხელი. ბარაკიდან სამივენი ერთად გავედით.

ზურგს უკან გაისმა ბუგორის ხმა:

— ეჰ, თქვე სანარცხის ჩვამებო, თქვენა! თქვენთან ერთად რამეს მოებმება თავი?!

ჩვენ მესერის გასწვრივ მივაბიჯებდით გუშაგთა თანხლებით. როცა საგუშაგოს მივაღწიეთ, ბორტაშევიჩმა უთხრა ონუჩინს:

— საჯარიმო იზოლატორში წადი. სხვა ლაგერში გადაყვანამდე იქ იყავი.

ონუჩინი სახელოზე შემეხო.

პირი მოღრეცილი ჰქონდა.

— ამ ცხოვრებაში სიმართლე არ არსებობს, — თქვა მან.

— წადი, — ვეუბნები.

ადრე დილით ექიმს მივუკაკუნე. მისი კაბინეტი ფართო და სუფთა იყო.

— რას უჩივით? — იკითხა მან და ახლომხედველი ზევით ასწია.

შემდეგ სწრაფად წამოდგა და ჩემთან მოვიდა:

— რა გატირებთ, ჩემო ბატონო, რა გატირებთ? ნება მიბოძეთ კარი ჩავკეტო...

*1982 წლის 30 მაისი,*
*ნიუ-იორკი*

*მე ვიხსენებ იოსსერთან მომხდარ შემთხვევას.*

*ლაგერიდან ორ კილომეტრზე სოფლის სკოლა იდგა. იქ მასწავლებლად მუშაობდა მეტალისკბილებიანი და თვალზე ლიბრგადაკრული მჭლე ქალი.*

*ზონიდან სკოლის კართანა ჩანდა.*

*ამავე ზონაში დაკავებული იყო "ზესპრედელი" მაკეევი. ეს ეტაპებით ნათრევი სამოცი წლის კაცი იყო.*

*ისე მოხდა, რომ ამ ზეკს სკოლის მასწავლებელი ქალი შეუყვარდა. მისი სახის ნაკვთების შეთვალიერება მას არ შეეძლო. მეტიც, მისი ასაკიც არ იცოდა. ის უეჭველად ქალი იყო და მორჩა, — მაკეევს ესეც ჰყოფნიდა. იმას ძველმოდური კაბა ეცვა.*

*ის იზოლდა შჩუკინა იყო. თუმცა, მაკეევმა არც ეს იცოდა.*

*კაცმა რომ თქვას, მას ის ქალი არც უნახავს. იცოდა, რომ ქალი იყო და მისი კაბების ფერებს არჩევდა. ორი კაბა ჰქონდა — მწვანე და ყავისფერი.*

*მაკეევი ადრე დილით ბარაკის სახურავზე ძვრებოდა, გარკვეული ხნის შემდეგ კი ხმამაღლა აცხადებდა:*

*— ყავისფერი!..*

*ეს იმას ნიშნავდა, რომ იზოლდა საპირფარეშოში გავიდა...*

*არ მახსოვს, პატიმრებს მაკეევისთვის დაეცინოთ. პირიქით, მისი გრძნობა დიდ საერთო ინტერესს იწვევდა.*

*მაკეევმა ბარაკის კედელზე გვირილა გამოსახა. ის ზომით ორთქლმავლის ბორბლის ხელა იყო. მაკეევი ყოველ საღამოს ჩვრით თითო-თითო ფურცელს შლიდა...*

*არ ვიცით, იზოლდა შჩუკინა ხვდებოდა თუ არა ყველაფერ ამას. ალბათ, ხვდებოდა, ის კართანაზე დიდხანს იდგა და ხშირ-ხშირად დაიარებოდა საპირფარეშოში.*

*ისინი ერთმანეთს ერთადერთხელ შეხვდნენ. მაკეევი საწარმოო ზონაში მუშაობდა. ერთხელ ის გამოცალკევებულ წერტილში გაიყვანეს. იზოლდა სოფლის შუაგულში მოაბიჯებდა. მათი მარშრუტები წყლისმქაჩავი კოშკის ახლოს გადაიკვეთა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მთელმა კოლონამ შეანელა ნაბიჯი. ბადრაგა შეშფოთდა, მაგრამ ზეკებმა მათ ყველაფერი აუხსნეს.*

*იზოლდა გარინდული კოლონის გასწვრივ მიაბიჯებდა. მისი მეტალის კბილები ბრწყინავდნენ, მისი ფეტრის ბოტები ტალახში ეფლობოდნენ.*

*რიგში მდგარმა მაკეევმა მას ქაღალდის პაკეტი ესროლა. იზოლდამ ის აიღო და გაშალა. იქ თვითნაკეთი პლასტმასის მუნდშტუკი იდო.*

*ქალი გაბედულად გაემართა ბადრაგას უფროსის მხრისკენ. მოკლე მოქსოვილი შარფი მოიხსნა და გაუწოდა ეფრეიტორ ბოიკოს, რომელმაც ის ერთ-ერთ ზეკს გადასცა. ამ დაცვეთილი ლაგერული ჩვრების ფონზე ასე ფერადი შარფი ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე არ მიაღწია მაკეევამდე, რომელმაც ის თავის მჭლე კისერზე შემოიხვია.*

*პატიმრები წავიდნენ. რიგებიდან ვიღაცამ წამოიწყო სიმღერა:*

***"Где же ты, падла, любовь свою крутишь,***
***С кем дымишь папироской одной!..***

*მაგრამ ის გააჩუმეს. ეს მომენტი სიჩუმეს საჭიროებდა. მაკეევი წარამარა ზურგისკენ ტრიალდებოდა და მთლად ზონაში მისვლამდე აფრიალებდა იმ შარფს. მას პატიმრობის თოთხმეტი წელი ჰქონდა დარჩენილი...*

უკუნეთს გამოყოფილ საცხოვრებელ კორპუსებს სამმეტრიანი გალავანი აქვს შემოვლებული. რძელი კორიდორის გასწვრივ მიმოფანტულია უწვრილესი რკინის მავთულით მოწყობილი ხაფანგები. ოდნავ შორს დაყენებულია "იანტარის" ტიპის სასიგნალო ხელსაწყოები.

კუთხეებში აღმართულია ოთხი საგუშაგო ჯიხური. ისინი წარმოსახულ შეკრულ მართკუთხედს ჰქმნიან.

განწესის ბილიკს ოთხი პროჟექტორი ანათებს. გუშაგები ხედავენ დამპალ დაფებს და საცხოვრებელ და სამეურნეო ზონებს შორის ტყვიამისაწვდენ კორიდორს.

საღამოს ექვსისთვის მოდის ავტოკაზი, რომლის ფანჯრები შემოგისოსებულია. ბადრაგას უფროსი საკეტებს ხსნის. მოგრუხუნეფეხსაცმლიანი და რუხრობიანი პატიმრები ჩუმად ჩამოდიან ძირს.

მოდის ოფიცერი, რომელსაც კაპუშონიანი მწვანე ლაბადა აქვს მოსხმული. მისი ხმა სასიგნალო ხელსაწყოსავით გაისმის:

—ბრიგადა ბადრაგას განკარგულებაში გადადის. გვერდზე გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი გაქცევაა. და კონვოი იყენებს იარაღს — დაუყოვნებლივ იყენებს!..

სიცივე და მტვერი. აქა-იქ ყინვისგან მიწა გათეთრდა. გამხმარი შეჟღალებული ბალახი ბექს ეკვრება.

ერთმანეთთან ხმადაბლა მოლაპარაკე ზეკები კოლონებად, ესე იგი, მწკრივებად ეწყობიან. ინსტრუქტორები აკავებენ პატიმრებთან მივარდნის მოწადინე ძაღლებს.

— პირველი კოლონა — მარშ!

ოფიცერი ორმოცდაათს გადაცილებულია. ოცი წელი იმუშავა დაცვაში. მხრებზე ოთხი პატარა ვარსკვლავი უზის.

მას სამოქალაქო იმპორტული პიჯაკი აქვს. სხვა ყველაფერი, რაცა აქვს, სახაზინო მწვანე რამეებია. მოუხეშავტყაპუჭიანი ჯარისკაცები თავ-თავიანთი პოსტებისკენ მიდიან.

შეცვლილი საგუშაგოში რჩება. მალე მას დაესიზმრება სახლი, მწვანეკოფთიანი ბრონიუტა გრომატავიჩუსი... დაინახავს მზისქვეშ მბრწყინავ მდინარეს. თავის სატვირთოს მტვრიან გზაზე. არწივს წარაფის ზემოთ. ლელქაშის უხმაუროდ მიმომწევ ნავს.

შემდეგ მისი სიზმრების, ზმანებების მყუდრო, თბილ სამყაროში იჭრება ყვირილი, საგანგებოდ თუნუქივით უხეში და მკვეთრი ყვირილი:

— ცვლავ, ადექ!

და ისევ ექვსი საათი ქარში. თქვენ რომ იცოდეთ, მეგობრებო, ეს რაა, რაა!..

ამ საათებში მთელ შენს ცხოვრებას გაიხსენებ. ყველა წყენას დაივიწყებ. მთელ მსოფლიოს მოივლი.

შენ ასობით ქალი გეყოლება. ფაიფურის ბოკალებით დალევ შამპანურს. იჩხუბებ და ტაქსით იმგზავრებ...

და ისევ — ექვსი საათი ქარში...

ღამე ზონიდან გადმოსცეს:

"ზეკი კატასტროფაში მოჰყვა".

საქმე ასე იყო.

მებაგირემ არასწორად მოქაჩა მუხრუჭი. თავებს ზემოთ ბლოკი დახრილად მოწყდა. ჩამოცურდა თუჯის ჯაჭვი. და აი, ორლერძიანმა პაროგენერატორმა აგ-430-მა... არა, რკინის ტონანახევარმა ნაჭერმა... ერთი სიტყვით, ზეკ ბუტირინს, რომელიც, დახრილი, ნაწიბურებს ზეთავდა, თავის ქალა გაუჩეხა.

ახლა ის სველი ბრეზენტის ქვეშ იწვა. მისი ტერფები არაბუნებრივად იყო გადაბრუნებული. სხეულს ეკავა პატარა სივრცე სადგარიდან სანაგვე ავზამდე.

ის თითქოს ნაკლები ზომისა გახდა. მისი სახე ისევე უსიცოცხლო იყო, როგორც დაჭმუჭნილ-დასრესილი ხელჯამი, რომელიც მოშორებით ეგდო. ან ნიჩბის მოპრიალებული, მბზინავი ტარი. კიდევ — ტავოიანი თუნუქა (ჭურჭელი)...

ეს სიკვდილი საიდუმლოებით მოცული არ იყო. ის ნაღველს იწვევდა. სისხლით გაჟღენთილ ბრეზენტზე ბუზები ვიბრირებდნენ.

ბუტირინი ხშირად ხედავდა სიკვდილს, ათობით შემთხვევაში დაუსხლტდა მას.

ის იყო შთამომავლობითი ნარკომანი, ჯანჯალი და ჰომოსეკი. და კიდევ — ისტერიკი, რომელიც გამომძიებლის კაბინეტში სამელნეს ზალპით ახლიდა კედელს.

მთელი მისი სხეული დატატუირებული იყო. კბილები ჩიფირისგან ჩაშავებული ჰქონდა. მორფინით დაჩხვლეტილი ტანი ტკივილზე არ რეაგირებდა.

შეიძლებოდა ის დიდი ხნის წინათ ჩაძაღლებულიყო. მაგალითად, სორმოვოში, სადაც ბიჭებმა

ველოსიპედის ნაწილებით სცემეს. მათ ბუტირინი ელექტრომატარებლის ქვეშ შეაგდეს, მაგრამ სასწაულებრივად გამოხოხდა იქიდან. ზეკი ხშირად იხსენებდა მოღრიალე ცეცხლოვან სამკუთხედს. და იმას, თუ როგორ აჭრაჭუნებდა მისი კბილები ქვიშას.

შეიძლებოდა ის ჩაძაღლებულიყო მორში, სადაც ბაზარში სამხრეთელთა ბრბოს მკვდარი და ცოცხალი აგინა...

შეიძლებოდა ის სინდორში ჩაძაღლებულიყო. ბადრაგებმა მაშინ ეტაპი ყინულივით ცივ მდინარეში შერეკეს. მაგრამ ურკები ამღერდნენ, აქეთ-იქით გავარდნენ. და ჩოფურა ეფრეიტორმა პეტროვმა სროლა დაიწყო...

შეიძლებოდა ის ჩაძაღლებულიყო უხტში, სადაც ტყის ბირჟიდან გაქცევას აპირებდა.

შეიძლებოდა ის ჩაძაღლებულიყო კოინენის იზოლატორში, სადაც ლაგერის მეჩექმის დანებით უნდა დაეკლათ...

და აი, ახლა ის შემთხვევით ბრეზენტის ქვეშ წევს. ოპერი ცდილობს, კავშირზე გავიდეს. მემბრანას პირთან იჭერს და ყვირის:

— მე ლიუტიკი ვარ, მე ლიუტიკი ვარ! არ მესმის! გამოგზავნეთ დამატებითი ბადრაგა და ექიმი!

და ოფიცერი გააბოლებს, შემდეგ კი ისევ წელზე ხელს იკიდებს და იყვირებს:

— მე ლიუტიკი ვარ! პატიმრები აღელვებული არიან! კრიტიკული სიტუაციაა! გამოგზავნეთ დამატებითი ბადრაგა და ექიმი...

მალე შავი მანქანა მოვა. გვამს მანქანაში შედებენ. ერთი ჩვენგანი, ავტომატმომარჯვებული, მას ციხის საავადმყოფოში წაიყვანს. დებულებით მკვდარი ზეკებიც დაცული უნდა იყვნენ.

ერთი თვის შემდეგ პოლიტმომზადების დარგში მოადგილე ხურიევი ინესსა ვლადიმიროვნა ბუტირინას, დაღუპული ზეკის ერთადერთ ნათესავს, მამამისის გარე ბიძაშვილს, მისწერს წერილს, რომელშიც ნათქვამი იქნება:

"თქვენი ვაჟიშვილი, გრიგორიი ტიხონოვიჩ ბუტირინი, მტკიცედ ადგა გამოსწორების გზას. ის შრომით პოსტზე გარდაიცვალა..."

***1982 წლის 7 ივნისი,***
***ნიუ-იორკი***

*შეგახსენებთ, რომ ლაგერი ტიპური საბჭოთა დაწესებულებაა... და არამარტო მისი ადმინისტრაციულ-სამეურნეო წყობით, არა მხოლოდ იდეოლოგიით, რომელიც ზემოდან ინერგება. არა მხოლოდ ჩვეული ფორმალობების გამოისობით.*

*ლაგერი საბჭოური დაწესებულებაა მისი სულისკვეთებით. შინაგანი არსით.*

*რიგითი სისხლის სამართლის დამნაშავე, როგორც წესი, სავსებით ლოიალური საბჭოთა მოქალაქეა. ანუ ის, რასაკვირველია, უკმაყოფილოა. სპირტეული გაძვირდა და ასე შემდეგ. მაგრამ საფუძვლები წმინდაა. და მისთვის ლენინის გაკრიტიკება არ არსებობს.*

*ამ აზრით განსაკუთრებით ნიშანდობლივია ლაგერული შემოქმედება. ლაგერში ზეწოლისა და იძულების გარეშე ზეიმობს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი.*

*დაფიქრებულხართ თუ არა იმაზე, რომ სოციალისტური ხელოვნება მაგიას უახლოვდება და ძველების რიტუალურ და კულტურ ფერწერას მოგვაგონებს.*

*კლდეზე ბიზონს ხატავ და საღამოს შემწვარ-მოხრაკულებს მიირთმევ.*

*ასევე სჯიან სოციალისტური რეალიზმის ჩინოვნიკები. რაღაც დადებითს თუ გამოსახავ, ყველა კარგად იქნება. თუ უარყოფითს — პირიქით. და ასე შემდეგ.*

*გაიხსენეთ დედაქალაქის მიწისქვეშა მოზაიკები. მწვანილი, ხილი, შინაური ფრინველი... ქართველები, ლიტველები, სომხები... მსხვილი რქოსანი და წვრილი რქოსანი საქონელი... ესენი ხომ ისევ ბიზონებია...*

*ლაგერშიც ასეა.*

*აიღეთ ლაგერული ფერწერა. ეს თუ პეიზაჟია, იქ წარმოუდგენელია ხასხასა ანდალუზიური ფერები. თუ ნატურმორტია, ის კალორიებითაა აღსავსე.*

*ლაგერული პორტრეტები განსაკუთრებით კომპლიმენტურია.*

*და არავითარი მოდერნიზმი. რაც უფრო ახლოსაა ფოტოგრაფიასთან, მით უკეთესი. საეჭვოა, რომ აქ მოდილიანსა და გოგენს დიდი წარმატება ერგოთ...*

*აიღეთ ლაგერული სიმღერები. აი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სასიმღერო სიუჟეტი. მარტოხელა დედა შვილითურთ. მამა ტყეშია გავარდნილი. შვილი ქურდი ხდება (თუ გოგონაა, მეძავი ხდება). ამას სასამართლო მოსდევს. თვალებდახრილი პროკურორი სასჯელის უმაღლეს ზომას მოითხოვს. ბრალდებული თავს იკლავს. საფლავის ღობესთან საათობით ქვითინებს პროკურორი. ის, როგორც უკვე მიხვდით, განსვენებულის უიღბლო მამაა.*

*იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს მოკლებულია მინიმალურ ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას. პროკურორს საერთოდ ეკრძალება თავისი ნათესავის გასამართლება. საბჭოური კანონები ამის ნებას არ იძლევა და ლაგერელებმა ეს კარგად იციან. მაგრამ მაინც განაგრძობენ ცრუ, სულელური სიუჟეტის ექსპლუატირებას.*

*აიღეთ ლაგერული მითები. ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია წარმატებული მასობრივი გაქცევა. როგორც წესი, თეთრი ზღვის გადავლით — შეერთებულ შტატებში.*

*თქვენ მოისმენთ ყოფითი წვრილმანებით გაძეძგილ ათობით ვერსიას მარშრუტის დეტალური აღწერითურთ. ფიცით ბეჭედდასმული მტკიცებებით, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო.*

*და გაქცევის ინიციატორი უსათუოდ მამაცი, ქველი ჩეკისტი იქნება. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოფილი პოლკოვნიკი. ხრუშჩოვის მიერ მსჯავრდადებული ბერიას ან იაგოდას თანამოღვაწე. ისმის კითხვა: რა იზიდავს მათ ამ არამზადებისკენ?! რა და ის, რომ ისინი ნაცნობი, შეჩვეული, საბჭოთა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გმირები არიან. იციან სემიონოვისა და ძმები ვაინერების პერსონაჟები...*

*ამბობენ, ემელიან პუგაჩოვი გამოქცეულ კატორღელებს ეყრდნობოდაო. ახლანდელი კატორღელები აბუნტებას არ აპირებენ. რაიმე რიარია თუ მოხდება, ისინი პირდაპირ ღვინის მაღაზიას მიადგებიან...*

*კარგი, ჰო. ახლა საქმეზე გადავიდეთ. გამომიგზავნეთ, თუ არ გავიჭირდებათ, თქვენი შრიფტების ნიმუშები და ორი კატალოგი.*

*როცა ნიუ-იორკში იქნებით, ვნახავთ ერთმანეთს. სალამი თქვენს მეუღლეს, დედიკოს და ქალიშვილებს. ჩვენი კატია ძალიან ბრაზობს — გარდამავალი ასაკის ამბავი მოგეხსენებათ...*

*ხვალ ჩემი სახლის ახლოს ახალი რუსული კაფე იხსნება. დილაადრიან, როგორც ადგილობრივი სახელგანთქმული კაცი, მისი მფლობელების მისალოცად მივდივარ...*

ოქტომბერში უხეშობის გამო დისკვალიფიკაცია მომცეს და სპორტსმენის ყველა პრივილეგია ჩამომერთვა. ამის შესაბამისად, საგუშაგო ბატალიონში აღმოვჩნდი რიგითის უფლებით. ღამე წვივსახვევების სუნი არ მაძინებდა. დასასრულ ეფრეიტორმა ბლინდიაკმა დამიყვირა მწყობრის წინ:

— მე შენ ბოლოს მოგიღებ, არამზადავ, ბოლოს მოგიღებ!..

ამ სიტუაციაში ასეულის კანცელარიის მწერლის თანამდებობა გაუგონარი წარმატება იყო. ეტყობა, ჩემმა დაუმთავრებელმა უმაღლესმა განათლებამ ითამაშა გარკვეული როლი. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი კურსი მქონდა გავლილი. ვფიქრობ, რომ კომის რესპუბლიკაში ყველაზე განათლებული კაცი ვიყავი.

ადრე დილით კართანას ვგვიდი. დათოვლილი პლაცი ძლიერი გვარდიული ნაკადებით იყო აჭრელებული. გზაზე გავდიოდი და იქ ველოდებოდი კაპიტანს.

როცა მას დავინახავდი, ნაბიჯს ვუჩქარებდი, ხელისგული მკვეთრად მიმქონდა ქუდთან და მექანიკურად ვეუბნებოდი ხმამაღლა:

— გაგიმარჯოთ!

შემდეგ, თითქოს უკვე ქანცგაცლილი, ხელისგულს ძირს ვუშვებდი, თან მოკრძალებით, თან კი ფამილარული ტონით ვეკითხებოდი:

— როგორ გეძინათ, ძია ლიონია?

და მაშინვე ვწუმდებოდი, თითქოს ჩემი სულიერი სითბოს გამოვლენა მეუხერხულებაო...

კაპიტან ტოკარის ცხოვრება მამაცობისა და ლოთობისგან შედგებოდა. კაპიტანი მიწის ვიწრო ზოლში დაბორიალებდა ამ ორ ოკეანეს შორის.

მოკლედ, მისი ცხოვრება არ აეწყო. ცოლი მოსკოვში ჰყავს და სხვა გვარით ცეკვავს ესტრადაზე, მისი ვაჟიშვილი კი ჟოკეია. მან ცოტა ხნის წინათ გამოგზავნა თავისი გადაღებული ფოტოსურათი: ცხენი, ვედრო და რაღაც დაფები...

კაპიტნისთვის მამაცობის განსახიერება გახდა სისუფთავე, მკვეთრი ხმა და ლუკმის მიუყოლებლად სმის უნარი...

ტოკარი შინელს იხდის. მის კისერზე ავი ნიშანივით ქათქათებს საყელოს ვიწრო ზოლი.

— ბარკოვეცი სადაა? — მეკითხება ის. — უხმეთ!

ტოკარი მოხრილი თითით ისწორებს დიაგონალურ ოფიცრის გიმნასტურას.

— ეფრეიტორო ბარკოვეც, — ეუბნება მას, — გრცხვენოდეთ! ვინ შეუკურთხა გუშინ ლეიტენანტ ხურიევს, ვინ დასვა ის სამ ასოზე?

— ამხანაგო კაპიტანო!

— გაჩუმდით!

— თქვენ რომ იქ ყოფილიყავით!

— გიბრძანებთ — გაჩუმდით!

— დარწმუნდებოდით, რომ...

— მე თქვენ დაგაპატიმრებთ, ბარკოვეც!

— რომ მე სამართლიანად... მოვაკეტინე...

— სამი დღე-ღამით დაპატიმრდეს, — ამბობს კაპიტანი, — სამი ასოს შესატყვისად...

როცა ეფრეიტორი მიდის, ტოკარი მეუბნება:

— მოსკოველებს ხომ იუმორი აქვთ.

— ეს ასეა.

— შენ მოსკოვში ყოფილხარ?

— ორჯერ, შეკრებებზე.

— დოღებზე ყოფილხარ?

— არასოდეს.

— საინტერესოა, ჟოკეები რა ხალხია?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით.

— ფიზკულტურელები არიან?

— რაღაც ამდაგვარნი...

ტოკარი შინ მიდის. მის ფეხებთან, აღტაცებით მოირბენს და ცუცქდება შავი სპანიელი.

— ბროშკა, ბროშეჩკა, — ჩურჩულებს ტოკარი და თოვლში ძეხვის ნატეხებს ჰყრის.

სახლში თბილი არაყი და უკანასკნელი ცნობებია. მაგიდის ყუთში — პისტოლეტი...

— ბროშკა, ბროშენკა, ჩემო ერთადერთო მეგობარო... ანიკინი დემობილიზებულია... სხვები მიმოიფანტნენ. იდიოტი პანტელეევი გენშტაბშია... რაიზმანი დოცენტია, ბინა მიიღო... ბროშკა, მე და შენ რა ვქნათ, მე და შენ?.. ვალენტინა, ძუკნა, არ იწერება... მიტიამ ცხენი გამოგზავნა...

ფანჯრის იქით სიცივე და წყვდიადი. ქოხს ნამქერები შემოერკალნენ. ჩამიჩუმი არ ისმის. დალიე და ელოდე. და რამდენ ხანს უნდა ელოდო, არ იცი. ძაღლები აყეფდნენ და ნათურა ჩაქრეს მაინც... მაშინ ისევ შეიძლება დასხმა...

და ასე იძინებს ის — სამხარილლივეიანად, გიმნასტურიანად, ჩექმებიანად... და ნათურა მთლად დილამდე ანთია...

დილით კი მე ისევ პლაცის შებილწულ თოვლზე მივაბიჯებ ჭიშკრამდე. მკვეთრად მიმაქვს ხელისგული ქუდთან. შემდეგ უსიცოცხლოდ ვაგდებ მას და ნაზი გრძნობით მოკანკალე ვკითხულობ:

— როგორ გეძინათ, ძია ლიონია?..

ოდესღაც პერსპექტიული არმიელი ძალოსანი ვიყავი. იმავდროულად — შტაბის ნაწილის სპორტული ინსტრუქტორი. შტაბამდე — საწარმოო ზონის ზედამხედველი. ყველაფერ ამას კი რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო კომისარიატის მოხელესთან საუბარი უსწრებდა.

— შენ განათლებული ახალგაზრდა ხარ, — მითხრა კომისარმა, — შეგეძლო სერჟანტობა გესწავლა... სარაკეტო ნაწილში მოხვედრილიყავი... დაცვაში კი, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს, ისინი მიდიან...

— რაიმე დასაკარგი არც მე მაქვს...

კომისარმა შეეჭვებით შემომხედა:

— რა აზრით?

— უნივერსიტეტიდან გამომაგდეს, ცოლს გავეყარე...

მინდოდა გულწრფელი და მარტივი ვყოფილიყავი. კომისარი ჩემმა არგუმენტებმა ვერ დააკმაყოფილა.

— შენა, იქნებ რამე ისეთი... რამე, რო იტყვიან აწაპნე და ათესვას აპირებ?

— დიახ, — ვეუბნები, — მათხოვარს ხურდებიანი თუნუქის ჭურჭელი ავწაპნე.

— ვერ გავიგე, — შეტოკდა კომისარი.

— ეს ისე ვთქვი, ვიხუმრე.

— რაა ამაში სასაცილო?

— არაფერი, — ვეუბნები, — მაპატიეთ.

— ყური მიგდე, ჭაბუკო! მეგობრულად გეუბნები — გასამხედროებული დაცვა ჯოჯოხეთია!

მაშინ მე ვუპასუხე, ჯოჯოხეთი თვითონ ჩვენა ვართ, უბრალოდ, ამას ვერ ვამჩნევთ-მეთქი.

— ჩემი აზრით კი, — თქვა კომისარმა, — მეტისმეტად ჭკუისკოლოფობ.

რაკი რაიმეს გარკვევის იმედი დაკარგა, კომისარი ჩემი დოკუმენტების შედგენას ჩაუჯდა.

ერთი თვის შემდეგ როპჩთან ზედამხედველთა შემადგენლობის სკოლაში ამოვყავი თავი. ერთი თვის შემდეგ კი ხელჩართული ბრძოლის ინსპექტორი ტოპორცევი დამშვიდობებისას მეუბნებოდა:

— დაიხსომე, დანისგან თავის დაცვა შეიძლება. ნაჯახის ბლოკირებაც, პისტოლეტის წართმევაც. ყველაფერი შეიძლება! მაგრამ გაქცევა თუ შეგეძლება — გაიქეცი! გაიქეცი, შვილო, და უკან ნუ მოიხედავ...

ჯიბეში ინსტრუქცია მედო. მეოთხე პუნქტი ღაღადებდა:

“ზედამხედველი გამოუვალ მდგომარეობაში თუა, ის გუშაგს უბრძანებს — “ისროლეთ ჩემი მიმართულებით..”

საჯარიმო იზოლატორი, ღამე. კედელს იქით ანაგი ხელბორკილების ჩხარუნ-ჩხარუნით დაბორიალებს. ოპერი ბორტაშევიჩი მეუბნება:

— რასაკვირველია, ყველაფერი ხდება. ადამიანები ნერვიულნი, უკიდურესად ეგოცენტრულნი არიან... მაგალითად? ერთხელ ტყის ჭრის ტერიტორიაზე ბენზოსახერხ “დრუჟბით” ჩემთვის თავის მოხერხვა უნდოდათ.

— მერე? — ვკითხე.

— მერე ის, რომ ბენზოსახერხი წავართვი და ყბა მოვუნგრიე.

— გასაგებია.

— გადასაგზავნ პუნქტში ნაჯახთან დაკავშირებითაც იყო რაღაც...

— და რითი დამთავრდა?

— ნაჯახი წავართვი და სიფათში ვრეკე...

— გასაგებია...

— ერთი მოჩიფირე დანას ატარებდა...

— დანა წაართვით და ყბა მოუნგრიეთ?

ბორტაშევიჩმა ყურადღებით შემომხედა, შემდეგ კი გიმნასტურა გაიღელა და მე პატარა, თეთრი, ძარღვებში სისხლის გამყინავი ნაიარევი დავინახე...

ღამე შტაბიდან ყაზარმისკენ მივიჩქარი. და ყველაზე მოკლე გზა ზონაზე გადადის. ერთნაირი ბარაკების, მავთულხლართებში ყვითელი ნათურების გასწვრივ მივაბიჯებ. ვჩქარობ, რაკი სიჩუმისა და ყინვის ნათესაობას ვგრძნობ.

ზოგჯერ ბარაკის კარი ფართოდ იღება. გამთბარი საცხოვრისიდან თეთრი ორთქლის ნაკადებთან ერთად გამოხტება ზეკი. ის შარდავს, აბოლებს, აჰყვირის კოშკურაზე მდგარ გუშაგს:

— ალე, უფროსო! ჩვენ ორ შორის ციხეში ვინაა? შენ თუ მე?!

გუშაგი ზანტად იგინება და ტყაპუჭში ეხვევა...

სამხრეთის ბარაკიდან ყვირილი მოისმის, იქით გავრბივარ და თან მანჟეტებს ვიხსნი. ფიცრებზე წევს შავი და სარბოლ მანქანასავით მბზინავჩექმებიანი რეციდივისტი კუცოვი.

— რა ხდება? — ვეკითხები.

— ვაი, მეშინია, უფროსო! ეშმაკმა იცის, რა აქვს თავში ტარაკანს!..

— თქვენ მასხარა ხართ! — ვეუბნები, — რა გქვიათ?

— ზამთარში — კუზმა, ზაფხულში — ფილარეტი.

— რის გამო ზიხარ?

— ქუჩა გადავკვეთე არასწორად... სხვის ბაულთან (სამგზავრო ტვირთთან) ერთად.

— მაპატიე, უფროსო, — მშვიდობისმოყვარულად გვერთვება ბუგორ აგეშინი, — ეს იუმორია. ერთგვარი, როგორც იტყვიან, მეგობრული შარჟი. მოდით, ისა სჯობია, ვივახშმოთ...

“ვმღერივართ, — ვფიქრობ ჩემთვის, — ისინიც ხომ ისეთივე ადამიანები არიან... ადამიანი კი ბუნებით...” და ასე შემდეგ...

ბარაკში ქურაზე შემწვარი ხორცი შევჭამეთ. შემდეგ გავაბოლეთ. ვილაცამ გიტარა აილო და სენტიმენტალური ხმით ამღერდა:

**...Выше голову, милый, я ждать не устану,**
**Моя совесть чиста, хот одежда в пыли,**
**Надо мной раскаленный шатер Казахстана,**
**Бесконечная степь золотится вдали...**

“კაცმა რომ თქვას, საყვარელი ვინმეები არიან, — ისევ ჩემთვის ვფიქრობ, — თუმც, რასაკვირველია, ბანდიტები ბრძანდებიან... მაგრამ ისინი ხომ ცხოვრებამ დაამახინჯა, გარემომ ჩაითრია...”

— ეი, უფროსო, — მეუბნება ბუგორ აგეშინი, — იცი, შენ ვინ ჭამე?

ყველამ გაიცინა. წამოვდექი.

— იცი, რისგანაა ეს კატლეტები გაკეთებული?

ვიგრძენი, რომ ჩემს კუჭში ბომბი სკდებოდა.

— კაპიტნის ძაღლის ხორცისგან... მკვირცხლი, მარდი ქოფაკი კი იყო...

**...Надо мной раскаленный шатер Казахстана,**
**Бесконечная степь золотится вдали,**
**И куда ни пойду, я тебя не застану,**
**О тебе рассказать не хотят ковыли...**

— ჰოდა, ადექი და უთხარი იმას, — ამბობს ფიდელი.

— კაპიტანი ამას ვერ გადაიტანს. მოხუცს, იმ ნაგაზის გარდა, მეგობრებიც კი არა ჰყავს. არ შემიძლია, ღმერთმანი...

— შენ ხომ მოკრივე ხარ. მაგარი ნერვები გაქვს.

— ღმერთმანი, არ შემიძლია.

— თქმით ხომ უნდა უთხრას ვინმემ.

— ეს შენთვის უფრო ადვილი საქმეა.

— მე რა შუაში ვარ? ვინც ჭამა, იმან უთხრას.

— რატომ მახსენებ?! ყოველ წამს შეიძლება გულმუცელი ვაღებინო...

— მას პისტოლეტიც დააქვს. ვაითუ, იმან ისა ქნას, აი ისა... რამეს რომ გაიგებს...

— არაა გამორიცხული. მოხუცს დედა აქვს ნატირები. ცოლი არ სწერს, მისი ვაჟიშვილი რაღაც გოპნიკია... ბროშკა მისი ერთადერთი მეგობარია.

— დეპეშა რომ გავუგზავნოთ?

— არ ივარგებს.

— სულერთია, მაინც უნდა უთხრას ვინმემ. შენ კი განათლებული კაცი ხარ, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა გეხერხება.

— ესე იგი?

— არა, შტაბში შენ ტყუილუბრალოდ არ ყავხარ. ყველასთან ნახულობ საერთო ენას.

— ამით რისი თქმა გინდა?

— ოფიცრების ნახევარი "თქვენობით" გელაპარაკება.

— მერე რა?

— მერე ისა, რომ შენზე ამბობენ, კომპოზიტორიაო. ოპერას წერსო. ოპერწმუნებულს გულისხმობენ. ნათლია...

მაგიდიდან გადახრილმა ფიდელს რკინის სახაზავი დავარტყი. მის ლოყაზე მეწამული კვალი დაჩნდა. ფიდელი გვერდზე გახტა და იყვირა:

— აი, შე შტაბის ძუკნავ, შენა! ოფიცრის ლაქიავ!

ამ დროს ვიგრძენი, თუ როგორ მეხლებოდა გაცოფების ტალღა. ფიდელი მოცურავესავით ზოზინით მოძრაობდა. მარცხნიდან მოვარტყი ერთი, ორი. ნაბიჯის მანძილზე დავინახე მისი მრგვალი, მკაფიოდ მოხაზული ნიკაპი. იქ ვუხათქუნებდი ჩემს წყენებს, გამწარებებს, ტკივილებს... ფიდელს ტაბურეტი გამოეცალა. შემდეგ იყო სასურსათო ანგარიშის ფურცლებზე დაღვრილი სისხლი. და კარებში ჩამდგარი კაპიტან ტოკარის ხრინწიანი ხმა:

— შეწყვიტეთ! ვის ვეუბნები, შეწყვიტეთ-მეთქი!..

თვალებდახრილმა ვუამბე ტოკარს ყველაფერი. მან მომისმინა, გიმნასტურა გაისწორა და მოულოდნელად ჩქარი ბრძნული ჩურჩულით ამოღერღა:

— მე მათ გამოვუქვითავ. აუცილებლად გამოვუქვითავ. ბროშკაში — ეს კოტლასში იყო — ოცდაათი რე გადავიხადე.

საღამოს კაპიტანი კოტლასი დათვრა. ის დაბის სამიკიტნოში ბობოქრობდა. ცხენის ფოტოსურათი დაკუწა. უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა თავის ცოლს. ისეთი სიტყვებით, რომლებმაც უკვე დიდი ხანია მნიშვნელობა დაკარგეს. ღამით კი ელექტროსადგურის გასწვრივ მიდიოდა საითკენღაც. და ცდილობდა სიგარეტზე მოეკიდებინა, ოღონდ ასანთი უვარდებოდა და უვარდებოდა...

ადრე დილით ისევ კართანას ვგვი. შემდეგ ჭუჭყიანი ნამქერების გასწვრივ ჭიშკრისკენ მივდივარ.

ღობეზე წარწერასავით გულლია და მკაფიო მთვარის შუქზე მივაბიჯებ. ველოდები კაპიტანს — ტანადს, საგულდაგულოდ გაპარსულს, თავდაჭერილს. ხელი საფეთქელთან მიმაქვს. შემდეგ, თითქოს უსაშველოდ ქანცგაცლილს, ის ძირს მივარდება. და, დასასრულ, თავაზიანი თამამი, მეგობრული ხმით ვეკითხები:

— აბა, როგორა ხართ, ძია ლიონია?..

გავიდა ოცი წელი. კაპიტანი ტოკარი ცოცხალია. მეც ცოცხალი გახლავართ. და სადღაა სიძულვილითა და შიშით გაძეძგილი ეს სამყარო? სად გაქრა ის? და რაა ჩემი ნაღველისა და სირცხვილის მიზეზი?..

**1982 წლის 11 ივნისი,**
**ნიუ იორკი**

ჩემი ნაწარმოების ეს დიდი მონაკვეთი რიშარდ ნეშის მეოხებით გადავაგზავნე, არადა, ის ხომ თითქმის კომუნისტია. და მაინც, ჩვენს სულელურ ხელნაწერებს დავტრიალებთ. ამქვეყნად ყველაფერი უცნაურად, საშინლად დაიხლართა, გაბუნდოვანდა.

საკონტროლო-გამშვებ პუნქტში სამნი ისხდნენ. ოპერი ბორტაშევიჩი დაჭმუჭნილ, ლაპლაპა კარტებს რევდა. გუშაგი გუსევი, თუმც კი პირში მოკიდებული სიგარეტი ედო, ცდილობდა, დაეძინა. ველოდი, როდის დაუსტვენდა ორცხობილაშემონწყობილი ჩაიდანი.

ბორტაშევიჩმა უხალისოდ განაცხადა:

— კარგი, ჰო, ავიღოთ, მაგალითად, დედაკაცები. დავუშვათ, შენ მასთან კარგადა ხარ: კინო, ბისკვიტები, მუსაიფები... გოგოლისა და ბელინსკის გამონათქვამთა ციტატებს იშველიებ... რაღაც იდიოტურ ოპერას ესწრები... შემდეგ, ბუნებრივია, საწოლია. მადამი კი გეუბნება: შემირთე, ნაგავო! ჯერ მმაჩია, შემდეგ კი უცვლელი ინსტინქტები... არადა, თურმე ნუ იტყვი, ინსტინქტები მას ხელს არ აძლევს. მაგრამ ეს თუ ჩემთვის წმინდა რამეა, სად მიდიხარ?!

— თანაც ურიები, — დასძინა გუშაგმა.

— რა ურიებიო? — ვერ გაიგო ბორტაშევიჩმა.

— ურიები ყველგან არიან-მეთქი. რაიკინიდან კარლ მარქსამდე... ეგენი ისე მრავლდებიან, რო... მაგალითად, ჩებიუზე ვენდისპანსერი აიღეთ. ექიმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი — ებრაელები, პაციენტები — რუსები. ეს კომუნისტური რამაა?

ამ დროს კანცელარიიდან დარეკეს. ბორტაშევიჩი ყურმილს იღებს და მეუბნება:

— შენ გირეკავენ.

კაპიტან ტოკარის ხმა გავიგონე:

— ჩემთან შემოიარეთ, ოღონდ სწრაფად.

— ამხანაგო კაპიტანო, — ვეუბნები, — სხვათა შორის, უკვე მეცხრე საათი დაიწყო.

— თქვენა კიდე, — შემაწყვეტინა კაპიტანმა, — სამშობლოს მხოლოდ ექვსამდე ემსახურებით?!

— აბა, გრაფიკები რისთვის დგება?! მე ხვალ დილას უნდა გამოვიდე სამსახურში.

— ხვალ დილას უკვე როპჩში იქნებით. არის შტაბის უფროსის განკარგულება — ერთი კლიენტის მოყვანაა საჭირო როპჩის გამანაწილებლიდან. მოკლედ, გელოდები...

— საით გაგზავნიან? — მკითხა ბორტაშევიჩმა.

— როპჩიდან ზეკის ბადრაგირებაა საჭირო.

— საქმის ხელმეორედ გასარჩევად?

— არ ვიცი.

— წესდებით ორის წასვლაა საჭირო.

— დაცვაში წესდებით რა კეთდება? წესდებით მხოლოდ ჰაუპტვახტში სვამენ.

გუსევმა წარბები ასწია:

— შენც რას აიჩემე ეს ებრაელები, — უთხრა ბორტაშევიჩმა, — მოგვბეზრდა. რუსებს შეხედე. დაინახავ და გაშეშდები.

— არ გეკამათები, — გამოეხმიანა გუსევი...

უცებ ჩაიდანმა დაუსტვინა. ის სეიფის გვერდით გადავდგი.

— კარგი, ჰო, წავალ...

ბორტაშევიჩმა კარტი ამოიღო, დახედა და თქვა:

— ოჰო! შენ პიკის ქალი გელოდება.

შემდეგ დასძინა:

— ხელბორკილები წაიღე.

წავიღე...

ზონაში გადავდიოდი, თუმცა შემეძლო, მისთვის განმწესებელთა ბილიკით ამევლო გვერდი. მე უკვე სპეციალურად დავდივარ ზონაში ღამე. სულ ვიმედოვნებ, რომ შევეჩვევი შიშის შეგრძნებას. პირადი მამაცობის პრობლემა ჩვენთან საკმაოდ მწვავედ დგას. ამ საქმეში რეკორდსმენებად ლიტველები და თათრები ითვლებიან.

ინსტრუმენტალისტი ქალის ახლოს ოდნავ შევანელე ნაბიჯი. იქ ღამღამობით ჩიფირისტები იკრიბებოდნენ.

ჯარისკაცის თუნუქის ტოლჩას წყლით ავსებდნენ. შიგ დასტა ჩაის ჰყრიდნენ. შემდეგ ტოლჩაში ამ გრძელ ფოლადის მავთულზე სამართებლის პირს უშვებდნენ. სამართებლის ბოლოს მაღალძაბვიან მავთულზე აგდებდნენ. ტოლჩაში სითხე ორ წამში დუღდებოდა.

ნაბლისფერი სასმელი ალკოჰოლის მსგავსად ზემოქმედებდა. ადამიანები იწყებდნენ ალგზნებულად ჟესტიკულირებას, უმიზეზოდ ყვირილს და სიცილს.

ჩეფირისტები სერიოზულ შიშს არ იწვევდნენ. სერიოზულ შიშს, ადამიანის მოკვლა უჩეფიროდაც რომ შეეძლოთ, ისინი იწვევდნენ...

წკვარამში ჩრდილები ინძრეოდნენ. მე მათ უფრო მივუახლოვდი. პატიმრები ჩიფირბაკის ირგვლივ კარტოფილის ყუთებზე ისხდნენ. მე რომ დამინახეს, გაყუჩდნენ.

— ჩამოჯექით, უფროსო, — მომესმა სიბნელიდან, — ჩაიდანი უკვე მზადაა.

— ჯდომა, — ვეუბნები, — თქვენი საფიქრალია.

— წიგნიერია, — მიპასუხა იმავე ხმამ.

— შორს წავა, — თქვა მეორემ.

— საგუშაგოზე შორს ვერა, — გაიცინა მესამემ...

ყველაფერი ნორმალურადაა, გავიფიქრე. მეგობრულობისა და სიძულვილის ჩვეულებრივი დომხალია. არადა, რამდენი ჩაი, მარგარინი, თევზის კონსერვი ვუზიდე მათ...

გავაბოლე, მეექვსე ბარაკს შემოვუარე და ლაგერის ვიწროლიანდაგიან რკინიგზასთან გავედი. ფანჯარა გამოტივტივდა.

დავაკაკუნე. კარი მედღეურმა (მორიგემ) გამიღო. ხელში ვაშლი ეკავა. კაბინეტიდან ტოკარმა გამოიხედა და თქვა:

— ისევ პოსტზე იღეჭებით, ბარკოვეც?!

— მსგავსს არაფერს ვაკეთებ, ამხანაგო კაპიტანო, — შეეპასუხა მისკენ შეტრიალებული მედღეური (მორიგე).

— შენა, რა, მე ვერა ვხედავ?! ყურები გითამაშებთ... გუშინწინ საერთოდ დაიძინეთ...

— არ მძინებია, ამხანაგო კაპიტანო. ვფიქრობდი. ეს არ განმეორდება.

— დასანანია, — მოულოდნელად თქვა ტოკარმა და მე მომმართა: — შემოდით.

შევედი და წესისამებრ ვუპატაკე.

— ჩინებულია, — თქვა კაპიტანმა და ქამარი მოიჭირა, — აი დოკუმენტები, შეგიძლიათ გაემგზავროთ. ჩამოიყვანთ ზეკს, გვარად გურინს. თერთმეტი წელი აქვს მისჯილი. მეხუთე ნასამართლობაა, კანონიერი ქურდია, იფრთხილეთ.

— უცებ ვის დასჭირდა ის? — ვეკითხები, — ჩვენა, რა, ჩვენი რეციდივისტები არ გვყოფნის?

— გვყოფნის, — დამეთანხმა ტოკარი.

— აბა, რა ხდება?

— არ ვიცი. დოკუმენტები შტაბის ნაწილიდან მოვიდა.

მივლინების ქაღალდი გავშალე. გრაფაში "დანიშნულება" მითითებული იყო:

"ჩამოყვანილ იქნეს გურიევ ფიოდორ ემელიანოვიჩი ლენინის როლის შემსრულებლის სახით..."

— ეს რას ნიშნავს?

— აზრზე არა ვარ. აჯობებს, პოლიტხელის მოადგილეს ჰკითხოთ. ალბათ, საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლის თავზე წარმოდგენას ამზადებენ. ჰოდა, გასტროლიორი მოიწვიეს. შესაძლოა, მას ნიჭი ან შესაბამისი რალაცა აქვს... არ ვიცი. ასე რომ, ჯერ აქ მოიყვანეთ, შემდეგ კი გავერკვევით. თუ საჭირო გახდა, იარაღი გამოიყენეთ. ღმერთი გწყალობდეთ!..

ქაღალდები ავიღე, მხედრულად მივეცი სალამი და გამოვედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპჩს თორმეტ საათზე მივუახლოვდით. სოფელი მკვდარს ჰგავდა. სიბნელიდან ძაღლების ყრუ ყეფა მოისმოდა.

ხისმზიდი მანქანის მძღოლმა მკითხა:

— ამ ღამე საით გამოგაგდეს? დილას წამოსულიყავი.

მომიხდა მისთვის, აი, რა განმემარტა:

— უკან დღისით ვბრუნდები, თორემ ღამე მომიხდებოდა დაბრუნება. თანაც საშიშ რეციდივისტთან ერთად.

— ცუდი ვარიანტი არაა, — თქვა მძღოლმა.

შემდეგ დასძინა:

— ტყის სამრეწველო მეურნეობაში ზეკებზე საშინელი დისპეტჩერები გვყავანან.

— ასეც ხდება, — ვეუბნები.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ...

მე საგუშაგოში მედღეური გავაღვიძე და ქაღალდი ვაჩვენე. ვკითხე, სად შემეძლო ღამის გათევა.

მედღეური დაფიქრდა: ყაზარმაში ხმაურია. შუაღამეს ბადრაგათა ბრიგადები ბრუნდებიან. სხვის საწოლს თუ დაიკავებ, შეუძლიათ, ღვედით გაგთოკონ... სანერგეში კი ძაღლები ყეფენ.

— ძაღლები კარგი ვინმეები არიან, — ვეუბნები.

— ღამე ჩემთან გაათენე. აქ სრული კაიფია. ტყაპუჭს მოიხურავ. შემცვლელი დილის შვიდზე მოვა...

დავწექი, ფიცრის საწოლთან კონსერვის ქილა დავდგი და გავაბოლე...

მთავარია, სახლი არ გამეხსენებინა. საჭირბოროტო რაღაცებზე უნდა მეფიქრა. აი, მაგალითად, პაპიროსი მითავდება, მედღეური კი თითქოს არ ეწევა...

ვკითხე:

— შენა, რა, არ ეწევი?

— თუ შემომთავაზებ, მოვწევ.

შვება არ მიგრძვნია...

მედღეურმა სცადა გამომლაპარაკებოდა:

— თქვენთან, მეექვსეში, ჯარისკაცები მართლა თხებს ტყავს აძრობენ?

— არ ვიცი, არა მგონია... ზეკები არ ანცობენ.

— მგონი, მუშტი-კრივი ჯობია.

— გემოვნების საქმეა...

— კარგი, ჰო, — შემიბრალა მედღეურმა, — დაიძინე. აქ სიჩუმეა...

ამაში მედღეური შეცდა. საგუშაგო საჯარიმო იზოლატორს იყო მიდგმული. იქ შუაღამეს დაპატიმრებულმა ზეკმა გაიღვიძა. ხელბორკილებს აჩხარუნებდა და ხმამაღლა მღეროდა.

"А я иду, шагаю по Москве..."

— მოსკოვი არ მომინდომა ამ შუაღამეს ამანაც?! — აჯიჯღინდა მედღეური.

საჭვრეტში შეიჭვრიტა და იყვირა:

— აგეევ, ენა პირში ჩაიგდე და დაწექი! სხვაგვარად თვალის გუგებს დაგიფინტილებ!

პასუხად გაიგონა:

— უფროსო, რქები კაპტიორკას (ქონების საწყობს სამხედრო ნაწილში — მთარგ.) ჩააბარე, გაიგე!

მედღეურმა მაღალფერდოვანი დედის გინება დაუხუჭუჭა.

— იცი შენ ვის და რას უნდა აძლევდე, — ხურდა დაუბრუნა ზეკმა...

კონცერტი ორ საათს გაგრძელდა და პაპიროსიც გამითავდა.

საჭვრეტთან მივედი და ვიკითხე:

— პაპიროსი ან წეკო ხომ არა გაქვთ?

— თქვენ ვინა ხართ? — შეცბუნდა აგეევი.

— მეექვსე ლაგპუნქტიდანა ვარ მოვლინებული.

— მე კი ვიფიქრე, სტუდენტია-მეთქი... "ექვსიანში" ყველანი ასეთი კულტურულნი არიან?

— დიახ, — ვეუბნები, — როცა უპაპიროსოდ რჩებიან.

— წეკო ბლომადა გვაქვს. კარქვემოთ შევჩრი... თქვენ შემთხვევით ლენინგრადიდან ხომ არა ხართ?

— ლენინგრადიდანა ვარ.

— თანამემამულე ხარ... ასეც ვიფიქრე.

ღამის დარჩენილი ნაწილი მუსაიფში გაილია...

დილით ოპერრწმუნებული დოლბენკო მოვძებნე და ჩემი ქაღალდები წარვუდგინე. მან მითხრა:

— ისაუზმეთ და საგუშაგოზე დამელოდეთ. იარაღი თან გაქვთ? კარგია...

სასადილოში ჩაი და ფუნთუშა მომცეს. ფაფა გათავებოდათ. შემდეგ გზაში საჭმელად ქონის ნაჭერი და ერთი თავი ხახვი მომართვეს, ნაცნობმა ინსტრუქტორმა კი ათიოდე ღერი პაპიროსი ჩამიყარა ჯიბეში.

საგუშაგოზე ბადრაგათა ბრიგადების დაგზავნამდე ვიცადე.

მედღეური დაახლოებით რვისთვის შეცვალეს. იზოლატორში სიჩუმე იყო. ზეკმა უძილო ღამის შემდეგ გამოიძინა.

როგორც იქნა, გავიგონე:

— პატიმარო გურინ, ნივთებიანად!

გასასვლელ დერეფანში მანჭვალებმა გაიჩხარუნეს. საგუშაგოში ჩემს სამეურვეოსთან ერთად ოპერმუშაკი შემოვიდა.

— ხელი მოაწერე. — მეუბნება. — იარაღი თანა გაქვს?

ბუდე გავხსენი.

ზეკს ხელბორკილები ეკეთა.

კართანაზე გავედით. ზამთრის მზემ თვალი მომჭრა. უეცრად ირიჟრაჟა, როგორც ყოველთვის...

დამრეც ბორცვზე შავად ჩანდნენ ქოხები. სახურავების თავზე კვამლი ვერტიკალურად ადიოდა.

გურინს ვეუბნები:

— აბა, წავედით.

ტანდაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო. მის ქუდქვეშ მელოტი თავი იგრძნობოდა... მისი გაქონიანებული ბამბის ტანსათბურა მზეზე ბზინავდა.

გადავწყვიტე, ხისმზიდს კი არ დაველოდებოდი, მაშინვე წავსულიყავი გადასასვლელისკენ. გამვლელი ტრაქტორი თუ დაგვეწევა, ხომ კარგი. არ დაგვეწევა და, სამ საათში ფეხითაც შეიძლება იქამდე მიღწევა...

არ ვიცოდი, რომ კონის ახლოს გზა გადაკეტილი იყო. შემდეგ გაირკვა, რომ ღამე ორ ზეკს მორსათრევი მანქანა გაუტაცნია. ახლა ყველა გადასასვლელზე ოპერები ისხდნენ. ჰოდა, ზონამდე სულ ასე ვიარეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხით. მხოლოდ ერთხელ შევჩერდით წასახემსებლად. პური და ქონი გურინს მივეცი. მით უმეტეს, რომ ქონი ოდნავ მოიყინა, პური კი დაიფხვნა. აქამდე მდუმარე ზეკი იმეორებდა:

— უფროსო, ხომ არ დავმუხრუჭდეთ?

მას ხელბორკილი უშლიდა ხელს ჭამაში. მთხოვა:

— მანჟეტებს ხომ არ შემიხსნი. თუ, გეშინია, რომ ხრახნებს დავიჭრი?

კეთილი, ვფიქრობ, სინათლეზე საშიში არაა. საით უნდა გაიქცეს ამ თოვლში?..

ბელბორკილი მოვხსენი და ქამარზე მივაბი. გურინმა მაშინვე საპირფარეშოში გასვლა მთხოვა.

მე ვუთხარი:

— აი, იქით წადით...

შემდეგ ბუჩქებს იქით იჯდა, მე კი მიზანში შავი ვორკუტული ყურებიანი ქუდი მქონდა ამოღებული.

ათი წუთი გავიდა. ხელიც კი დამელალა.

უცებ ჩემს ზურგს უკან რაღაცამ გაიტკაცუნა. იმავდროულად გაისმა ხრინწიანი ხმა:

— წავედით, უფროსო...

შევხედე. ჩემს წინ მომღიმარე გურინი იდგა. ქუდი მან, ეტყობა, ბუჩქზე ჩამოკიდა.

— არ ისროლო, ძმაკაც...

თათხვას აზრი არ ჰქონდა.

გურინი სწრაფად მოქმედებდა. დამიმტკიცა, რომ გაქცევა არ უნდოდა. შეეძლო და არ ისურვა...

უფათერაკოდ მივაღწიეთ ზონამდე. გზაში ვკითხე:

— აბა, ეს რა წარმოდგენა იყო?

ზეკმა შეკითხვა ვერ გაიგო. ავუხსენი:

— იმ წერილში წერია — ლენინის როლის შემსრულებელიაო.

გურინი ახარხარდა:

— ეს ძველი ამბავია, უფროსო. მე ჯერ კიდევ ომამდე მეტსახელად არტისტს მეძახდნენ — იღბლიანი კაცის აზრით, რომელსაც, როგორც იტყვიან, ტვინის განძრევა შეუძლია. მახსოვს, მე მურ-ში ვიყავი აყვანილი. გრაფაში — პროფესია დაპატიმრებამდე... რა პროფესია, რისი პროფესია! მე აკვნიდანვე შეუპოვარი ქურდი ვარ. ჩემს სიცოცხლეში ერთი დღეც კი არ მიმუშავია. მაგრამ, როგორც ჩამიწერეს, ისე მიჰყვა და მიჰყვა — გამომძიებელმა ხუმრობით არტისტი იყოო, ჩამიწერა. ქსივიდან ქსივზე ასე გადადიოდა... ყველა პოლიტხელის უფროსის მოადგილე თვითშემოქმედებას მაწერს — შენ ხომ არტისტი ხარო... ეჰ, ასეთი პოლიტხელის მოადგილე საკოლმეურნეო ბაზარში რომ შემახვედრა. მე იმას ვუჩვენებდი ჩემს ხელოვნებას.

ვკითხე:

— რას გააკეთებთ თქვენ, რას? იქ ხომ წერია, რომ თვით ლენინი უნდა ითამაშოთ...

— ქაღალზე ასე წერიაო? ამაზე ადვილი რაა? მახსოვს, კიევში შემნახველი სალარო გავაიმასქენით. მე იქ მენტის ფორმა ჩავიცვი — ჩემებმა ვერ მიცნეს... ლენინის როლი უნდა ითამაშოო, ამბობთ. ლენინისა იყოს, რა! ერთ დღეს კანტის მოვლება სიცოცხლის თვეა...

საგუშაგოს მივადექით. გურინი ზემდეგს გადაეცი. ზეკმა ხელი დამიქნია:

— შევხვდებით ერთმანეთს, უფროსო. მერსი იმისთვის...

ეს ბოლო სიტყვები ჩუმად თქვა, რათა ზემდეგს არ გაეგონა...

რაკი გრაფიკიდან ამოვარდნილი ვიყავი, მთელი დღე-ღამეების განმავლობაში ვუსაქმურობდი. იარაღის ოსტატებთან ერთად ღვინოს ვსვამდი. მათთან ბურაში ოთხი რუბლი წავაგე. მშობლებსა და ძმას წერილი მივწერე. დაბაში ნაცნობ ქალიშვილთან წასვლასაც კი ვაპირებდი. მაგრამ ამ დროს მედღეური მოვიდა და მითხრა პოლიტხელის მოადგილე ხურიევი გეძებსო.

ლენინის ოთახისკენ გავწიე. ბურიევი უსტ-ვიმსკის ლაგპუნქტის უშველებელი რუკის ქვეშ იჯდა. გაქცევათა ადგილები ალმებით იყო მონიშნული.

— დაბრძანდით, — მითხრა ხურიევმა, — სერიოზული სალაპარაკო მაქვს. საოქტომბრო დღესასწაულები ახლოვდება. გუშინ ერთმოქმედებიანი პიესის “კრემლის ვარსკვლავების” რეპეტირება დავიწყეთ. ავტორი, — ხურიევმა მის წინ გაშლილ ქაღალდებში ჩაიხედა, — ჩიჩელნიცკაია. პიესა იდეურად მომწიფებულია, შინაგან საქმეთა სამმართველოს კულტურის სექტორის მიერაა რეკომენდირებული. მასში ოთხი მოქმედი პირია: ლენინი, ძერჟინსკი, ჩეკისტი ტიმოფეი და მისი საცოლე პოლინა. ახალგაზრდა ჩეკისტი ტიმოფეი ბურჟუაზიული განწყობილებების გავლენის ქვეშ მოექცა. ვაჭრის ქალიშვილი პოლინა მას მეშჩანობის მორევში ითრევს. ძერჟინსკი მასთან აღმზრდელობით მუშაობას ატარებს. თვითონ ფელიკს ედმუნდოვიჩს განუკურნებელი სენი სჭირს. ლენინი დაჟინებით მოითხოვს მისგან, რომ თავის ჯანმრთელობაზე იზრუნოს. რკინის ძერჟინსკი ამაზე უარს ამბობს იმ მიზნით, რომ ტიმოფეიზე მეტი ზემოქმედება მოახდინოს. ბოლოს და ბოლოს ტიმოფეი იცილებს რევიზიონიზმის ხუნდებს. მის კვალს გაუბედავად მიჰყვება ვაჭრის ქალიშვილი პოლინა... უკანასკნელ სცენაში ლენინი პუბლიკას მიმართავს. — აქ ხურიევი ისევ აშრიალებს ქაღალდებს. — “... ეს ვინაა? ვისია ეს ბედნიერი ნორჩი სახეები? ვისია ,ეს მხიარული მბრწყინავი თვალები? ნუთუ ეს სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობაა?! მშურს თქვენი, მომავლის მოციქულებო! ეს თქვენთვის ვაგიზგიზებდით ახალმშენებლობათა პირველ კოცონებს. თქვენთვის ვსპობდით ძირფესვიანად ბურჟუაზიულ უწმინდურობას... დაე, თქვენ, მომავლის შვილებო, გზას გინათებდეთ ჩვენი კრემლის ვარსკვლავები...” და ასე შემდეგ... და ყველანი “ინტერნაციონალს” მღერიან. როგორც იტყვიან, ერთიანი გზნებით... რას იტყვით ამაზე?

— არაფერს, — ვეუბნები, — აბა, რისი თქმა შეიძლია? სერიოზული პიესაა.

— თქვენ კულტურული, განათლებული ადამიანი ხართ. გადავწყვიტეთ, ამ საქმეში ჩაგრთოთ.

— მე ხომ თეატრთან შეხების წერტილი არა მაქვს.

— მე რა, გგონიათ, მაქვს? მაგრამ, არა უშავს, თავს გავართმევ. ოღონდ დამხმარის უყოლელად ეს ძნელია. ჩვენი არტისტები — თავადაც იცით...

ლენინს როპჩის პატიმარი ქურდი თამაშობს. ის შთამომავლობითი კანონიერი გარეწარია. არის აზრი, რომ აქტიურად ემზადება გასაქცევად...

გავჩუმდი. პოლიტმომზადების შეფს ხომ ვერ ვუამბობდი იმას, რაც ტყეში მოხდა.

ხურიევი განაგრძობდა:

— ძერჟინსკის როლში ცურიკოვია, მეტსახელად მოტილი (სკოლის მატლი), მეოთხე ბრიგადიდან. ის მცირეწლოვანთა გარყვნის გამო იხდის სასჯელს. არის მონაცემები, რომ პლანზე ზის... ტიმოფეის როლშია გეშა, შერეკილი სანიტნაწილიდან. პასიური ჰომოსეკი... პოლინას როლს ასრულებს ტომკა ლემტევა სამნეო ნაწილიდან, ისეთი თაიგულია, ნუ იტყვი... მოკლედ, შეიძლება ნარკოტიკების მოხმარება. ლებედევასთან დაუშვებელი კონტაქტებიც გაითვალისწინეთ. ამ კახპამ, ოღონდ კი ზეკების გვერდით იტრიალოს... გამიგეთ?

— გაუგებარი აქ რაა? ჩვენი ადამიანები არიან...

— ჰოდა, შეუდექით საქმეს. რეჟისორის ასისტენტი იქნებით. ტყის საჭრელ მონაკვეთზე მორიგეობა არ მოგიწევთ. კაპიტან ტოკარს მე გავაფრთხილებ.

— თანახმა ვარ.

— ექვსს რომ ათი აკლება, მაშინ მოდით.

ექვსამდე ყაზარმაში ვიბორიალე. ორჯერ ოპერატიული ჯგუფების შემადგენლობაში ჩემი სადღაც გაგზავნა უნდოდათ. ვპასუხობდი, რომ უფროს ლეიტენანტ ხურიევის განკარგულებაში ვიყავი და შემეშვნენ. მხოლოდ ზემდეგი დაინტერესდა:

— თქვენ მანდ რა საქმეები გაქვთ? საიუბილეოდ რაღაც სისულელეებს ატრიალებთ?

— ვდგამთ, — ვეუბნები, — რევოლუციურ პიესას ლენინზე. ადგილობრივ არტისტთა ძალებით.

— ვიცი, ეგ თქვენი არტისტები ვინც არიან. მაგათ ოღონდ რამე დასალევი გაშანსონ...

დაახლოებით ექვსისთვის ლენინის ოთახში ვიჯექი. ერთი წუთის შემდეგ პორტფელიანი ხურიევიც მოვიდა.

— პირადი შემადგენლობა სადაა?

— მოვლენ, — ვეუბნები, — ალბათ, სასადილოში დაყოვნდნენ.

ამ დროს გეშა და ცურიკოვი შემოვიდნენ.

ცურიკოვს მისი გამოცალკევებულად მუშაობიდან ვიცნობდი. ეს იყო პირქუში, გამხდარი ზეკი, რომელსაც საძაგელი ჩვევა ჰქონდა — წარამარა იფხანდა სხეულის სხვადასხვა ნაწილს.

გეშა სანიტნაწილში მუშაობდა. შენობას გვიდა, ავადმყოფებთან მიდიოდა. პახანებისთვის აბებს, ვიტამინებს და სპირტზე დაყენებულ წამლებს იპარავდა.

ოდნავ წაცეკვებით დადიოდა. რაღაც უჩინარ, შეუმჩნეველ რიტმს მორჩილებდა. პახანები ცოცხალ ზონაში კოცონთან არ უშვებდნენ...

— ზუსტად ექვსია, — თქვა ცურიკოვმა და დაუზრელად მოიქავა მუხლი.

გეშა რაღაცას ხლაფორთობდა. მოვიდა გურინი, რომელსაც ცუდი რეცხვისგან გაყვითლებული პერანგი ეცვა.

— ცხელა, — თქვა მან, — ნამდვილი ტაშკენტია... და საერთოდ, ზონა კი არა, კულტურის სახლია. ჯარისკაცები ერთმანეთს "თქვენობით" მიმართავენ. ნუთუ აქედან გარბიან?

— გარბიან, — უპასუხა ხურიევმა.

— აქეთ მორბიან თუ აქედან გარბიან?

— აქედან, — გაუღიმებლად უპასუხა პოლიტხელის მოადგილემ.

— მე კი მეგონა, პირდაპირ კაპიტალისტური ჯუნგლებიდან მორბოდნენ.

— იხუმრეთ და კმარა, — თქვა ხურიევმა.

ამ დროს იაფფასიანი კოსმეტიკისა და ექვსთვიანი დახვეული თმის ღრუბელში გახვეული ლებედევა მოვიდა.

ის პატიმარი არ იყო, მაგრამ ლაგერული მანერებითა და ქურდული ენით მოლაპარაკე ქალი გახლდათ. საერთოდ, ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის მუშაკები ერთ თვეში პატიმრებს ემსგავსებოდნენ. დაქირავებული ინჟინრებიც კი, ჯარისკაცებზე რომ არაფერი ვთქვათ...

— საქმეს შევუდგეთ, — თქვა ხურიევმა.

მსახიობებმა ჯიბეებიდან დაჭმუჭნილი ფურცლები დააძრეს.

— როლები ოთხშაბათისთვის უნდა გქონდეთ შესწავლილი.

შემდეგ ხელი ასწია:

— გაცნობთ ძირითად აზრს. პიესის ცენტრალური თემა გრძნობასა და მოვალეობას შორის ბრძოლაა. ამხანაგი ძერჟინსკი თავისი ავადმყოფობის უგულებელყოფით თავს ბოლომდე სწირავს რევოლუციას. ამხანაგი ლენინი დაჟინებით ურჩევს, რომ შვებულებაში წავიდეს. ძერჟინსკი ამაზე კატეგორიულად ამბობს უარს. პარალელურად ტიმოფეის ხაზი ვითარდება. ის ცხოველური ჟინით იმსჭვალება პოლინას მიმართ და მის თვალში მსოფლიო რევოლუცია იჩრდილება. პოლინა წვრილბურჟუაზიული განწყობილებების ტიპური გამომხატველია.

— ფარცოვშჩიკის ტიპისა? — ხმამაღლა კითხულობს ლებედევა.

— ნუ მაწყვეტინებთ... მისი იდეალი მეშჩანური კეთილდღეობაა. ტიმოფეის გრძნობასა და მოვალეობას შორის კონფლიქტის ჟამი უდგას. ძერჟინსკის პირადი მაგალითი ჭაბუკზე ძლიერ მორალურ ზემოქმედებას ახდენს. ამის შედეგად მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს... მგონი, ყველაფერი ნათელია, არა? დავიწყოთ, მაშ ასე, ძერჟინსკი მუშაობს... ცურიკოვ, მუხლი მუხლზე გადადებული დაჯექი. შემოდის ვლადიმირ ილიჩი. ხელში ჩემოდანი უჭირავს... ჩემოდანი ჯერ არა გვაქვს, გარმონის ბუდე გამოვიყენოთ, დაიჭით... მაშასადამე, ლენინი შემოდის. აბა, ჰე!

გურინი ჩაიცინებს და მხნედ ამბობს:

— გამარჯობა, ფელიკს ედმუნდოვიჩ!

(მან "здрасьте" ლენინსავით წარმოთქვა — "здгасьте").

ცურიკოვმა კისერი მოიფხანა და მოღუშულად უპასუხა:

— გაგიმარჯოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტი პატივისცემა, — უკარნახა პოლიტგანათლების დარგში მოადგილემ.

— გამარჯობათ, — ოდნავ უფრო ხმამაღლა თქვა ცურიკოვმა.

— იცით, ფელიკს ედმუნდოვიჩ, რა მიჭირავს ხელში?

— ჩემოდანი, ვლადიმირ ილიჩ.

— თქვენ იცით, რისთვის მჭირდება ის?

— სდექ! — იყვირა ხურიევმა, — აქ ნათქვამია: "ლენინი ეშმაკურად". ეს "ეშმაკურად" სადაა? ვერ ვხედავ...

გურინმა ბუდიანი ხელი წინ გამოსწია და ძერჟინსკის თავხედურად ჩაუკრა თვალი.

— ჩინებულია, — თქვა ხურიევმა, — განაგრძეთ. "თქვენ იცით, რისთვის მჭირდება ის?"

— თქვენ იცით, რისთვის მჭირდება ის?

— აზრზე არა ვარ, — თქვა ცურიკოვმა.

— უზრდელობა არ დავინახო, — ისევ ჩაერია რეპეტიციაში ხურიევი, — უფრო რბილად თქვით. თქვენს წინაშე ლენინია. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი...

— აზრზე არა ვარ, — ისევ ისე პირქუშად თქვა ცურიკოვმა.

— ეს უკვე უკეთესადაა. განაგრძეთ.

გურინმა ისევ ჩაუკრა თვალი ძერჟინსკის, ოღონდ ახლა უფრო თავაშვებულად.

— ეს პატარა ჩემოდანი თქვენთვისაა, ფელიკს ედმუნდოვიჩ, რათა თქვენ, ბატენკა, სასწრაფოდ წახვიდეთ დასასვენებლად.

ცურიკოვს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებია ბეჭის მოსაფხანად.

— არ შემიძლია, ვლადიმირ ილიჩ, ყველგან კონტრრევოლუციაა. მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ქვემძრომები...

— ქვეწარმავლები, — გაუსწორა ხურიევმა. — განაგრძე.

— თქვენი ჯანმრთელობა, ფელიკს ედმუნდოვიჩ, რევოლუციას ეკუთვნის. მე და ამხანაგებმა ვითათბირეთ, და გადავწყვიტეთ, რომ უნდა დაისვენოთ. თქვენ მე ამას როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გეუბნებით...

ამ დროს მოულოდნელად ქალის ტირილი გაისმა. ლებედევა სუფრაზე თავჩამოდებული ქვითინებდა.

— ცოდოა ფელიკსი, — ახსნა თავისი ქვითინი ტამარამ, — მუცლის ჭიასავით გამხდარია.

— დისტროფიკები უფრო გამძლენი არიან, — არაკეთილგანწყობილად ამოღერღა გეშამ.

— შესვენება, — გამოაცხადა ხურიევმა.

შემდეგ მე მომიბრუნდა:

— აბა, რას იტყვით? ჩემი აზრით, მთავარი ჩავლებულია!

— უჰ, წამოიძახა ლებედევამ, — როგორ უაღრესად ცხოველმყოფელურადაა!.. როგორც ზღაპარში...

ცურიკოვმა საფუძვლიანად მოიფხანა მუცელი. ამასთან მისი მზერა დაიბინდა.

გეშა გაქცევების რუკას სწავლობდა. ეს საეჭვოდ გამოიყურებოდა, თუმცა რუკა ღიად ეკიდა.

გურინი სპორტულ თასებს ათვალიერებდა.

— განვაგრძოთ, — თქვა ხურიევმა.

არტისტებმა სიგარეტები ჩააქრეს.

— ტიმოფეისა და პოლინას რიგი დადგა. სცენა ჩეკას მისაღებში. ტიმოფეი კომუტატორთან მორიგეობს. პოლინა შემოდის. დავიწყოთ!

გეშა ტაბურეტზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა. ლებედევმა პატარა ვარდისფერი თავსაფრის ქნევა-ქნევით მისკენ გადადგა ნაბიჯი.

— ტიმოშა! ა, ტიმოშა!

ტიმოფეი:

— რატომ მოხვედი? თუ სახლში ცუდადა გაქვს საქმე?

— მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, ჩემო ნაცარაფრთიანო მტრედო...

ტიმოფეი:

— შინ წადი, პოლია. აქ ხომ ქოხ-სამკითხველო არაა.

ლებედევამ საფეთქელზე მუშტები მიიჭირა და გულისგამგმირავი ხმით აღრიალდა:

— უცხო ვარ მე შენთვის, გეჯავრები... შენ ჩემი საუკეთესო წლები დალუპე... შენ მე მინდორში ცირცელი როა, ისე მარტოხელა დამტოვე...

ლებედევას ძალიან უჭირდა დამშვიდება. თვალები დაუწითლდა. ტუში სველ ლოყებზე ღვარღვარით ჩამოსდიოდა.

ტიმოფეი, პირიქით, თითქმის მასხრობდა.

— ასეთი სამუშაო მაქვს, — გამოსცრა მან.

— ნეტა დედამიწის კიდისკენ გამამგზავრა! — კრუსუნებდა პოლინა.

— ვრანგელისკენ ხომ არა? — ყურები დაცქვიტა ტიმოფეიმ.

— ჩინებულია, — იმეორებდა ხურიევი, — ლებედევა, უკანალს ნუ გამოზნექ. ჩმიხალოვ, გმირ ქალს ნუ ეფარებით (ასე გავიგე მე გეშას გვარი — ჩმიხალოვი). გავუტიეთ... ძერჟინსკი შემოდის... ა, ახალგაზრდა თაობავ?!

ცურიკოვმა ამოახველა და წარბებშეკრულმა თქვა:

— ა, ბოზო, ახალგაზრდა თაობაო, ამბობ?!

— ეს რა პარაზიტი სიტყვებია? — ისევ ჩაერია რეპეტიციაში ხურიევი.

— ა, რას იტყვი, ახალგაზრდა თაობავ?!

— ჯანმრთელობას გისურვებთ, ფელიკს ედმუნდოვიჩ, — წამოიწია გეშამ.

— შენ უნდა შეცბუნდე, — უკარნახა ხურიევმა.

— მე მგონი, ის უნდა წამოხტეს, — თქვა გურინმა.

გეშა წამოხტა, თან ტაბურეტი წააქცია. შემდეგ ქუდთან ხელის მიტანით მიესალმა და ხელისგულით თავის მოპარსულ შუბლს შეეხო.

— ჯანმრთელობას გისურვებთ! — იყვირა მან.

ძერჟინსკიმ ზიზღით ჩამოართვა ხელი. ზონაში პედერასტები არ უყვარდათ. განსაკუთრებით პასიურნი.

— უფრო დინამიურად! — ითხოვა ხურიევმა.

გეშა უფრო ჩქარა ალაპარაკდა. შემდეგ კიდევ უფრო მოუჩქარა. ის, რაკი ჩქარობდა, სიტყვებს ყლაპავდა:

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ფელიკს ედმუნდოვიჩ... ჩემი პოლინა მთლად გატყიურდა. ექვიანობს — ჩემს თავს სამსახური გირჩევნიაო, გაიგე? (გეშას "понял"-ის მაგივრად "поэл" გამოსდიოდა)... მოწყენილი ვარო, ამბობს... არადა, მე ხომ მიყვარს ის, პოლინკა... ჩემი საცოლეა ის, გაიგე? ჩემი გული შეჭამა, გაიგე?

— ისევ პარაზიტ სიტყვებს გაიძახით, — იყვირა ხურიევმა, — უფრო ყურადღებით იყავით!

ზურგისკენ მიბრუნებული ლებედევა ტუჩებს ილებავდა.

— შესვენება! — გამოაცხადა პოლიტმომზადების დარგში უფროსის მოადგილემ. — დღეისთვის კმარა.

— დასანანია, — თქვა გურინმა, — მე სწორედ ახლა მეწვია შთაგონება.

— მოდით, შევაჯამოთ შედეგები.

ხურიევმა ბლოკნოტი დააძრო და განაგრძო:

— ლენინი მეტ-ნაკლებად ჰგავს ადამიანს, ტიმოფეის — ოთხს მინუსი. პოლინა, გულწრფელად ვიტყვი, მე რომ ვფიქრობდი, იმაზე უკეთესია. აი, ძერჟინსკი დამაჯერებელი არაა, აშკარად არაა. გახსოვდეთ: ძერჟინსკი რევოლუციის სინდისი იყო. უშიშარი და უზადო რაინდი. თქვენ კი რაღაც რეციდივისტი გამოგდით...

— შევეცდები, — გულგრილად აღუთქვა ცურიკოვმა.

— იცით, რას ამბობდა სტანისლავსკი? — განაგრძო ხურიევმა. — სტანისლავსკი ამბობდა — არ მჯერაო! მსახიობი თუ ცრუობდა, ყალბობდა, სტანისლავსკი რეპეტიციას წყვეტდა და ამბობდა — არ მჯერა!..

— მენტებიც ამას ამბობენ, — შენიშნა ცურიკოვმა.

— რაო?

— მენტებიც ამას იმეორებენ-მეთქი. არ მჯერა... არ მჯერა... ერთხელ როსტოვში ჩამავლეს, გამომძიებელი კი ნაგავი იყო...

— თავს ნუ იგდებთ! — იყვირა პოლიტხელის მოადგილემ.

— თანაც მანდილოსნის დასწრებით, — ჩაერთო გურინი.

— მე თქვენი მანდილოსანი არა ვარ, — ხმას აუწია ხურიევმა, — რეგულარული არმიის ოფიცერი გახლავართ!

— თქვენზე არ მითქვამს, — განმარტა ხურიევმა, — ლებედევაზე ვთქვი.

— ა-ა, — თქვა ხურიევმა.

შემდეგ მე მომიბრუნდა:

— შემდგომში უფრო აქტიური იყავით. მოამზადეთ თქვენი შენიშვნები... თქვენ კულტურული, განათლებული ადამიანი ხართ... ახლა კი შეგიძლიათ დაიშალოთ. ოთხშაბათს შევხვდებით ერთმანეთს... რა გემართებათ, ლებედევა?

ტამარა ცახცახებდა, პატარა თავსაფარს ჭმუჭნიდა.

— განვიცდი...

— ჩინებულია. ამას გარდასახვა ჰქვია.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და დავიშალენით, მე გურინი მეექვსე ბარაკამდე მივაცილე. ერთი გზა გვედო.

ამ დროისთვის დაბნელდა. ბილიკს მესერს ზემოთ დაკიდებული ყვითელი ნათურები ანათებდა. ტყვიისმისაწვდენ დერეფანში ჯაჭვების წკარუნ-ჟღარუნით დარბოდნენ.

გურინმა მოულოდნელად იკითხა:

— მაინც რამდენი ადამიანი გაჟუჟეს მათ?

— ვინ? — ვერ გავიგე.

— ვინა და იმ მამაძაღლებმა... ლენინმა და ძერჟინსკიმ. ამ უშიშარმა და უზადლო რაინდებმა....

მე კრინტი არ დამიძრავს. საიდან ვიცი, შემიძლია თუ არა მას ვენდო, და საერთოდ, ეს გურინი ჩემთან ასე გულწრფელი რატომაა?..

ზეკი არ ცხრებოდა:

— აი, მაგალითად, მე ქურდობის გამო ჩავჯექი. მოტილს, ვთქვათ, მისამართი შეეშალა. გეშს ფარცოვშჩიკის დონეზე აქვს რაღაცა... როგორც ხედავთ, არც ერთი სველი საქმე არა გვაქვს... ამათ კი რუსეთი სისხლში ჩაახრჩვეს, და ვითომც არაფერი...

— იცით, რა, — ვეუბნები, — თქვენ უკვე მეტისმეტად...

— აქ მეტისმეტი რაა? ყველაზე სისხლიანი ალვირახსნილები ხომ ისინი არიან...

— მომისმინეთ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

— არის! — თქვა მან.

ამის შემდეგ სამი თუ ოთხი რეპეტიცია ჩატარდა. ბურიევი ცხარობდა, შუბლს ტუალეტის ქაღალდით იწმენდდა და ყვიროდა:

— არ მჯერა! ლენინი ზღვარს გადადის. ტიმოფეი ხუშტურიანია. პოლინა უკანალს ატრიალებს. ძერჟინსკი კი საერთოდ ბანდიტს ჰგავს.

— მე ვის უნდა ვგავდე? — პირქუშად კითხულობს ცურიკოვი. — რაცა ვარ, ისა ვარ.

— თქვენ გარდასახვაზე რამე გსმენიათ? — ჩაეძია ხურიევი.

— მსმენია, — ყოყმანით უპასუხა ზეკმა.

— მაინც რა გსმენიათ? უბრალოდ საინტერესოა, რა გსმენიათ?

— გარდასახვა, — ძერჟინსკის მაგივრად ახსნა გურინმა, — ისაა, როცა ნაფიცი ქურდები იმათთვის მუშაობენ, ვინც... ან, დავუშვათ, კაცი გაქანებული ფრაერია, მაგრამ ურკასავითაა გონორზე...

— ხმა, კრინტი! — ბრაზობს ხურიევი. — ლებედევა, მკერდს წინ ნუ ბზიკავთ. უფრო შინაარსზე იფიქრეთ.

— ბიუსტები ირხევიან, — წუწუნებდა ლებედევა, — ფეხები კი მიშუპდება. ცოტას ვჭამ, ხაჭოს და კვერცხს...

— ბაცილაზე ხმა არ დასძრა, — კაბაზე ქაჩავს გურინი.

— მოდი, — წრიალებს გეშა, — ერთხელაც ვცადოთ, ვგრძნობ, რომ ამჯერად უეჭველად გარდავისახები...

მე ვცდილობ, როგორმე ვიაქტიურო. ტყუილუბრალოდ კი არ ამომშალეს ბადრაგას გრაფიკიდან. ტაიგაში გაყინვას ისევ რეპეტირება ჯობია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცას ვლაპარაკობდი, ვხმარობდი გამოთქმებს: მიზანსცენა, ზეამოცანა, საჯარო მარტოობა...

ცურიკოვი საუბრებში თითქმის არ მონაწილეობდა. და თუ რამეს ამბობდა, სავსებით მოულოდნელად ამბობდა. მახსოვს, ლენინზე ვლაპარაკობდით და ცურიკოვმა უცებ თქვა:

— ისეც ხდება, რომ ადამიანს მურტალი გარეგნობა აქვს, ის კი ჯანსაღია, გამოყვანილი ძეხვის ტიპის რაღაც.

გურინმა გაიცინა:

— შენ გგონია, რომ ჩვენ ჯერ გვახსოვს, ის როგორ გამოიყურება? ძეხვზე ვამბობ.

— ხმა, კრინტი! — ბრაზდებოდა პოლიტხელის მოადგილე...

ჩვენს დრამწრეზე ხმები ლაგერში გავრცელდა. პიესასთან და ბელადებთან დამოკიდებულება ორნაირი იყო. ლენინს, საერთო ჯამში, პატივს სცემდნენ, ძერჟინსკის მაინც და მაინც არა. სასადილოში ერთმა განმწესელებმა გასძახა ცურიკოვს:

— შენც ნახე, რაღა, სამუშაო, მოტილ! გაჩეკისტდი.

ცურიკოვმა ამის პასუხად უსიტყვოდ რეკა თავში ჩამჩა...

განწესებული წაიქცა. სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ კუშტმა ხისმზიდავებმა უთხრეს ცურიკოვს:

— ჩამჩა გარეცხე. მას ახლა ბალანდაში ხომ არ ჩაყოფ...

გეშას დროდადრო ეკითხებოდნენ:

— აბა, ძველო, შენ ვის ანსახიერებ? კრუპსკაიას?

მაგრამ გეშა ამაზე ორჭოფულად რეაგირებდა:

— იცით, რა... მუშა ყმაწვილს... კანონიერს...

და მხოლოდ გურინი დასეირნობდა ლაგერში გაბღენძილად. მან ისწავლა ლენინისებურად ლაპარაკი:

— Вегной дорогой идете, товагиши гецидивисты!..

— ჰგავს, — ამბობდნენ ზეკები... — ნამდვილი კინოა...

ხურიევი ყოველდღე უფრო და უფრო მეტად ნერვიულობდა. გეშა ტორტმანით დაიარებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და წარამარა ისწორებდა არარსებულ მაუზერს. ლებედევა ძირითად სამუშაოზეც კი თითქმის განუწყვეტლად სლუკუნებდა. ის ისე მოსუქდა, რომ იმპორტულ ყავისფერ ჩექმებზე ჭრილებს ველარ იკრავდა. ოდნავ ცურიკოვიც კი შეიცვალა, გადასხვაფერდა. მას ჭლექიანის ხრინწიანი ხველება აუტყდა. სამაგიეროდ, ფხანა შენყვიტა.

დადგა გენერალური რეპეტიციის დღე. ლენინს პატარა წვერი და ულვაშები მიაწებეს. ამ მიზნით კარცერიდან დროებით გამოიყვანეს ყალბი ფულის მჭრელი ჟურავსკი. მას მტკიცე ხელი და პროფესიონალური მხატვრული გემოვნება ჰქონდა.

გურინს თავიდან ნატურალური წვერის მოშვება უნდოდა, მაგრამ ოპერმა აუხსნა, რომ ის რეჟიმით აკრძალული იყო.

სპექტაკლამდე ერთ თვეში არტისტებს იმის ნება დართეს, რომ თმა არ შეეკრიჭათ, გურინს თავისი უტყუარი, ნაღდად ისტორიული მოტვლეპილი თავი შერჩა. გეშა წითური აღმოჩნდა. ცურიკოვს სავსებით შესაბამისად თმა ბუძგურად შეეჭრა.

ლენინს ვიწრო სამოქალაქო პატარა კოსტიუმი ჩააცვეს, რაც ცხოვრებისეულ სიმართლეს ესატყვისებოდა. გეშასთვის ლეიტენანტ როდიჩევთან ტყავის პიჯაკი გამონახეს. ლებედევამ საგარეო ხავერდის კაბა ოდნავ დაიმოკლა. ცურიკოვს დიაგონალის გიმნასტურა გამოუყვეს.

გენერალური რეპეტიციის დღეს ხურიევი ძალიან ნერვიულობდა, თუმცა ყველა ამჩნევდა, რომ ის შედეგებით კმაყოფილია. ის ამბობდა:

— ლენინს — მაგარი ოთხიანი. ტიმოფეის — ოთხი პლუსით. ძერჟინსკის — სამი მინუსით. პოლინას — სამი დიდი გაჭირვებით...

— ხაზი არის, — ირწმუნებოდა რეპეტიციებზე ნამყოფი ჟურავსკი, — ხაზი არის...

— თქვენ რას იტყვით? — მკითხა პოლიტხელის მოადგილემ.

მე რაღაც ვილაპარაკე ზეამოცანასა და ქვეტექსტზე.

ბურიევი კმაყოფილი სახით აკანტურებდა თავს...

შვიდი ნოემბერიც დადგა. დილიდან მესერზე ოთხი წითელი დროშა დაეკიდა. მეხუთე საჯარიმო იზოლატორის შენობაში იყო დამაგრებული. მეტალის რეპროდუქტორებიდან "ვარშავიანკის" ჰანგები მოისმოდა.

იმ დღეს მხოლოდ სამეურნეო მომსახურებაში დასაქმებულნი მუშაობდნენ. ხე არ იჭრებოდა. სანარმოო ბრიგადები ზონაში დარჩნენ.

პატიმრები უაზროდ დაბორიალებდნენ ჯგუფჯგუფებად. დღის პირველი საათისთვის მათ შორის მთვრალები აღმოჩნდნენ.

რაღაც ამდაგვარი ხდებოდა ყაზარმაშიც. ბევრი დილიდანვე წავიდა ღვინის მოსატანად. სხვები ტერიტორიაზე გალეღილგიმნასტურიანნი დაეხეტებოდნენ.

იარაღის პარკს ექვსი საიმედო ზეგადიანი იცავდა. სასურსათო საწყობის ახლოს ზემდეგი მორიგეობდა.

დაფაზე გამოკიდეს განკარგულება:

"იუბილის შემთხვევასთან დაკავშირებით სამხედრო სიფხიზლის გაძლიერების შესახებ".

სამი საათისთვის პატიმრები მეექვსე ბარაკის გვერდითა მოედანზე მოაქუჩეს. ლაგერის უფროსმა მაიორმა ამოსოვმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა:

— რევოლუციური ზეიმები ყველა საბჭოთა მოქალაქეს ეხება... იმ ადამიანებსაც, რომლებიც დროებით გადაცდნენ გზას... ვილაცები მოკლეს, გაძარცვეს, გააუპატიურეს, ერთი სიტყვით, უბედურებები დაატრიალეს... პარტია ამ ადამიანებს გამოსწორების საშუალებას აძლევს... ისინი დაუცხრომელი ფიზიკური შრომის გზით სოციალიზმისკენ მიჰყავს... მოკლედ, გაუმარჯოს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს!.. მთვრალებსა და გაბოლილებს კი, როგორც იტყვიან, დავსჯით... პირუტყვთმავლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, თორემ მე-

ზობლების თხების ნახევარიც არ დატოვეს ისე ... ამათი დედაც ასე და ისე...

— კარგი, ერთი! — გაისმა ხმა მწკრივიდან. — რა გამოდის? მე ზაპოროჟიეს საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ქალიშვილს ვჟიმავდი და თხა ვინ მიგდია, მისი გაჟიმვის უფლება არა მაქვს, რო?..

— გაჩუმდით, გურინ, — თქვა ლაგერის უფროსმა. — ისევ თქვენ ფიგურირებთ! ჩვენ მას ლენინის თამაში ვანდეთ, ეგა კიდე თხაზე ოცნებობს... რა ხალხი ხართ, რა ხალხი?..

— რაცა ვართ, ისა ვართ, — უპასუხეს მწკრივიდან, — ძაღლები და ძაღლიშვილები ვართ...

— ხელიდან წასულნი, წყალწაღებულები ხართ, ვხედავ, — თქვა მაიორმა.

მის უკან ხურიევმა გამოჰყო თავი:

— ერთი წუთით, არ დაიშალოთ. ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე საერთო კრებაა. საზეიმო ნაწილის შემდეგ კონცერტია. დასწრება სავალდებულოა. მოუარეები იზოლატორში ამოჰყოფენ თავს. შეკითხვები გაქვთ?

— იმდენი შეკითხვა გვაქვს, რო... — მოაწვდინეს ხმა მწკრივიდან, — გკითხოთ? სარეცხი საპონი სად გაქრა? შეპირებული თბილი ფეხსახვევები სად ჯანდაბაშია? უკვე სამი თვეა კინო არ მოაქვთ. რატომ? როკისმჭრელებს ხელთათმანებს მისცემენ თუ არა?.. კიდევ გკითხოთ?.. ჯიხურს როდის ააშენებენ ტყის ჭრის უბანში?..

— ჩუმად! ჩუმად! — იყვირა ხურიევმა. — საჩივრები დადგენილი წესით, ბრიგადირების ხელით მოგვაწვდინეთ! ახლა კი დაიშალეთ.

ერთხანს იბუზღუნეს და დაიშალნენ.

ექვსი საათისთვის პატიმრები ბიბლიოთეკის ახლოს ჯგუფ-ჯგუფებად მოქუჩდნენ. საერთო კრება აქ, ყოფილ ტარის სახელოსნოში, ტარდებოდა. უფანჯრებო ფიცრულ ფარდულში ხუთასი კაცი ეტეოდა.

პატიმრები გაიპარნენ და ყელიანი ფეხსაცმლები დაიკრიალეს. ზონაში პარიკმახერად მკვლელი მამედოვი მუშაობდა. მამედოვი ყოველთვის, როცა ვინმეს კისერზე პირსახოცს ახვევდა, ეუბნებოდა:

— ერთი გამოსმა და სულიც ამოგხდება!..

ეს მისი პროფესიული ხუმრობა იყო.

ლაგერის ადმინისტრაცია საპარადო მუნდირებში გამოიჯგიმა, პოლიტმომზადების დარგში მოადგილე ნურიევის ჩექმებზე ტყვიისმისაწვდენი დერეფნის თავზე მოციმციმე ნათურების შუქი ირეკლებოდა. სამეურნეო მომსახურებაში ნებსით დაქირავებული ქალები ჰიგიენური ოდეკოლონის სუნს აფრქვევდნენ. სამოქალაქო მოსამსახურეებს იმპორტული პიჯაკები ეცვათ.

ფარდული დაკეტილი იყო. შესასვლელთან ზევადიანებმა მოიყარეს თავი. შიგნით საზეიმო ნაწილისთვის ემზადებოდნენ.

ბუგორი აგეშინი კარსზემოთ ტრანსპარანტს ამაგრებდა. მეწამულ ფონზე გუაშით იყო გამოყვანილი:

"პარტია ჩვენი მესაჭეა!"

ხურიევი უკანასკნელ განკარგულებებს იძლეოდა. ირგვლივ ცურიკოვი, გეშა და ტამარა ეხვივნენ. შემდეგ გურინი გამოჩნდა. მეც მათ მივუახლოვდი.

ხურიევმა თქვა:

— ყველაფერი კეთილად თუ დამთავრდება, ერთ კვირას შეგასვენებთ — შვიდ დღემაგიერს მოგცემთ. ამას გარდა, იგეგმება გასვლითი კონცერტი როპჩში.

— სადა, სადაო? — დაინტერესდა ლებედევა.

— შვეიცარიაში, — უპასუხა გურინმა.

ექვს საათსა და ოცდაათ წუთზე ფარდულის კარები გაიღო. პატიმრები ხმაურით მოკალათდნენ ხის სკამებზე. სამმა ზედამხედველმა პრეზიდიუმის წევრებისთვის სკამები შემოიტანა.

რიგებს შორის სცენისკენ დამწკრივებულად გაიარა მთლად უფროსობამ.

სიჩუმე ჩამოწვა. ვიღაცამ გაუბედავად შემოჰკრა ტაში. მას აჰყვნენ.

მიკროფონის წინ ხურიევი აისვეტა. პოლიტხელის მოადგილემ გაიღიმა და კბილის საიმედო ვერცხლის გვირგვინები გამოაჩინა. შემდეგ ქაღალდში ჩაიხედა და დაიწყო:

— აი, უკვე სამოცი წელია... ისმის?

პასუხის ნაცვლად დარბაზიდან მოისმა:

— სამოცი წელია თავისუფლების ჭაჭანება არაა...

კაპიტანმა ტოკარმა წამოიწია, რათა უკეთ დაეხსომებინა წესრიგის დამრღვევი.

ხურიევმა ხმას აუწია. საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ჩამოთვალა. გერმანიაზე გამარჯვება გაიხსენა, გააშუქა მიმდინარე პოლიტიკური მომენტი, არც კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პრობლემისთვის აუვლია გვერდი.

შემდეგ სიკტივკარიდან ჩამოსული მაიორი გამოვიდა. ილაპარაკა გაქცევებსა და საბანკო დისციპლინაზე. მაიორი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მას არ უსმენდნენ.

შემდეგ სცენაზე ლეიტენანტი როდიჩევი დადგა. გამოსვლა ასე დაიწყო:

— ხალხში იშვა დოკუმენტი...

ამას მოჰყვა სოციალისტური ვალდებულებების მსგავსი რაღაც. დამახსომდა ფრაზა: "... ლაგერულ მკვლელობათა რიცხვი შემცირდეს ოცდაექვსი პროცენტით..."

დაახლოებით საათი გავიდა. პატიმრები ხმადაბლა საუბრობდნენ, ეწეოდნენ. უკანა რიგები უკვე კარტს თამაშობდნენ.

შემდეგ ხურიევმა გამოაცხადა:

— კონცერტი!

ჯერ უცნობმა ზეკმა კრილოვის ორი იგავ-არაკი წაიკითხა. ჭრიჭინას განსახიერებისას ის ქაღალდის მარაოს არხევდა. გაჭიანჭველებული წარმოსახულ ნიჩაბს იქნევდა.

შემდეგ აბანოების გამგე ტარასიუკი ელექტრონის ნათურებით ჟონგლიორობდა. მეტი და მეტი ნათურა ჩნდებოდა. ბოლოს ტარასიუკმა ისინი ერთდროულად აისროლა. შემდეგ მუცელზე რეზინი გაიჭიმა და ნათურები სატინის რაღაცნაირ შარვალში ცვიოდნენ.

მერე ლეიტენანტმა როდიჩევმა მაიაკოვსკის ლექსი წარმოთქვა. ფეხები გაფარჩხა და ცდილობდა ბოხი ხმით ელაპარაკა.

ის შეცვალა რეციდივისტმა შუშანიამ, რომელმაც უაკომპანიმენტოდ იმღერა "ციგანოჩკა". როცა მას ტაშს უკრავდნენ, წამოიძახა:

— დასანანია, რომ ბითურული ჩექმები მაცვია, ის ეფექტი არ იქმნება!..

ახლა გამოაცხადეს განმწესებელი ლოგინოვი "გიტარის თანხლებით".

ის გამოვიდა, დარბაზს მიესალმა, დაკვრა დაიწყო და ამღერდა:

**Цыганка с картами, глаза упрямые,**
**Монисто древнее и нитка бус.**
**Хотел судьбу пытать бубновой дамою,**
**Да снова выпал мне пиковый туз.**

**Зачем же ты, судьба моя несчастная,**
**Опять ведешь меня дорогой слез?**
**Колючка ржавая, реметка частая,**
**Вагон столыпинский и шум колес…**

ლოგინოვს დიდხანს უკრავდნენ ტაშს და "ბისზე" მღერას სთხოვდნენ. მაგრამ პოლიტხელის მოადგილე გამოვიდა და თქვა:

— როგორც იტყვიან, კარგი ცოტცოტაობითაო...

შემდეგ ქამარი შეისწორა, დარბაზის გაჩუმებას დაელოდა და ყვირილით გამოაცხადა:

— რევოლუციური პიესა "კრემლის ვარსკვლავები". როლებს ასრულებენ უსტ-ვიმსკის ლაგპუნქტის პატიმრები, ვლადიმირ ილიჩ ლენინი — პატიმარი გურინი. ფელიკს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკი — პატიმარი ცურიკოვი. წითელარმიელი ტიმოფეი — პატიმარი ჩმიხალოვი. ვაჭრის ქალიშვილი პოლინა — სამნეო ნაწილის მუშა-ქალი ლებედევა ტამარა ევგენიევნა... მაშ ასე, მოსკოვი, ათას ცხრაას თვრამეტი წელი...

ხურიევმა უკუსვლით დატოვა სცენა. პროსცენიუმზე გამოიტანეს სკამი და ცისფერი ფანერის ტუმბა. შემდეგ სცენაზე დიაგონალისგიმნასტურიანი ცურიკოვი ავიდა. მან ფეხი მოიფხანა, დაჯდა და ღრმად დაფიქრდა. შემდეგ გაახსენდა, რომ ავად იყო, და გამალებით ახველებდა. ისე ახველებდა, რომ გიმნასტურა ქამრის ქვემოდან ამოსძვრა.

ლენინი კი არ ჩნდებოდა. კულისებიდან დაგვიანებით გამოიტანეს უმავთულო ტელეფონის აპარატი. ცურიკოვი ხველებას მორჩა, ყურმილი აიღო და კიდევ უფრო ღრმად ჩაფიქრდა.

დარბაზიდან გამამხნევებლად იყვირეს:

— მიდი, მოტილ, მიდი, ნუ აჯანჯლებ.

ამ დროს შემოვიდა ლენინი, რომელსაც უშველებელი ყვითელი ჩემოდანი ეკავა.

— გამარჯობა, ფელიკს ედმუნდოვიჩ.

— გაგიმარჯოთ, — წამოუდგომლად უპასუხა ძერჟინსკიმ.

გურინმა ჩემოდანი ძირს დადგა და ეშმაკურად თვალებმოჭუტულმა ჰკითხა:

— იცით, ფელიკს ედმუნდოვიჩ, ეს რაა?

— ჩემოდანია, ვლადიმირ ილიჩ.

— რისთვის მჭირდება, იცით?

— აზრზე არა ვარ.

ცურიკოვი ოდნავ შებრუნდა კიდეც, რითაც სრული გულგრილობა დააფიქსირა.

დარბაზიდან ისევ იყვირეს:

— ადე, მოტილინა, ადე! როგორ ებაზრები პახანს?

— შა! — უპასუხა ცურიკოვმა. — გავერკვევით... თქვენ აქ ბევრი ხართ ძალიან განათლებულნი.

მან უხალისოდ წამოიწია.

გურინი სიჩუმეს დაელოდა და განაგრძო:

— პატარა ჩემოდანი თქვენთვისაა, ფელიკს ედმუნდოვიჩ. რათა თქვენ, ბატენკა, სასწრაფოდ წახვიდეთ დასასვენებლად.

— არ შემიძლია, ვლადიმირ ილიჩ, ყველგან კონტრევოლუციაა. მენშევიკები, ესერები, — ცურიკოვმა გულმოსულად მოავლო თვალი დარბაზს, — ბურჟუაზიული... რა ჰქვიათ იმათ?

— ქვეწარმავლები? — კითხვითვე უპასუხა გურინმა.

— ჰო, ჰო, ეგენი...

— თქვენი ჯანმრთელობა, ფელიკს ედმუნდოვიჩ, რევოლუციას ეკუთვნის. და ამხანაგებმა ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ უნდა დაისვენოთ. ამას თქვენ, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, გეუბნებით...

ცურიკოვი დუმდა.

— გამიგეთ, ფელიკს ედმუნდოვიჩ?

— გაგიგეთ, — უპასუხა სურიკოვმა, თან სულელსავით ჩაიცინა.

მას აშკარად დაავიწყდა ტექსტი.

ხურიევი სცენასთან მივიდა და ხმამაღლა დაიჩურჩულა:

— რაც გინდათ, ის ჰქენით...

— მე რა უნდა მინდოდეს? — ასეთივე ხმამაღალი ჩურჩულით უპასუხა ცურიკოვმა, — რა ვქნა, თავში თუ არაფერი მრჩება...

— რაც გინდათ, ის გააკეთეთ, — უფრო ხმამაღლა გაუმეორა პოლიტმომზადების დარგში მოადგილემ, — მე კი სამსახურს თავს არ დავანებებ...

— გასაგებია, — თქვა ცურიკოვმა, — არ დავანებებ...

ლენინმა შეაწყვეტინა:

— რევოლუციის მთავარი მონაპოვარი ადამიანები არიან. მათი გაფრთხილება ......მნიშვნელოვანი საქმეა... ასე რომ, ადექით და ყირიმში წადით, ბატენკა, ყირიმში!

— ადრეა — ეს, ვლადიმირ ილიჩ, ადრეა... — აი, მენშევიკებს მოვუღოთ ბოლო, ბურჟუაზიულ კობრას თავი წავაცალოთ...

— კობრას კი არა, ჰიდრას, — უკარნახა ლენინმა...

— ორივე ერთი ოხერია, — ხელი ჩაიქნია ძერჟინსკიმ.

ამის შემდეგ ყველაფერმა მეტნაკლებად შეუფერხებლად ჩაიარა. ლენინი არიგებდა და არწმუნებდა ძერჟინსკის, მაგრამ ის არ თანხმდებოდა. ცურიკოვმა რამდენჯერმე ძალიან აუწია ხმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ სცენაზე ტიმოფეი გამოვიდა. ლეიტენანტ როგაჩევის ტყავის პიჯაკი ჩეკისტურ ქურთუკს გავდა. პოლინამ ტიმოფეის მოუწოდა ქვეყნიერების დასასრულისკენ გავიქცეთო.

— ვრანგელთან? — ჰკითხა საქმრომ და არარსებულ მაუზერს სტაცა ხელი.

დარბაზიდან იყვირეს:

— სანოლისკენ წაათრიე ეგა, ლოგინისკენ! დაამტკიცე, რომ შენ შარვალში კიდევ გიკრიახებს რაღაც!..

ლებედევა იატაკზე განრისხებით ატყაპუნებდა ფეხებს და ხავერდის კაბას იგლეჯდა. და ისევ ტიმოფეის შესჩიჩინებდა:

— შენ ჩემი საუკეთესო წლები დაღუპე! ველზე ცირცელი რომაა, ისე ეულად დამტოვე!..

მაგრამ პუბლიკა ტიმოფეის უთანაგრძნობდა. დარბაზიდან მოისმოდა:

— ხედავ, როგორ იმასშვება ეგ ბუზანკალი, ეგა! ხედავს, რომ მისი სანთელი ილევა, ქრება!..

სხვები მათ აჩუმებდნენ:

— ნუ აშინებთ არტისტ ქალს, ყურუმსაღებო! გაუშვით, ძალა მოიკრიბოს!

ფარდულის კარი გაიღო და ოპერმა ბორტაშევიჩმა იყვირა:

— სასამართლო ბადრაგებო, გამოდით! ლიუბჩენკო, გუსევ, კორალის, იარაღები მიიღეთ! სერჟანტი ლახნო დოკუმენტების მოსატანად გაიქცეს!

ოთხი ბადრაგა კარისკენ გაემართა.

— მაპატიეთ, — თქვა ბორტაშევიჩმა.

— განაგრძეთ, — ხელი დაიქნია ხურიევმა.

წარმოდგენა ფინალურ სცენას უახლოვდებოდა. პატარა ჩემოდანი უკეთესი დროებისთვის შეინახეს. ფელიკს ედმუნდოვიჩი საბრძოლო ფრონტზე დარჩა. ვაჭრის ქალიშვილს თავისი დაჩემებები მიავიწყდა...

ხურიევმა თვალებით მომძებნა და კმაყოფილად დამიქნია თავი. პირველ რიგში ასევე კმაყოფილად წკურავდა თვალებს მაიორი ამოსოვი.

დასასრულ, ვლადიმირ ილიჩი მიკროფონთან მივიდა. რამდენიმე წამს დუმდა. შემდეგ სახე ისტორიული განჭვრეტის შუქმა გაუცისკროვნა.

— ეს ვინაა? — წამოიძახა გურინმა. — ეს ვინაა?!

სიბნელიდან ბელადს გამხდარი, ფერმიხდილი ფიზიონომიები უმზერდნენ.

— ესენი ვინ არიან? ეს რა ბედნიერი ყმაწვილური სახეებია? ვისია ეს მბრწყინავი თვალები? ნუთუ ეს სამოცდაათიანი წლების ახალგაზრდობაა?..

არტისტის ხმაში რომანტიკული ნოტები გაჟღერდა. მეტყველებაში წრფელი მღელვარება ალიბექდა. ის ჟესტიკულირებდა. მისი ძლიერი, ტატუებით დაფარული მტევანი ცისკენ იყო აშვერილი.

— ნუთუ ესენი ისინი არიან, ვისთვისაც ჩვენ ბარიკადებზე ვიდექით? ნუთუ ესენი რევოლუციის დიდებული შვილიშვილები არიან?..

თავიდან პირველ რიგში გაუბედავად გაიცინეს. წამიც და, ყველა ხარხარებდა. საერთო ქოროში მაიორ ამოსოვის ბოხი ხმა ისმოდა. ლებედევა კიოდა. გეშა ჩმიხალოვი ხელებს ბარძაყებზე იტყაპუნებდა. ცურიკოვმა სცენაზევე მოიცილა პატარა წვერი და მორიდებულად დადო ტელეფონის ახლოს.

ვლადიმირ ილიჩი ცდილობდა ელაპარაკა:

— მშურს თქვენი, მომავლის მოციქულებო! თქვენთვის ვაგიზგიზებდით ჩვენ ახალმშენებლობათა პირველ კოცონებს! თქვენთვის, თქვენთვის... ბოლომდე მომისმინეთ, ქოფაკებო! ამ ჩემს ფეხებს, ვინცა ხართ და რაცა ხართ...

— მოკეტე, მოლაღანევ, ენა მუცელში ჩაიგდე უსასრულობის წინაშე!..

— ეი, რომელი ხართ მანდ უფრო ახლოს, მოუღიტინეთ ამ მოპასანს!..

— მოუსვი აქედან, ბიძა, წაბარბაცდი, წაცუნცულდი!..

ხურიევმა სცენამდე მიაღწია, ბელადს შარვალზე წაეტანა და მოქაჩა:

— იმღერეთ!

— უკვე? — ჰკითხა გურინმა. — იქ სულ ორი წინადადება დამრჩა ბურჟუაზიასა და ვარსკვლავებზე.

— ბურჟუაზიას შეეშვით. ვარსკლავებზე გადადით, და მაშინვე წამოიწყეთ "ინტერნაციონალი".

— შევთანხმდით...

ქანცგაცლილმა გურინმა იყვირა:

— მორჩით ბაზარს!

და შურისმგებლური ტონით დასძინა:

— ჰოდა, დაე, ანათებდნენ თქვენთვის, მომავლის შვილებო, ჩვენი კრემლის ვარსკვლავები!..

— აბა, ჰე! — ბრძანა ხურიევმა.

იარაღის ზუმბა მაღლა ასწია და დირიჟორობას შეუდგა.

დარბაზი ცოტა მიჩუმდა. გურინმა მოულოდნელად ლამაზი, დახვეწილი და სასიამოვნო ტენორით წამოიწყო:

**...Вставай, проклятьем заклейменный...**

და შემდეგ ჩამოწოლილ სიჩუმეში:

**...Весь мир голодных и рабов...**

ის უცებ უცნაურად გარდაისახა. ახლა ეს იყო გლეხი, მისი წინაპრებივით იდუმალებით მოცული და ეშმაკი გლეხი. სახე გადაუსხვაფერდა და გაუუხეშდა. თვალები მიელულა.

უცებ მას აჰყვნენ. ჯერ ერთი აჰყვა მორიდებულად, მერე მეორე და მესამე. და, აი, მე უკვე მესმის ქოროს შეუწყობელი, არამწყობრი სიმღერა:

**...Кипит наш разум возмущенный,**
**На смертный бой идти готов...**

უამრავი სახე ერთ მოცახცახე ლაქად იქცა. სცენაზე არტისტები გაირინდნენ. ლებედევა ხელებს საფეთქლებთან იჭერდა. ხურიევი ზუმბას აქნევდა, რევოლუციის ბელადის ტუჩებზე უძრავად ალიბექდა უცნაური ოცნებით შეფერილი ღიმილი...

**...Весь мир насилья мы разрушим**
**До основанья, а затем...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ყელში ტკივილი ვიგრძენი — ჰაერი არ მყოფნიდა. პირველად ვიყავი ჩემი განსაკუთრებული, არნახული ქვეყნის ნაწილი. მე მთლიანად სისასტიკისა, შიმშილისა, მეხსიერებისა და გულისწყრომისგან შევდგებოდი... მოწოლილი ცრემლების გამო წუთით დავკარგე მხედველობა. არა მგონია, რომ ეს ვინმეს შეემჩნიოს...

შემდეგ კი ყველაფერი მიჩუმდა. ბოლო კუპლეტი მხოლოდ ცალკეულმა შეცბუნებულმა ვილაცებმა იმღერეს.

— წარმოდგენა დამთავრებულია, — თქვა ხურიევმა.

პატიმრებმა სკამების გადაყირავება-გადაყირავებით გასწიეს გასასვლელისკენ.

*1982 წლის 16 ივნისი,*
*ნიუ-იორკი*

*ვფიქრობ, ჩვენი ნაწარმოები ფინალს უახლოვდება. ოციოდე გვერდი დამრჩა. შეგნებულად გადავწყვიტე, რომ მასში კიდევ რაღაცები არ ჩამერთო. გადავწყვიტე, არაფრად ჩამეგდო ლაგერული ცხოვრების ყველაზე ველური, სისხლიანი და შემზარავი ეპიზოდები. ვფიქრობ, ისინი სპეკულაციურ სახეს მიიღებდნენ. მათი ეფექტი მხატვრულ ქსოვილს კი არა, თვით მასალაზე იქნებოდა დამოკიდებული.*

*მე ფიზიოლოგიურ ნარკვევებს არ ვწერ. საერთოდ არ ვწერ ციხეებსა და ზეკებზე. მინდა ვწერო ცხოვრებასა და ადამიანებზე. და ჩემს მკითხველებს კუნსტკამერაში კი არ ვიწვევ.*

*იგულისხმება, რომ ღმერთმა იცის, რამდენი რამის დახვავება, და ზვინვა შემეძლო. მე ვიცნობ კაცს, რომელმაც შუბლზე დაიტატუირა: "Раб МВД", რის შემდეგაც ორმა ციხის მკურნალმა ეს ტატუ სკალპელით ამოაჭრა. მე მინახავს ლესბოსელთა მასობრივი ორგიები ბარაკის სახურავზე. მინახავს როგორ აუპატიურებდნენ ცხვარს (საქმის გასაადვილებლად რეციდივისტმა შუშანიამ მის უკანა ფეხებს ქეჩა შემოახვია საგულდაგულოდ. მე ლაგერელი პედერასტების ქორწილში ვიყავი და "კოცნაც!" კი დავიძახე.*

*კიდევ ერთხელ ვამბობ, მე ცხოვრება მაინტერესებს და არა ციხე. ადამიანები და არა ურჩხულები.*

*და მე აბსოლუტურად არ მიზიდავს თანამედროვე ვერგილიუსის დაფნები (იმის მიუხედავად, რომ შალამოვი ასე მიყვარს.) ისიც მყოფნის, რომ პუშკინის ნაკრძალში ექსკურსიამძღოლად ვმუშაობდი...*

*ამას წინათ ღვარძლიანმა გენისმა მითხრა:*

*— შენ სულ გეშინია, შალამოვთან რომაა, ისე არ გამოგივიდეს. ნუ გეშინია. არ გამოგივა...*

*მე ამას მეგობრულ ირონიად აღვიქვამ. და მაინც, რატომ, რისთვის უნდა გადმოვწერო შალამოვი? ან ტოლსტოიც კი პუშკინთან, ლერმონტოვთან, რჟევსკისთან ერთად?.. რატომ გამოვჭრა ხელახლა ალექსანდრე დიუმა, როგორც ეს ფიცჯერალდმა გააკეთა? "დიდი გეთსბი" შესანიშნავი წიგნია, მაგრამ მას მე მაინც "გრაფი მონტე-კრისტო" მირჩევნია...*

*ყოველთვის ვოცნებობდი, რომ ჩემი საკუთარი იდეების მონაფე ვყოფილიყავი. ამას იქნებ ხანდაზმულობის წლებში მივაღწიო...*

*მაშ ასე, ლაგერული ცხოვრების ყველაზე გულშემზარავი წვრილმანები, როგორც იტყვიან, გამოვტოვე. მკითხველებს ეფექტურ სანახაობებს არ შევპირებივარ. მინდოდა, ისინი სარკესთან მიმეყვანა.*

*არის მეორე უკიდურესობაც. სახელდობრ — თავდავიწყებამდე დანთქმა ესთეტიკაში. საერთოდ დავიწყება იმისა, რომ ლაგერი საზიზღრობაა. და არც მისი სამხრეთ-დასავლური სკოლის ორნამენტალური ტრადიციების თარგზე მხატვრულად, თვალწარმტაცად წარმოსახვა ეგების.*

*ამგვარად, აქ ორი უკიდურესობაა. მე შემეძლო მომეთხრო კაცზე, რომელმაც თვალი ამოიკერა, და ადამიანზე, რომელმაც ტყის სახერხში დაჭრილი ჩიტბატონას ბარტყი გამოზარდა. შემეძლო მომეთხრო იაკოვლევზე, რომელმაც თავისი სათესლის პარკი ტახტს მიალურსმნა და ჩქმეტია-პწკენია ბურკოვზე, რომელიც მაისის ხოჭოს მიწაში ჩაფლვისას ქვითინებდა...*

*მოკლედ, თუ თქვენ მოგეჩვენებათ, რომ ამ ნაწარმოებს სისაძაგლეები აკლია, — დავუმატებთ. და თუ ყველაფერი პირიქითაა, ამასაც ეშველება...*

როცა ტელეფონის მავთულით გამკოჭეს, დავმშვიდდი. ჩემი თავი ორთქლით გათბობის რადიატორთან იდო, ფეხები კი, რომლებზეც უხეში თექის ჩექმები მეცვა, — ჭალის ქვეშ. იქ, სადაც ერთი თვის წინათ საახალწლო ნაძვის ხე იდგა.

მესმოდა, თუ როგორ ურიგებდნენ იარაღს გაწესს. ლეიტენანტი ხურიევი როგორ აძლევდა ინსტრუქციებს ჯარისკაცებს. ვიცი, რომ ახლა ისინი ყინვაში გავლენ. შემდეგ, ზონის გასწვრივ, გაცოფებული ძაღლების ახლოს გაუყვებიან შავ ტრაპებს და ყოველი მათგანი პატარა ფარნით გაინათებს სახეს, რათა კოშკურიდან ჯარისკაცების ცნობა შესძლონ...

მესმოდა, როგორ დაბრუნდნენ გუშაგები. როგორ შევიდნენ იარაღის პარკში.

პირველ ყოვლისა, შიმშილობის გამოცხადება გადავწყვიტე. ვახშამს ველოდებოდი; რომ საჭმლისთვის თითი არ დამეკარებინა. ვახშამი კი არა და არ მომიტანეს...

მესმოდა, როგორ დაბრუნდნენ გუშაგები. როგორ შევიდნენ იარაღის პარკში. როგორი გრუხუნით უგდებდნენ ინსტრუქტორს ბარიერს იქიდან ორსავაზნეკოლოფიან ჩანთებს. როგორ დგამდნენ პირამიდულად ჭირხლისგან გათეთრებულ ავტომატებს. და როგორ აადგილებდნენ სასადილოში მსუბუქ დურალიმინის სკამებს. შემდეგ კი ლანძღავდნენ მზარეულ ბალოდისს, რომელმაც მათ რამდენიმე თავი ხახვი, ქონი და პური დაუტოვა, მაგრამ, როგორც მივხვდი, მარილის ჩამოდება დაავიწყდა...

სიცივე მაფხიზლებდა და შევუდექი იმის გახსენებას, ეს როგორ მოხდა. ღლისით დავთვერით მე და განბადრაგებულნი, რომლებიც ცდილობდნენ მომხვეოდნენ და მიმტკიცებდნენ:

— ბობ, უსტვიმლაგში ადამიანი მხოლოდ შენა ხარ!..

შემდეგ დაბა გადავკვეთეთ და კილდიმის მხრისკენ გავწიეთ. ფოსტის ახლოს ტყის მრეწველობის მეურნეობის ფერშალ შტერნს შევეყარეთ. ფიდელი მასთან მივიდა და ონდატრის ქუდი მოაგლიჯა, თოვლით გაავსო და ისევ დაახურა. ჩვენ გზა განვაგრძეთ, ფერშალს კი სახეზე ჭუჭყიანი წყალი ესხურებოდა.

შემდეგ კილდიმში შევედით და ტონეჩკას იაფფასიანი არაყი ვთხოვეთ. მან გვითხრა იაფფასიანი სასმელები არა მაქვსო. მაშინ ვუყვირეთ, მაგრამ სულ ამაოდ. იმიტომ, რომ ფული უკვე გაგვითავდა.

ტონეჩკა გვეუბნება:

— საწყობში იატაკი გარეცხეთ და თითო-თითო ფლაკონ ოდეკოლონს მოგცემთ...

ის წყლის მოსატანად გავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა. ბადიიდან ორთქლი ბოლავდა.

გიმნასტურები გავიხადეთ. ჩვრებივით დავახვიეთ და ხის იატაკის მორეცხვას შევუდექით. მე და ბალოდისი კეთილსინდისერად ვმუშაობდით, ფიდელი კი ხელს თითქმის არ გვიშლიდა.

შემდეგ ცოტ-ცოტა ოდეკოლონი შევსვით. უბრალოდ, ლოდინმა დაგვღალა. ის საშინლად ნელა ისხმებოდა ტოლჩებში.

საშინელი გემო ჰქონდა და კონახური მივატანეთ. ორივეს მათთან მიწებებულ ქაღალდთან ერთად ვღეჭავდით. ტონეჩკამ თქვა: გაგიმარჯოთ!

ლატვიელმა ბალოდისმა მას თვალი ჩაუკრა და ფიდელს ჰკითხა:

— შენ შესძლებდი?

ფიდელი კი პასუხობს:

— მილიონად და ისიც ნაბახუსევზე...

როცა იქიდან გამოვედით, უკვე ბნელოდა. ტყის ბირჟის თავზე და დაბაში შუქი აინთო.

ჩავუარეთ თავლას, სადაც საზიდავები უცხენებოდ იდგნენ. ფიდელმა წაუმღერა: "ურუგვაიში მივსეირნობთ!..", ბალოდისმა კი გიტარა გამოსტაცა და ხეს შეალეწა. მისი ნამსხვრევები ყინულქრილში ჩავყარეთ.

ვარსკვლავებს ავხედე. თავბრუ დამეხვა...

ამ მომენტში ფიდელი ტელეგრაფის ბოძზე აძვრა. თანაც კბილები ჯიბის დანაზე ჰქონდა მოჭერილი. ის ტექნიკაში ჩახედული კაცი იყო და რაღაცის გაფუჭება ჰქონდა განზრახული. სულ ზევით და ზევით იწევდა. მისი ლანდი ვეება იყო. უცებ "უი, დედაო!" იყვირა და ათი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. მასთან მივიჭრით, მაგრამ წამოხტა, თოვლი გაიფერთხა და თქვა:

— ჩამოვარდნა აბობლება კი არაა!..

დანა ვეძებეთ. ბალოდისმა ფიდელს უთხრა:

— ეტყობა, გადაყლაპე.

— ეგრე იყოს, — თქვა ფიდელმა, — მეორეც მაქვს...

შემდეგ ყაზარმისკენ გავემართეთ. იქიდან პურის ფურგონი გამოვიდა. არ მოვბრუნებულვართ, გზა განვაგრძეთ. მძღოლმა დაამუხრუჭა, შეუხვია და ვიღაცის მესერი მიალეწა... ყაზარმაში როცა დავბრუნდით, გაწესი იარაღს წმენდდა. სასადილოში შევედი და ცივი რასსოლნიკი (ხორცის წვნიანი მჟავე კიტრით) შევჭამეთ. ფიდელს უნდოდა ტაბურეტზე მდგარ ავზაკში ჩაეშარდა. მაგრამ მე და ბალოდისმა დავუშალეთ.

შემდეგ ლენინის ოთახში შევედით და მაგიდას შემოვუსხედით. მასზე ყუმაშის სუფრა იყო გადაფარებული. ირგვლივ სტენდები, პლაკატები და ლოზუნგები ელვარებდნენ. ზემოთ ჭაღი ციმციმებდა. კუთხეში დაგრაგნილი საახალწლო "მოლნია" იდო...

— კომუნიზმი მალე დადგება? — დაინტერესდა ფიდელი.

— გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ხვალ. რატომ იკითხე?

— იმიტომ, რომ მოთხოვნილებები დამიხვავდა.

— იმის თქმა გინდა, რომ მოთხოვნილებები გიჩნდება? — გამოცოცხლდა ბალონისი.

მე ვეკითხები:

— უნარებთან დაკავშირებით როგორა გაქვს საქმე?

— ჩინებულად, — მიპასუხა ფიდელმა, — უამრავი რამე შემიძლია.

— დედის გინება, — უკარნახა ბალოდისმა.

— მხოლოდ დედის გინება არა, — უპასუხა ფიდელმა.

ის უკვე ჭადრაკის ფიგურებს ალაგებდა. მე თავი სუფრაზე დავდე, ბალოდისი კი ცეკას პოლიტბიუროს წევრთა ფოტოსურათების თვალიერებას შეუდგა. შემდეგ თქვა:

— ხედავთ, როგორი გვარია — ჩელიუსტ!

ამ დროს ლენინის ოთახში ზემდეგმა ევჩენკომ შემოიხედა.

— ხომ არ დაწვებოდით, ბიჭებო! — თქვა მან.

ფიდელმა კი იყვირა:

— ირგვლივ უსამართლობა რატომაა, ზემდეგო? ამიხსენით, რატომ? ქურდი, ვთქვათ, საქმის გამო ზის. ჩვენ რატომღა ვილუპებით?!

— მერედა, ვისი ბრალია ეს? — ეკითხება ზემდეგი.

მე ვამბობ:

— თუ მაჩვენებენ იმ ადამიანს, ვისი ბრალიცაა ჩემი ყველა ვაება... იქვე მივახრჩობდი...

— დასაძინებლად გასულიყავით,— თქვა ევჩენკომ.

წამოვდექით და დაუმშვიდობებლად წავედით. ფიდელმა კი ზემდეგს მხარიც გაჰკრა. ეზოში მერხზე ჩამომსხდრებმა გავაბოლეთ, შემდეგ კი სამნეო ნაწილში წავედით.

— ბობ, ზონაში წადი, — მითხრა ფიდელმა, — და საწვავი მოიტანე, — თორემ მოტორი ითიშება.

— მიდი, — მხარი აუბა ბალოდისმა, — კილდიმში შნაპსი არაა, ზეკებს კი, რამდენიც გნებავთ, იმდენი აქვთ. ეგრევე მოგცემენ, ეგერ ნახავ. იციან, რომ ვალში არც ჩვენ დავრჩებით.

ის ფიდელს სახელოში წვდა:

— პაპიროსი მომე.

— მოწევა მავნებელია, — განაცხადა ფიდელმა, — თამბაქო გულზე უარყოფითად მოქმედებს.

— არა, მარგებელია, — თქვა ბალოდისმა, — არაყზე უფრო მარგებელი. მავნებელი კი, იცი, რაა? კოშკურაზე დგომა.

— ყველაზე მავნებელი, — ამბობს ფიდელი, — პოლიტმეცადინეობებია. და აირწინაღიანად რომ მირბიხარ.

— და სამწყობრო მომზადება, — დავძინე მე...

ზონაში არ შემიშვეს. საგუშაგოს მეკონტროლე მეკითხება:

— შენ საით?

— ზონაში შევდივარ, ბუნებრივია.

— პირად საქმეზე?

— არა, — ვამბობ, — საზოგადოებრივზე.

— არაყზე ხომ არა?

— ჰო!

— შეტრიალდი და გაეცალე აქაურობას!

— ოჰო, — ვამბობ, — ესეც სოცკანონიერება! მაშასადამე — ვაითუ, ის რომელიღაც რეციდივისტმა დალიოს? და, ვაითუ, სისხლის სამართლით დასჯადი ქმედება გაიმეოროს?..

— შენ არაყზე მიდიხარ. კონტინგენტთან გაქვს ურთიერთობა. შემდეგ კი ის შენ საეჭვო მიზნებისთვის გამოგიყენებს.

— ვინ ის?

— კონტინგენტი... შენ ზეკების მიმართ ანტაგონისტურად უნდა იყო განწყობილი. შენ ისინი უნდა გძულდეს. მაგრამ განა გძულს? რაღაც არ გეტყობა. საკითხავია: სადაა შენი ანტაგონიზმი?

— მე ანტაგონიზმი არა მაქვს. შენდამიც კი, მუდრეგო...

— ჰოო?! — მოულოდნელად თქვა მეკონტროლემ და დასძინა: — გინდა, ჩემი პირადი მარაგიდან დაგისხამ?

— მიდი, — ვეუბნები, — ოღონდ ჩემგან ანტაგონიზმს მაინც ნუ დაელოდები...

ყაზარმისკენ ბორძიკ-ბორძიკით მივდიოდი. სიბნელეში დათოვლილ პლაცს გავუარე და აღმოვჩნდი საშრობში, სადაც ღუმელი ხურდებოდა. კავებზე ბუშლატები და ჯუბაჩები ეკიდა.

ფიდელი მომვარდა და სკამი წააქცია. როცა ვუთხარი, არაყი არ არი-მეთქი, ატირდა.

ვკითხე:

— ბალოდისი სადაა?

ფიდელი ამბობს:

— ყველას ძინავს. ახლა აქ მხოლოდ ჩვენა ვართ.

ამ დროს ლამის მეც ავტირდი. წარმოვიდგინე, რომ ამქვეყნად მარტო ჩვენა ვართ. ვინ შეგვიყვარებს? ვინ იზრუნებს ჩვენზე?..

ფიდელმა გარმონი გაწელა და რაღაც მკვეთრი, მწივანი ბგერა გააჟღერა.

— შეხე, — თქვა მან, — ინსტრუმენტს პირველად ვიღებ ხელში და ურიგოდ არ გამომდის. რა დაგიკრა, ბახი თუ მოცარტი?..

— მოცარტი, — ვუთხარი მე, — თორემ მუშათა ცვლას გაეღვიძება. შეიძლება ცხვირ-პირი გაგვიერთიანონ...

გავჩუმდით.

— ძავაშვილს ჭაჭა აქვს, — თქვა ფიდელმა, — ოღონდ არ მოგვცემს. წავედით?

— მისკენ გული არ მიმიწევს.

— ვითომ რატომ?

— არ მიმიწევს და მორჩა.

— იქნებ, გეშინია მისი?

— რატომ უნდა მეშინოდეს? მიმიფურთხებია...

— არა, შენ გეშინია. კარგა ხანია შევამჩნიე.

— იქნებ, შენიც მეშინია? იქნებ, კოგანისაც მეშინია?

— კოგანისა არ გეშინია, არც ჩემი. ძავაშვილისა კი გეშინია. ყველა ქართველი დანას დაატარებს ჯიბით. რაღაც ისეთი რომ მოხდეს, დანას ატრიალებენ. ძავაშვილს, აი, ასეთი საკსანი აქვს. ჩექმის ყელში არ ეტევა...

— წავედით, — ვეუბნები.

ანზორ ძავაშვილს ფანჯრის ახლოს ეძინა. მისი სახე ძილშიც ლამაზი და რამდენადმე ქედმაღლური იყო.

ფიდელმა გააღვიძა და უთხრა:

— გესმის, არარუსო, ჭაჭა მომე...

ძავაშვილს შეეშინდა. ლაგერის დაცვის ყველა ჯარისკაცი ასე ილვიძებს, მოულოდნელად თუ აღვიძებენ. მან ხელები ლეიბქვეშ შეჰყო:

— რა ჭაჭა, რის ჭაჭა, ძვირფასო, უნდა ვიძინო!

— მომე, — ჩააცივდა ფიდელი, — მე და ბობი ნაბახუსევნი ვართ.

— ხვალ სამსახურში როგორღა წახვალ? — ეკითხება ანზორი.

ფიდელი ეუბნება:

— ეს შენი ულვაშების საქმე არაა.

ანზორმა ზურგი შემოგვაქცია.

ახლა კი ფიდელი უყვირის:

— შე ვიგინდარავ, შენა, რუს ჯარისკაცს ჭაჭას როგორ არ აძლევ?!

— აქ რუსი ვინაა? — ამბობს ანზორი. — შენა ხარ რუსი? შენ რუსი არა ხარ. შენ ალკოჰოლიკი ხარ!

და ამ დროს დაიწყო...

ანზორი ყვირის:

— შალვა! გიგო! ვაიმე! არ გინდა!

მოირბინეს საცვლებიანმა, ჩრდილოეთშიც კი გარუჯულმა ქართველებმა. ისინი ისე ჟესტიკულირებდნენ, რომ ფიდელს ცხვირიდან სისხლიც კი წამოუვიდა.

დაიწყო ჩხუბი, რომელიც დიდხანს ახსოვდათ დაცვაში. მე ექვსჯერ დავეცი, სამჯერ წამოვდექი. ბოლოს ტელეგრაფის მავთულით გამკოჭეს და ლენინის ოთახში გამიტანეს. მაგრამ მე, გაკოჭილი და ხორკლიან ფიცრებზე დაგდებული, იქაც კი ვიღაცას მივდევდი. ალბათ, ის სწორედ ის კაცი გახლდათ, ვისი ბრალიც იყო ჩემი ბედის ასე უკუღმართად ტრიალი.

... დილას ყოველთვის ფუჭდება განწყობილება. მით უმეტეს ცივ ფიცრებზე თუ წევხარ. თანაც ტელეგრაფის მავთულით გაკოჭილი.

გაფაციცებით ვაყურადებდი ყველა ხმას. მზარეულმა შეშები გრუხუნით დაყარა სახურავზე. ვედროები გაჩხარუნდნენ. შემდეგ მედღეურმა გაიარა. კარი გაიჯახუნეს და ყველაფერი განსაკუთრებულმა ხმაურმა გადაფარა. ყაზარმის ხმაურმა, ყაზარმისა, სადაც მხოლოდ მამაკაცები ცხოვრობენ და მძიმე ჩექმებით დააბოტებენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ლენინის ოთახში ზემდეგმა ევჩენკომ შემოიხედა. ის დაიხარა და ტელეგრაფის მავთული გადაჭრა.

— გმადლობთ, — ვეუბნები, — ამხანაგო ევჩენკო. მე, სხვათა შორის, ამას ისე არ დავტოვებ. "ამერიკის ხმების" კორესპონდენტს მოვუყვები ყველაფერს.

— მიდი, უამბე, — მეუბნება ზემდეგი, — ჩვენ ასეთი კორესპონდენტების მთელი ზონა გვაქვს.

შემდეგ მითხრა, რომ კაპიტანი ტოკარი მიბარებდა.

კანცელარიისკენ მაჯების სრესა-სრესით მივდიოდი. თავის მაგიდასთან მჯდარი ტოკარი წამოდგა. ფანჯარასთან ცოტა ხნის წინათ ჩემი შემცვლელი კანცელარიის მდივანი ბოგოსლოვსკი მოკალათდა.

— ამჯერად პატიებას არ ვაპირებ, — განაცხადა კაპიტანმა, — კმარა! განბადრაგებულებთან სვამდით?

— ვინა, მე?

— თქვენ.

— კი, ვსვამდი... დავლიე, რა...

— უბრალოდ ინტერესისთვის გეკითხები — რამდენი?

— არ ვიცი, — ვუპასუხე, — ის ვიცი, რომ კონსერვის ქილით ვსვამდი.

— ამხანაგო კაპიტანო, — ჩაგვერთო ბოგოსლავსკი, — ის არ უარყოფს. ის ინანიებს...

კაპიტანი გაბრაზდა:

— ყველაფერი ეს მსმენია — მომბეზრდა! ამ შემთხვევაში, დაე, ტრიბუნალმა თქვას თავისი სიტყვა. ძველი შეიარაღებული დაცვა უკვე აღარ არი. ჩვენ, მადლობა ღმერთს, რეგულარულ არმიას ვეკუთვნით... ის ჩემკენ შემობრუნდა:

— თქვენ გუნდს რამდენიმე ჩეპე (საგანგებო ვითარება) შეუქმენით. პოლიტიზაციას ფუშავთ, ლეიტენანტ ხურიევს პროვოკაციულ კითხვებს უსვამთ. გუშინ თქვენს მიერ ატეხილ მუშტი-კრივს ცუდი, შოვინისტური სუნი ასდის. აი, ექიმ იავშიცის მიერ ხელმოწერილი სამედიცინო დასკვნა...

კაპიტანმა საქაღალდიდან მოყვითალო ბლანკი ამოიღო.

— ამხანაგო კაპიტანო, — ბოგოსლოვსკი ჩაება ჩვენს საუბარში, — დაწერით, რისიც გნებავთ, იმის დაწერა შეიძლება.

ტოკარმა ხელი აიქნია და წაიკითხა:

"... სერჟანტ გოდერიძეს მიყენებული აქვს სხეულის დაზიანება ექვსი კბილის რაოდენობით..."

შეიგინა და დასძინა:

"... ძირფესვიანად..." — ამაზე რას იტყვით?

— ავიტამინოზია, — ვთქვი მე.

— რა არიო?!

— ავიტამინოზი, — ვამბობ, — საძაგელი კვებაა. კბილები ყველას ერყევა. ოდნავ გაეკარები და კარგად მეყოლე...

კაპიტანმა ეჭვიანად შეხედა კარს. შემდეგ გამოაღო. იქ ფიდელი იდგა და საუბარს აყურადებდა.

— გამარჯობა, ამხანაგო კაპიტანო, — თქვა მან.

— კარგია, — თქვა ტოკარმა. — ჩინებულია, თქვენ აგერ პეტროვი გიბადრაგებთ.

— მე არ შემიძლია მისი ბადრაგირება, — თქვა ფიდელმა, — იმიტომ, რომ ის ჩემი მეგობარია. მე მეგობრის ბადრაგირება არ შემიძლია. მე ანტაგონიზმი არა მაქვს...

— მასთან სმა კი შეგიძლიათ, არა?

— ეს არ განმეორდება, — თქვა ფიდელმა.

— საკმარისია, — კაპიტანმა გიმნასტურა გაისწორა, — ქამარი შეიხსენით.

შევიხსენი.

— მაგიდაზე დადეთ.

მე ქამარი დავაგდე მაგიდაზე. ბრინჯაოს ბალთა მინას მოხვდა.

— აიღეთ ქამარი! — მიბრძანა ტოკარმა.

ავიღე.

— დადეთ მაგიდაზე!

დავდე.

— ეფრეიტორო პეტროვ, იარაღი აიღეთ და მარშ ზემდეგისკენ დოკუმენტების მოსატანად!

— ავტომატი რა შუაშია?

— შეასრულეთ! თორემ ადგილებს გაცვლით!

ამ დროს მე ვამბობ:

— ჭამა მინდა. არ გაქვთ შიმშილით ჩემი მოკვლის უფლება.

— თქვენი უფლებები თქვენ იცით, — გაიცინა ტოკარმა, — მაგრამ მეც ვიცი ჩემი უფლებები...

როცა გავედით, ფიდელს ვუთხარი:

— კარგი, ჰო, ცხვირს ნუ ჩამოუშვებ. შენ რომ იქ არ ყოფილიყავი, სხვა წამიყვანდა...

შემდეგ შვრიის ფაფა მივირთვით. ჯიბეებში პურის ნარჩენები ჩავიჩურთეთ, უფრო თბილად ჩავიცვით და კართანაზე გამოვედით.

ფიდელმა ჩანთიდან მჭიდე ამოიღო და იქვე, საფეხურებზე, გატენა ავტომატი.

— წავედით, — ვეუბნები, — დროს ნუ ვკარგავთ.

გადასასვლელისკენ გავწიეთ. იქ გამვლელ ხისმზიდ მანქანაზე შეიძლებოდა დაჯდომა.

უკან რჩებოდა ყაზარმის გაქუცული დროშა, უსიცოცხლო ხეები მესერს ზემოთ და მღვრიე თეთრი მზე.

შლაგბაუმი დაშვებული იყო. ფიდელი ეწეოდა. თვალს ვაყოლებდი, თუ როგორ მიჰქროდა ჩვენს ახლოს ვაგონების შემადგენლობა. თვალი ვკიდე ცისფერ ფარდებს, თერმოსს, ნათურებს ... პაპიროსიან კაცს... ისიც კი დავინახე, რომ მას პიჟამო ეცვა.

ეს ყველაფერი გულს მირევდა...

ჩვენს გვერდით ხისმზიდმა დაამუხრუჭა. ფიდელმა მძღოლს ხელი აუწია. ჩვენ აღმოვჩნდით ვიწრო კაბინეტში, რომელშიც ბენზინის სუნი იდგა.

ფიდელმა ავტომატი მუხლებსშუა ჩაიდგა. გავაბოლეთ. მძღოლი ჩემკენ მობრუნდა და მკითხა:

— რატომ დაისაჯე, ახალგაზრდავ?

მე ვეუბნები:

— უფროსობას ვაკრიტიკებდი...

წყალსაქაჩის ახლოს გზამ დაბისკენ შეუხვია. ჯიბიდან უთასმო საათი დავაძრე, მძღოლს ვუჩვენე და ვუთხარი:

— იყიდე.

— მუშაობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მუშაობს რომელია! კრემლის საათზე ორჯერ ზუსტია!

— რამდენი მოგცე?

— ხუთი მარგილი.

— ხუთი?!

— კარგი, ჰო, — შვიდი.

მძღოლმა მანქანა გააჩერა და ჯიბიდან ფული ამოიღო. ხუთი რუბლი მომცა. შემდეგ მკითხა:

— ჰაუპტვახტში ფული რაში გჭირდება?

— ღარიბების დასახმარებლად, — ვუპასუხე მე.

მძღოლმა ჩაიცინა. შემდეგ ის კიდევ დიდხანს ათვალიერებდა საათს და ყურთან იდებდა.

— ჩემს სიმამრს, იმ ყურუმსალს მივართმევ, — ამბობს, — მისი დაბადების დღეს...

კაბინიდან გამოვედით. ნამქერებს შორის ჩაბნელებულმა გზამ დაბაში მიგვიყვანა.

ის ჩვენ პატარა ძრავის გუგუნითა და მარხილის ჭრიალით შემოგვხვდა. უკაცრიელ ქუჩებში გამკრავი ქარი უბერავდა. აქ ადამიანებზე უფრო ხშირად ძაღლებს ხვდებოდით.

ჩვენი გზა ვესლიანუზე გადიოდა. ტარის საამქროს ნახევრადდანგრეული ქვის კარების, თოვლში ჩაფლული ქოხებისა და სასადილოს გვერდით, რომლის გამოღებული კარებიდან თეთრი ორთქლი ბოლქვებად მოცურავდა ავტოგარაჟისა და კლუბის გვერდით, რომლის სხვენის ფანჯრის თავზე ხმამაღლამოლაპარაკე ეყენა. და შემდეგ იმ ღობის გვერდით, რომლის ყოველ მესამოცე მეტრზე ფანერის ჯიხური იდგა.

შემდეგ, ბორცვს იქით, სათავო ლაგპუნქტის რუხი კორპუსები იყო ჩარიგებული. იქ აღმართული შტაბის ორსართულიანი შენობა გაძეძგილი იყო ოფიცრებით და აურაცხელი არმიული რელიკვიით და გაუთავებლად გაისმოდა საბეჭდი მანქანის რაკარუკი. იმ შენობის მეტალის კარს იქით, კარგად გამართული ცემენტისიატაკიანი, და კიდევ — უპლინტუსებო შიშველტახტებიანი ჰაუპტვახტი გველოდა.

თვალი უკვე არჩევდა ხუთქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებულ ჭიშკარს.

— ჩვენ თავდებად დაგიდგებით, — თქვა ფიდელმა, — აგერ ნახავ...

— კეთილი. ჰაუპტვახტში ვიჯდომები, ტრიბუნალში კი, მგონი, ოც წელიწადს დავითრევ...

მივუყვებოდით თხრილს, რომელშიც მოყინული მორები ეწყო. მე ვთქვი:

— დოკუმენტებს ჩახედე. ნუთუ იქ დროა აღნიშნული?

— არა, — თქვა ფიდელმა, — რა იყო?

— საით გვეჩქარება? — ვეუბნები, — ტორფიანებისკენ გავუტიოთ. — ტორფის დამამზადებელი ქალები იგულისხმებოდნენ. სეზონური მუშები, რომლებიც დაბისიქითა ბარაკში ცხოვრობდნენ.

— ერთი მაგათი, — ამბობს ფიდელი.

— რა მოხდა, ერთი ბოთლი არაყი ავიღოთ, ფული მაქვს.

ამ დროს შევამჩნიე, რომ ფიდელს ეს არ მოსწონს და ნაღვლიანი თვალებით მიყურებს.

— წავიდეთ, — ვამბობ, — ადამიანებთან ვიყოთ.

— კი, მაგრამ ზარბაზანს რა ვუყო?

— ავტომატი საწოლქვეშ შემოვდოთ.

ფიდელი დუმს. ვეუბნები:

— წამოდი. გავაბოლებთ, დავლევთ. ბარდაკები არც მე მიყვარს. ჩუმად, უხმაუროდ ვიჯდომებით სითბოში.

ფიდელი კი ამბობს:

— ყური მიგდე. აგერ, ე, შტაბი აქვეა. ხუთ წუთში გადავივლით ჭაობს, ხუთი წუთიცა და სითბოში ვიქნებით.

— ჰაუპტვახტში?!

— ჰო.

— სადაც ცემენტის იატაკია?

— იატაკი რა შუაშია?! იქ ტახტია. და ღუმელი. და წესდებით ტემპერატურა თექვსმეტ გრადუსზე ზევით უნდა იყოს...

— მომისმინე, — ვეუბნები, — შენ სუ სხვაგან მიერეკები. ჰაუპტვახტი წინაა. წინაა ტახტიც, თექვსმეტი გრადუსიც და სამხედრო ზედამხედველი კომლევი. ახლა კი ტორფიანებისკენ გავუტიოთ.

— ფათერაკების საძებნელად? — ნაწყენი ხმით მეკითხება ფიდელი.

— აი, როგორ ალაპარაკდი! აი, რა ემართება ადამიანს, რომელსაც ზარბაზანი დაკიდეს! მოდი, მიბრძანე, ამხანაგო უფროსო!

ამ დროს ფიდელი იღრიალებს:

— რას მიაცვ-მოაცვამ? ესაო, ისაო... საითაც გინდა, იქით წავიდეთ! საითაც გინდა, დიახ, იქით წავალთ...

კილდიმისკენ გავემართეთ. პარმაღზე ავედით, თოვლი დავიფერთხეთ და შევედით. თევზისა და ნავთის სუნი იდგა. კუთხეში შავი კასრები, თაროებზე სიგარეტები, საპნები, კონსერვები ეწყო. ჰალვის შემომდნარკიდებიანი ნაჭრები ბზინავდა. გავარვარებული შუქნიშნის ახლოს კატა თვლემდა. ქვემოთ მამალი ცოდვილობდა: სულმოუთქმელად და გაშმაგებით კორტნიდა მარმარილოსფერ თაფლაკვერს.

ტონეჩკამ ორი ლიტრი ღვინო გამოგვიწოდა. ფიდელმა ისინი გალიფეს ჯიბეში ჩაიწყო. შემდეგ ცოტა ჰალვა და ორი ქილა ღორის ხორცის კონსერვი ავიღეთ.

ფიდელმა მითხრა:

— ქაშაყი იყიდე.

ტონეჩკა ამბობს:

— ქაშაყი ცოტა... სუნი ასდის.

ფიდელი ეკითხება:

— ცუდი სუნი ასდის?

— დიახ, მოსაწონი სუნი ვერაა, — პასუხობს ტონეჩკა.

გამოვედით კილდიმიდან. მალე ავედით. და, აი, აღმოვჩნდით ბარაკის წინ, რომლის კარს ზემოთ მბჟუტავი ნათურა ეკიდა.

ფანჯარასთან მივდივართ, ვაკაკუნებთ. მაშინვე გამოიხედა ბრტყელმა სახემ. თმაგაჩეჩილმა ქალმა სამჯერ დაგვიკრა თავი და თითი კარისკენ გაიშვირა.

წინკარში იდგა ვედრო, რომელსაც ფანერის ნაჭერი ეხურა. კუთხეში კედელზე შავი ბრეზენტის

პლაშები ეკიდა. მათ ქვემოთ ხაპიები, თოკები და და კაუჭები ეყარა...

ბარაკში თბილა. თუჯის ღუმელი ვარდისფერი ალმურითაა გაპიპინებული. კუთხიდან კუთხემდე დახრილადაა დაყენებული მილი.

ტახტებზე პალტოებისა და დაბამბული ჯუბების ხორაა. შემპალ კოჭებზე ჟურნალებიდან ამოღებული ფერადი ფოტოსურათებია დაწებებული. ტუმბებზე გაურეცხავი ჭურჭლის ტევა არაა.

დაბამბული ჯუბები გავიძრეთ. ფიცრის მაგიდას მივუახლოვდით. ჩვენს გვერდით ვიღაც საბანმოხურულს ეძინა. ფანჯარასთან გიმნასტურიანი ქალი იჯდა და წიგნს კითხულობდა. ის არც კი მოგვესალმება.

— მეთექვსმეტე რესპუბლიკაა, — განუმარტავად თქვა მასზე პირველმა ქალწულმა.

შემდეგ ბარაკის სიღრმეში ვიღაცას გასძახა:

— ნადკა! სასიძოებმა მოიწყინეს...

და დასძინა:

— რაკი მოხვედით, შინაურულად იყავით...

მისი ჟოლოსფერი შარვალი უხეში ქირზის ჩექმებში იყო ჩაკუჭული. მაჯაზე ლურჯად უელავდა სწრაფად ამოშანთული ტატუა: “Весь мир — бардак!”

გამოგვეცხადა მისი ფერმკრთალი და ბოროტი სახის დაქალი. მას ჟოლოსფერი სათხილამურო ქურთუკი, მაუდის ვიწრო ქვედატანი და საშინაო ფლოსტები ეცვა.

ბოთლები და კონსერვები დავაძრეთ, ქალიშვილებმა ემალირებული ტოლჩები და პური მოიტანეს. თან სულ იცინოდნენ და იცინოდნენ.

ფანჯარაზე იდგა შავი ტრანზისტორიანი მაგნიტოფონი, რომელიც მთელი იმ ხარახურის ფონზე გამორჩეულად იკვეთებოდა.

წითელშარვლიან ქალიშვილს ზინა რქმევია. ქვედატანიანმა ბოხი ხმით თქვა:

— ამოსოვა ნადეჟდა.

— როგორ მუშაობთ, — დაინტერესდა ფიდელი, — იმედი მაქვს, გზნებით.

— დათვმა იმუშაოს, — უპასუხა ნადეჟდამ.

ზინამ უფრო გადაჭრით თქვა:

— პირშუშხაზე მძიმეს ხელში არ ვიღებ...

ფიდელმა პატივისცემით წარბები შეათამაშა.

სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ზონამ იკითხა:

— შეიარაღებული დაცვის ბიჭები ხართ?

— არა, — თქვა ფიდელმა, — ჩვენ არტისტები ვართ. უფრო სწორად, ლაურეატები. აი ჩემი საქსოფონი.

და მან ავტომატი თავს ზემოთ შეათამაშა.

— ბიჭებო, — იკითხა ზინამ, — თქვენ ცოტათი შერეკილები ხართ?

— აჰა, — ვეუბნები, — ფსიხები ვართ, ყიყლიყო!

ფიდელმა ბოთლით ემალირებულ ტოლჩებში რაწკუნ-რაწკუნით ჩამოგვისხა ღვინო.

— ჯანმრთელნი ვიყოთ! — თქვა ფიდელმა.

— ჯანმრთელნი ვიყოთ! — მხარი ავუბი.

— იქნებით, იქნებით, — თქვა ზინამ, — ჩვენ შემოწმებას გავდივართ. ასე რომ, ნუ შიშობთ...

ჩვენს ზურგსუკან ბარაკში ვიღაც დაიარებოდა. ვიღაცა მაგნიტოფონის გამორთვას ითხოვდა. ვიღაცა დერეფანში ხაპიებს აჩხარუნებდა. ვიღაცა წყალს სვამდა...

შემდეგ ტყის მრეწველობის მეურნეობაში მომუშავე ბიჭები მოვიდნენ. ჩვენი დაბამბული ჯუბები დაინახეს. დიდხანს დაბორიალებდნენ ფანჯრებს ქვემოთ, რაღაცას გეგმავდნენ...

მაგრამ მე ეს არ მედარდებოდა. იმიტომ, რომ მოულოდნელად გასული ზამთარი გამახსენდა. მაშინ აქ ზედამხედველთა საბჭოს მორიგი შეკრებები იმართებოდა. ჩვენ ორმოცადგილიან კარავში ვიყავით განთავსებული. საწოლები ორ იარუსად იყო გამართული. ქვევით ცხელოდა, რადგან ღუმელი გავარვარებული იყო, ზემოთ კი ორპირი ქარები მიმოსეირნობდნენ.

ყოველ დილას ჩვენ არეულ-დარეულად მიველალებოდით სათავო ლაგპუნქტის სასადილოსკენ. შემდეგ სპორტულ დარბაზში ვვარჯიშობდით ან მეთოდიკის ბროშურებს ვფურცლავდით.

დაახლოებით შვიდ საათზე ვახშმობის შემდეგ ვიფანტებოდით, ვინ საცეკვაო მოედანზე, ვინ კიდე ნაცნობთა სახლებში. უმრავლესობა ადგილობრივი კლუბისკენ მიემართებოდა...

ორკესტრი გვრგვინავს. აგზნებული ქალიშვილები ბრბოში ოფიცრებს ეძებენ. მხუთავი მუნდირებით გაბორკილი რიგითები კედელთან ტოკავენ. მათ ლოსიონისა და თავლის სუნი ასდით. მათი სამკერდე ნიშნები ყალბი ძვირფასეულობებივით ბრწყინავენ.

მაგრამ, აი, რადიოლა ყუჩდება. ჯარისკაცები ბატალიონის სატვირთოს ძარაზე მოკალათებულნი მიდიან. ახლა ისინი ძალზე მოურიდებლად ლაქლაქებენ ქალებზე. მესმის ხმები სიბნელიდან:

— ის თმისჩხირებიანი წითური გახსოვს? იმ წითურს ისე დავაწვებოდი...

— შენ შეგიძლია ნაგვის გროვასაც დააწვე, — ასე პასუხობენ.

ხვალ ჩვეულებრივი დღეა...

ერთ საღამოს ფეხით მოვდიოდი კლუბიდან. მუსიკის ხმა თანდათან უფრო და უფრო ძლივს მესმოდა. ფარნები არ ენთო. გზა პირველი ყინვებისგან მოსლიპული იყო.

ნაბიჯი შევანელე და უცებ ფიცრული ბიბლიოთეკისკენ გავუხვიე. დამრეც საფეხურებს ავუყევი მეორე სართულისკენ. შემდეგ კარი გამოვაღე და ზღურბლზე დავჯექი.

დარბაზში არავინ იყო და ჩამიჩუმი არ ისმოდა. კედლების გასწვრივ კარადები კამკამებდნენ. ხის ბარიერთან მივედი. ჩემთან შესახვედრად წამოდგა სათვალიანი, ვიწროსახიანი და ფერმკრთალტუჩება დაახლოებით ოცდაათი წლის ქალი.

მან შემომხედა, სათვალე მოიხსნა და მაშინვე ცხვირის ფუძეზე მოიკიდა ხელი. მივესალმე.

— თქვენ რა გაინტერესებთ? ლექსები თუ პროზა?

ბუნინის მოთხრობები ვთხოვე, რომლებიც მოწაფეობისასვე მიყვარდა. კვადრატულ მოცისფრო ბლანკზე მოვაწერე ხელი. ფანჯარასთან დავჯექი. ნათურა ჩავრთე და კითხვას შევუდექი.

ქალი რამდენჯერმე გავიდა ოთახიდან. ზოგჯერ მე მიყურებდა. მივხვდი, რომ მას შიშს ვგვრიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაიგა, სალაგერო დაბა, ზედამხედველი... სათვალიანი ქალი...

რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ქალი აქ?

შემდეგ სკამების აქეთ-იქით გადაადგილებას შეუდგა. მე წამოვდექი, რათა დავხმარებოდი. მას ძალიან თხელ, უხეში, ყოველთვის ცივი ნაჭრით შეკერილ ძველმოდურ პალტოს და ზირიანულ ლანჩადაწნულ ფეხსაცმელს შევავლე თვალი...

ამ დროს შემთხვევით შევეხე მის ხელს. მომეჩვენა, რომ გული გამიჩერდა. შეძრწუნებით გავიფიქრე, რომ ამას გადავეჩვიე... უბრალოდ, დამავიწყდა ის რაღაცები, რისთვისაც ღირდა სიცოცხლე... და თუ ის ასეა, რამდენმა რამემ ჩამიქროლა გვერდზე? რამდენი რამ, ბევრი, ბევრი რამ დავკარგე? რამდენი რამ მომაკლდა სიძულვილითა და შიშით აღსავსე ამ დღეებში?!

შენ იზოლატორში მორიგეობ. მეზობელ კამერაში ანაგი-ზადე ხელბორკილებს აჩხრიალებს. ხის სახერხი დაზგა ხმაურობს. ცივი, უაზრო დღეები კი ფოსტას ასწრებენ და ფანჯრის მინებს იქით ზიზინობენ...

მაგიდას დავუბრუნდი, წიგნი დავხურე და ხის ბარიერზე შემოვდე.

— არ მოგეწონათ? — მკითხა ქალმა.

— არა უშავს, — ვეუბნები, — გმადლობთ. ჩემი წასვლის დროა...

უკანმოუხედავად დავეშვი კიბეზე. პატარა სამხედრო ქალაქამდე კილომეტრნახევარი იყო.

ახლა ყველაფერი ეს გავიხსენე და ფიდელს ვეუბნები:

— წავიდეთ აქედან.

— მართლა?

— ჭიქა გამოცალე და წავედით.

ქალიშვილებმა იკითხეს:

— თქვენ, რა, საცოლეები გელოდებიან?..

და მხოლოდ სიცილი მოგვაყოლეს...

ვარსკვლავებქვეშ სიჩუმეში მივაბიჯებდით. ღობის გასწვრივ ლარტაფისკენ გავემართეთ. მის ბოლოში შტაბის ბნელი და ძორძოხა შენობის უშველებელი სილუეტი ჩანდა.

უცებ ბილიკზე ჩრდილები გაწვნენ. ტყის მრეწველობის მეურნეობაში მომუშავე ბიჭები იყვნენ. მაგრამ ფიდელმა მაშინვე მაღლა შემართა ავტომატი და იყვირა:

— ტყეში გაუფრთხილებლად ვისვრი!..

ბიჭები სიბნელეში ხეებს შორის გაუჩინარდნენ.

წინ მე მივდიოდი და გზას სპორტული დარბაზისკენ გაჭიმულ ბაგირზე ორიენტირებით ვიგნებდი. ის ბაგირი შტაბის შენობის წინ სახრჩობელასავით ეკიდა.

ფიდელი კვალში მედგა.

როცა ბოლო სახლებს ვარტყამდით წრეებს, ბიბლიოთეკაში შუქი შევამჩნიე. მოყვითალო თანაბარი სინათლე ფანჯარაში. დავფიქრდი ლანჩადაწნულფეხსაცმლიან ქალზე. თითქმის დავინახე ის, წიგნის კარადების ბასტიონს იქით, ვიწრო რეფლექტორიან სივრცეში მდგარი...

და აი, მე თითქოს შევდივარ იქ და ხის კიბეზე სველ კვალს ვტოვებ. ვკვეთ დერეფანს, ვაღებ კარს. ქალი დგება, მისი საყურეები ირხევა. ისეთი სრული სიჩუმეა, რომ საათის მელოდიური წიკწიკი მკაფიოდ ისმის. ქალი სათვალეს იხსნის და მაშინვე ცხვირის ფუძეზე იკიდებს ხელს. მესმის: "თქვენ რა გაინტერესებთ?"

— წავედით, — თქვა ფიდელმა, — თორემ ფეხები მეყინება.

ვეუბნები:

— მე ბიბლიოთეკაში უნდა შევიარო!

— ოჰ! ახურებ, რა!

— მინდა ერთ ქალს ველაპარაკო.

— მორჩი, — ამბობს ფიდელი, — ისედაც მთელი დღე-ღამე მოვანდომეთ აქამდე მოღწევას.

გავჩერდი. ირგვლივ ძე-ხორციელის ჭაჭანება არაა. ჩვენს გვერდით ბნელ კედლად აღმართულა ტყე.

ვეუბნები:

— ფიდელ, კაცურად გთხოვ, გამიშვი. მე ერთს გავეცანი, მე მინდა...

— ის იმას ნიშნავს, რომ გავიყინო და მანამ გელოდო, ვიდრე იგორავებ?!

— ერთად შევიდეთ.

ფიდელი ამბობს:

— არ შემიძლია.

— შენ ჩემი მეგობარი ხარ, — ვყვირი, — ასე მოქალაქე უფროსო?! სხვა რა გზა მაქვს! მიბრძანე!

— წავედით, — თქვა ფიდელმა.

— გასაგებია, — ვამბობ, — არის წავიდეთ!

მაგრამ ადგილიდან არ ვიძვრი. ფიდელი ჩემს ზურგსუკან გაჩერდა.

— მე, — ვეუბნები, — ბიბლიოთეკაში შევლა მინდა.

— წინ იარე!

— მე მინდა!

— არა!

იქითკენ გავიხედე, სადაც კვადრატული ფანჯარა და მოცახცახე ვარდისფერი შუქურა ციალებდა. შემდეგ გვერდზე გადავიწიე და ბადრაგას უცნაური ფიგურა უკან მოვიტოვე.

მაშინ ფიდელმა მიყვირა:

— სდექ!

შევტრიალდი და ვეკითხები:

— გინდა მომკლა?

მან ძლივს გასაგონად თქვა:

— მობრუნდი!

მაშინ ის უკანასკნელი სიტყვებით გავლანძღე. აი, ტყისსაჭრელში კოცონთან და კარტის სათამაშო მაგიდასთან ცემა-ტყეპის წინ და კიდევ ციხეში შმონის შემდეგ გაგონილი სიტყვებით...

— მობრუნდი, — გამიმეორა ფიდელმა...

მე უკანმოუბრუნებლად მივდივარ. უშველებელი გავხდი. ჰორიზონტი გადავფარე. გავიგონე ცარიელ ყინვიან სიჩუმეში როგორ გატკაცუნდა საკეტი და როგორ აწრიპინდა ზამბარა. და, აი, სავაზნე შეივსო.

გიმნასტურის ქვეშ სტანდარტული არმიული სამიზნის ცხრავე რგოლს ვგრძნობდი...

და ამ დროს გაბოროტების აუტანელი შემოტევა ვიგრძენი. თითქოს მე თვითონ, სწორედ მე თვითონ, ვუმიზნებდი ამ ადამიანს. და მხოლოდ ამ ადამიანმა დამატეხა თავს ყველა ჩემი უბედურება, ვაება. და ამ უქმრო ადამიანს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ჩემი ბედის უკუღმა ტრიალის გამო. ოღონდ მისი სახის შეთვალიერება ვერ მოვასწარი.

გავჩერდი, ფიდელს შევხედე. მისი სახე რომ დავინახე, შევძრწუნდი (მას ბეწვის ხელჯაგი კბილებით ეჭირა). შემდეგ რაღაც შევძახე და მისკენ წავედი.

ფიდელმა ავტომატი დააგდო და ატირდა. შემდეგ რატომღაც დაბამბული ჯუბა გაიძრო და გიმნასტურაზე ღილები დაიწყვიტა.

მასთან მივედი და გვერდით დავუდექი.

— კეთილი, — ვეუბნები, — წავედით...

*1982 წლის 21 ივნისი,*
*ნიუ-იორკი*

ძვირფასო იგორ! (თქვენი მამის სახელი ჩვენი ერთობლივი მოგზაურობის ღრანტეებში ჩამეკარგა.) "ზონა" დამთავრებულია. ბოლო წერტილის მუხრუჭები ათი აბზაცის შემდეგ დაიჭრიალებს.

სიმსუბუქისა და სიცარიელის შეგრძნება მმსჭვალავს. მე ხომ ჩვიდმეტ წელიწადს ვამზადებდი ამ ხელნაწერს დასაბეჭდად. The end of something, როგორც ბატონი ჰემინგუეი იტყოდა...

თქვენ იცით, რომ რელიგიური ადამიანი არა ვარ. მეტიც, ურწმუნო ვარ და, წარმოიდგინეთ, ცრუმორწმუნეც კი არ ვარ. დაკრძალვის პროცესებისა, შავი კატებისა და დამსხვრეული სარკეებისა არ მეშინია. წამდაუწუმ მეპნევა მარილი. და ლენა, რომელიც თქვენ სალამს გითვლით, 13 (ცამეტ!) დეკემბერს შევირთე.

სიზმრებს ძალზე იშვიათად ვხედავ, და თუ ვხედავ, საოცრად პრიმიტიულებს. მაგალითად, რესტორანში ფული მითავდება. ზიგმუნდ ფროიდს აქ აბსოლუტურად არაფერი ესაქმება.

ცუდი და მით უმეტეს — წარმტაცი წინათგრძნობები არ მიჩნდება. ზურგით არ ვგრძნობ დაჟინებულ, თვალჩაციებულ მზერას (ამას კინწისკვრაც თუ არ ერთვის.) მოკლედ, ბუნებამ მე აშკარად არ მიბოძა თავისი ტრანსცენდენტური ნიჭები. და ჩემზე, როგორც გაირკვა, ბანალური მატერიალისტური ჰიპნოზიც კი არ ზემოქმედებს.

მაგრამ საიქაოს, მიღმურის მსუბუქი ფრთა მეც შემეხო. მთელი ჩემი ბიოგრაფია კარგად ორგანიზებული შემთხვევითობების ჯაჭვია. მე ყოველ ნაბიჯზე ვარჩევ ბედისწერის მბრძანებლურ ჟესტს. არადა, როგორ არ უნდა მწამდეს ბედისწერისა? ხომ მეტისმეტად ცხადად ჩანს ტრაფარეტები, რომელთა შესატყვისადაცაა აგებული მთელი ჩემი ბედკრული ცხოვრება. მოცისფრო წვრილი ხაზები ჩემი ერთადერთი ხელნაწერის ყოველ გვერდზეა თვალნათლივ აღბეჭდილი.

ნაბოკოვი ამბობდა: "შემთხვევითობა ფორტუნის ლოგიკაა". და მართლაც, რა შეიძლება იყოს უგუნურ, ლამაზ, დაუჯერებელ შემთხვევითობაზე ლოგიკური?..

ჩემი ნაცნობის მამა შლაფმანი აგარაკზე მოცხარის ბუჩქის ქვეშ ორმოს თხრიდა. მას სტენოკარდიის შეტევა იქ მოუვიდა. როგორც გაირკვა, შლაფმანი თავის საფლავს თხრიდა. შემთხვევითობაა ... მეტიც, შლაფმანი ურყევი, უდრეკი სტალინელი გახლდათ. და შემთხვევითი არც ეს იყო. არამედ ეს ასე იმიტომ იყო, რომ მე ამ ეპიზოდის არცთუ დამწუხრებით გახსენება შემძლებოდა...

მე სპორტსმენ — ათჭიდელის თანდაყოლილი მონაცემები მქონდა ბოძებული. ჩემგან მორეფლექტორე ჭაბუკის დასაყენებლად საჭირო გახდა (დიახ, საჭირო გახდა!) არაადამიანური ვაივაგლახი. ამისთვის შეიკრა საექვო, დაუჯერებელი, მაშასადამე, დამაჯერებელი, დამარწმუნებელი და ლოგიკური შემთხვევითობების ჯაჭვი. ერთი მათგანი ციხე იყო. ეტყობა, ვიღაცას ძალიან უნდოდა, რომ ჩემგან მწერალი დამდგარიყო.

ეს ქალური, მყვირალა, მოწამებრივი, მძიმე პროფესია მე არ ამირჩევია. მან მე თვითონ ამირჩია. და ახლა არაფერი გაეწყობა.

თქვენ ბოლო გვერდის კითხვას ამთავრებთ, მე ახალ რვეულს ვშლი...

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ**

## დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამთა შავგულიძე



# ტიპურისა და ინდივიდუალურის იმპლიკაციები ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებაში

გასულმა XX საუკუნემ მემკვიდრეობად რამდენიმე საგანგაშო სიმპტომი დაგვიტოვა (გლობალური ომები, კულტურული და ეთნიკური გენოციდები, მასშტაბური ვირუსები, რევოლუციები, გაუფასურებული ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებები და ა.შ.), რომელთაგან დღეისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად ცივილიზაციური კეთილდღეობის სინდრომით მოწოდებული და, ამდენად, საშიში ეკონომიკური გლობალიზაცია გვეჩვენება. ამ კონტექსტში კი, ცივილიზაციური ფაქტორებით (რომელთაგან ყველაზე საშიში აზროვნებისა და, შესაბამისად, კულტურული პროცესების კომერციალიზაციაა) გაპირობებულმა და უკვე მყარად ჩამოყალიბებულმა სოციოკულტურულმა დისბალანსმა მკაფიოდ წარმოაჩინა თუ როგორი ძალისხმევა დასჭირდებათ მცირერიცხოვან ერებს კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, რაც, თავისთავად, მათ გადარჩენასაც ნიშნავს.

ამ ვითარების დასაბალანსებლად კი გლობალურ ღირებულებრივ სისტემებთან წარმატებული ადაპტირება საკმარისად არ გვეჩვენება, უფრო მეტიც, არც მხოლოდ სამუზეუმო და აკადემიურ სივრცეებში განთავსებულ კულტურულ ტექსტებზე აპელირებაა სრულფასოვანი გამოსავალი. პრობლემა და მასთან დაკავშირებული საფრთხეც მით უფრო რელიეფურად გამოიკვეთება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ უკვე XX საუკუნეში ქართულმა კულტურამ კომუნისტური ე.წ. „სოციალისტური რეალიზმის“ „დოქტრინალური ესთეტიკით" კონსტრუირებული "კულტურული" ექსპანსია განიცადა, რომელიც საბჭოთა იმპერიის ფარგლებში ე.წ. "იდეოლოგიური გლობალიზაციის" ფორმატში ეწერებოდა. ამ გლობალიზაციის "ალმძრავიც" და საბოლოო "პროდუქტიც" ფანტომური წარმონაქმნი ე.წ. "საბჭოთა კულტურა" იყო, რომლის პოსტულატები "საბჭოთა ხელოვნების" ასევე სიმულაკრულ სისტემაში იყო ფიქსირებული; ამგვარი დაშვებების ეროვნულ კულტურულ ორგანიზმებში იმპლიცირებით საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა "ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური" კიდევ ერთი მუტანტური კულტურის — "ქართული საბჭოთა კულტურის" შექმნას ცდილობდა, სადაც "საბჭოთა ხალხისთვის" საერთო, გლობალური იდეოლოგემებით შექმნილი სტრუქტურა პერსონაჟის იერარქიულ-აქსიოლოგიური ნიშნების ("რევოლუციის რაინდი", "რევოლუციის ბელადი", "სოციალისტური შრომის გმირი", "საბჭოთა პიანისტი," და ა.შ.) გამოვლენას ეფუძნება და, შესაბამისად, მისი ("გმირის", "ბელადის") სპეციფიკურობის განმსაზღვრელი მახასიათებლები კონკრეტულ იკონიკურ "ტექსტს" შორდება და სოციალისტური "საზოგადოების" იდეალური საზრისებით იმართება.

სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერიც, რომ ეროვნულმა კულტურებმა და მათ შორის ქართულმაც ამგვარი ასიმილირების "ისტორიულად კანონზომიერ" აუცილებლობას მძაფრი წინააღმდეგობა გაუწია და 20-იან წლებში დაგროვილი ევროპული გამოცდილებით ეროვნული სახვითი ხელოვნების დასავლურ კონტექსტში "წაკითხვა" სცადა (შ. ქიქოძე, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილი, ლ. გუდიაშვილი); მან ტოტალიტარული კულტურებისთვის ნიშანდობლივ კოლექტივისტურ აზროვნებას და სამყაროს შემეცნების მატერიალისტურ დიალექტიკას სულიერის პირველადობისა და მხატვრულ-სახეობრივ სისტემაში ინდივიდუალისტური მიდგომების დამკვიდრება დაუპირისპირა.

ამგვარ, ბოლშევიკურ-გლობალისტური კონსტრუქციებით აწყობილ გარემოში უნდა ჩაწერილიყვნენ 20-იანი წლების ბოლოს პარიზიდან საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდა მხატვრები, (დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი, ქ. მალალაშვილი, ლ. გუდიაშვილი), რომელთა პროფესიული თუ მსოფლმხედველობრივი პრინციპები რადიკალურად განსხვავდებოდა უკვე დაწყებული საყოველთაო "ტიპიზაციის" კონცეპტუალური პროცესებისგან. ამ "მეამბოხეთაგან" ველაზე "ჩუმი" ქეთევან მალალაშვილი ჩვენს ინტერესს იწვევს არა როგორც პორტრეტისტი ან როგორც ყველაზე ნაკლებად შესწავლილი და მივიწყებული მხატვარი, არამედ იგი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ევროპულ პორტრეტულ ტრადიციებთან მჭიდრო კონტექსტში შექმნილ ნებისმიერ პორტრეტში (რომელიც ამავე დროს ეროვნულ ტრადიციებს არ ივიწყებდა), იმპლიცირებული იყო ინდივიდუალისტური, მხოლოდ მხატვრის ესთეტიკური სისტემით განპირობებული მსოფლმხედველობრივ-ფერწერული დაშვებები. მხატვრის ეს პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გვეჩვენება (არა მხოლოდ იმ დროისთვის, არამედ დღევანდელი კულტურული კონტექსტისათვისაც), რადაგანც იგი საფუძვლიანად არყევდა ტიპური გარემოს ტიპურ ჰარმონიას და ტიპური კმაყოფილების "ფილოსოფიას". ასეთი "ფრონდერობისთვის", ქეთევან მალალაშვილი "თავის" დროზე ორდინარული პორტრეტისთვის "ნილაბში" ისე დამალეს, რომ არ გაითვალისწინეს მისი რეალური ღირებულება და ამიტომ მხატვრის შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღესაც კი გაჭირვებით განიხილება საერთო ეთნო-კულტურული კონტექსტის ადეკვატურ ღირებულებად. სწორედ ამგვარმა, "იმიჯმა", რომელიც აბსოლუტურად არ ითვალისწინებდა მხატვრის ცნობიერების მამოდელირებელ სპეციფიკურ მხატვრულ კონცეპტებს, განაპირობა შეხედულება ქ. მალალაშვილის კომპოზიციების სტატიკურობაზე, როცა არა მხოლოდ იკონოგრაფიული სტრუქტურა, არამედ თავად ფერწერული ნარაციაც კონკრეტული, უფრო ზუსტად, ემპირიული ცნებებითაა მოდელირებული ("ქალი ვარდისფერში"), რაც, სავსებით ბუნებრივია, ამარტივებს და მხატვარს მხოლოდ გარკვეული სოციალური სივრცის კონიუნქტურული მოთხოვნების ადეპტად აყალიბებს. მიუხედავად იმისა, რომ ქ. მალალაშვილის მიერ 20-30-იან წლებში შექმნილ პორტრეტებში ზემოთ ხსენებული იდეოლოგიური კონიუნქტურის გამო ტიპური, რუსული კოლექტივისტური აზროვნების სემიოველი იძულებითაა კულტივირებული, მისთვის მაინც უცხო დარჩა რუსული "ეროვნული მსოფლმხედველობის თავდაპირველი სინკრეტიზმი (რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა იდეოლოგიას — თ.შ.), რაც ტოტალიტარული კულტურის მთავარი ასპექტი და რუსი ხალხის მენტალიტეტის რუსული სოციოკულტურული ისტორიის იმანენტურია" (Н.Бердяев «Истоки и смысл русского коммунизма»).

როგორც კვლევამ აჩვენა, მხატვრის ფერწერულ-იკონიკურ ტექსტებში, ფიქსირებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომლითაც პორტრეტის "ტფილისური სკოლის" შემდგომ გაჩენილი ვაკუუმი ნაწილობრივ შეივსო, ხოლო გ. გაბაშვილის, ალ. ბერიძის და ვ. სიდამონ-ერისთავის მიერ მონიშნული პორტრეტულ-ფერწერული მიჯნები ქ. მალალაშვილის პორტრეტების ფონზე უკვე სხვაგვარად "იკითხება," რადგან ამ უკანასკნელის შემოქმედებაში ქარაქტეროლოგიური მომენტების პედალირებით არა მხოლოდ ეროვნული პორტრეტის განვითარების ახალი სიღრმეები მოიძია, არამედ თავისი თაობის მეამბოხე "თბილისელ" და "პარიზელ" მხატვრებთან ერთად დროის სიღრმიდან ეროვნული კულტურის გლობალური ექსპანსიებისგან დაცვის იმ წლებში გამოყენებულ და დღესაც საჭირო იარაღზე მიგვანიშნა.

ქ. მალალაშვილის სახეობრივი აზროვნება იმ ნიშანთა სისტემითაა ფორმირებული, რომელიც, თვითკმარი ღირებულების გარდა, სხვა პლასტიკურ-გამომსახველობით კონცეფციებთან გამაერთიანებელ ელემენტებსაც შეიცავს ("ტფილისური პორტრეტული სკოლის" ტრადიციების გათვალისწინებით) და არცთუ იშვიათ შემთხვევაში გარკვეული ტენდენციის შემცველ "იკონოგრაფიულ კომენტარად" გვევლინება თავისი ფსიქოლოგიური ნაკადებით თუ ქარაქტეროლოგიური საყრდენებით. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ მხატვრის მიერ 1922 წელს შექმნილი "იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი". ნაწარმოებში ქრომატული გამებისა და კომპოზიციური საყრდენების გარდა აქტიურად მუშაობს სახეობრივი ნარაციის ელემენტიც, რომელიც თავის მხრივ სივრცისა და დროის ენერგიულ ორგანიზაციას ცდილობს.

სურათის კომპოზიციური საყრდენი მხატვრისთვის დამახასიათებელი ბრტყელი ფონია "განდევნილი" სივრცით. შესაბამისად, ეს კომპოზიციაც ოდნავ კოლაჟურობით "სცოდავს", მაგრამ კარადის კედლის სქელი წითელი ფერის ექსპრესიულობა მუქ ფერებთან კონტრასტით რომანტიკულ-დრამატული იდუმალების სინდრომს აყალიბებს, ხოლო ამ "ტექსტში" ჩართული რბილად დრაპირებული მოსასხამით მხატვარი ფონსა და ფიგურას შორის გამავალ ზღვარს მსუბუქად გადალახავს. რასაკვირველია, მხატვარი ზომიერად იყენებს ქართული ფრესკული ფერწერის ტრადიციებს; სხეული პირობითი "პეპლუმის" ქვეშ გამქრალია, აზრობრივი აქცენტი თვალებზეა დასმული, ფერწერული თხრობა ლაკონურია, ხოლო ხელების დაძაბული ნერვული რიტმი, თვალებთან ერთად, ქართული ფრესკებისთვის ნიშანდობლივი საკრალურობის სინდრომის დროში ტრანსლაციის პირობად გვევლინება. სხეულსა და ფონს შორის გავლებული კონტური კი არა გამყოფ, არამედ კომპოზიციური სტრუქტურის მაინტეგრირებელ ფაქტორად ჩანს და ამით ეს პორტრეტი ორგანულად ეწერება "ტფილისური" სკოლის სტილისტიკაში (კონტურის ამგვარი გამოყენება "ტფილისური სკოლის" ქართველ მხატვრებს მკვეთრად განასხვავებს ამავე სკოლის სომეხი ფერმწერებისგან).

ქ. მალალაშვილი ი. ნიკოლაძის ამ პორტრეტში ევროპული ფერწერული და ფსიქოლოგიური კლიშე-

ების ქართულ ცნობიერებაში ქართული ფრესკული ფერწერის ტრანსკრიფცირებას "პორტრეტის ტფილისური სკოლის" არსენალით ახდენს (კოლორიტი, კონტური, ფერწერული კინეტიკა) და ქმნის არა კონკრეტული მხატვრის კონკრეტულ ვიზუალურ-აურატულ მოდელს, არამედ თავისებურ ევრო-ქართულ ფერწერულ ქრონოტოპ, სადაც ქართული თვალისთვის ნაცნობი რომანტიკულობის საბურველს მიღმა რბილად და კანონზომიერად ამკვიდრებს ჭეშმარიტი შემოქმედის "ნიღბის" შიგა მხარეს — დემონურობასთან წილნაყარობას, რომელიც ქართული კულტურისთვის უცხო იყო, ამიტომ ევროპულ რადიუსზე ქართული ფერწერის, კერძოდ კი, პორტრეტული ჟანრის გამართვის ეს ცდა ქ. მაღალაშვილთან განმაზოგადებელი რეგისტრებითაა კონსტრუირებული. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება აქვს მკვლევარ მ. ციციშვილსაც. "ქართულ პორტრეტებში კონკრეტულის საფუძველზე ინდივიდის ასახვისას როგორც ზოგადი ტიპი, ასევე ხასიათი და ეროვნული განწყობა წარმოჩინდება. განზოგადების ტენდენციით პორტრეტები ერთგვარად ქართული მონუმენტური ხელოვნების ტრადიციებს მისდევენ და მეორეს მხრივ, ნიადაგს უმზადებენ ეროვნული ფერწერის შემდგომ განვითარებას (ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ე. ახვლედიანი და ქ. მაღალაშვილი)" (მ. ციციშვილი "XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული სკოლა" თბილისი, 1997 წელი).

აშკარაა, ქ. მაღალაშვილმა შემოქმედების ამ ეტაპზე ბოლომდე ვერ დააღწია თავი პორტრეტში განზოგადების ქართულ ტრადიციას და შექმნა არა ი. ნიკოლაძის დროში ლოკალიზებული და კონკრეტული პორტრეტი, არამედ შემოქმედის განზოგადებული სახე. შემოქმედების შემდგომ ეტაპზე კი მხატვარი უკვე პოზიციას რადიკალურად იცვლის, მაგრამ ეს მოგვიანებით მანანა ხიდაშელის პორტრეტში გამოჩნდება, მანამდე კი 1930 წელს თინა ვირსალაძის პორტრეტი შეიქმნა, რომელზეც თავად თ. ვირსალაძე წერდა: "პორტრეტი უდაოდ ფსიქოლოგიური, ოდნავ განზოგადებული და დეკორატიულია. ფერწერულად ძალიან ლამაზი, მაგრამ სტილიზებული სახე, ოქროსფერი ტონებითა და გაყინული, ფართოდ გახელილი თვალებით ფაიუმის პორტრეტებს მოგვაგონებს". ამ შეფასებაში მცირე კორექტივს შევიტანთ და დავძენთ, რომ ქ. მაღალაშვილი ამ პორტრეტში ქართული ფრესკის ტრადიციას ეყრდნობა და არა ფაიუმის პორტრეტის გამოცდილებას. ჩვენი მოსაზრების მართებულობაზე განსაკუთრებულად აქცენტირებული თვალებისა და წარბების სპეციფიკური კონფიგურაცია მიუთითებს, სწორედ იმ ტიპისა, რომელიც ჩვენს ფრესკულ თუ მინიატურულ ფერწერაში ფართოდ იყო გავრცელებული; ამ რიგში დგას დახრილი თავიც, დინამიკის, მოძრაობის ილუზია. შეიძლება, პორტრეტი ოდნავ დეკორატიულია, მაგრამ ეს უფრო დაღლილი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული ქართული კულტურის კუთვნილებაა და არა უწარსულო, ამიტომაც სამყაროს დაუფლების სურვილით გამსჭვალული მაჟორული ჟღერადობის "საბჭოთა კულტურისა".

როგორც უკვე აღინიშნა, იმ წლებში საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეები კონიუნქტურული, იდეური თუ სხვა მოსაზრებებით ხშირად ცდილობდნენ ქ. მაღალაშვილის შემოქმედებისთვის სოციალისტური რეალიზმის "ბადე" მოერგოთ, მაგრამ მხატვრის შემოქმედებითი ვექტორი უმეტესად საწინააღმდეგო მხარეს იყო მიმართული, თუმცა 1952 წელს შექმნილი "ქალი ვარდისფერში," რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ლირიკული განწყობებით გამორჩეულ ტილოდაა მიჩნეული, მხატვარს ფორმით და შინაარსით მასზე უფრო სოცრეალისტური ("ექსკავატორისტ ა. ბრილის პორტრეტიც" კი) არ შეუქმნია. ქალის სახეზე გარანტირებული მომავლის მქონე საბჭოთა მოქალაქის კმაყოფილებაა (და არა ბედნიერება) აღბეჭდილი, ხოლო ტოტალიტარიზმის ფილოსოფიისთვის ნიშანდობლივი საყოველთაობა კი მას რეჟიმის ტიპურ მოქალაქედ აქცევდა, რაც მხატვარს განსაკუთრებული მკაფიოობით აქვს გადმოცემული. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მკაფიოობა ჩვენთვის დაფარულის წარმოჩენას უწყობს ხელს.

1952 წელს შესრულებული "ექსკავატორისტ ა. ბრილის პორტრეტი" კი რამდენადაც ფორმით სოცრეალიზმის დოქტრინალურ ბაზაზეა შექმნილი, იმდენად შორსაა მისგან შინაარსით. ეს არაა სოციალიზებული საბჭოთა მუშა, არამედ უბრალო, გულითადობით გამორჩეული კონკრეტული რუსი მუშაა. მხატვარმა ჩრდილოეთისთვის დამახასიათებელი კოლორიტის გამოყენებით პორტრეტირებულის იდენტიფიცირება კონკრეტულ ეთნოსთან და ეთნოკულტურასთან მოახდინა (პორტრეტი ვრუბელ-სეროვთან ასოცირებული ლურჯი ფერით არის შესრულებული, ფერადოვან გამაში კი ჩრდილოეთისთვის ასე დეფიციტური მზის ნაკლებობა იგრძნობა). ამ პორტრეტის პერსონაჟის კონკრეტული ეთნოკულტურული ნიშნების იდენტიფიცირებით მაღალაშვილმა რუსულ სოციოკულტურულ ბაზაზე ჩამოყალიბებული ტიპური "საბჭოთა ადამიანის" ესთეტიკური ცნება უარყო.

თუმცაღა მხატვარი დროის მოთხოვნებს ითვალისწინებდა, ვინაიდან პორტრეტირებულთა უმრავლესობის სახელთან პროფესიასაც აღნიშნავდა, ანუ ისინი სოციალური ნიშნით იყვნენ მარკირებულნი (მაგ. სკულპტორი ი. ნიკოლაძე, პიანისტი ე. კუპტინა და ა.შ.)

1959 წელს იქმნება მანანა ხიდაშელის პორტრეტი, რომელიც პროფესიული ნიშნით მარკირებული სოციალური პირობითობებისგან თავისუფალია; იგი, უბრალოდ, მანანა ხიდაშელია, ანუ მხატვარი თავის მოდელებს სოციალურ ტიპებამდე არ განაზოგადებს და მათ საკუთარ ინდივიდებამდე, ხასიათებამდე აკონკრეტებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა "ელისო ვირსალაძის პორტრეტი", სადაც ქ. მაღალაშვილმა უარი თქვა მისთვის ნიშანდობლივ, კომპოზიციის გამაწონასწორებელ საყრდენებზე, მონასმითა და ფერით კონსტრუირებულ აქტიურ ფონზე და სიმძიმის ცენტრი პერსონაჟის ხასიათის სიღრმეში მიმალულ მოძრაობაზე და ენერგიული

მონასმებით დაწერილ სახეზეა ფიქსირებული. სურათის მთავარი გმირია არა პიანისტი ე. ვირსალაძე, არამედ დაწყებული და წამიერად შეჩერებული მოძრაობის დამაგვირგვინებელი შინაგანი ყოვნი, რომელიც მაყურებელს ერთი წამით აიძულებს, მსმენელად იქცეს და ყური მიუგდოს პორტრეტიდან წამოსულ ბგერებს, რომელთაც არაფერი აკავშირებს სოციალურ ფონთან (სურათის სახელწოდებაა "პიანისტ ე. ვირსალაძის პორტრეტი") და, რაც მთავარია, უკვე მისად ქცეულ პიანისტთან ერთად, რომელიც მხოლოდ მისთვისაა წინ გადმოხრილი, ახალი სამყაროს შექმნის მისტერიის წამიერი მონაწილე ხდება. რაც შეეხება ვიზუალურ ტექსტს, რომელშიც მხატვარმა მაყურებლისთვის "გასამხელი" ინფორმაცია შეინახა, იგი უმეტესად თვალებში "იკითხება" და მაყურებელი (თუ მსმენელი) მას საკუთარ ინფორმაციასთან აჯერებს. ამ იკონიკური ტექსტის ამგვარი წაკითხვა უნიკალურად ინდივიდუალური ელისო ვირსალაძის პორტრეტულ "მოცემულობას" ავსებს, თუ აყალიბებს ახალი წარმოდგენების რიგით, რომელიც სწორედ ფერწერული ნარატივითაა მიღწეული. მაყურებელს მასთან დიალოგის გაბმის არა მხოლოდ სურვილს, არამედ საშუალებასაც აძლევს, რომლის წარმატებულობაც მაყურებლისა და მსმენელის მზაობაზეცაა დამოკიდებული. ამ პორტრეტში ქ. მალალაშვილი "მსმენელ-სმენილის" დიალოგის კონსტრუირებას ფერწერული ტექსტის უკუპროექცირებით ახდენს, როცა მთელი ფერადოვანი გამა, როგორც ნარატივების ერთობლიობა, საერთო ნაცრისფერი გამის "შიგნით" შეაქვს და მაყურებელს გზას ინდივიდუალური ვირტუალური სამყაროსკენ უხსნის, სადაც ხდება არა მხოლოდ ელისო ვირსალაძის, არამედ თავად მაყურებლის ფერწერულ-მუსიკალური ინდივიდუალიზაცია. სწორედ ამით მიგვაჩნია გამართლებულად სურათის გარკვეული იკონიკურ-კომპოზიციური თუ კოლორიტული დაშვებების ინტროსპექციული რეპრეზენტაბელობაც.

"იშხნელის პორტრეტი", თავისი საკმაოდ ორდინალური კომპოზიციით, სახის სტრუქტურითა თუ ფერწერული ნარატივების ტექტონიკური სქემით, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად რეალისტური სკოლის ტრადიციებს ემყარება. უფრო მეტიც, მისი, როგორც არტეფაქტის, პარამეტრები სავსებით შესაძლებელია, სოცრეალიზმის ესთეტიკის მარკერებითაც კი მოინიშნოს, და მაინც, იშხნელის პორტრეტი პრინციპულად ემიჯნება ზემოთ ხსენებული მოთხოვნებით შემოფარგლულ ნიშს, რადგანაც ქ. მალალაშვილმა სურათის ერთი შეხედვით სტატიკური სივრცის მიღმა რეალური ქვეტექსტი შემოგვთავაზა, რომელიც მონასმების რიტმით, რბილი, თითქმის პასტელისებური ფერწერითაა დაფარული — "იშხნელის პორტრეტი" კონკრეტული ინდივიდის დაუმორჩილებელი ხასიათის ჩვენებაა, რომელიც თავად მოდელის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მსგავსებათა ბალანსირებულ სქემას ემყარება. პორტრეტირებულის "ოფიციალურ" და "რეალურ" ხატებს შორის სხვაობა მხატვარმა ე.წ. ფერწერული ცენტრის მეშვეობით აჩვენა, როცა პორტრეტის ფაქტურაში ალოგიკური, ოდნავ უტრირებული გამებით პორტრეტირებულის მშვიდი "ნიღბის" მიღმა დაფარული ნერვული ენერგიის ფოკუსირება მოახერხა; ამ ენერგიის წყაროს მინიშნებით კი იმთავითვე გამოირიცხა დიალოგის შესაძლებლობა სოციალისტური სიმულაკრებით "ნაქსოვ" სამყაროსთან.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში იდეოლოგიური გლობალიზაციის პროცესი დედამიწის ერთ მეექვსედზე მიმდინარეობდა. მართალია, მაშინ მასშტაბები შედარებით მცირე იყო, მაგრამ საზღვრების არარსებობას და იდეოლოგიური მეტროპოლიტიდან ინფორმაციით პერიფერიების ინტენსიურ "დამუშავებას" საბოლოოდ კი ეთნოკულტურული და, შესაბამისად, ეთნიკური ერთეულების გაქრობამდე მივყავდით. როგორც აქ მოხმობილი რამდენიმე პორტრეტის ანალიზით მონიშნული ტენდენცია გვიდასტურებს, საბჭოთა იდეოლოგიურ-გლობალისტურ ძალადობასთან წინააღმდეგობა (არა მხოლოდ ქ. მალალაშვილისთვის) — (იგი ერთი კონკრეტული მაგალითია), როგორც შემოქმედებითი, ისე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ურთულესი სოციალ-პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენების ფონზე მიმდინარეობდა. სწოედ ამ კონტექსტში განიხილება "საბჭოთა" და ეთნოკულტურების ძალადობრივი და არაორგანული პარადიგმის ერთ-ერთი მეამბოხე სუბიექტის, ქართული ეროვნული სახვითი ხელოვნების სრულფასოვანი ადეპტის ქ. მალალაშვილის შემოქმედების ანტიგლობალისტურ "ტექსტში" წაკითხვის აუცილებლობა, რადგანაც მხატვრული აზროვნების სოციალიზაციამ ჩვენს ცხოვრებასა და ყოფაში საფუძველი ჩაუყარა "ახალი ადამიანის" თეორიულ, უფრო მეტიც, იდეოლოგიურ ბაზას და ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილ, "მსოფლიო რადიუსზე გამართულ" ხელოვნებას "დაევალა" ამ ახალი მონსტრისთვის ახალი მითოლოგემების სისტემის, ახალი მითოსის შექმნა. სწორედ ამ მოვლენის წინააღმდეგ იყო მიმართული ქართული ხელოვნების ძალისხმევა, როცა იგი საბჭოთა იდეოლოგიური შტამპების მიღმა საკუთარს, ეროვნულს ამკვიდრებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანა კალანდია

# რეპორტაჟი ზეთისხილის ბაღიდან

*"დამასაფლავეთ ირია ფლავიაში,*
*ზეთისხილების ჩრდილებქვეშ".*
*ანდერძიდან*



კამილო ხოსე სელა გალისიაში, ირია ფლავიას მყუდრო გარეუბანში, ზეთისხილების ბაღში დაკრძალეს. "ზეთისხილების ჩრდილები" იყო მისი ბოლო სურვილი ან, თუ შეიძლება ითქვას, მისი უკანასკნელი ვნება. აქ მოინდომა, ჰქონოდა სამუდამო ნავსაყუდელი. ესპანელებმა ტაშითა და "VIVA CELA"-ს შეძახილებით გააცილეს თავიანთი ექსტრაორდინარული ნობელიანტი, ადამიანი, რომელიც მათთვის ქვეყნის ცოცხალ ისტორიას განასახიერებდა, მწერალი, რომელმაც ბოლომდე იცხოვრა მღელვარე მეოცე საუკუნის კატაკლიზმებით და, მისივე მკვლევარების აზრით, თავად შექმნა ესპანეთის უახლესი ისტორია, ენა და ლიტერატურა. კამილო ხოსე 85 წლის ასაკში გარდაიცვალა მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში და მისმა სიკვდილმა სულით ხორცამდე შეძრა ესპანეთის საზოგადოება. თავად ამბობდა: "ჩვენ, ესპანელები, შეყვარებულთა ქვეყანა ვართ". გულისხმობდა მისი ერისთვის დამახასიათებელი განცდის განსაკუთრებულ სიმძაფრესა და ექსპრესიულობას. კამილო ხოსე სელა იმ პიროვნებათა რიცხვს განეკუთვნებოდა, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება მუდმივად აფორიაქებენ ერის სულსა და წარმოსახვას. ეს ამაყი, თითქმის სკანდალური შემოქმედებითი და პირადი ბიოგრაფიის მწერალი სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საზოგადოებრივ ყოფაში. გამორჩეულობა არ იყო მისი არჩევანი, ეს უფრო გარდუვალობას ჰგავდა. არც ცდილობდა მისგან გაქცევას, რადგან შესანიშნავად ესმოდა საკუთარი ღვაწლის ფასი და მნიშვნელობა, იცნობიერებდა, რომ პროვოკაცია მისი ცხოვრების ნაწილს შეადგენდა. "თავი ესპანეთის საუკეთესო მწერლად მიმაჩნია ოთხმოცდათვრამეტი წლის თაობის შემდეგ და თვითონვე მიკვირს, რა ადვილად მივაღწიე ამას. მომიტევეთ, აბა, მე რა უნდა მექნა?" — ეს ფრაზაც გამოწვევა გახლდათ... თუმცა ამ სიტყვების ავტორს ეკუთვნის "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" — რომანი, რომელიც სერვანტესის "დონ კიხოტის" შემდეგ ყველაზე პოპულარულ რომანად ითვლება ესპანეთში.

კამილო ხოსე სელა (ტრულუკი) დაიბადა 1916 წლის 16 მაისს ირია ფლავიაში, ლა კორუნიას პროვინციაში, საშუალო ფენის ოჯახში. მისი ნათლობის სახელი — კამილო ხოსე სელა მანუელ ხუან რამონ ფრანცისკო. მოგვიანებით ტრულუკების ოჯახი მადრიდში გადავიდა საცხოვრებლად. სელამ გადაწყვიტა, სამედიცინო განათლება მიელო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი ინტერესები ლიტერატურისკენ იყო მიმართული. მიატოვა სამედიცინო კარიერა და ფილოსოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გადავიდა სასწავლებლად. 1937-38 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომის ბატალიები თავისთავად შეიჭრა ახალგაზრდა, ექსცენტრული კამილო ხოსეს ცხოვრებაში. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი კამილო ხოსე სელა იმ რაზმში იბრძოდა, რომელსაც მომავალი დიქტატორი, ფრანკო ხელმძღვანელობდა. ამ მოვლენამ თავისი კვალი დატოვა მწერლის შემდეგდროინდელ მოღვაწეობაზე; სამოქალაქო ომის სისასტიკემ განსაზღვრა და მიმართულება მისცა სელას მსოფლმხედველობასა და მხატვრულ ესთეტიკას. მეორე მხრივ, ერთგვარად განაპირობა საზოგადოების დამოკიდებულება მისი პიროვნების მიმართ. თითქმის სიცოცხლის ბოლომდე სელას ახსენებდნენ და აყვედრებდნენ ფრანკოსთან ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობასა და მის მიმართ კეთილგანწყობას. სამოქალაქო ომის ნაიარევი სამუდამოდ დააჩნდა მის შთამბეჭდავ გარეგნობას, უფრო მეტად კი სამყაროსა და ადამიანების მისეულ აღქმას. ავტობიოგრაფიაში ოდნავი ირონიით წერს: "განსაკუთრებული ნიშნები მაქვს, ორი ნაიარევი. ნიკაპსა და ტუჩზე და ორი ჭრილობა საზარდულზე და მკერდში, საბედნიეროდ, მარჯვნივ. რას იზამ, ჩვენ ოცდაჩვიდმეტის წვევამდელები ვართ". თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1974 წელს, კამილო ხოსე სელას ძველი მეგობრები მწარედ შეახსენებენ ოცდაჩვიდმეტის შესახებ. საქმე ეხებოდა უკვე საქვეყნოდ აღიარებული მწერლის მადრიდის ათენეოს პრეზიდენტად არჩევას. კამილო ხოსე სელამ უარი განაცხადა შემოთავაზებულ თანამდებობაზე, ამ ფორმით მან პროტესტი გამოხატა ანარქისტ სალვადორ პიგ ანტიჩის დახვრეტის გამო. ამ ჟესტით მისმა ადრინდელმა თანამოაზრეებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და კამილო ხოსე სელას ლიბერალიზმისა და დემოკრატიულობის განსაქიქებლად ის ძველი დოკუმენტები გამოაქვეყნეს, რომლებიც ადასტურებდნენ მწერლის ურთიერთობას სადამსჯელო ფაშისტურ ორგანიზაციებთან. "სამყარო ორ ნაწილად იყოფა, ჩემი მეგობრები და ნაძირალები". უკიდურესობები სელას ცხოვრებისა და ესთეტიკური აზროვნების ძირითად საზრისს შეადგენდა. მართლაც, მას ჰყავდა მტრები, რომლებიც ებრძოდნენ, რომელთაც სძულდათ, და მეგობრები, თაყვანისმცემლები, რომლებიც აღმერთებდნენ. სელას ერთ-ერთი ბიოგრაფი მარიანო ტუდელა იხსენებს, რომ თავისი სამუშაო მაგიდის უჯრაში კამილო ხოსეს შენახული ჰქონდა იმ აკადემიკოსების სია, რომლებიც წინ აღუდგნენ მის არჩევას ესპანეთის სამეფო აკადემიის აკადემიკოსად: "არასოდეს ვაპატიებ მათ ამ გადაწყვეტილებას". ასევე შეუბრალებელი იყო მათ მიმართ, ვინც, მისი სიტყვების პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, გაბედა და შენიშვნები გამოთქვა მწერლის მხატვრული ტექსტების მიმართ.

ორმოციან წლებში სელა წერს თავის ყველაზე გახმაურებულ რომანს "პასკუალე დუარტიეს ოჯახი". რომანი პირველად 1942 წელს გამოქვეყნდა, 26 წლის კამილო ხოსე შეუდარებელი ბრწყინვალებით განათდა ესპანური ლიტერატურის ცის კაბადონზე. რომანი მაშინვე აიკრძალა მასში მოთხრობილი "შემზარავი ამბების" გამო. 1946 წელს "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" არგენტინაში გამოიცა, რადგან ვერც ერთი ესპანური გამომცემლობა ვერ ბედავდა, თავის თავზე აეღო ამგვარი ექსცენტრული წიგნის გამოქვეყნება. წიგნმა უზარმაზარი წარმატება მოიპოვა. "პასკუალე დუარტიეს ოჯახს" ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, აქ მხოლოდ ერთ ფაქტს აღვნიშნავთ: ეს იყო წიგნი, რომელმაც მთელი ერის ესთეტიკურ სისტემაზე იქონია უზარმაზარი გავლენა; წიგნი, რომელმაც განაპირობა მომდევნო ათწლეულების ესპანური ლიტერატურისა და მხატვრული აზროვნების მიმართულება.

1944 წელს კამილო ხოსე დაქორწინდა როსარიო კონდე პირაველაზე, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი და შემოქმედებითი იდეების თანამოაზრე იყო. მწერლის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ როსარიო კონდეს გარეშე მას არ შეეძლო არც ერთი წუთით. "მე არ შემიძლია ჩაროს (მეუღლე) გარეშე, ჩემი საომარი ყიჟინა — ეს ჩაროა". როსარიო კონდესა და კამილო ხოსე სელას შეეძინათ ვაჟიშვილი, კამილო ხოსე სელა კონდე (ორმოცდახუთწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ეს სიღრმისეული კავშირები უკვალოდ გაქრა. — 75 წლის კამილო ხოსე სელამ თავის ბედი ახალგაზრდა ჟურნალისტს, მარინა კასტანიას დაუკავშირა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები მასთან გაატარა.)

ორმოცდაათიან წლებში კამილო ხოსე წერს რომანს "სკა", რომლითაც კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩინა თავისი მსოფლმხედველობრივი პრინციპები და ესთეტიკური სისტემა. რომანში აისახა ომისშემდგომი მადრიდის ყოფა, თითქმის ორასზე მეტი პერსონაჟი იბრძვის თვითგადასარჩენად. მწერალი ხატავს გარემოს, სადაც ყოველი ადამიანი ქმნის სრულიად განსხვავებულ, ინდივიდუალურ სამყაროს. "სკა" მეოცე საუკუნის ესპანური ლიტერატურის ნამდვილ შედევრად იქცა. ამ დროიდან კამილო ხოსე ტოვებს მადრიდს და პალმა დე მაიორკაზე გადადის საცხოვრებლად. აქ აფუძნებს ჟურნალს, რომელშიც აქვეყნებს უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებსა და ესპანური დიასპორის გამოჩენილ მოღვაწეთა თხზულებებს. ამ პერიოდულ გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ომისშემდგომი ესპანეთის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. სელა ცდილობა, იდეური პლურალიზმისა და მხატვრული მრავალფეროვნების კვალდაკვალ ნათლად წარმოეჩინა ესპანური ენის დიალექტების სიმდიდრე, ის, რასაც სელას მკვლევარები "ლინგვისტურ პლურალიზმად" მოიხსენიებენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კამილო ხოსე სელას სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული თანამედროვე სალიტერატურო ესპანური ენის რეფორმასთან. თავისი პროზით, პუბლიცისტიკით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მწერალი დაუღალავად იბრძოდა კასტილიური ენის განახლებისთვის, ცდილობდა, გაეცოცხლებინა და მიმოქცევაში მოეყვანა დიალექტებში შემონახული პასიური ფორმები და გამოთქმები, გაემდიდრებინა და ახალი სული შთაებერა ენის ცოცხალი სხეულისთვის.

1957 წელს კამილო ხოსე სელა ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრად აირჩიეს. მან დაიკავა ის სავარძელი, რომელიც მანამდე სამხედროს, ადმირალ ესტრადას ეკავა. ცხადია, ეს არ იყო შემთხვევითობა. თავად ფაქტი უაღრესად სიმბოლური გახლდათ ესპანეთისთვის. სიტყვა, რომელიც მწერალმა წარმოთქვა, მიეძღვნა ენისა და ლიტერატურის განვითარების საკითხებს. კერძოდ, მან ვრცლად ისაუბრა ექსპრესიონიზმის, როგორც აზროვნების ტიპისა და ესთეტიკური სისტემის შესახებ. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის უდიდეს წარმომადგენლებად მან გუტიერეს სოლანი და ეუხენიო ნოელი დაასახელა. ამ ორი მწერლის შემოქმედება სელას ყოველთვის აინტერესებდა და მაღალ ლიტერატურულ ფასეულობად მიიჩნევდა. მეცნიერებათა აკადემიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღვაწეობის პარალელურად სელა მთლიანად ჩართული იყო საგამომცემლო საქმიანობაში. ფრანკოსდროინდელ ესპანეთში აკრძალული ავტორებისა და ნაწარმოებების პუბლიკაცია უდიდეს რისკს უკავშირდებოდა. ფაქტობრივად, ეს საქმიანობა დისიდენტური მოღვაწეობის ტოლფასი იყო. სელას მიერ დაარსებულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა ფრანცისკო უმბრალის პირველი წიგნები. აქვე დაიბეჭდა ფრანცისკო არაბალის "ლა ცერემონია დე ლა ცონფუსიონ" (გაუგებრობის ცერემონია), რის გამოც არაბალი მოგვიანებით დააპატიმრეს. მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამცველი სელა აღმოჩნდა. თანამედროვენი იგონებენ, რომ, როდესაც სელა, როგორც მოწმე, სასამართლო პროცესზე დაიბარეს, მან წარმოადგინა ვრცელი ტექსტები ანდრე ბრეტონის სიურრეალისტური მანიფესტიდან. სელა ცდილობდა ბრალმდებელთა დარწმუნებას, რომ ირაციონალური ავტომატიზმი, ალოგიკურობა სიურრეალისტური მწერლობის ესთეტიკურ ტენდენციას წარმოადგენს. რაოდენ უცნარიც უნდა მოგვეჩვენოს, არგუმენტებმა გავლენა მოახდინა და არაბალი გადაურჩა დიქტატორული რეჟიმის მკაცრ განაჩენს. ესპანეთში დემოკრატიის დამყარებისთანავე სელას სენატორად ირჩევენ. ამ თანამდებობაზე ყოფნისას იგი შეუდარებელი სიმტკიცით ცდილობდა, დაეცვა ესპანური ენის კონსტიტუციური უფლებები. ამ პერიოდსვე უკავშირდება მწერლის დრამატურგიული და სამსახიობო მოღვაწეობა.

კამილო ხოსე სელა იყო პიროვნება, რომელიც მუდმივად გამოცდიდა საკუთარ თავს განსხვავებულ გარემოებებში. "ხშირად ვიცვლიდი საქმიანობას, ალაბთ, იმიტომ, რომ არც ერთი არ მომწონდა. სიტყვის წარმოთქმა არ მიყვარს და არც ევროპის ერთიანობისა მწამს რამე; სამაგიეროდ, რიგრიგობით გახლდით კარგი ოჯახის ვაჟიშვილიც, ჯარისკაციც, პოეტიც, ტორეროც, მოხელეც, პროზაიკოსიც, მსახიობიც, რედაქტორიც და ლექტორიც" — წერს სელა ავტობიოგრაფიაში. 1989 წელს მას მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში. შვედეთის აკადემიის განცხადებაში ნათქვამია, რომ მას ნობელის პრემია ენიჭება "მდიდარი და სავსე პროზისთვის, რომელიც მოგვითხრობს ადამიანის სულის ჭრილობების შესახებ".

გარდაიცვალა 2002 წლის 17 იანვარს. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე სელა მადრიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს. მთელი ესპანეთი ადევნებდა თვალს, როგორ ებრძოდა ღრმად მოხუცებული მწერალი სიკვდილს. მათ შორის იყო კამილო ხოსე სელა კონდე — მწერლის ერთადერთი ვაჟიშვილი, რომელიც ათი წლის უნახავი მამის შესახებ ინოფორმაციებს ესპანეთის ყველა ცენტრალური არხიდან იგებდა. კამილო ხოსე სელას უზარმაზარი მემკვიდრეობა, ანდერძის თანახმად, გადაეცა მეუღლეს — მარინა კასტანიას, ერთადერთი გამონაკლისის გარდა. საქმე ეხებოდა დიდი ესპანელი მხატვრის ანტონიო მიროს ნამუშევარს, რომელიც კამილო სელამ შვილს უანდერძა. ამ ნახატთან დაკავშირებით არსებობს საინტერესო ისტორია — თავის დროზე კამილო ხოსემ იყიდა მიროს ტილო და შვილს აჩუქა. წლების შემდეგ ანტონიო მირო სტუმრად მივიდა კამილო ხოსესთან (მასთან, ისევე როგორც პიკასოსთან, კამილო ხოსეს მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა). მწერალმა თავი მოიწონა და მხატვარს თავისი ნამუშევარი აჩვენა. მირომ აღიარა, რომ ნახატი ყალბი იყო. კამილო ხოსე ძალიან გაბრაზდა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ტილო იქვე, მიროს თანდასწრებით დანით გაჭრა. მირო შეეცადა, დაემშვიდებინა მეგობარი და დაპირდა, რომ მას საგანგებოდ დაუხატავდა ამ ნახატის სამაგიეროს. მოგვიანებით მხატვარმა იმავე ტილოზე დახატა ზუსტად ისეთივე ნახატი, გაიმეორა ყოველი დეტალი და ხელუხლებელი დატოვა დიდი მწერლის მიერ მიყენებული ჭრილობა. კამილო ხოსეს გარდაცვალების შემდეგ კამილო ხოსე სელა კონდემ (შვილმა) პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა ნაანდერძევზე და ნახატი აუქციონზე გაყიდა...

## "ჯოჯოხეთის მარადიული მსახური", ანუ სიზიფეს ლოდი და პასკუალეს ვნებები

კამილო ხოსე სელას ლიტერატურული მოღვაწეობის მწვერვალი "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების ესპანეთში, როგორც უკვე ითქვა, აკრძალული იყო. ერთი მხრივ ფრანკოსდროინდელი ავტორიტარული რეჟიმის ცენზურა და მეორე მხრივ საზოგადოების ცნობიერი თუ არაცნობიერი შიში სიმართლის დანახვისა შეუძლებელს ხდიდა ამ წიგნის გავრცელებას. მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობისა, "პასკუალე დუარტიეს ოჯახმა" გადალახა ყველა რუბიკონი და იმ იშვიათ ნაწარმოებად იქცა, რომლის იუბილესაც მთელი ერი აღნიშნავს. ბუნებრივია, ამ მოვლენას აქვს თავისი კანონზომიერება. კამილო ხოსე სელამ შეძლო ესპანელი საზოგადოებისთვის დაენახვებინა შიშველი, შეულამაზებელი რეალობა, ის სინამდვილე, რომელიც არსებობს ერის ყველაზე ღრმა წიაღში. სელა იცნობდა ესპანურ ყოფას, იცნობდა ისეთს, როგორიც ის იყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. ეს ცოდნა და ბუნებით მიმადლებული მეამბოხე, კადნიერი სული უბიძგებდა ავტორს ყველაზე თამამი თვითგამოხატვისკენ. "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" კამილო ხოსე სელამ 26 წლის ასაკში დაწერა. რეალურად, წიგნი, რომელმაც განსაზღვრა მისი შემოქმედებითი კარიერა, მისი ცხოვრების დასაწყისში დაიწერა. ზოგადად "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" ევროპული მოდერნიზმის, კერძოდ, ექსპრესიონიზმის ჭრილში უნდა გავიცნობიეროთ. ძნელია ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში ზუსტი ლიტერატურული პარალელების ძიება, რადგან ექსპრესიონიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, აქ მკაფიო ლიტერატურული ნიშნები არ მოუცია. ცხადია, ვითვალისწინებთ კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული ნოველების მსოფლმხედველობრივ-თემატურ ასპექტებს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მათში ევროპული ექსპრესიონიზმისთვის

დამახასიათებელი ნიშნები თავისი სრული სახით არ გამოვლენილა. ფორმა და ტექნიკა, რომელსაც მიმართა მწერალმა, კლასიკური სამიჯნურო-სათავგადასავლო ნოველისტიკისთვის იყო დამახასიათებელი. ვგულისხმობთ წერილობითი ფორმით შინაარსის გადმოცემას, სტილისტიკას, რომელიც ნიშანდობლივი იყო რენესანსული პერიოდის ლიტერატურისთვის. კამილო ხოსე სელამ შექმნა ნაწარმოები, რომლითაც კლასიკური ტექნიკა ღრმა ეგზისტენციალური ფილოსოფიით გაჯერებულ შინაარსს დაუპირისპირა. ჩვენ ვსაუბრობდით ექსპრესიონიზმისა და მისი რადიკალიზმის შესახებ. შეიძლება ითქვას, "პასკუალე დუარტიეს ოჯახის" უკიდურესი ექსპრესიულობისა და მხატვრული ზემოქმედების საიდუმლო სწორედ აქ დევს. სელამ შეძლო, კარგად რაფინირებულ, დამუშავებულ ტექნიკურ ჩარჩოში მოექცია სრულიად თანამედროვე, ეპოქალური სულისკვეთებით გაჟღენთილი ისტორია, რომელიც მოთხრობილია ცოცხალი, იმპულსური ენით. ეს ძალიან ჰგავს მღელვარე მთის მდინარის ძველ, მყუდრო კალაპოტში მოქცევის მცდელობას. ამ რომანით სელამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელიც "ტრემენდიზმის" სახელით არის ცნობილი ესპანეთში. "ტრემენდო" — შემზარავი, საშინელი. შინაარსის და სტილისტიკის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" ექსპრესიონიზმის რადიკალურ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. "ტრემენდიზმი" სწორედ უკიდურესი ექსპრესიის, ეგრეთ წოდებული "ძალადობის ესთეტიკის" პრინციპების აპოლოგიას წარმოადგენს. ძალიან ხშირად სელას მკვლევარები "პასკუალე დუარტიეს ოჯახს" კამიუს "უცხოსთან" აკავშირებენ და აღნიშნავენ მათი სულიერი ნათესაობის შესახებ. რა შეიძლება ჰქონდეს საერთო ამ ორ სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებს? ამ ლიტერატურული პარალელის შესახებ ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ, ამჯერად კი თავად რომანის გმირს, პასკუალე დუარტიეს დავუბრუნდეთ. როგორც ითქვა, რომანი წერილობითი ფორმით მოგვითხრობს გმირის ცხოვრების შესახებ. სიკვდილმისჯილი, რომელიც რამდენიმე მკვლელობისთვის არის გასამართლებული და სასჯელის ყოველწამიერ მოლოდინშია, განსასჯელის საკანში ყოველდღიურად წერს წერილებს, სადაც მოგვითხრობს თავისი ცხოვრებისა და ჩადენილი მკვლელობების შესახებ. ფაქტობრივად, ეს ჩანაწერები გმირის სულიერ აღსარებად იქცევა. პასკუალე დუარტიე, რომელიც ამ ჩანაწერების ავტორია, ესპანეთის ყველაზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია. ადამიანი, რომელშიც პერსონიფიცირება მოახდინა სამოქალაქო ომის შემზარავი რეალობის მთელმა სასასტიკემ. ღრმად ქვეცნობიერი, ინსტინქტური ვნებები, რომლებიც განსაზღვრავს ნაწარმოების მთავარი გმირის საქციელს, სწორედ საზოგადოების წიაღში, იუნგის პარადიგმების მიხედვით, მღელვარე "კოლექტიურ არაცნობიერში" აღძრული ვნებებია. როდესაც დიდ სიურრეალისტ მხატვარს, სალვადორ დალის ერთ-ერთი თავისი ნახატის წარმომავლობის შესახებ ჰკითხეს, მან გაიხსენა ძალიან კონკრეტული ცხოვრებისეული ფაქტი. საქმე ეხებოდა მის მონუმენტურ ტილოს სამოქალაქო ომის თემაზე. ნახატზე უამრავი თავის ქალაა, რომლებიც გაყოფილი სივრცის ორივე მხარესაა დახვავებული: დალი გალასთან, მეუღლესთან ერთად სახლში ბრუნდებოდა, გზად რესტორანში შეისვენეს, ისადილეს და, როდესაც შენობიდან გამოვიდნენ, დალიმ დაინახა ჩოგბურთის სათამაშო მაგიდა; ორი ახალგაზრდა ჩოგბურთს თამაშობდა; "ჩემს ცნობიერებაში მოულოდნელად ეს ბურთები თავის ქალებად გადაიქცნენ და მე ვხედავდი, როგორ თამაშობდნენ ადამიანები თავის ქალებით" — იხსენებს დალი. ეს მოგონებებიც ესპანეთის სამოქალაქო ომის პერიოდს ემთხვევა. სინამდვილე, რომელიც სიურრეალისტური ესთეტიკის მხატვრული პრინციპების მიხედვით განიცდის ტრანსფორმაციას, დალის ამგვარი უკიდურესი შემოქმედებითი გადაწყვეტილებისკენ უბიძგებს. თავის ქალებით, ადამიანური ცხოვრებით მოთამაშე სამოქალაქო ომის ქარცეცხლი სელას მხატვრული ნააზრევის მთავარი თემაა. კამილო ხოსე სელას ამ მძაფრი ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში აინტერესებს ადამიანის სულის ღრმა ლაბირინთები. იმპულსები, ინსტინქტები, რომლებიც ამოძრავებენ, ამოქმედებენ პიროვნებას. ადამიანი, რომლის შესახებაც მწერალი მოგვითხრობს, თავისივე ვნებების ტყვეა. მას არ ძალუძს იმ ბნელი შინაგანი დინებების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც მის სულში არსებობს. პასკუალე დუარტიეს უძლურება, ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, შეიძლება იმ ყოვლისმომცველი შიშის დათრგუნვის მცდელობად მივიჩნიოთ, რომლითაც აღსავსეა მისი ყოფა. სიკვდილის, შიმშილის, სიცივის, უბედურების ყოველწამიერი მოლოდინი და შიში მთლიანად ეუფლება მის ცხოვრებას. მაინც რატომ იქცევა პასკუალე დუარტიე, კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჯოჯოხეთის მარადიულ მუშაკად?" მიზეზი ამ შინაგანი მდგომარეობისა არის ადამიანური არსებობის ორი მთავარი ასპექტის, რწმენისა და რაციონალიზმის არარსებობა. ერთი მხრივ, არ არსებობს რწმენა, რადგან არ არსებობს ღვთის სიყვარული, და, მეორე მხრივ, არ არსებობს გონება, რადგან შემეცნების გზა დახშულია გმირის სოციალურ-საზოგადოებრივი გარემოსთვის. ამ ტოტალურ სიცარიელეში იზრდება შიში, რომლის ნაყოფიც დანაშაულად მწიფდება. მაშინაც კი, როდესაც მის რეალურ ყოფას თითქოს არაფერი ემუქრება და დროებითი ბედნიერება მის ღარიბულ სახლშიც შემოაბიჯებს, პასკუალე დუარტიეს მაინც არ ტოვებს უბედურების მოლოდინის განცდა. თითქოს შინაგანად მოუხმობს კიდეც ამ უბედურებას, რადგან მის სულიერ გამოცდილებაში არ არსებობს სიხარულის განცდა. "უბედურება ის აქლემია, რომელიც აუცილებლად ყველას ჭიშკართან დაიჩოქებს". ეგზისტენციალური ფილოსოფიის მსოფლმხედველობრივი პრინციპების მიხედვით, უკიდურესი სასოწარკვეთის შეგრძნება უშუალოდ უკავშირდება ეგზისტენციალური შიშის განცდას. შიშისა და ამაოების მსოფლგანცდა იქცევა კამიუს გმირისთვის დანაშაულის განმაპირობებელ ფაქტორად. სე-

ლას გმირიც ერთდროულად ჯალათიც არის და მსხვერპლიც. ამ ევოლუციას აქვს თავისი პარადოქსული თანმიმდევრობა: მსხვერპლიდან — ჯალათისკენ. სოციალური გარემო, საზოგადოებრივი აპათია, შინაგანი უმწეობა ამ ადამიანებს ჯერ უიმედობის კლანჭებში აგდებს და მოგვიანებით, სწორედ პანიკური შიშისგან თავდასაღწევად, აღმართავენ ისინი ხელს თავიანთი მსხვერპლის წინაშე. პასკუალე დუარტიეს ცხოვრება ძალიან ჰგავს სიზიფეს უიმედო, აბსურდულ ყოფას, განსაკუთრებით იმ სევდიან წუთებს, როდესაც სიზიფე დაგორებული ლოდისკენ მიემართება. კამიუ წერს, რომ სწორედ ამ მომენტში წარმოიდგენს ხოლმე სიზიფეს ნაღვლიან სახეს, რადგან აღმართი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც იმედით არის სავსე. პასკუალე დუარტიეც შინაგანად პოზიტიური გმირია. ის მუდმივად ცდილობს, გაიქცეს იმ მოჯადოებული წრიდან, რომელიც იმთავითვე სიძულვილითა და ნიჰილიზმით კვებავდა მის ბავშვობასა და ყმაწვილკაცობას. რაც უფრო მძაფრია ეს სურვილი, მით უფრო აბსურდული და მტკიცეა მისი კავშირი საკუთარ გარემოსთან. პასკუალე რამდენჯერმე გაიქცევა სახლიდან, რათა დაემალოს თავის მსხვერპლს — არ უნდა, ჯალათად იქცეს (როგორც არ უნდოდათ ძმებ პედრო და პაბლო ვიკარიოებს ფრანცისკო ნასარის მკვლელობა გაბრიელ გარსია მარკესის ცნობილ მოთხრობაში "გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა", თუმცა ამ შემთხვევაში მკვლელობის განსხვავებულ მოტივაციასთან გვაქვს საქმე), მაგარმ იგი ისევე უბრუნდება დანაშაულს, როგორც ნაღვლიანი სიზიფე თავის ლოდს. ეს აბსურდული განმეორებადობა, შინაგანი ავტომატიზმი აქცევს პასკუალე დუარტიეს ჯოჯოხეთის მარადიულ მუშაკად. სელამ შესანიშნავად იცის, რომ მკითხველის წინაშე წარმოადგენს შემზარავ დრამას. ის არ ცდილობს, დაინდოს და გაუფრთხილდეს ჩვენს სულიერ წონასწორობას, რადგან რადიკალიზმი მისთვის ესთეტიკური კატეგორიაა. მხოლოდ ამ მღელვარე სივრცეში იძენენ მისი გმირები ექსპრესიულობასა და დამაჯერებლობას.

## დედის ხატის პროფანაციისთვის

თუ მივყვებით გმირის აბსურდული მკვლელობების ცნობიერ და არაცნობიერ მიზეზებს, შეიძლება პარადოქსულ დასკვნამდე მივიდეთ: პასკუალე დუარტიე ასეთი უკიდურესი ფორმით ებრძვის საკუთარ თავს. უფრო გასგებად რომ ვთქვათ, პასკუალე უკიდურესი სასოწარკვეთის პირობებში ანადგურებს მათ, ვინც მისი ვნებების პერსონიფიცირებულ ხატებს წარმოადგენენ. ის მთრთოლარე სიხარულის განცდა, რომელიც აღმართავს მის ხელს მსხვერპლის წინაშე, ის ტკივილნარევი სიამოვნების შეგრძნება, რომლითაც ივსება მისი გული დედის დაფლეთილი სხეულის შემხედვარე, მხოლოდ ერთი მოტივით შეიძლება აიხსნას: პასკუალე დუარტიე ებრძვის საკუთარ ვნებებს. აკი ამბობს კიდეც: "ყველაზე შემზარავი ის სიძულვილია, რომელსაც იმ ადამიანის მიმართ განიცდი, რომელსაც ჰგავხარ, და ეს მსგავსება ყელში გაქვს ამოსული". ცხადია, აქ გვერდს ვერ ავუვლით ფროიდის ფსიქოანალიტიკური სისტემის ზოგიერთ ასპექტს. კერძოდ, რომანში მკაფიოდ იკვეთება დედის ხატის პროფანაციის პროცესი. როგორც ვიცით, ნაწარმოების მთავარი გმირი არის კაცი, რომელიც რამდენიმე მკვლელობისთვისაა გასამართლებული. ყველა კონკრეტულ დანაშაულს, ცხადია, აქვს კონკრეტული მიზეზი. მაგრამ კამილო ხოსე სელა ცდილობს, რომ მკითხველი ნელ-ნელა მიიყვანოს იმ შემზარავი დანაშაულის ლოგიკურობამდე, რომელსაც თითქოს კონკრეტული მიზეზი არ გააჩნია, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე მეტად არის ფსიქოლოგიურად მოტივირებული — ვგულისხმობ პასკუალე დუარტიეს მიერ საკუთარი დედის მკვლელობას. მაინც რატომ და როგორ შეიძლება ამ შემზარავი დანაშაულის შინაგანი იმპულსების ახსნა-განმარტება? დედის თემა რომანის დასაწყისშივე ერთ-ერთ მთავარ პრობლემად წარმოგვიდგება. საქმე ის არის, რომ მწერალი ხატავს გმირს, რომელიც თითქოს მეორე პლანზეა, მაგრამ თავისი ქმედებებით და პიროვნული სახით განსაზღვრავს მთელი თავისი ოჯახის ბედისწერას. პასკუალე დუარტიე მუდმივად ადევნებს თვალს დედის ქცევას, ოჯახის მატრიარქალურ ყოფაში ის ერთადერთი ადამიანია, რომელსაც საღი თვალი, კრიტიკული გონება აქვს. პასკუალე თავის და-ძმებთან შედარებით ყველაზე ადეკვატურად რეაგირებს დედის გულგრილობასა და სისასტიკეზე. სიღრმისეულად პასკუალე დუარტიე დედის ხასიათს პირველად თითქოს მამის სიკვდილის დღეს გახსნის. ცოფმორეულ მამას ფიცრულში დაამწყვდევენ. ორი დღის შემდეგ "მივხვდით, რომ სული განუტევა. მის გამოსათრევად მივედით. იატაკზე იწვა, სახეზე საშინელება აღბეჭდოდა, თითქოს ჯოჯოხეთში მოხვდაო. ცოტა არ იყოს, შემეშინდა, ჩასისხლიანებული, თვალებგადმოკარკლული და ენაგადმოგდებული მიცვალებულის დანახვაზე დედაჩემს ტირილის მაგიერ (როგორც მოველოდი) სიცილი აუტყდა. ისლა დამრჩენოდა, თვალებზე მომდგარი ცრემლი შემეკავებინა". მოგვიანებით პასკუალე დუარტიეს ოჯახს ახალი უბედურება დაატყდება თავს. პასკუალეს პატარა ძმა, ოთხი წლის მარიო უცაბედად დაიღუპება. "ზეთით სავსე ქოთანში ვიპოვეთ ჩამხრჩვალი, როსარიომ იპოვა. თავით ჩაყუდებულიყო შიგ და ცხვირი ქოთნის ძირზე მიებჯინა. ქოთნიდან რომ ამოვიღეთ, პირიდან ოქროსფერი ძაფივით წამოვიდა ზეთი, გეგონებოდათ, მუცელში გორგალი უდევსო. სიცოცხლეში ნაცარივით გამოხუნებული თმა ახლა ისე პრიალებდა, უნებურად იფიქრებდით, სიკვდილმა მეორედ შვაო". ამგვარი სულიერი და ფიზიკური მემკვიდრეობის წიაღში ყალიბდება პასკუალე დუარტიეს შინაგანი სამყარო, მისი მსოფლგანცდა და დამოკიდებულება გარესამყაროს მიმართ. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ მორალური და ფსიქოლოგიური კატასტროფის სათავეებთან დგას ქალი — დედა, რომელშიც აკუმულირებულია ყველა უბედურების მიზეზი. მწერალი სრულიად აშკარად

წარმოგვიდგენს დედასთან, დედის ხატთან დაპირისპირების დრამას. შეგვიძლია ვისაუბროთ ფროიდისეული "დედის კომპლექსის" გარკვეულ ტიპოლოგიურ მოდელზე. გულგრილი, ბოროტი და ძლიერი დედის სახე იმთავითვე ეწინააღმდეგება პირველსაწყისში მოცემული დედის ხატის შინაარსს. დედა, როგორც ღვთისმშობლობის იდეის განხორციელება, ღვთიური და ადამიანური სიკეთის პერსონიფიკაცია რომანში თანდათანობით განიცდის დეგრადაციას. აღნიშნული მოვლენა შეიძლება გავიცნობიეროთ, როგორც სახე-იდეის, მოდელის პროფანაცია. ეს ტიპოლოგიური რღვევა ლოგიკურად განაპირობებს რეპროდუქციული პროცესის განვითარების აუცილებლობას. დედის დესტრუქციულ ხატს თანდათან ენაცვლება მტრის სახე. "ჯერ დედისადმი პატივისცემა დავკარგე, წლების შემდეგ — სიყვარული. მინდოდა, მეხსიერებაში მომეძებნა ადგილი, როდის მექცა დედა მტრად, სასტიკ მტრად — რადგან არ არსებობს უფრო ბოროტი სიძულვილი, ვიდრე საკთარი სისხლის სიძულვილია". ეს ტიპოლოგიური ჩანაცვლება უდიდეს გავლენას ახდენს პასკუალე დუარტიეს პიროვნულ სახეზე. დროთა განმავლობაში პასკუალე ახორციელებს თავისებურ ავტოპროექციას. საკუთარ თავში ეძებს და პოულობს კიდეც მსგავსებას დედასთან და მთელი შინაგანი არსებით ცდილობს, გაემიჯნოს ამ საბედისწერო იგივეობას. "მინდოდა, გამოვყოფოდი ჩემს ჩრდილს, ჩემს სახელსა და მოგონებებს, ჩემს კანსაც კი, მაგრამ რაღა დავრჩებოდი ჩემი ჩრდილისა და მოგონებების, სახელისა და კანის გარეშე?" შეიძლება ვთქვათ, რომ პასკუალეს თვითგაცნობიერების გზა უშუალოდ მიემართება თვითგანადგურებისკენ. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პასკუალე ცდილობს, დაიწყოს ახალი ცხოვრება, მის წინაშე ჩნდება დედის ხატი, რომელიც მისთვის განასახიერებს ბოროტების, სიცარიელის, შინაგანი უმწეობის სიმბოლოს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, პასკუალე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ამ ხატთან. აქ თითქოს წერტილი ესმება გაქცევის, მოჯადოებული წრის გარღვევის მცდელობას. ამ ეტაპზე პერსონაჟის შინაგანი განვითარება წყდება, სულიერი სიმშვიდის მოპოვებისთივს ზრუნვა ამაო შრომად იქცევა და პასკუალე ხელს აღმართავს დედაზე. ეს მახვილიანი ხელი მიმართულია არა მხოლოდ რეალური, მშობელი დედის წინააღმდეგ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, დედის პროფანირებული ხატის წინააღმდეგ. და, აქედან გამომდინარე, საკუთარი თავის გასანადგურებლად. სიმბოლური თვალსაზრისით, ეს ქმედება თვითმკვლელობის ადეკვატური აქტია.

### "ძალადობის ესთეტიკისთვის"

სელას ხშირად საყვედურობდნენ უკიდურესი ძალადობის დემონსტრირებას თავის პროზაში. ამ ბრალდებით აიკრძალა "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" ფრანკოსდროინდელ ესპანეთში. მაინც რას ნიშნავს ძალადობა ლიტერატურაში და შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ მასზე, როგორც დამოუკიდებელ მხატვრულ ტენდენციაზე ან როგორც ესთეტიკურ ფენომენზე? ცხადია, როდესაც ძალადობაზე ვლაპარაკობთ, არ ვგულისხმობთ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილ ძალადობის სცენას, რომელისკენაც ლოგიკურად მივყავართ ავტორს. არა, ჩვენ გვსურს, გავაანალიზოთ ძალადობა ექსპრესიონისტულ ხელოვნებაში, როგორც სტილისტური ერთეული, როგორც ესთეტიკური მოვლენა. შეიძლება თმამად ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ესპანური ლიტერატურა საკმაოდ ნოყიერ მასალას იძლევა ამ თემაზე სასაუბროდ. თუ კონკრეტულად ჩვენს თემას დავუბრუნდებით და სელას რომანის მიხედვით განვიხილავთ აღნიშნულ საკითხს, აღმოვაჩენთ, რომ მწერალი სხვადასხვა დონეზე მიმართავს მკითხველზე ძალადობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ზემოქმედება ხორციელდება ფსიქოლოგიურ, მსოფლმხედველობრივ და ენობრივ დონეზე. როდესაც სელა დაწვრილებით აღწერს, როგორ მოაჭამა საწყალ მარიოს ორივე ყური ღორმა, ფაქტობრივად, ამით ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს მკითხველზე, რადგან ეს ფაქტი მას (მწერალს) არ აკმაყოფილებს როგორც მხოლოდ თავისთავად შემზარავი ამბავი, არა, მისი მიზანია, ბოლომდე, გულისშემძვრელი წვრილმანების დაზუსტებით აღწეროს მომხდარი. იგივე შეიძლება ითქვას, როდესაც სელა მარიოს პირველი კბილის ამოსვლის ამბავს გვიყვება. "პირველი კბილი წლინახევრისას ამოუვიდა და ისე მრუდედ ეზრდებოდა, სინიორა ენგრასიამ თოკით ამოგლიჯა, თორემ ენას გაუხვრეტდა. სწორედ იმ დღეებში ბევრი სისხლი გადაყლაპა და უკანალზე სირსველივით გამოაყარა, დაჩირქებული მუწუკები შარდმაც გაულიზიანა და კანი სულ გასძვრა. მტკივან ადგილზე ძმრისა და მარილის საფენები დაადეს. პაწია ისე ჩხაოდა, ყველაზე გულცივ ადამიანსაც კი შესძრავდა". ბუნებრივია, ასეთი სცენა მკითხველს გულგრილს ვერ დატოვებს. სელა ცდილობს, რომ მოვლენის დრამატული დეტალები მაქსიმალურად უტრირებული სახით წარმოადგინოს. საინტერესო გადასვლას აკეთებს მწერალი პასკუალეს პატარა ძმის დაკრძალვის ეპიზოდში. სამგლოვიარო ცერემონიას მწერალი მისთვის დამახასიათებელი გროტესკული ტონებით ხატავს. "ბავშვი ჩვრებით შევამშრალეთ, რათა განკითხვის დღეს ზეთში მოთხვრილი არ აღმდგარიყო, მატყლის სუდარა გადავაფარეთ, სოფლიდან მოტანილი ბაწრის ფეხსაცმელები ჩავაცვით და, თითქოს პეპელა დააფრინდაო, მიცვალებულს ყელზე ვარდისფერი ყელსახვევი ბაფთსავით შევაბით. სინიორ რაფაელი, სიცოცხლეში უმოწყალოდ რომ ეპყრობოდა, ახლა კუბოს შეკვრაშიც მოგვეხმარა. გულმოდგინედ და საქმიანად მიდი-მოდიოდა, როგორც პატარძალი ქორწილის შემდეგ..." როცა გულდამძიმებული მკითხველი ფიქრობს, რომ უკვე შვების დრო დადგა, სელა სრულიად მოულოდნელ გზას მიმართავს და ჩვენს წინაშე ახალი ძალადობის სცენას წარმოადგენს. მიწაყრილზე ჩამომჯდარი პასკუალე თავის საცოლეს იქვე, მარიოს თბილ საფლავზე გააუპატიურებს. "კარგად მახსოვს, მიწა თბილი იყო და ზედ ნახევარი დუჟინი წითელი ყაყაჩო ეფინა ჩემი მკვდარი ძმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელზე მოტანილი — ექვსი წვეთი სისხლი". მაინც რატომ მიმართავს მწერალი ასეთი უკიდურესი მორალური ძალადობის გზას? რატომ აგდებს მკითხველს ერთგვარი ფსიქოლოგიური შოკის მდგომარეობაში? ეს ის კითხვებია, რომლებიც ლოგიკურად იბადება სელას მხატვრული სამყაროს სიღრმეებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წმინდა ესთეტიკურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. კამილო ხოსე სელას ეგრეთ წოდებული "უკიდურესი ექსპრესიონიზმის" გასაღები სწორედ ძალადობის ესთეტიზაციაში მდგომარეობს. შევეცდებით, დავაკონკრეტოთ: მწერალი მიზანმიმართულად ახორციელებს ძალადობის სცენების მაქსიმალიზაციას, რათა ამ გზით მიაღწიოს მხატვრულ შედეგს. ფაქტობრივად, ძალადობა მისთვის მხატვრულ ფენომენად იქცევა, ამ პრიზმაში ხედავს სელა სამყაროს და ადამიანის სულს. სელა გვიხატავს ადამიანებს და საზოგადოებას უკიდურესი ექსპრესიის, მაქსიმალური პიროვნული (დანაშაულის მომენტი) თუ საზოგადოებრივი (სამოქალაქო ომი) დაძაბულობის მომენტში. ამ სივრცეში, ამ შინაგანი აქტივობის პროცესში იქმნება სელას მხატვრული სამყარო, სამყარო, რომელიც სავსეა ვნებით და ტკივილით. ძალიან ხშირად მწერალი მწარე ირონიით უყურებს საკუთარ პერსონაჟებს, სელას გროტესკი შერწყმულია სატირასთან. როდესაც ძალადობაზე ვლაპარაკობთ, მივუთითებდით ენის მიმართ ძალადობის შესახებ. ცნობილი სენტენცია იმის თაობაზე, რომ ლიტერატურა არის ენის მიმართ ძალადობა, სელას შემოქმედებაში ახალ ესთეტიკურ დატვირთვას იძენს. მწერლის ამოუწურავი მხატვრული არსენალის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ენაა. სიტყვასთან მიმართებაში სელა სწორედ ძალადობის გზას მიმართავს და ექსპრესიის გამოხატვის ძირითად საშუალებად აქცევს. გვსურს, განვიხილოთ მწერლის ენობრივი ნოვაციები "ძალადობის ესთეტიკის" ზოგად კონტექსტში, რადგან ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ-თემატური საკითხები არსებითად უკავშირდება ენობრივ პრობლემებს. სელა სრულიად აშკარად მიმართავს ისეთ სიახლეებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც უცნობი იყო იმ პერიოდის ესპანური სალიტერატურო ენისთვის. ხშირად იყენებს ზედსართავ სახელებს საკუთარი სახელის ფუნქციით. რაც უფრო დამამცირებელი და ღირსებააყრილია პიროვნება, მით უფრო ალმატებულ ხარისხშია აყვანილი მისი სახელი. ეს ტაქტიკა ნაცნობია მხატვრული ლიტერატურისთვის, მაგრამ სელასთან აღნიშნული ტენდენცია მძაფრი სარკაზმის ფუნქციას ატარებს. კომიკური ეფექტის გასაძლიერებლად მწერალი მრავალგზის იმეორებს სახელს, პროფესიას, ოჯახურ მდგომარეობას და გმირის სხვა ანკეტურ მონაცემებს. ოფიციალურ-ბიუროკრატიული ენობრივი სტილის შერწყმა თხრობის მხატვრულ სტილთან სელას ენის თავისებურების ერთ-ერთი სპეციფიკური თვისებაა. მოულოდნელი შედარებები, რიტორიკული კითხვები, ჰიპერპოლიზაცია — ეს არასრული სიაა სელას ვირტუოზული მხატვრული ხერხებისა. სელა სამართლიანად ითვლება ესპანური ენის უდიდეს სტილისტად. მან განავითარა და გააგრძელა "ოთხმოცდათვრამეტიანი წლების თაობის" ლიტერატურული ტენდენციები. თავისი თამამი და ენერგიული მხატვრული გადაწყვეტილებებით ესპანური ენა გახადა უფრო ექსპრესიული, გამომხატველი, მოქნილი. მდიდარი და სავსე. ესპანური სიტყვა, სელას ვნებიანი ძალადობის პასუხად, ახალი ბრწყინვალებით განათდა მეოცე საუკუნის ლიტერატურის ცაზე. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მწერლის ინდივიდუალური შემოქმედებითი გამოცდილების პირველწყარო ზოგადად ესპანური ლიტერატურის, უფრო მეტიც, თუ ხმამაღლა ნათქვამი არ იქნება, ნაციონალური მსოფლგანცდის წიაღში უნდა ვეძიოთ. ზემოთ როგორღაც აღვნიშნავდით, რომ სელა ხშირად ლაპარაკობდა ესპანურ ეროვნულ ხასიათზე, როგორც შთაგონებით, მძაფრი ვნებებით აღსავსე ფენომენზე. ცხადია, ეს რეფლექსია არ იყო შემთხვევითი. სელას შინაგან გამოცდილებას თავისთავად კვებავდა ესპანური ყოფისა და სულიერი წყობის ისტორია. ამ ისტორიამ შექმნა კამილო ხოსე სელა და, ამავე დროს, ეს ისტორია შექმნა თავად სელამ.

## "დანაშაული და სასჯელი"

პასკუალე დუარტიეს პიროვნული ხასიათის გახსნა და ორი ძირითადი მსოფლმხედველობრივი პრობლემის არეალში ვითარდება. ჩვენს წინაშეა დანაშაულისა და სასჯელის მარადიული დილემა. კამილო ხოსე სელას მიზანია, გვიჩვენოს პიროვნული ევოლუციის გზა დანაშაულიდან სასჯელამდე. მწერალი თავის გმირს ისეთ ჩაკეტილ სივრცეში მოაქცევს, სადაც შესაძლებელი ხდება თვითგაცნობიერების პროცესი. ციხის საკანში მყოფი პასკუალე პირისპირ რჩება საკუთარ თავთან, ამ აბსოლუტურ მარტოობაში აღმოაჩენს და გაიცნობიერებს საკუთარ სულს, წარსულს, ყველაფერს, რისგანაც შეიქმნა მისი უსიხარულო და უიმედო ცხოვრება. თვითშემეცნების პროცესი უშუალოდ უკავშირდება გამოხატვის, სუბლიმაციის აუცილებლობას. მის გამოცდილებაში არსებული ტკივილი სიტყვად იქცევა და პასკუალე მოგვითხრობს საკუთარ ისტორიას. წერს აღსარებას, რომელსაც თავის ერთ-ერთ მსხვერპლს უძღვნის, "ვუძღვნი დიდებული არისტოკრატის, დონ ხესუს გონსალეს დე ლა რივას გრაფ ტომეხიას ხსოვნას, რომელმაც, ავტორის ხელით რომ კვდებოდა, საყვარელოო, უთხრა და გაუღიმა. პ. დ.". პასკუალე დუარტიეს ეს მიძღვნა უკვე მიმანიშნებელია ღრმა და გულწრფელი სინანულისა, მაგრამ მანამდე ცოდვის გრძელი და ვნებიანი გზაა. გზა, რომლის ლაბირინთებშიც ნელ-ნელა მწიფდება მკვლელობის, დანაშაულის ავადმყოფური სურვილი და გარდაუვალობა. "მკვლელობაზე ფიქრი, როგორც ყველა უსაზიზღრესი ცდუნება, ნელ-ნელა გვეპარება, მგლის უხმო ნაბიჯებით, გველის სრიალით. განზრახვა დაუოკებელი სიგიჟით, სევდის სიგიჟით გვიპყრობს. და თანდათან, შეუმჩნევლად გვეპარება, როგორც მინდორზე ნისლი და ფილტვებში ჭლექი". სელა არაჩვეულებრივი სიზუსტით აღწერს დანაშაულის ფსიქ-

ოლოგიას, მოტივაციას და შედეგებს. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მწერლის რაციონალიზმი ყოველთვის მხატვრულ სივრცეშია გააზრებული და ესთეტიკურ გადაწყვეტილებაში იღებს საბოლოო სახეს. პასკუალე დუარტიეს წერილები გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად იქცევა. ამ შინაგანი მონოლოგით პასკუალე დუარტიე თავის შინაგან გამოცდილებაში მოგზაურობს, რეალურად, ის ცდილობს, თავიდან განვლოს ცხოვრება, რომელიც ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცა. მაგრამ ტკივილის, შეურაცხყოფის, მარტოობის ნებაყოფლობითი განმეორება მისი სულიერი კათარზისის წინაპირობა ხდება. ამ დროს აღმოჩნდება პასკუალე თავისი ცოდვებით დამძიმებული და დაღლილი სულის წინაშე, გაიცნობიერებს და გაიაზრებს იმ სულიერ მდგომარეობას, რომელსაც ქრისტიანული სინანული ჰქვია. "არაფერი ისე მძაფრად არ ყარს, როგორც უკეთური წარსულის კეთრით შეჭმული სინდისი, როგორც სინანულის წყლული, რომ დროზე არ გავეცალეთ ბოროტებას და ახლა ვლპებით დაღუპულ, ჯერაც გაუფურჩქნელ იმედთა სანაგვეზე, რადაც კარგა ხანია იქცა ჩვენი ცხოვრება". ჩვენ სრულიად აშკარად ვდგებით მსოფლმხედველობრივი სისტემების თანაარსებობის წინაშე. გზა, რომელსაც გაივლის პასკუალე დუარტიე დანაშაულიდან სასჯელამდე, შეიძლება გავიაზროთ, როგორც ფილოსოფიური სისტემების ჩანაცვლების პროცესი. ეგზისტენციალური აბსურდისა და შიშის შეგრძნებას პასკუალეს შინაგან არსებაში ნელ-ნელა ენაცვლება ქრისტიანული სინანულის განცდა. სიკვდილის მოლოდინში პასკუალე მოძღვარს მოითხოვს, რომელსაც აღსარებას ეუბნება. ერთი შეხედვით, შეიძლება ტრივიალურიც კი მოგვეჩვენოს მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა, მაგრამ სწორედ აქ გამოვლინდა ყველაზე საუკეთესოდ მწერლის არაორდინარული ხედვა და ოსტატობა. პასკუალე ხომ უაღრესად პრიმიტიული და "უცოდველია" თავის სინანულში. მისთვის, როგორც ახალშობილისთვის, ყველაფერი უცხოა ამ სამყაროში, მისი შინაგანი ცხოვრების ისტორიისთვის უცნობია სინანულის ცრემლი და შენდობის ფარული სიხარულის განცდა. მოვუსმინოთ, როგორ მარტივად და უბრალოდ მოგვითხრობს პასკუალე თავის ამბავს: "ცოდვილ სულებს სიმშვიდე რომ მოეფინება, იმათთვის იგივეა, რაც მინდვრისთვის წვიმა ანეულობაზე. გადამხმარი ბალახი რომ აბიბინდება, დაუთესავი აყვავდება ხოლმე. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ძალიან დიდხანს, იმაზე მეტ ხანს, ვიდრე შესაძლებელია, არ მესმოდა, რომ სიმშვიდე ზეცის ლოცვა-კურთხევაა". პასკუალეს პირველყოფილი ხედვა, ახალშობილი განცდები და ემოციები მკითხველს უშუალოდ მოაქცევს გმირის სულიერ სამყაროში. იმ სამყაროში, რომელშიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ველური ვნება და სიყვარული, სინანული და შიში, ღალატი და შურისძიება. მაგრამ ჩნდება ერთი კითხვა: არის კი ეს ყველაფერი მხოლოდ პასკუალეს ვნებები? ცხადია, არა. პასკუალე დუარტიეს სახეში კამილო ხოსე სელამ, ზოგადად, სამოქალაქო ომის დროინდელი ესპანური საზოგადოების პერსონიფიცირება მოახდინა. სწორედ ამის გამო იქცა ეს რომანი ნაციონალურ ღირებულებად. ამ პერსონაჟით გაცხადდა იმ ეპოქის ესპანური ყოფის გზა დანაშაულიდან სასჯელამდე, სამოქალაქო ომიდან დიქტატურამდე. ეს უკანასკნელი შეიძლება გავიაზროთ, როგორც პასუხი, სასჯელი იმ საზოგადოებისა, რომელმაც გააცხადა სამოქალაქო ომის სისხლიანი საიდუმლო. ამ აზრით, "პასკუალე დუარტიეს ოჯახი" ესპანელებისთვის მეოცე საუკუნის სახელმწიფოებრივი ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ეპოქის მხატვრულ მატიანეს წარმოადგენს.

## "VIVA CELA"

როდესაც სელასთვის უკითხავთ გონსალო ტორენტე ბაიესტერის (1910-1999, ცნობილი ესპანელი მწერალი, კრიტიკოსი, ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი, სერვანტესისა და პლანეტის პრემიების ლაურეატი) სიკვდილის შესახებ, სელას უთქვამს: "ის გარდაიცვალა ჩაცმული ჩექმებით". ამ ფრაზით წარმატებით შეიძლება განისაზღვროს თავად მისი ცხოვრება და შემოქმედება, სელას წასვლა ამქვეყნიდან ერთგვარი სიმბოლური დასასრული იყო დიდი ლიტერატურული და, თუ გნებავთ, ისტორიული ეპოქისა. ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟამდე სელამ თავისი კალმით და თავისი ცხოვრებით მოიტანა მეოცე საუკუნის ამბოხებული გულისფეთქვა, სურნელი და ცრემლი. მან იცხოვრა თავისი ქვეყნის სისხლმდინარე ჭრილობებით, ამაყად და შეურიგებლად, როგორიც არის ზოგადად ესპანური ხასიათი. და მანამ, სანამ სელას მცირერიცხოვანი შთამომავლები ერთმანეთს ედავებიან მწერლის მემკვიდრეობაზე, გალისიაში, ზეთისხილების ქვეშ მშვიდად განისვენებს გასული საუკუნის ესპანური ისტორიის "უკანასკნელი მოჰიკანი". გამოთხოვების სიჩუმეში კი ვიღაცას წასცდება განწირული "VIVA CELA" და მღელვარე საზოგადოებას ქარიშხალივით მოედება ტაში, ისეთივე ცოცხალი და მართალი, როგორც ფოთლების ჩურჩულში გამდნარი და ზეასული ძახილი: "VIVA CELA" "VIVA ESPANIA".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაზი ხელაია

# „ტანზე ქრისტესი აცვია კვართი“



მწერლობა ბედისწერაა... შემოქმედის ბედის მწერალი ღმერთია და, მითუმეტეს, პოეტისა... არიან პოეტები, რომელთა სახელს თავიდანვე მაგიური ხიბლი და ძალა დაჰყვება... თავად სახელი მათი იქცევა პოეზიად და შთაგონებად. მუხრან მაჭავარიანიც სწორედ იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომელთა სახელმა გამოჩენისთანავე უდიდესი ინტერესი აღუძრა მკითხველს. "გულთან გულს ვერ მიიზიდავთ, თუ შიგ არა დუღს ცეცხლი ღვთიური", ბრძანებდა გოეთე და მუხრან მაჭავარიანის პოეზიაც იმიტომ იახლოებს ადამიანს, რომ მისი ლექსი მზიური სულიდან წარმოდენილი ჯადო სტრიქონებია, რომელიც ადამიანის, სიცოცხლის, მშვენიერების, სიყვარულისა და სამშობლოსადმი თაყვანისცემას შთაგვაგონებს.

მუხრან მაჭავარიანის ჯავრიანი სტრიქონები სტიქიასავით მოვარდა ქართულ პოეზიაში და ლამის გადაფარა წარსულის ყველა სიმღერა. ლამის მხოლოდ სათავისოდ შემოფარგლა ქართული პოეზიის ცარგვალი. დიახ, მისი სულის შიდა მდინარება წამოიშალა ასე უსაზომოდ და ყოვლისმომცველად, მის არსებაში ჩადებული სიტყვის ღვთიური კოდი გაიშალა ლექსებად და ნაომარ, ნაავადარ ქვეყანას სულზე სალბუნად დაედო, მშობელი ერისა და მიწის ტკივილს გადაეფარა...

საუკუნეებიდან საუკუნეებში უნდა იმოძრაოს გვარის, ტომის, ერის სისხლმა, რომ ისეთი სრულქმნილი ნაყოფი მოგვცეს საბოლოოდ, როგორც მუხრანის პოეზიაა; აკი თავადაც გრძნობს პოეტი:

*შენ სისხლო ჩემო*
*შენი ღვაწლია,*
*რამაც აქამდეც კი მოაღწია!*
*სვეტიცხოველი,*
*ხანძთა,*
*ვარძია,*
*და ისიც*
*რაც მტერს წარუტაცნია*

და ქართული სისხლის გენიალობა არა მარტო იმაშია, რომ ხანიერი, მრავალსაუკუნოვანია იგი, არამედ დიდ საქმეთა ექოში, რომელსაც დიდებულ წინაპართა სახელები, ქართველთა გმირობანი და მათი არაჩვეულებრივი გამარჯვებანი გამოსცემენ.

ქართველის სისხლი "საბედნიეროდ, ისევ ხმაურობს" საბედნიეროდ, ისევ უყვარს მას ქართული მიწა, ისევ ეთაყვანება მას. კითხულობ მუხრან მაჭავარიანის საქართველოს სადიდებლად და მასზე სალოცავად ამოთქმულ ლექსებს და გრძნობ სიყვარულის იმ მაღალ რეგისტრს სამშობლოსადმი, რომელსაც პოეტის სული მოუცავს. ზოგჯერ მიფიქრია, რომ ეს უსაზომო გრძნობა და სიტყვის მაგია ყოვლისშემგრძნობი პოეტის იარაღია ქართველის მშობლიური მიწის სიყვარულთან საზიარებლად, მაგრამ შემდეგ ამგვარი დაეჭვებაც მკრეხელობად მიმიჩნევია: უსაზომო გრძნობა და სიტყვის მაგია ღვთიური ცეცხლია და იგი იარაღად ვერასოდეს გადაიქცევა და თანაც: რაიმე ხერხსა და ძალას კი არ ეძებს პოეტი, სამშობლოსადმი თაყვანების გრძნობა აგვიმაღლოს, გულიდან ამოხეთქილი სტრიქონებით მღერის და ძალიან კარგადაც იცის, რომ პოეტის სულიდან ლექსად ამოხეთქილი ცეცხლოვანი სიტყვა მსმენელსა თუ მკითხველს თავისთავად მოაჯადოებს. ამიტომაცაა ასე დამაჯერებლად, რომ ადიდებს ქართული სიტყვის მადლს, საქართველოს ცასა და ზღვას:

*მე — პატრონმა,*
*მე — პატრონმა,*
*ამისთანა ზღვის,*
*მე — პატრონმა,*
*მე — პატრონმა,*
*ამისთანა ცის, –*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თუ ღმერთი გწამს,*
*თუ კაცი ხარ —*
*სხვას მივბაძო?*
*ვის?!*

ზოგჯერ შეიძლება გადამეტებულადაც მოგვეჩვენოს ის ხოტბა და ლალადისი, რასაც მშობლიური მთა-ველის ტრფობა იწვევს, შეიძლება იფიქრო, ამდენგზის და ამდენფრად იმიტომ წარმოგვიჩენს ამ გრძნობას, როგორმე დაგვარწმუნოს სამშობლოს მშვენიერებაში, ქართული ენის უდიდეს გამომსახველობით ძალაში, მაგრამ ეს ასე არ არის. მუხრან მაჭავარიანმა ძალიან კარგად იცის, რომ ქართველს სწამს თავისი მთა-ველის სილამაზისა, სწამს იმ მაგიური ძალისა, რომელიც ქართულ სიტყვასა და სიტყვიერებაში დევს, ისიც იცის, რომ ქართული მარტო ენა არ არის, ქართული ლექსი, ქართული შელოცვები და თვით ქართული იავნანაც კი ადამიანის ავადმყოფობისაგან განმკურნებელია. ის მდიდარი ლექსიკური მარაგი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ასეთი ამოდსასმენი და შვების მომნიჭებელი იყოს ენა, უდავო ფაქტია და სინამდვილის ლექსად ამოთქმაც არ ჩაითვლება გადამეტებულ ხოტბად და პათეტიკად:

*რა გინდა, რომ აქ არ იყოს,*
*ენა იტყვის რას,*
*სიტყვა გინდა?! —*
*მარტო წვიმას*
*აქვს სახელი ცხრა.*

და ეს ცხრასახელი წვიმა თქორავს, ხან კოკისპირულად დაუშვებს, ხან ლვარცოფივით მოსკდება, ხან ციურ მანანასავით დაეპკურება და საბოლოოდ რწმუნდები, რომ ქართული სიტყვის მრავალსახეობრივი გამოსახვის ძალა მისი მდიდარი ლექსიკური ფონდის დამსახურებაა. რეალობამდე რომ დავაკონკრეტოთ აზრი, არა შეფარდებით ჭეშმარიტებას, არამედ ნაღდ სინამდვილეს მივუახლოვდეთ, ყოველივე არსებით დავინახოთ და სიტყვით წარმოვადგინოთ, შევიცნობთ, თუ რას გრძნობს პოეტი და დავრწმუნდებით, რომ ქართული სიტყვის მადლი და მისი ენათმეცნიერული ღირებულებაც გააზრებულია მის მიერ სხვადასხვა ლიტერატურულ წერილებსა და ინტერვიუებში, რომელსაც ჟამიდან ჟამზე ვეცნობოდით. მითითებულია მისი დაინტერესება ენათმეცნიერებით, კონკრეტულად ქართული ენათმეცნიერებით და ყველა თანამედროვე თუ მომავალი თაობის პოეტის გასაგონად ხმამაღლა უნდა ითქვას — ლექსს რომ შებედავ, ქართული ენათმეცნიერების ყველა დარგი ზედმიწევნით უნდა გაითავისო, უფრო სწორად — შეისისხლხორცო, რათა ენას თავისი მრავალმხრივი გამომსახველობითი ძალის მადლი და სურნელი არ დაუკარგო, ენა თავისთავადი ფენომენია, რომელიც ერის ხელოვნების, კულტურის, ისტორიის განვითარების რთულ შრეებს მოიცავს და, თუ ამ შრეებს ჩაწვდები და წაიკითხავ, ერის სიბრძნესაც ეზიარები, იმ მოუხელთებელსა და სხვათათვის მიუწვდომელს გაიაზრებ, რაც მშობლიური გონის სიღრმეში დევს განსაცვიფრებელი ძალითა და პოტენციით. მუხრან მაჭავარიანი სწორედ ქართული ენის ზედმიწევნით შესწავლითა და სიყვარულით ეზიარა მის მარადიულ სულს, მის იდუმალსა და უზენაეს ბუნებას და ირწმუნა, რომ მართლაც უდიდესი საიდუმლოა დამარხული ამ ენის სიღრმეში და ამ საიდუმლოს ზიარება თავისთავად დიდი ხელოვნება, დიდი პოეზიაა.

პოეტი მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობს, არც მარტო მომავლია მისი ზრუნვის საგანი, კარგად ესმის ცნობილი სენტენციის აზრი — აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა". ამიტომაც, თუკი მომავალი გაინტერესებს, წარსულსაც უნდა მიუბრუნდე. წარსულსაც უნდა გაეცნო და გაითავისო, წარსულითაც უნდა იცხოვრო. რამდენადაც აბსოლუტური აწმყო და მომავალი არ არსებობს, ყველა დრო მოიცავს მინარევებს წარსულისას თუ მომავლისას, ამიტომაცაა, რომ პოეტი მარტო დღეისდღეობით არ ცხოვრობს. ამბობს კიდეც:

*მეხატებიან თაობანი გადაცელილი;*
*მევე მაოცებს აძგერება ჩემი გულისა...*
*მე მეცხრამეტე საუკუნიდან*
*მესმის ურმული. — თაფლის ცრემლივით,*
*წვიმა მასველებს*
*მეჩვიდმეტე საუკუნისა.*

ამ სტრიქონების ამოთქმით გაგვიმხილა თავისი სულის მარადიული არსებობის საიდუმლო. იმ პოლიფონიური მუსიკის ექო, რომელიც საუკუნეთა ხმოვანების სინთეზით წარმოიშვა და გენიალურ ჟღერადობას იძენს. სწორედ ამ საუკუნეობრივ ცოდნასა და ნათლის არილს ვგრძნობთ მუხრან მაჭავარიანის ლექსების კითხვის დროს, სწორედ მარადიულობის ნათლის სვეტია აღმართული მისი ლექსების ხმოვანებით. პოეტმა კარგად იცის, ქვეყნად რისთვის მოვიდა. ისიც კარგად ესმის, რომ "უჟამო ჟამია" თანამედროვეობა, მაგრამ ჩვენი, კაცთა სიცოცხლის წლებია ასე დათვლილი და კვეცადი, თორემ ცა და დედამიწა მარადიულია, საქართველო იყო, არის და იქნება. დღევანდელობის ზარის ექო მომავალს შეაფხიზლებს, ის მომავალი კიდევ იმის მომდევნოს და მერმისს და პოეტები იტყვიან — საქართველო იყო, არის და იქნება! თუმცა, პოეტი ზოგჯერ მაინც შეეჭვდება — აქვს კი ყველა მოკვდავს მამულზე ფიქრის უფლება? ეს ხომ ერთეულთა ფუნქცია და დანიშნულებაა, მათი მოვალეობაა, სათქმელის ტოლფასი უნდა იყოს მთქმელის პიროვნება, თორემ ვინ მოისმენს მის ან ლოცვა-ღაღადისს ანდაც წყევლა-კრულვას, საქმე და სათქმელი აწონილ-გაზომილი უნდა იყოს თითეული მოკვდავისა, ვინძლო თანამედროვეობამ არ გააქილიკოს მამლისებრ უდროოდ მყივარი... ალბათ, ასეთმა ფიქრმა ამოათქმევინა პოეტს ტკივილნარევი სტრიქონები:

*რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,*
*მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! —*
*რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!*
*ანდა რომელი მსაჯული მისი?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პოეტი თვითონვე ასკვნის, რომ მკრეხელობაა ამგვარი ფიქრი, ყველგან, ყოველჟამს აუცილებელიცაა მამულზე ლოცვა და მამულის ბედით დაინტერესება, მისი ლხინისა და ჭირის გაზიარება... ყველა ცოცხალი ერისშვილია და ამ ერისშვილობის ნერვი არამც და არამც არ უნდა გადაიწვას მათში, ყველას უნდა სწამდეს, რომ მამული და მისი შვილი ერთი მთლიანობაა და არა აქვს მნიშვნელობა — ქვეყნის მესვეური იქნება თუ უბრალო მსახური მისი. ყველასი ყურისგდება და რუდუნება სჭირდება მამულის მაჯისცემას, ვინძლო არ შენელდეს ან ავბედითად არ აჩქარდეს იგი. და სწორედ ესაა მუხრან მაჭავარიანის ლექსის მთავარი სათქმელი, ყველანი მეფე ერეკლე და მისი მსაჯულები ვართ. თუ მამულის ბედს განვსჯით, თუ მამულის ბედი გვაღელვებს და გვაფორიაქებს. ამ მხრივ მეტად საინტერესოა პოეტის მიერ დახატული სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი. ლექსი "საბა" თავისი მხატვრული არქიტექტონიკით, იმ დიდი სათქმელით, რაც ლექსის სტრიქონებად აქცია პოეტის მაგიურმა კალამმა განუმეორებელია და გვარწმუნებს, რომ, როგორც საბასთვის, ისე ყოველი ქართველისთვის, საქართველო უნდა იყოს სულის მარადიული ცეცხლი. შთამბეჭდავია სტრიქონები:

*— წვიმა არ არის,*
*საბას კაბა დაუსველა რამ?!*
*თოვლი არ არის,*
*საბას თავი გაუთეთრა რამ?!*
*— ყინვა არ არის!*
*სულხან-საბას აკანკალებს რა?!*
*საქართველოა მისთვის წვიმაც თოვლიც*
*და ყინვაც!*
*— რამ დაასველა?! — რამ გაათეთრა?!*
*— რა აკანკალებს?!*

საქართველოს ბედია სულხან-საბას და ყველა ნაღდი მამულიშვილის წვიმაც, თოვლიცა და ყინვაც. საქართველოსთვის ტირის მათი ლომისებრ ძლიერი გული, საქართველოს უბედობა თოვს მათ თმებზე ნაადრევად. ძლიერთ და უშიშართ ძრწოლასა და კანკალს გვრით სამშობლოს გაურკვეველი მომავალი. ეს რომ ასეა, საუკუნეების განმავლობაში გრძნობს ქართველი, ლექსით, პროზით თუ ხელოვნების სხვა დარგითაც არაერთგზის ამბობს თავის სათქმელს, მაგრამ თითქოს ყველა აქამდე თქმული სახე და ტკივილი კონდენცირდება ამ დიდებულ ლექსში და ვფიქრობთ, სანამ ბატონ მუხრანისებრ მზითა და სამშობლოს სიყვარულით გაჯერებული გულები ფეთქავს საქართველოში, მისი მომავლის იმედი შეიძლება ვიქონიოთ, მისი სულიერი აღორძინებისა უნდა გვწამდეს. ხომ მოიტანა დღემდე ლექსმა და სიმღერამ ქართველთა სული, ათასი ჯურის გადამთიელი რომ ელტვოდა მის ჩახშობასა და ჩაკვლას, ხომ შეძლო სასწაული "ვეფხისტყაოსანმა", პოემამ, რომელმაც ათასგზის ხმალამოღებული მტერიც კი დათრგუნა, რომელმაც ათასობით უცხოელიც გააოცა:

*ღმერთო ერთო! ღმერთო ერთო —*
*თრთის სხეული, თრთის ბაგენი...*
*რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი —*
*ისმენდიან — გაჰკვირდიან, რა ატირდის,*
*ატირდიან...*
*–რა პატარა ქვეყნიდანა... რა დიდია!..*

და რაღა ახლა დადგება "უჟამო ჟამი", და რაღა ახლა დაეხშობა ყურთასმენა ყველას და თვალიც დაუბრმავდება, რომ ვერ დაინახონ და ვერ იგრძნონ ქართული ხელოვნების მადლი და მაგიური ძალა... მაგრამ ქართველიც გულხელდაკრეფილი არ უნდა მოელოდეს ღვთის წყალობას, მხოლოდ სხვათაგან ცნობასა და დაფასებას. მტერი დღესაც ბევრი გვყავს და არც არასოდეს დალევია იგი ქართველებს. არც გარეგან და მითუმეტეს არც "შინაით". პირიქით, შეიძლება ამ შინაით გამცემლებმა უფრო მეტად შეამცირეს და დაასუსტეს მამული, ვიდრე მომხდურმან და გადამთიელმან... დაფიქრების ჟამიც ყოველთვის გვქონდა ქართველებს. დღეს და "დღეის ამას იქით". რომ კიდევ უფრო მეტი ფიქრი და დაკვირვებაა საჭირო, ამას თუნდაც ჩვენი სადღეისო ყოფაც მოწმობს... დაკვირვების, ფიქრისა და გადამჭრელი მოქმედების ჟამიც რომ კარგა ხანია დადგა უკვე, ესეც არახალია და პოეტის სული გრძნობდა და, ალბათ, დღესაც გრძნობს წერტილის დასმის საფრთხეს. საფრთხეს მარადიული დასასრულისას:

*კმარა — გვიანღა იქნება მერე?*
*გვიახლოვდება, ვხედავ წერტილი*
*და საქართველოს უკვდავი მტერი,*
*სიცილით კვდება ჯალალედინი.*

პოეტი დაუცხრომლად რეკს განგაშის ზარებს, არც თავად ისვენებს და არც მკითხველს ამოათქმევინებს სულს. ჟამიდან ჟამამდე დიდაქტიკურად შეახსენებს — "ახსოვდეს ვისი გორისა არის", "ახსოვდეთ რომ მამა-პაპათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ", რომ ქართულ მიწას და საქართველოს ჩვენამდის თუნდაც სულთმბორძავს მაინც მოეღწია; დღეს კი "ღვთით შემოგვრჩა სისხლი იმდენი, — კვლავ რომ დავლვაროთ, — დასჭირდება სამშობლოს თუკი!" და ამ დროს ყველაზე ლამაზი, ყველაზე მშვენიერი შეიძლება იყოს სიკვდილიც კი. "რა ბედენაა დიდუბის და მთაწმინდის მიწა!.." იტყვის პოეტი და ეს სტრიქონები მხოლოდ სიტყვად და ლექსად კი არა, პოეტის გულისსისხლად ამოჩქეფს, მთელი მისი სულისთქმა მოჰყვება და მხატვრულ დატვირთვასთან ერთად არაჩვეულებრივ ემოციურ ატმოსფეროს ქმნის და მკითხველს სულიერი კათარზისისთვის ამზადებს, რადგანაც:

*ქედზე ჩვენსაზე დადგმული ულლის,*
*გულში ჩვენსაში ჩამდგარი მწუხრის,*
*დვრიტაა, გვინდა მართალი თუკი,*
*არა ლეკი და სპარსი და თურქი,*
*არამედ ჩვენივ ბუნება წუნკი*
*და ძველთა ჩვენთა ურთიერთ შუღლი.*

სწორედ ამ ურთიერთშუღლისგან გვჭირს, რაცა გვჭირს; სწორედ ამ ვაებაზე უნდა აგვამაღლოს პოეტის შეგონებამ, ნამდვილ და ნაღდ მამულისშვილებად გვაქციოს, რომელთა ფიქრი ოდენ "მამული, ენა და სარწმუნოება" გახდება და არა შოვნა და საშოვარი, არა სხვათა ძარცვა და მოკვლა, არა სხვათა დაცემა და იავარყოფა, ლექსსა და მშვენიერებას ნაზიარები სული ყოველყამს წინ აღუდგება ამ სიმდაბლეთ, მაგრამ პოეზიასა და ამაღლებულს რომ ათაყვანო ერი და ბერი, სული სინაზითა და სიკეთით აუვსო, ამისთვის შენი შემოქმედება ღვთით უნდა იყოს გარდმოსული, სულში ღმერთი და ლოცვა უნდა მდინარებდეს. ვთქვით, რომ ნაღდი და ხალასი პოეზია, მართლაც ზეგარდმო ძალითაა გარდმოვლენილი, მაგრამ დამოუკიდებლად ღმერთის ცნობა და რწმენაც უჭირთ ადამიანებს, თვით ერთგულმა თომამაც იარები მოსინჯა ქრისტესი და შემდეგ იწამა მისი აღდგომა, და მაშინ ჩვეულებრივი ადამიანები როგორ ჩაწვდებიან ღვთის სიტყვას, პოეტის წარმოსახვას, ამიტომაცაა, რომ შფოთავს პოეტის სული და ლექსი:

*რა ვუყო ამ ხალხს?! —*
*რა ვუყო ამ ხალხს?!.*
*შევაგნებინო როგორ და რითი? —*
*ადამიანის თუმც მაზის დამღაც*
*იესო ქრისტე ვარ ჭეშმარიტი,*
*— რა უნდა უყო,*
*თვითონ იესო*
*ხალხი იძახის,*
*ჭკუით იცნესო!*

ბოლო სტრიქონები ერთგვარად აპატარავებს ამ დიდ სათქმელს და საფიქრალს, რაც ლექსის პირველ ნაწილში ჩაიდო, რომ დიდი ფიქრი და ძალისხმევაა საჭირო ხალხის ღვთიურ თუ პოეზიის ტაძართან მისაყვანად — ეს უდავოა, მაგრამ ხმამაღლა, თქმა იმისი, რომ იესო ქრისტეს სული და ძალმოსილება სჭირდება ნაღდ პოეტს, თავადაც ეჩოთირა ავტორს და ნამდვილი სათქმელი ერთგვარი ირონიის საბურველში გახვია. ახლა, ის აზრი და ინდივიდუალური ხელწერა, რომელიც მის ლექსებს ასე მკაფიოდ აცალკევებს მრავალთაგან, ღვთაებრივი ცეცხლის მატარებელია. ამიტომაცაა წინასწარმჭვრეტი და წინასწარმგრძნობი ერის სამომავლო იარებისა მისი სული — ალბათ ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1972 წელს კოშმარული ჩვენება სამომავლოდ დასაღვრელი სისხლისა, ასე აბორგებდა პოეტის ლექსის სტრიქონებს:

*სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე,*
*მე დასაღვრელი მედარდვის სისხლი.*

მაგრამ როგორ მიაწვდინოს თავისი ხმა ყველა ქართველს, როგორ გააგონოს, თუ მათი სული მაძღრისად ჭამის თეორიითაა გაჟღენთილი.

*დროდადრო მესმის უხერხული ქართული ლექსი:*
*ვჭამოთო კარგად, არაფერი შეგვრჩება მეტი.*

ასეთ ადამიანებს ლექსს როგორ წააკითხებ, ლექსითა და მზით როგორ აუვსებ სულს, თუ მხოლოდ ასეთნი დაიზრდებიან და იცხოვრებენ მამულში, იმათ ლექსი რად უნდათ, სამშობლოც რად სჭირდებათ, სადაც ნაყროვანსა და შესარგებ საძოვარს იპოვნიან, მათი სამშობლოც იქ არი, მათი სალოცავიც ის არის, პოეტის სული კი მუდამ ეძებს და ეძებს ლექსის გამზიარებელს, მისი ლექსის იდეის აღმტაცებელს, შემსისხლხორცებელს. ის კი არადა, ვისაც საქართველოს კვლავ აღდგომისა და გაძლიერების, მისი მომავლის არ სჯერა, მისთვის დასაღვრელი სისხლი არ მოეპოვება — გასაძევებელია ქვეყნიდან. ქართული მიწა საფლავადაც კი არ ეკუთვნის:

*და თუ ვინმე —*
*ეს ამბავი არ სჯერა ვისაც,*
*ურწმუნო იგი,*
*მით უმეტეს თუა ქართველი!.*
*არც მკვდარს,*
*არც ცოცხალს —*
*არ ეკუთვნის მას ქართლის მიწა!*
*კაცი ასეთი*
*ცხენის ძუით არის სათრევი!*

არადა, თითქმის უმრავლესობა ხდება ასეთი და ათასგვარი ეჭვი და შიში ღრღნის პოეტის სულს, თანაც სამშობლო მიწა ჯადოქმნილ შაგრენის ტყავივით მცირდება და მცირდება, ამ შემცირებულსა და შეკვეცილს სამომავლოდ რქანაყარი ვაზი ეგებ არც გაეზარდოს?! ეგებ უკვე ტყუილად ვგოდებთ, ეგებ არც არაფერი შემოგვრჩენია:

*დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ,*
*მცირელა შეგვრჩა რადგანაც მიწა...*
*შეხედ ჭადარს*
*არის ეს ის ხე,*
*რომლის ჩეროში ერეკლე იჯდა.*

ეგებ არც არის, ეგებ ყველაფერი გაქრა ან ჩაიფერფლა, განა საუკეთესონიც არ აღგვილან პირისაგან მიწისა, ბედისწერის ბორბალი ხომ მარადიულად ტრიალებს და ეგებ საჩვენო დროც უკვე გარდავიდა, ეგებ არცა ვართ და მხოლოდ ლექსის სტრიქონები ბობოქრობს. ფიქრობ და თავადაც მუხრანისებრ მკრეხელობად მიგაჩნია "ამგვარი ფიქრი" რადგან თავად პოეტი გაიმედებს დაბეჯითებით: "გულს ნუ გაიტეხ! — მუხა კვლავაც შემოსება" და მისი რწმენა ისე ღრმა და სანდოა, შეუძლებელია მისი არ იწამო, ამ იმედით სული არ შეითბო. ანდა როგორ შეიძლება დაეჭვდე, როცა თავად ავტორსაც, დავითის დარად — "ტანზე ქრისტესი აცვია კვართი", თანაც საკუთარი სახელისთვის კი არ იწვის და ანათებს "ერის წყლული ტკივა, ერის "ტანჯვით ეწვის სული". პირადულისათვის ცოტა რჩება ადგილი, როცა ესოდენ მეოხი ხდები ერის სულისა, მისი ცნობიერების საზომი ბურჯი ხარ. ამბობს კიდეც ერთგან პოეტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

*რას წარმოადგენს*
*თავისთავად შენი ცხოვრება?*
*— მუდამ,*
*ყოველდღე —*
*იმედების გაბედითებას!*
*რა გელოდება?*
*არაერთხელ ჩაიქოლები!*
*— კიდევ რა გელის?*
*— ჯვარცმა!*
*— მერე?*
*— მერე ... დიდება! —*
*— ოდეს ხორცისგან განიტვირთები.*

აქაც წინასწარმეტყველია პოეტი, მაგრამ ბედით ტვირთს მაინც არავის გადაუნაცვლებს, თავისწილ გოლგოთას ღვთიური მოთმინებით იტვირთავს, რადგან იცის, რომ სიცოცხლეში არვის ღვაწლი არ გაზომილა, "ოდეს ხორცი მიწას შეუერთდება, მაშინ განიზომება საქმე და სახელი შემოქმედისა". ლექსში "პოეტი", რომელიც 1959 წლითაა დათარიღებული და მართალია, გალაკტიონის სახელს არ გვიმხელს, მაგარმ თავისთავად ლექსი ამბობს სათქმელს:

*სამაგიეროდ ოდეს ხორცი მიეცა მიწას,*
*ოდეს ლექსშიღა ხმაურობდა პოეტის სისხლი,*
*ქვეყანა შეძრა სიკვდილმა მისმა,*
*თხემით ტერფამდე იგრძნო ხალხმა*
*დაკარგვა მისი.*

ამიტომაც თავადაც არ მოელის სიცოცხლეში ძეგლს და არც არაფრად საჭიროებს, არც მოითხოვს — ერთადერთი ნატვრა და ოცნება პოეტისათვის ის არის, სამშობლო მიწას შეენივთოს და შეესისხლხორცოს, იმდენად მაინც ჩაუთვალოს სიტყვა და ოცნება სამშობლომ, გულიდან არ მოიგლიჯოს, არ გაინაპიროს მშობელმა მიწამ და სხვას აღარას ითხოვს, გარდა:

*წუთისოფელი როცა მიყელებს,*
*თიხად ქე მაინც გამომიყენე.*

პოეტი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია "უსვეტიცხოვლო, უგელათო, უალავერდო" საქართველო, რომელიც ხარობს წყალწითელათი, ყვირილათი, ჭორობით, ივრით", სხვას რას მოითხოვს სამშობლოსაგან, თუ არა მის მიწას შერწყმასა და შეზიარებას! და სანამ სამშობლო მიწაზე იარება, წონის და ზომავს მის საუფლოს, აქებს და ადიდებს მასზე მზურნველთ, გარდასულთ, თანამედროვეთ თუ მომავალთ, გალაკტიონის დარად აყურადებს — "ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან". და თუ პოეტის ომახიან ხმას იმედის მომცემი, ზარიანი ქუხილი შემოეგებება მომავლისა, ხარობს და ცოცხლობს მისი სულიცა და ლექსის სტრიქონიც, იტვიფრება მარად უჭკნობი და მარადჭაბუკი სული, იქმნება სამომავლო ლექსი და იშვება რწმენა და სასოება ქართველთა: ვიყავით, ვართ და ვიქნებით!

და ხშირად ვფიქრობ, რომ ამ რწმენისა და სასოებისათვის ჟამიდან ჟამზე უნდა განიხვნას ცის თაღი და დედამიწას მოევლინონ „შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი"... მუხრანი... მურმანი, ანა და, მიუხედავად მრავალგზისი კირთებისა, როგორც უნდა დაიგვიანოს გაზაფხულმა, იგი მაინც მოვა და ააყვავილებს მთა-ბარს, როგორც უნდა დაიგვიანოს დიდებამ, იგიც გაზაფხულისებრ მაინც მოვა, "დიდებას ხშირად ხომალდივით აგვიანდება, მაგრამ ის მოვა და ღირსეულს თავად მიაგნებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

## სხვა სამშობლოს ვერსად მოვძებნი

*შენ გაზიარებ ჩემს ოცნებებს, ფიქრებს, იმედებს,*
*რაც გამაჩნია, — ყველა შენთვის გამოვიმეტე –*



წერდა პოეტი გიორგი (გიგლა) ხუხაშვილი. გიგლა ხუხაშვილი! გულმხურვალე მამულიშვილი, ჩინებული პოეტი, დრამატურგი, კრიტიკოსი, მხატვარი;

გიგლა ხუხაშვილი ერთგული იყო თავისი მუზისა, ხალხისა და ქვეყნისა. მისი ნაწარმოებები მკითხველს ერთდროულად სიხარულისა და ტკივილის განცდას ანიჭებს, შევიგრძნობთ ებრაულ სულს და, ამავდროულად, საქართველოს სითბოსა და სილამაზეს. მისი შემოქმედება გულწრფელობით, სისადავით, ღრმა ცხოვრებისეული გამოცდილებით გამოირჩევა.

საქართველო, თბილისი იყო მისი შთაგონების მუდმივი წყარო:

*უთქვამს რუსთაველს: სად წაიყვან სადაურსაო,*
*წუთისოფელი ცვალებადი ასე ტრიალებს.*
*სადაც არ ვიყო, მეხსომება ჩემი მოძმენი,*
*შენს გარდა კიდევ სხვა სამშობლოს ვერსად მოვძებნი.*

მრავალმხრივი შემოქმედი, სისპეტაკითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება, ქართული და ებრაული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გიგლა ხუხაშვილი 55 წელზე მეტი დაულალავად ემსახურებოდა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას. მკითხველმა შეიყვარა მისი პოეტური კრებულები: „მშვიდობის სიმღერა", „ლურჯი ფანჯრები", „მომღერალი ბიჭი", „მთების სიმღერა", „ფიქრები ხმამაღლა", „ბიბლიური მოტივები" მისი შესანიშნავი სონეტების კრებული. საზოგადოება დიდი ინტერესით ესწრებოდა გ. ხუხაშვილის პიესებისა და ინსცენირებების მიხედვით შექმნილ მშვენიერ სპექტაკლებს გვახსოვს, რა დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოში და საქართველოს გარეთ მისი პიესები: „ზღვის შვილები", „მოსამართლე", „ამბავი წუთისოფლისა", „დღიურები ჩემი ქალაქიდან", „ცხოვრება კაცისა", „მთაწმინდის მთვარე"... ინსცენირებები, შექმნილი ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი"-ს, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას", კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა"-ს მიხედვით. მისი კინოსცენარების მიხედვით არის გადაღებული ფილმები: „ზღვის შვილები", „მთვარის მოტაცება", „ნოდარ დუმბაძე", „გრიგოლ აბაშიძე", „მოლოდინი".

გიგლა ხუხაშვილი საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი იყო; მიღებულ ჯილდოთაგან ყველაზე დიდი ჯილდო კი ხალხის ის სიყვარულია, რომელსაც მწერალი მუდამ გრძნობდა.

გიორგი ხუხაშვილმა არა მარტო ქართულ მწერლობაში, ქართულ სახვით ხელოვნებაშიც თქვა თავისი სიტყვა.

... გადავშალოთ მოგონებათა წიგნი...

2003 წლის 13 ივნისი... ეროვნული გალერიეს დარბაზები დამთვალიერებლებს ძლივს იტევდა. დიდი იყო საზოგადოების ინტერესი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის, როგორც მხატვრის, შემოქმედების მიმართ. სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით მიესადაგნენ მეგობარ მწერალსა და მხატვარს ქართული ინტელიგენციის გამოჩენილი წარმომადგენლები; მათ ისაუბრეს გ. ხუხაშვილის მდიდარი, ნაყოფიერი შემოქმედების შესახებ, მის წვლილზე ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრამატურგიასა და პოეზიაში, მის პიროვნებაზე, მაღალზნეობრივ თვისებებზე, უანგარობაზე, კეთილშობილებაზე ბ-ნმა თემო გოცაძემ ყველა ქართველს უსურვა ისეთი შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობდა ბ-ნი გიგლა ხუხაშვილი!

დასასრულ, დამსწრეთ თავად ღვაწლმოსილი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილი წარუდგა. გარემოცულმა საზოგადოების დიდი ყურადღებითა და სიყვარულით, დიდი მადლიერება გამოხატა მისი შემოქმედების დაფასებისთვის; აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი კრიტიკოსი საკუთარი შემოქმედებისა თავად არის, ისაუბრა განვლილ შემოქმედებით გზაზე, მხატვრობით გატაცებაზე ხელოვნების მოყვარულთ და დამფასებელთ საინტერესოდ უამბო ერთი ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან, როგორ მოხვდა 12 წლის ასაკში პრინც მიურატის სასახლეში და დიდი შთაბეჭდილებებით ავსილმა როგორ მოხატა შპალერის რულონი. ასე შეიქმნა ბევრი ნახატი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ პრინც მიურატის სასახლეში მან თავისი ნახატების პირველი გამოფენა მოაწყო. როგორც ცნობილია, სასახლე დაიწვა და გიგლას ნამუშევრებიც განადგურდა. ამის შემდეგ იგი დიდხანს აღარ ხატავდა;

ბ-ნმა გიგლამ ბოლოს დასძინა: „მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ საქართველოში დავიბადე. ყველაფერი ამ მიწამ მასწავლა. დღევანდელი დღე ის დღეა ჩემთვის, რომლისთვისაც ღირდა გაჩენა".

გალერეაში 120-მდე ფერწერული ტილო იყო გამოფენილი: პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები, ავტოპორტრეტები, კომპოზიციები... თვალს იტაცებდა საყვარელი თბილისის უბნები, შემოდგომის პეიზაჟები, სვანური კოშკები, მშობლიური სოფელი ბანძა თუ მარანი, ფეთხაინი თუ ფიროსმანის მოტივები...

სონეტების კრებული ხომ გიგლა ხუხაშვილის ჭეშმარიტ შემოქმედებით გამარჯვებას წარმოადგენს და სწორედ კედლებზე განთავსებულმა სონეტებმა შეუქმნეს შესანიშნავი ფონი გალერეაში გამოფენილ მხატვრის ფერწერულ ტილოებს.

...აი, ერთ-ერთ სონეტში პოეტი შესთხოვს უფალს, მისცეს ძალა, რათა „სამარადჟამოდ აღდგეს ფერფლიდან, რომ სიცოცხლე თვისი „ფურცელ-ფურცელ დაასურათოს", რათა „სამყარო ვრცელი, საოცარი, ნათილისმარი, არასდროს გაქრეს სამუდამოდ, როგორც სიზმარი..." ხელოვანის მეხსიერებაში ცოცხლობს ბავშვობის სურათები, პეიზაჟები... „სადაც არ ვიყო, შორზე შორეთს, სიზმარეული, — მოჩანს ის მდელო, ის ორღობე და ბრონეული". ბ-ნი გიორგის ნატვრაა, რომ მისი სურათები იყოს მოძრავი, ცოცხალივით მფეთქავი, რადგან „ამ ცივ ზამთარში, თქვენ უდაბნოდ რომ გეჩვენებათ, მშვენიერება იმდენია, რომ ვერ დავთვალე". მხატვრის შემოქმედების წყაროა მისი საყვარელი სამშობლოს სანახები, საქართველოს სხვადასხვა კუთხე, იქნება ეს ხევსურეთი თუ სვანეთი, დედაქალაქი თუ საკურორტო ქალაქები...მშობელი ქვეყნის სიყვარულით შეპყრობილი, ქმნის წლის ყოველი დროის – ზამთრის თუ ზაფხულის, შემოდგომისა თუ გაზაფხულის პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ხატავს ნაირფერ ყვავილებს... ტილოებზე ასახავს მზეს, „როცა ჩადის ულურჯეს დასალიერზე, ან განთიადზე ცა ნათელი ერიჟრაჟება", სწორედ მაშინ, „ნატურმორტებად, ფერადოვან პეიზაჟებად", თვის „დღეებს ფერადს ტილოებზე" ასახიერებს.

ამ ჩვენს ნაირფერ დედამიწაზე ბევრნაირი სილამაზეა, მაგრამ ისე არაფერი შვენის, არ ალამაზებს დედამიწას, როგორც მწვანე სამოსელი და... ყვავილები. ეს იმიტომ, რომ სიმწვანე სიცოცხლის მაუწყებელია, ხოლო ყვავილი – სიცოცხლის განვითარებისა და გამრავლების, მისი მარადიულობის უმთავრესი სიმბოლოა.

მხატვარი განსაკუთრებული რუდუნებით ხატავს ყვავილებს, თითქოს ეფერება მათ, ესიყვარულება მათში იმდენი სულიერებაა, რომ ავტორს სწამს: „ჩემს ტილოებზე ყვავილები აღარ ჭკნებიან, ფერი რიჟრაჟის, ფერიცისა, ფერი კრამიტის..." მისი შიში, „გადმოხატული რომ არ იყოს მკვდარი ასლები", უსაფუძვლოა, რადგან „მდინარის ფსკერზე ფერადები როცა შეტოკდნენ, მარგალიტებით ვარსკვლავები" ამოუტანეს. შემოქმედისთვის ყვავილები, ბალახი – სულიერი არსებებივით ძვირფასია, ამიტომ ყველას ევედრება: „ფეხს ნუ დაადგამთ ყვავილებს და მწვანე ბალახებს, ეს იგივეა, რომ დაადგათ ფეხი ვარსკვლავებს", ხოლო „ვარდები ხომ სულის სიმაღლეა და სილამაზე",

ყურადღებას იპყრობს ბ-ნი გიგლა ხუხაშვილის ავტოპორტრეტები, ისინი ძალზე შთამბეჭდავია, მათში თითქოს მთელი ცხოვრება იკითხება, მოჩანს მწერლის სულისკვეთება, სულის სრბოლა, სწრაფვა, „სიცოცხლის ლექსად გარდაქმნის" დიდი სურვილი; წერდა კიდეც: „დავწურე გული, როგორც ღრუბელი, რომ ყველაფერი, რაც მაქვს, გადმოგცე", თითქოს აწუხებს ფიქრი, „და ჩემი სახე, წრფელი, უგრიმო, რას ეტყვის წარსულს, ან ისტორიას?"

ახლაც თვალწინ მიდგას პორტრეტი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის დედისა, სათნო, სპეტაკი, დარბაისელი, შვილებზე ზრუნვას გადაყოლილი მანდილოსნისა, რომელსაც „ბალიშქვეშ ედო, როგორც იმედი" გიგლას „ბავშვური ხელით ნახატი". საამაყო შვილი დედის ხსოვნას ასეთ სტრიქონებს უძღვნის: „ჩვენო დედაო, ჩვენო ფუძეო, ...თითქოს თოვაში გაჭაღარავდი, შემოგეხარჯა ფიქრი ათასი..." პორტრეტზე „ამოუთქმელი, გულდაკოდილი", ყველას მაგიერ მომლოდინე შუბლდაღარული დედის მზერაში მაგიური სხივივით აღბეჭდა „მზერადაღლილი დედის ლოდინი".

მწერლისა და მხატვრისთვის შთაგონების დაუშრეტელი წყარო სამეგრელოში გატარებული ბავშვობის ლამაზი მოგონებები, მისი ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრების გზაზე ნანახისა და განცდილის განსხეულება ფერწერულ ტილოებზე, იქნება ეს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლით დამშვენებული პეიზაჟი თუ ბუნების შთაბეჭდილებების გადმოცემა შესანიშნავ, ორიგინალურ, მრავალფეროვან კომპოზიციებში.

გიგლა ხუხაშვილის პერსონალური გამოფენა – ეს მისი მდიდარი, სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე „სულის ნაჟურია", მნახველის ფიქრებსა

და გრძნობებზე ძალუმ ზემოქმედებას რომ ახდენს, ნათელ, ოპტიმისტურ, საზეიმო განწყობას რომ გიქმნის ფერწერულ ტილოებზე ფერები ძირითადად ნათელია, კაშკაშა...გამომსახველობითი საშუალებებია სინათლე, შუქი, ხორცშესხმული სივრცე, შუქ-ჩრდილები, ფერების გადასვლა, ფერადოვანი გამა... ტილოებზე სივრცე სუნთქავს, მოძრაობს, გამოხატავს ავტორის აზრს, გრძნობებს, ხედვას მხატვრის შემოქმედება ამდიდრებს ჩვენი დღეების სახვით ხელოვნებას; გამოფენას ტოვებ თითქოს განწმენდილი, ამაღლებული, ოპტიმიზმით აღსავსე კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით იმ უცილობელ ჭეშმარიტებაში, რომ „მშვენიერება, კულტურა გადაარჩენს მსოფლიოს, კაცობრიობას“.

რაოდენ წრფელია ბ-ნი გიგლას სიტყვები: „მე ბევრჯერ შევცდი, მაგრამ გულგრილად ერთი წამითაც არ მიცხოვრია“.

მწერლობა ერის კვნესისა და სიმღერის ზიარია, გამოძახილიც და ზარიც როდესაც 75 წლის იუბილეს – „ოქროს რთველს“ ულოცავდა ბ-ნ გიგლა ხუხაშვილს პოეტი და მთარგმნელი, ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი, მან გაიხსენა, რამდენიმე წლის წინათ სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე როგორ არისხებდა ზარებს ბ-ნი გიგლა, როგორ დუღდა და დრტვინავდა ერთთავად, ადგილს ვერ პოულობდა თურმე: „წიგნის ყადრი დაიკარგა, ჩვენსას ვინ ჩივის, თვით რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა აღარ უნდა არავის, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს არსებობას აზრი აღარ ექნება“-ო.

პოეტი ეთაყვანებოდა, ესათუთებოდა ტკბილ, საამურ ქართულ ენას, მის სიწმინდეს...

*... „ვინც გინდა იყოს, —*
*ვერ შეცვლის კანონს:*
*რომ დაიბადა, —*
*უნდა წავიდეს!*
*მაინც იმითი*
*უნდა შეფასდეს –*
*აქ რას დატოვებს...“ –*

წერს ერთი პოეტი. ეს, ალბათ, მარადისობის კანონია.

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის დიდოსტატის სიცოცხლე ლექსად, სიმღერად ფერრტილოდ გარდაიქმნა! ბ-ნმა გიგლამ თავისი ცხოვრება ლექსებად და ტილოებად დაანაწილა და ხალხს, ქვეყანას უძღვნა!

ოქროსფერი შემოდგომა ნელ-ნელა მინავლდა და გაქრა...

ამიერიდან იგი ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა..

დარჩა ხსოვნა, კვალი ნათელი კაცისა, ისეთივე ნათელისა, როგორც მისი ლექსებია, რადგან, როგორიც არიან ადამიანები, ისეთივეა ის წიგნებიც, რომელთაც ისინი წერენ.



მაკა მაკალათია
ნატურმორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები
























ი 343/9

ფასი 2 ლარი

გარეკანზე გამოყენებულია ქეთევან მაღალაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციები



თინა ვირსალაძის პორტრეტი



მანანა ხიდაშელის პორტრეტი



დიმიტრი შევარდნაძის პორტრეტი



იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი